


იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

## თამარ ზოიძე

ყუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება  
(ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი)

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლადო ჭანტურია  
თსუ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი



თბილისი, 2015

## სარჩევი

აბრევიატურა..... 5

I. შესავალი..... 6

1. თემის აქტუალობა..... 6
2. კვლევის მიზანი..... 7
3. კვლევის მეთოდები..... 9
4. თემის სტრუქტურა..... 9

II. პროდუქტის ცნება და სახეები..... 11

1. პროდუქტის ცნება ..... 11
2. პროდუქტის სახეები ..... 13
  - 2.1. მოძრავი ნივთი, როგორც პროდუქტი ..... 13
  - 2.2. მომსახურება, როგორც პროდუქტი ..... 17
3. განსაკუთრებული შემთხვევები ..... 18
  - 3.1. ადამიანის სხეულის ორგანოები, სისხლი, როგორც პროდუქტი ..... 18
  - 3.2. ელექტროენერგია (ელექტროდენი), როგორც პროდუქტი ..... 23
  - 3.3. „ბაზარზე განთავსებული საქონელი“, როგორც პროდუქტი ..... 25
4. ცალკეული შემთხვევები ..... 25
  - 4.1. მეორადი ნივთები ..... 26
  - 4.2. ძირითადი მატერია, როგორც პროდუქტი ..... 27
  - 4.3. წიგნები და სხვა ბეჭდვითი ნაწარმოებები ..... 27
  - 4.4. ნარჩენები, როგორც პროდუქტი ..... 28
  - 4.5. პროგრამული უზრუნველყოფა – ე.წ. software ..... 29
5. პროდუქტიდან გამონაკლისები ..... 30
  - 5.1. გამონაკლისების ზოგადი დახასიათება ..... 30
  - 5.2. პირველადი გადამუშავების პროდუქტის ცნება ..... 34

III. წუნდებული პროდუქტის ცნება ..... 36

1. პროდუქტის ხარისხი ..... 37
2. პროდუქტის უხარისხობა ..... 40
  - 2.1. ზოგადად ..... 40
  - 2.2. ეტიმოლოგიური განმარტება ..... 41

3. პროდუქტის ნაკლის სახეები .....	42
3.1. ზოგადად.....	42
3.2. ქონსტრუქციული ნაკლი.....	43
3.3. ფაბრიკული (წარმოების) ნაკლი .....	45
3.4. ინსტრუქციის ნაკლი.....	46
3.4.1. ინსტრუქციის ვალდებულების ფარგლები.....	47
3.4.1.1. „ბაგშვის საწოვარა ბოთლის სინდრომი“ .....	49
3.4.1.2.,„კოკა-კოლას“ საქმე .....	52
4. მწარმოებლის ვალდებულებები დელიქტური სამართლის მიხედვით .....	54
5. პროდუქტის უგარგისობა, როგორც პროდუქტის წუნდებულად მიჩნევის საფუძველი .....	57
6. პროდუქტის უსაფრთხოება.....	58
6.1. ზოგადად.....	58
6.2. ყველა გარემოების გათვალისწინება .....	61
6.2.1. პროდუქტის შეთავაზება.....	61
6.2.1.1. პროდუქტის აღწერა, გამოყენების წესები, მოსალოდნელობის მითითება.....	61
6.2.1.2. რეკლამა.....	62
6.2.1.3. გამაფრთხილებელი მითითებანი.....	62
6.2.2. პროდუქტის გამოყენება, რომელიც საშუალოდ გათვლილი უნდა იყოს.....	63
6.2.3. სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დრო და პროდუქტის შემდგომი გაუმჯობესება .....	64
6.2.4. სხვა გარემოებები .....	65
<b>IV. პასუხისმგებლობა .....</b>	<b>69</b>
1. პასუხისმგებლობის სუბიექტები .....	69
1.1. ფაქტობრივი მწარმოებელი .....	70
1.2. „ვითომ მწარმოებელი“ .....	73
1.3. მიმწოდებელი .....	75
1.4. იმპორტიორი .....	79
2. დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეები.....	83
2.1. სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა.....	86
2.2. ნივთები.....	89
3. მიზეზობრივი კავშირი პროდუქტის წუნსა და დაცული სიკეთის დარღვევას შორის .....	93
4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა .....	95
5. ხელშეკრულების მიუხედავად პასუხისმგებლობა .....	99

6. სოლიდარული პასუხისმგებლობა .....	113
7. ზიანის ანაზღაურების ბუნება.....	114
8. პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევები .....	118
8.1. პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანა.....	119
8.2. სარეალიზაციოდ გატანისას პროდუქტის უნაკლობის პრეზუმაცია .....	124
8.3. პროდუქტის პირადი მოხმარების მიზნით წარმოება.....	127
8.4. მოქმედი ნორმების შესაბამისი ნაკლი .....	131
8.5. ნაკლის აღმოჩენის შეუძლებლობა.....	135
8.6. დაზარალებულის ბრალეული მოქმედება.....	143
8.7. მესამე პირის მოქმედება .....	145
8.8. პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი .....	146
9. მტკიცების ტვირთი .....	149
9.1. ზიანის მტკიცება.....	154
9.2. ნაკლის მტკიცება .....	155
9.3. მიზეზობრივი კავშირის მტკიცება .....	155
9.4. მწარმოებლის მტკიცება.....	156
10. ხანდაზმულობის ვადა.....	158
 <b>V. სასამართლო პრაქტიკა .....</b>	<b>160</b>
1. ელექტროენერგია (ელექტროდენი), როგორც პროდუქტი (ე.წ. „ელექტროენერგიის არმიშოდების საქმე“) .....	160
2. სისხლი, როგორც პროდუქტი გადამუშავების შემდეგ (ე.წ. „შიდსის საქმე“) .....	163
3. ინფორმაციული ნაკლი, როგორც პროდუქტის ნაკლი (ე.წ. „გაქცინის საქმე“) .....	164
4. ნივთები, როგორც დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეები .....	167
5. პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მიუხედავად (ე.წ. „იფქლის საქმე“) .....	170
6. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის გავლენა პასუხისმგებლობაზე (ე.წ. „შიდსის საქმე“) .....	171
7. მტკიცების ტვირთის გადანაწილება .....	174
 <b>VI. დასკვნა .....</b>	<b>179</b>
ბიბლიოგრაფია.....	183
 <b>სამეცნიერო ლიტერატურა .....</b>	<b>183</b>

## **აბრევიატურა**

### **ქართულ ენაზე:**

ა.შ. ასე შემდეგ

ეკროდირექტივა – წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის  
შესახებ ეკროკავშირის 1985 წლის 25 ივნისის 374-ე დირექტივა

იხ. იხილეთ

გ. მუხლი

ნ. ნაწილი

პ. პუნქტი

რედ. რედაქტორი

სსკ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (საქართველოს პარლამენტის  
უწყებები, საკანონმდებლო დამატება, 1997, №31).

სსსკ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შეად. შეადარე

§ პარაგრაფი

### **უცხოურ ენაზე:**

Aufl. Auflage

BGB Bürgerliches Gesetzbuch (für die Bundesrepublik Deutschland)

Rn. Randnummer (ნომერი, რომლითაც აღინიშნება ტექსტის ნაწილები  
წიგნის გვერდის ველზე)

V. Verlag (გამომცემლობა)

ProdHaftG Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte vom 15 Dezember 1989 (  
für die Bundesrepublik Deutschland)

# I. შესავალი

## 1. თემის აქტუალობა

წუნდებული პროდუქტის ბაზარზე გაჩენა - ეს სამოქალაქო ბრუნვის თან-  
მდევი მოვლენაა, რომელიც მსოფლიო პრობლემად განიხილება. შესაბამისად,  
მისი აქტუალობა დროთა განმვალობაში უფრო და უფრო მატულობს. მთავა-  
რია ის, თუ რა დონისძიებები გატარდება მის დაძლევად; რა გზები იქნება  
მოძიებული სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომაცაა, რომ ეს საკითხი, მოწინავე  
ქვეყნების სამართლის ერთ-ერთი მთავარი თემაა. ამ პრობლემის დაძლევის  
მთავარი საშუალება კი იმ მიზეზების გამოაშკარავებაა, რომელთა გამოც  
პროდუქტი ხდება წუნდებული. ცხადია, მნიშვნელოვანია ის, თუ რა სახის  
პროდუქტთან გვაქვს საქმე. მთავარია, იმ ძირითადი, არსებითი მიზეზების გა-  
მოკვეთა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს წუნდებული პრო-  
დუქტის პრეცენტის, დაძლევის ზუსტი გზა. პროდუქტის უხარისხობის მიზე-  
ზი შეიძლება იყოს ქარხნული, ინსტრუქციული თუ კონსტრუქციული შეცდო-  
მები, მომხმარებელთა არაინფორმირებულობა ან ცრუ ინფორმირებულობა,  
ვარგისიანობის ვადის გასვლა, შეფუთვის, შენახვის, აწყობის (ინსტალაციის)  
წესების დარღვევა, ზოგადად, „საშიშ“ პროდუქტებთან გაუფრთხილებელი  
მოპყრობა, მათი დაუდევრად გამოყენება, მეწარმის არაპროფესიონალიზმი და  
ა.შ. მაშასადამე, როგორც ჩანს, წუნის გაჩენაში ბევრი შიდა თუ გარე ფაქტო-  
რი შეიძლება მონაწილეობდეს, მათ შორის ისეთი სუბიექტის, როგორიცაა სა-  
ხელმწიფო.

კვლევის საგანს წარმოადგენს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზია-  
ნისათვის პასუხისმგებლობის შესწავლა. კერძოდ, როცა ასეთი პროდუქტის  
გამოყენებით ზიანი ადგება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან  
ნივთებს. სხვა საკითხია, როდესაც პროდუქტი წუნდებულია, მაგრამ მას ზია-  
ნი არავისთვის არ მიუყენებია, უბრალოდ, ის უფრნეციოა. არის პროდუქტები,  
რომლებიც, თავიანთი წუნის გამო, საშიშია მომხმარებელთათვის. შესაბამი-  
სად, ამ სახის პროდუქტის გამოყენების შედეგად დამდგარი ნებისმიერი ზიანი  
უნდა ანაზღაურდეს. შესაძლოა, ერთი მხრივ, აშკარა იყოს მომხმარებლის

უფლებების, მეორე მხრივ, სამოქალაქო ბრუნვაში არამონაწილე, „შემთხვევითი“ პირის უფლებების დარღვევა.

## 2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ქართული და გერმანული სამართლის შედარებითსა-მართლებრივი ანალიზი (კვლევაში გამოყენებულია, აგრეთვე, ევროკავშირის დირექტივები). ქართული კანონმდებლობა არ გამოირჩევა მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულირების მრავალფეროვნებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში სსკ) მოწესრიგდა წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები (1011-ე და შემდგომი მუხლები). 2012 წლამდე არსებობდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ცალკე კანონი, რომელიც გაუქმდა და 2012 წლიდან ძალაში შევიდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი. სამოქალაქო კოდექსში ცალკე, დელიქტების, თავშია მოქცეული წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები. ასევე არსებობს სპეციალური კანონი – „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვატერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ შესახებ კოდექსი.

სამოქალაქო კოდექსში, წუნდებული პროდუქტის გამო პასუხისმგებლობის მოწესრიგებისას, როგორც ცნობილია, ძირითადი ნორმები გერმანული სამართლიდან იქნა გადმოდებული და დელიქტური ვალდებულებების კარში განმტკიცებული. ქართულისაგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში მსგავსი ნორმები სამოქალაქო კოდექსში არ შეუტანიათ. მათ მიზანშეწონლად ჩათვალეს ამ საკითხის თაობაზე მიეღოთ ცალკე კანონი, კერძოდ, წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის კანონი (შემდგომში ProdHaftG), რადგან ეს მარტივად მოაწესრიგებდა და დეტალურად გაითვალისწინებდა ყველა საკითხს. გვიქრობ, სამოქალაქო კოდექსის აგტორები სწორად მოიქცენ, როცა კოდექსში მოაქციეს მრავალი ისეთი ურთიერთობა, რომლებიც გერმანულ სამართალში სპეციალური კანონებით წესრიგდება. აღსანიშნავია, რომ ProdHaftG-ის ანალოგიური კანონი მოქმედებს ავსტრიაშიც.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ob. Fitz H., Purtscheller M., Reindl P., Produkthaftung, Das Produkthaftungsgesetz - prägnant kommentiert, Wien, 1988, 1-190.

ქართული და გერმანული სამართლის გარდა, ProdHaftG-ის მომწერიგებელ ნორმებს ევროკავშირის სამართალიც შეიცავს. კერძოდ, არსებობს 1985 წლის 25 ივნისის 374-ე დირექტივა „წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (შემდგომში ევროდირექტივა) და 1999 წლის 10 მაისის 34-ე დირექტივა 1985 წლის 25 ივნისის 374-ე დირექტივაში ცვლილებების შეტანის შესახებ.<sup>2</sup> ევროკავშირის ქვეყნებმა თავიანთი კანონმდებლობა შეუსაბამეს ამ დირექტივათა მოთხოვნებს და ეს ნაშრომშიც სათანადოდაა ასახული. საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის ნორმატიული ვალდებულება ამ მხრივაც მოითხოვს ქართული სამართლის ევროპულთან დაახლოებას.

ზოგადად, კერძო სამართლის ევროპეიზაცია მნიშვნელოვანი პროცესია დღეს.<sup>3</sup> პოსტსაბჭოურ ქვეყნებში იგი შეეხო სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს.<sup>4</sup> მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს ქართული კანონმდებლობა, მიიღოს ერთიანი, ჩამოყალიბებული სახე და თანდათან ასე დაუახლოვდეს ევროპულ სამართალს. ნაშრომში ამ მიმართულებით კონკრეტული დასკვნებია გაკეთებული.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის პრობლემა მეცნიერულ დონეზე ნაკლებადაა შესწავლილი. ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია რამდენიმე საქურნალო სტატია.<sup>5</sup> ევროპული ლიტერატურა კი, ამ მხრივ, ძალიან მდიდარია. რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, ქართულ რეალობაში ისიც ერთობ მწირია, მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება მოიპოვება. სასამართლო პრაქტიკიდანაც ჩანს, რომ აუცილებელია განვითარებული დოქტრინის ჩამოყალიბება. წინამდებარე ნაშრომის მიზანია გერმანული სამართლის შესაბამის ინსტიტუტებთან წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის ქართული

<sup>2</sup> Pfeiffer, Juris Texte Zivil- und Zivilprozessrecht, Juris/Luchterhand, 2005, 835-846.

<sup>3</sup> ი. Zimmermann R., Die Europäisierung des Privatrechts und die Rechtsvergleichung, Verlag De Gruyter Recht, Berlin, 2006, 1-58.

<sup>4</sup> ი. Chanturia L., Recht und Transformation, Rechtliche Zusammenarbeit aus der Sicht eines rezipierenden Landes, Rabels Zeitschrift (Rechtstransformation und Rechtsrezeption), Band 72 (2008), Heft 1 (Januar), 115.

<sup>5</sup> ი. ნიურაძე ნ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამოქალაქო სამართალში, „ცხოვრება და სამართალი“, 1998, №3, 73-77; ასევე, ნიურაძე ნ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციური საფუძვლები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №1, 34-38; ასევე, შეთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, №2; 2007, 60-72.

ნორმების შედარებითი კვლევა და წინადაღების შემუშავება ამ ნორმების გამოყენების სრულყოფის მიზნით.

### 3. კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია ზოგადად მეცნიერული, შედარებითსამართლებრივი, ლოგიკური, ნორმატიულ-დოგმატური კვლევის მეთოდები. კანონმდებლობასთან ერთად, გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია, როგორც ქართული სამართლებრივი აქტების ურთიერთმიმართება, ისე მათი დამოკიდებულება გერმანულ სამართლთან (მათ შორის, ევროკავშირის დირექტივასთან).<sup>6</sup> აღნიშნული მეთოდების გამოყენებით დადგინდა და დაზუსტდა ზოგიერთი ნორმის შინაარსი, განისაზღვრა მათი ადგილი კანონმდებლობაში, შეფასდა მათი სამართლებრივი მხარე. კვლევა ეფუძნება კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალს.

### 4. თემის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან. I თავში – შესავალში – ნაჩვენებია პრობლემის აქტუალობა და ქართული და ევროპული სამართლის სრული პარმონიზაციის აუცილებლობა წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის სფეროში. ეს აუცილებლობა ნაჩვენებია ქართული სამართლის გერმანულ სამართლთან და ევროკავშირის დირექტივასთან შედარების გზით.

II თავში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა პროდუქტის ცნება. დეტალურადაა შესწავლილი მოძრავი ნივთებისა და მომსახურებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აქ მნიშვნელოვანია ერთიან კონტრსტრუქტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აქ მნიშვნელოვანია ერთიან კონტრსტრუქტურისათვის დაკავშირებული ადამიანთან და ელექტროენერგიასთან. ცალკე ქვეთავი ეთმობა როგორც პროდუქტში შემავალ განსაკუთრებულ შემთხვევებს, ისე მისგან გამონაკლისებს.

III თავი წარმოაჩენს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პროდუქტის წუნდებულობა, ნაკლის სახეები და პროდუქტის უსაფრთხოება. წუნდებული პროდუქტის ნიშნების გამორკვევამდე დახასიათებულია პროდუქტის ხარისხის განმსაზღვრელი კომპონენტები. მირითადად, გერმანულ სამართალზე დაყ-

<sup>6</sup> ევროპულ სამართალში, ძირითადად, გერმანულ სამართალს მოვიაზრებ.

რდნობით, დეტალურადაა შესწავლილი პროდუქტის ნაკლის სხვადასხვა გამოვლინება. ცალკეა განხილული პროდუქტის უსაფრთხოებისათვის ქართული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

IV თავი სტრუქტურით და შინაარსით ყველაზე მოცულობითია და მასში დეტალურადაა გაანალიზებული პასუხისმგებლობის სუბიექტები: (მწარმოებელი, მიმწოდებელი, იმპორტიორი), მათი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლები. ადსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლები ზუსტად ისეთივეა, როგორც გერმანულ სამართალში. ამავე თავში გამოკვლეულია სამოქალაქო კოდექსში მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელი ნორმა. ეს საკითხი, ქართულისგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში უფრო სრულყოფილადაა მოწესრიგებული.

ცალკეა გამოყოფილი ისეთი მნიშვნელოვანი და მთავარი საკითხები, როგორებიცაა: დაცვას დაქვემდებარებული სიკეთები, პასუხისმგებლობა, მიუხედავად ხელშეკრულებისა, ზიანის ანაზღაურების ბუნება, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დამკვიდრება. დეტალურადაა განხილული ის შემთხვევები, როცა დაცვას დაქვემდებარებული სიკეთე არა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, არამედ ნივთები.

V თავში განიხილულია სასამართლო პრაქტიკა, გაანალიზებულია, ძირითადად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

დაბოლოს, VI თავი ნაშრომის დასკვნითი ნაწილია. მასში წარმოჩენილია კვლევის შედეგები და შემუშავებულია კონკრეტული საკანონმდებლო წინადაღებანი, რომელთა მიზანია, როგორც წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა, ისე სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

## II. პროდუქტის ცნება და სახეები

### 1. პროდუქტის ცნება

სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 1011-ე მუხლის I ნაწილმა, რომელიც განამტკიცებს პროდუქტის ცნებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა ევროპული სამართლის გამოცდილება და ამ ნაწილში გაიზიარა პროდუქტისადმი მის მიერ დადგენილი მოთხოვნები. სსკ-ის 1011-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ამ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. პროდუქტი, ასევე, მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომსმარებლისთვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის“. საკანონმდებლო ცვლილებებამდე, სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველ რედაქციაში, ეს ნაწილი ასე გამოიყერებოდა: „პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, - მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე - ელექტროდენი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ.“ მსგავსი განმარტება არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში.<sup>7</sup>

კოდექსის ნორმების პრაქტიკაში გამოყენება აჩვენებს, თუ რამდენად შედეგის მომტანია ეს ცვლილება მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.

<sup>7</sup> პროდუქტი – ყველა მოძრავი ნივთი და ამ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“, ასევე, მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომსარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.

პროდუქტს, როგორც სპეციფიკურ სამართლებრივ კატეგორიას (სიკეთეს), სამოქალაქო კოდექსის დელიქტების თავი ეხება. ის აერთიანებს ისეთ სამართლებრივ ფასეულობებს, როგორებიცაა: ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, შემადგენელი ნაწილი, საქონელი, რომელთაც საზოგადოებაში (სამოქალაქო ბრუნვაში) დამკვიდრებული მნიშვნელობებიც გააჩნიათ. მაგალითად, „ბაზარზე განთავსებული საქონელი“ – იგივე პროდუქტია.

სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ქონებაში მოიაზრება, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე „მომსახურება“, „რომელსაც ცვლილება შეეხო და დაემატა პროდუქტის ცნებას, შესაძლებელია მატერიალური ქონებრივი სიკეთის მსგავსად განვიხილოთ, მიუხედავად იმისა, რომ მას სხეულებრიობა არ ახასიათებს. მაშასადამე, პროდუქტის ახლანდელი განმარტება ცნებების სიმრავლით გამოირჩევა. რაც შეეხება პროდუქტისგან გამონაკლისებს, რომლებიც კოდექსითაა დადგმნილი, ესენია სურსათის პირველადი პროდუქტი და ნადირობის შედეგად მოპოვებული პროდუქტი. საკითხავია, გამონაკლისების რიცხვში მხოლოდ ის პროდუქტები მოიაზრება, რაც კოდექსითაა დადგენილი, თუ სხვაც. მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ელექტროენერგიას, რომელიც პროდუქტის ცნებაში აღარ მოიაზრება, თუმცა, არც გამონაკლისთა სიაში ხვდება. გერმანული სამართალი ელექტროენერგიას ჯერ კიდევ პროდუქტად მიიჩნევს.<sup>8</sup>

პროდუქტის ნაწილი, ცალკე, დამოუკიდებლად, ევროკავშირისა და გერმანული სამართლის მსგავსად, პროდუქტის ცნებაში არ მოიაზრება. თუმცა, განმარტების გზით შესაძლებელია პროდუქტის ცნებაში გაერთიანდეს. სსკ-ის 1011-ე მუხლი უფრო ზოგადი და ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევა. „ყველა მოძრავ ნივთში“ მოიაზრება, როგორც პროდუქტის ნაწილი, ისე მთლიანი პროდუქტი, თუკი ის წარმოადგენს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილს.

მართალია, სურსათის პირველადი პროდუქტები პროდუქტებიდან გამონაკლისების რიცხვში შედის, თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში არაერთ გადაწყვეტილება არსებობს, როცა სურსათის პროდუქტები, სსკ-ის 1011-ე მუხლის გაგებით გვევლინება პროდუქტად. იბადება კითხვა, ის, რასაც კანონმდებლობა კრძალავს იმპერატიულად, რამდენად შეიძლება სასამართლო პრე-

<sup>8</sup> Pfeiffer, Juris Texte Zivil- und Zivilprozessrecht, Juris/Luchterhand, 2005, 619-624.

ცედენტის გზით სხვაგვარად მოწესრიგდებ? ამ საკითხს შევეხებით ნაშრომის სხვა ნაწილებში.

## 2. პროდუქტის სახეები

სსკ-ის 1011-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროდუქტის სიაში შემავალ ნივთებში პირველ რიგში, მოძრავი ნივთი იგულისხმება, როდესაც ის სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილია. გერმანულ სამართალშიც ასეა, ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის თანახმად.<sup>9</sup>

### 2.1. მოძრავი ნივთი, როგორც პროდუქტი

მოძრავი ნივთების ლეგალურ, კანონისმიერ დეფინიციას სსკ-ი არ იცნობს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მოძრავი ნივთი არის „ნებისმიერი ნივთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის უძრავი, გარდა მექანიკური სატრანსპორტო, საფრენი და მცურავი საშუალებებისა.“ ზოგადად მოძრავ ნივთებს ახასიათებთ: სხეულებრიობა, ბრუნვაუნარიანობა, პირთა ბატონობას დაქვემდებარებადობა, ფუნქციური ერთიანობა და ა.შ.<sup>10</sup> შესაბამისად, თითოეული ნივთის შეფასებისას, უნდა განვსაზღვროთ, თავსდება თუ არა ის მოძრავი ნივთების კატეგორიაში და შესაბამისად პროდუქტის ცნებაში.

ქართული სამართალი პროდუქტად მიიჩნევს მოძრავ ნივთებს. კერძოდ, სსკ-ის 1011-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს.“ კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ელექტროენერგიასაც პროდუქტად მიიჩნევდა. 2012 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებებით იგი აღარ ითვლება პროდუქტად. ანალოგიურ განმარტებას იცნობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომოქცევის“ კოდექსი.<sup>11</sup>

გერმანულ სამართალში, ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის თანახმად, პროდუქტად, პირველ რიგში, ითვლება ყველა მოძრავი ნივთი. კერძოდ, ის

<sup>9</sup> იქვე, 619-624.

<sup>10</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 141.

<sup>11</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომოქცევის შესახებ კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 2012, №6175-III.

ნივთები, რომლებსაც მოიაზრებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში BGB) 90-ე პარაგრაფი, რადგანაც ნივთი მხოლოდ სხეულებრივი საგანია, ელექტროენერგიას გერმანული სამართალი არ მიიჩნევს ნივთად და, შესაბამისად – პროდუქტად. მართალია, არც ცხოველებია BGB-ის მიხედვით ნივთები, მაგრამ რადგანაც მათ მიმართ გამოიყენება ნივთების მომწესრიგებელი ნორმები, შეიძლება ისინიც მივიჩნიოთ პროდუქტად. ამიტომაც შესაძლებელია ცხოველებიც ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის დაცვის ქვეშ მოექცეს. აქვე შედის პროდუქტის ნაწილიც, როდესაც ის სხვა მოძრავ ან უძრავ ნივთშია გამოყენებული, ანუ მისი შემადგენელი ნაწილია. მნიშვნელობა არა აქვს როგორია მოძრავი ნივთების წარმოების სახეობა (მაგალითად, ინდუსტრიული, ხელოსნური თუ ხელოვნური) და მისი გამოყენების მიზანი.<sup>12</sup>

გერმანული	დელიქტური	სამართლით	გათვალისწინებული
-----------	-----------	-----------	------------------

პასუხისმგებლობის შემთხვევაში (BGB-ეს 823-ე პარაგრაფი, პირველი ნაწილი), პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი. არსებითი შემადგენელი ნაწილები (BGB &93, 94) და ელექტროენერგია პროდუქტად არ ითვლება.<sup>13</sup>

მიწის ნაკვეთები და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობები, როგორც მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილები, არ წარმოადგენს პროდუქტს. მთლიანი შენობა არ ითვლება მოძრავ ნივთად, მიუხედავად იმისა, რომ BGB-ეს 95-ე პარაგრაფი ფიქციის საფუძველზე მისი მოძრავ ნივთად გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა. მშენებელი მეწარმის პასუხისმგებლობა არაა მშენებლის ნებაზე დამოკიდებული. სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სანივთო-სამართლებრივი ასპექტით არ არის გადაწყვეტილი, შენობა-ნაგებობა, როგორც მოჩვენებითი შემადგენელი ნაწილი,<sup>14</sup> ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის თანახმად, პროდუქტად არ მოიაზრება.

აღნიშნული კანონის მეორე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილი ითვლება პროდუქტად. იგივე წესი არ მოქმედებს BGB-ეს 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც ეხება მხოლოდ მოძრავ ნივთებს. როცა ნაკლისმქონე მასალაა შენობაში ჩაშენებული (გამოყენებული) მშენებლის მიერ და ამით მაცხოვრებლის ჯანმრთელობა ზიანდება, მაშინ მწარმოე-

<sup>12</sup> Prütting – Wegen – Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand Verlag, 2013, Rn.2, 3418.

<sup>13</sup> იხ.Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995, 15.

<sup>14</sup> „Scheinbestandteile”

ბელს ან მიმწოდებელს პასუხისმგებლობა დაეკისრება წუნდებული სამშენებლო მასალისათვის.<sup>15</sup>

სსკ-ის 1011-ე მუხლის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთი ცალკე პროდუქტის ცნებაში არ მოიაზრება. ის მხოლოდ მაშინ ერთვება პროდუქტის ცნებაში, თუ მოძრავი ნივთის შემცველია. „მაგალითად, უხარისხო სამშენებლო მასალით აშენებული სახლის დანგრევის შემთხვევაში ამ მასალის მწარმოებელი პასუხს აგებს სახლის დანგრევით გამოწვეული ზიანისათვის, ხოლო მშენებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა არა კოდექსის 1009-ე მუხლის მიხედვით, არამედ დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე“.<sup>16</sup>

ანალოგიურად, BGB-ს 823-ე პარაგრაფის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში დგაბა დელიქტური პასუხისმგებლობა.<sup>17</sup>

მაშასადამე, უძრავი ნივთი არ შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტად და, შესაბამისად, არ დადგება პასუხისმგებლობა, თუკი ნაგებობის სამშენებლოდ გამოყენებული მასალა განუცალკავებელი ნივთების სახით არსებობს. მაგალითად, სხვა მასალებში არეული წებო, ცემენტი და ა.შ. როგორც დამოუკიდებელი პროდუქტი ინდენტიფიცირებული სახით აღარ არსებობს.<sup>18</sup>

მას შემდეგ, რაც არსებითი შემადგენელი ნაწილები მიწის ნაკვეთს გამოუყოფა, იქცევა მოძრავ ნივთად და, ამ მომენტიდან – პროდუქტად; როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მხოლოდ პირველადი გადამუშავების შემდეგ იღებს პროდუქტის სახეს.<sup>19</sup>

საკუთხებელზე განსაკუთრებული წესი არ მოქმედებს. საკუთხებლის ნაწილები მოძრავი და დამოუკიდებელი ნივთებია და მთავარი ნივთის სამართლებრივ ბეჭს არ იზიარებენ.<sup>20</sup>

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს პროდუქტის ნაწილი და საბოლოო პროდუქტი. პროდუქტის ნაწილი არ არის მხოლოდ საბოლოო პროდუქტის პირველი საფეხური. ის პროდუქტად მაშინაც რჩება, როდესაც სხვა მოძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი ხდება, ანუ როდესაც ის საბოლოო პროდუქტან

<sup>15</sup> Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg..., 1995, 16.

<sup>16</sup> ზოთადე თ., უხარისხო პროდუქტით მიეწენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, №2; 2007, 64.

<sup>17</sup> იბ. Landscheidt C., Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn.34, 57-58.

<sup>18</sup> იქვე, 58.

<sup>19</sup> იბ.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.10, 104.

<sup>20</sup> იქვე, Rn.12, 105.

ისეა დაკავშირებული, რომ თავის იდენტიფიკაციას კარგავს (მაგალითად, ხის წებო ავეჯში გამოყენებისას).<sup>21</sup>

მოძრავი ნივთი, მაგალითად, სამშენებლო მასალა, პროდუქტის თვისებას მაშინაც არ კარგავს, როდესაც ის უძრავ ნივთშია გამოყენებული, მაგალითად, ჩაშენებულია შენობაში. მწარმოებელი მაშინაც აგებს პასუხს, როდესაც ნივთი გადამუშავების ან არევა/შერევის შედეგად თავის იდენტიფიკაციას კარგავს.<sup>22</sup>

საბოლოო პროდუქტი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტისგან იქმნება, პროდუქტთა ნაწილების ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი უნდა განვიხილოთ დამოუკიდებელ, ერთიან პროდუქტად.<sup>23</sup>

გერმანული სამართალი პროდუქტად მხოლოდ სხეულებრივ საგნებს მიიჩნევს. ასეთი მიდგომით, პროდუქტთა კატეგორიიდან გამორიცხავ ყველა არამატერიალური მომსახურება (მაგალითად, სტატისტიკური ანგარიშები, კონსტრუქციული მითითებანი, ფუნქციური შემოწმებები).<sup>24</sup>

გერმანულ სამართალში პროდუქტად მიიჩნევა, აგრეთვე, შენობის მოსაწყობად საჭირო ტექნიკური მოწყობილობები, მაგალითად, ლიფტები, დაცვის, გათბობისა და კლიმატის რეგულირებისათვის საჭირო მოწყობილობები, რომლებიც ჩაშენებულია შენობაში.<sup>25</sup>

როგორც ნაწილობრივ ზემოთ იქნა აღნიშნული, მეწარმის მიერ მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობა, პროდუქტის ცნებიდან გამომდინარე, არავითარ პროდუქტს არ წარმოადგენს, ვინაიდან აშენების შედეგად იგი უძრავი ნივთი ხდება. მშენებელმა შეიძლება პასუხი აგოს „მზა“ სამშენებლო დეტალების წარმოებასთან დაკავშირებით, რომლებიც პროდუქტის თვისებებს ატარებს და, რომლებსაც იყენებენ შენობაში.<sup>26</sup>

რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად შენობა-ნაგებობა, როგორც უძრავი ნივთი? მართალია, მიწის ნაკვეთზე მდგარი შენობა-ნაგებობა, კანონის თანახმად, მოიაზრება უძრავი ნივთების კატეგორიაში, დელიქტური პასუხისმგებლობის პოზიციიდან თუ შევხედავთ, ის, როგორც დამოუკიდებელი ნივთი, შესაძლებელია პროდუქტის ცნებაში შევიყვანოთ

<sup>21</sup> ი. როლ W., *Produkthaftungsrecht*, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.21, 108.

<sup>22</sup> იქვე, Rn.22, 109.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ი. კულმან H.J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;”* Kommentar, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.2, 80.

<sup>25</sup> იქვე, Rn.3, 81.

<sup>26</sup> იქვე, Rn.2, 80.

და, შესაბამისად, მშენებლის პასუხისმგებლობაც ამ მუხლების საფუძველზე დადგება.

უნდა ითქვას, რომ „როგორც გერმანული სამართლის, ისე ევროკავშირის დირექტივის თანახმად, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მოძრავი ნივთების, როგორც პროდუქტის გამოყენების შედეგად. იმ მშენებლის პასუხისმგებლობა, რომელმაც უხარისხო ნაგებობა ააშენა და ამით იქნა ზიანი მიყენებული, ევროკავშირის ყველა წევრ-ქვეყანაში სპეციალური მოწესრიგების საგანს შეადგენს.“<sup>27</sup>

მთავარი პრობლემა მაინც დიად რჩება – ვინ უნდა აგოს პასუხი უხარისხო შენობის აგებისას? მშენებელმა, როგორც მწარმოებელმა, არქიტექტორმა, პროდუქტის ნაწილის მწარმოებელმა თუ ვინ? ეს თითოეული კონკრეტული შემთხვევისას უნდა გადაწყდეს. პასუხისმგებლობის დაკისრებისას მთავარი ამოსავალი წერტილი ის იქნება, თუ რა სახის ნაკლთან გვაქვს საქმე და რა გვევლინება წუნდებულ პროდუქტად.

## 2.2. მომსახურება, როგორც პროდუქტი

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მომსახურების გაერთიანება პროდუქტის ცნებაში. მომსახურება, როგორც სამართლებრივი სიკეთე, დაკავშირებულია ნივთთან. ნივთიდან უნდა გამომდინარეობდეს გარკვეული მომსახურების მიღება, მატერიალური ქონებრივი სიკეთის სახით. მომსახურება, როგორც სამართლებრივი სიკეთე, სსკ-ის 1011-ე მუხლის წინა რედაქციით, არ იყო პროდუქტის ცნებაში გაერთიანებული. მას პროდუქტად მიიჩნევს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი.<sup>28</sup>

სსკ-ის წინა რედაქციის მოქმედების პარალელურად, მომსახურებას პროდუქტად მიიჩნევდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ სპეციალური კანონი.

<sup>27</sup> Kampmann B., Der Produktbegriff nach der deliktischen Produkthaftung und dem Produkthaftungsgesetz, Kün, 1991, 75.

<sup>28</sup> იხ. პროდუქტი – ყველა მოძრავი ნივთი და ამ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.

სსკ-ის 1011-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ეს ნივთი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილია. მთავარია, პროდუქტად გავიგოთ წმინდა მომსახურება და არა მისი წარმოშობის გზები.

სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის დეფინიცია ტექნიკურად განსხვავებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის დეფინიციისგან. ამ უკანასკნელში პირდაპირაა აღნიშნული, რომ მომსახურება „ამ ნივთთან“, ე.ი. მოძრავ ნივთთანაა დაკავშირებული. სსკ-ში კი მარტივად საუბარია ნივთთან დაკავშირებულ მომსახურებაზე. ალბათ, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც მოძრავი ნივთი იგულისხმება.

რაც შეეხბა გერმანულ სამართალს, იგი პროდუქტთა სიაში, განსაკუთრუბულ შემთხვევებში, განიხილავს მომსახურებას, მაგალითად, განსხეულებულ (მატერიალიზირებულ) ინტელექტუალურ მომსახურებას.

გერმანული სამართლის მიხედვით, როგორც წესი, ინტელექტუალური მომსახურება, იდეები, კომპიუტერული პროგრამები ნივთები არაა და, შესაბამისად, არც პროდუქტებს წარმოადგენს.<sup>29</sup>

საკამაოა, რამდენად შესაძლებელია ProdHaftG-ის გამოყენება, როდესაც ნაკლისმქონე ინტელექტუალური მომსახურება მის „მატარებელში“ არის განსხვულებული და წარმოადგენს რაიმე ნივთს, რომლის გამოყენება იწვევს ზიანს. შესაძლებელია გვქონდეს შემდეგი შემთხვევა: მაგალითად, არასწორ სტატისტიკურ ანგარიშს შესაძლოა შედეგად მოჰყვეს სახლის დანგრევა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზიანი მხოლოდ მოძრავი ნივთით არაა გამოწვეული. ნამდვილი მიზეზი განსხეულებულ მცდარ, ნაკლიან ინტელექტუალურ მომსახურებაშია.<sup>30</sup>

### 3. განსაკუთრებული შემთხვევები

#### 3.1. ადამიანის სხეულის ორგანოები, სისხლი, როგორც პროდუქტი

პრაქტიკაში ხშირია დავები, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლეს ზიანი ადგება ისეთი პროდუქტის „უხარისხობის“ შედეგად, რო-

<sup>29</sup> ob.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.16, 105.

<sup>30</sup> იქვე, Rn.16, 106.

გორიცაა ადამიანის სხეულის ორგანოები და სისხლი. ცალსახაა, რომ ამ კატეგორიის „ნივთები“ „საშიშ“ პროდუქტთა სიაში შეიძლება შევიდეს. მათი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლა, რეალიზაცია დიდ რისკსა და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. თუმცა, პროდუქტის ცნებაში მათ გაერთიანებამდე, დასადგენია, რა კატეგორიის ნივთებში მოიაზრება და, საერთოდ, თავსდება თუ არა ის ნივთების ცნებაში. სამოქალაქო კოდექსისა და დოქტრინაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ნივთი არის ბრუნვაუნარიანი, პიროვნულობას მოკლებული, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული სხეულებრივი საგნები,<sup>31</sup> რომელთა ფლობა, სარგებლობა, განკარგვა შეგვიძლია თავისუფლად. სხეულის ორგანოები ან სისხლი ნივთად რომ ჩავთვალოთ, აღნიშნულ ნიშან-თვისებებს უნდა აკმაყოფილებდეს.

რაც შეეხება ბრუნვაუნარიანობას, შესაძლოა ითქვას, რომ ისინი თავისუფალი, ბრუნვაუნარიანი საგნები არ არიან. მათი რეალიზაციაში გასვლა მრავალ პროცედურასა და მოთხოვნასთანაა დაკავშირებული. შესაძლოა ისინი, შეზღუდულ ბრუნვაუნარიან საგნებად ჩაითვალოს, რადგან მათი თავისუფალი განკარგვა არ ხდება. როგორც წესი, ამ კატეგორიის ნივთებს სყიდვითი ფასი არ აქვთ. ანუ სხეულის ორგანოს, სისხლის ანაზღაურებადობა, მატერიალური დირებულება არ არსებობს. თუმცა, პრაქტიკაში ხშირია სისხლის ჩაბარების შემთხვევები, როგორც უანგაროდ, ისე გარკვეული კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ. აქ კი შეიძლება გაჩნდეს კითხვა, არის თუ არა კომპენსაცია იგივე სისხლის სყიდვითი ფასი? ამის გამოსარკვევად გადამწყვეტია, თუ რა მიზნით გასცემს სისხლის ბანკი ამ კომპენსაციას. როგორც წესი, ეს თანხა ჯანმრთელობის სანაცვლო „კომპენსაციაა“, იმ მდგომარეობის აღდგენის საშუალება, რომელიც არსებობდა სისხლის ჩაბარებამდე. დონორის სისხლი, დონორის მიერ არ არის კომერციალიზებული და შესაბამისად არ ჩაითვლება პროდუქტად. გასამრჯელოს სისხლის ჩაბარებისთვის აქვს სხვა მიზანი, კერძოდ, ეს არის ჯანმრთელობის სარეაბილიტაციოდ გადებული ხარჯების კომპენსაცია. მაგალითად, როგორიცაა გაორმაგებული კვება და ა.შ. და არა ეკონომიკური მოგების დაკმაყოფილება.<sup>32</sup> ამ აზრის სისწორე დასტურდება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის დებულებით, რომლის თანახმად, სა-

<sup>31</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 26-28.

<sup>32</sup> იხ. Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. 1995, 24.

შემოსავლო გადასახადით არ იბეგრება „ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა“.

აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ითქვას, რომ მათი რეალიზაცია ხდება სამოქალაქო ბრუნვაში. თუმცა, ეს არ გამორიცხავს მათი ნივთების კატეგორიად მიჩნევას. არ არის აუცილებელი ნებისმიერი სახის ხელშეკრულება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ანაზღაურებასთან. როგორც სისხლის, ისე სხეულის ორგანოების რეალიზაცია ხდება კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა საქმიანობის მიზანი დამატებით სწორედ ამ კატეგორიის ნივთების ფლობა, სარგებლობა, განკარგვა. ამიტომაც ისინი გარკვეულ პასუხისმგებლობას და რისკსაც თავის თავზე იღებენ. კერძოდ კი, მათი უსაფრთხოების შესახებ ყოველთვის ინფორმირებულები არიან ან თავად უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას. ისინი ვალდებული არიან თავიანთი დაწესებულება უზრუნველყონ იმ დონის სპეციალისტებით თუ თანამედროვე ტექნიკით, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ნივთების საშიში თვისებების ამოცნობას და გაუგუნებელყოფას. ეს პირები თავს ვერ დაიხსნიან პასუხისმგებლობისგან იმ მოტივით, რომ მათ არ გააჩნდათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმ დონის სამედიცინო დანადგარის შეძენის, რომელიც უზრუნველყოფდა სხეულის ორგანოების თუ სისხლის უსაფრთხოებას. სუბიექტური შეუძლებლობა ვერ გახდება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

მეორე მთავარი კითხვა, რაზედაც პასუხი უნდა გამცეს, არის: როდის ითვლება ადამიანის სხეულის ორგანო, სისხლი ნივთად? ამ მხრივ ერთიანი მიდგომა არსებობს, როგორც ევროპულ, ისე ქართულ სამართალში. კერძოდ, ცოცხალი ადამიანის სხეულის ორგანო მაშინ ჩაითვლება ნივთად, როდესაც ის გამოეყოფა მას მისივე თანხმობით და, ეს ორგანო, ძირითადად, ადამიანის წყვილი ორგანოებიდანაა, რადგან საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს. ამდენად, სხეულის ორგანოები, სისხლი, სხეულისაგან გამოცალკევებით ხდება მოძრავი ნივთები და ვინც მათ ფლობს, კერძოდ, სხეულის ორგანოების შემნახველები, სისხლის ბანკები, რომლებიც მათ სამოქალაქო ბრუნვაში გაიტანენ, პასუხს აგებენ წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის. დონორი პირების პასუხსმგებლობა კი სხვა საფუძვლით დგება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი, სხვისი სიცოცხლის გადარჩნის მიზნით, თავის სიცოცხლეშივე ამბობს თანხმობას მისი სხეულის რომელიმე ორგანოს გადაცემის შესახებ. მაშასადამე, „ადამიანის ორგანოს (მაგა-

ლითად, თირკმელი) შესახებ დადებული გარიგება ბათილია, ვინაიდან ეწინააღმდეგება სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, უპირველესად, ადამიანის ღირსებასა და ხელშეუხებლობას. ამასთან, იგი შეუთავსებელია ეთიკურ ფასეულობებთან. ინდივიდის თანხმობა თავისი ორგანოს „აღებაზე“ (გაცემაზე) უნდა განიხილებოდეს ინდივიდის პოროვნული უფლების რეალიზებად და დასაშვებია უპირატესი ინტერესის, სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, შესანარჩუნებლად“<sup>33</sup> ამის შესახებ სამედიცინო ორგანოები გარკვეული სახის ხელწერილს ართმევენ დონორს. ქართულ რეალობაში შეიძლება ნაკლებად იყოს მსგავსი შემთხვევა, თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

თუკი სხეულის ორგანოები, სისხლი ნივთად იქნება მიჩნეული, რა თქმა უნდა, საუბარია მოძრავ ნივთებზე, ის თავისუფლად შეიძლება გაერთიანდეს პროდუქტის ცნებაში და წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. მთავარი პრობლემა ისაა, ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი? ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს – სამედიცინო პერსონალის თუ იმ ფიზიკური პირის, ვინც გაიღო ეს ორგანო თუ სისხლი. სშირ შემთხვევაში პასუხისმგებელ პირებში მოიაზრებიან სამედიცინო დაწესებულებები. მაგალითად: პირმა ჩააბარა სისხლი სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით და მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს სისხლი შეიცავდა საშიშ ვირუსს, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დგება სისხლის ბანკის, რომელიც ვალდებული იყო შეემოწმებინა ამ სისხლის უსაფრთხოება-ვარგისიანობა. თუკი დონორმა იცოდა თავისი ავადმყოფობის შესახებ, განზრახ დუმდა და არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, შეიძლება ორივე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. დონორს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს დალიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე, როგორც ეს გერმანულ სამართლშია.<sup>34</sup>

სამედიცინო პერსონალი ვერ გადააკისრებს სხვას პასუხისმგებლობას. ის ყოველთვის ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხოება და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოიღოს ის პროდუქტი, რომელიც ჯანმრთელობისთვის თუ სი-

<sup>33</sup> კერძებულიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომცემლობა ეშსი, თბილისი, 2009, 204.

<sup>34</sup> Taschner H.Cl., Frietsch E., Produkthaftungsgesetz und EG-Produkthaftungsrichtlinie, 2.Aufl.München, Beck, 1990, Rn.5, 255.

ცოცხლისთვის საშიშ თვისებებს შეიცავს. ამასთან დაკავშირებით, არსებობს ძალიან საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებები.<sup>35</sup>

აღსანიშნავია, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც დეტალურადაა მოწესრიგებული მსგავსი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობები. მართალია, ეს უკანასკნელი კრძალავს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობას, მაგრამ ტერმინი “ვაჭრობა“ სხვა კონტექსტშია გამოყენებული.

პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია განსხვავებულად დადგეს, როდესაც სამედიცინო დაწესებულების აღნიშნული საქმიანობა და მიზანი არ წარმოადგენს კომერციულს და მხოლოდ თანმხლები (დამატებითი) საქმიანობაა. მაგალითად, ოპერაციის დროს ავადმყოფისთვის სისხლის გადასხმა ან სხეულის ნაწილის გადანერგვა. სხვა შემთხვევაა, თუ სამედიცინო დაწესებულება სწორედ ამ ტიპის საქმიანობითაა დაკავებული და მას კომერციული ხასიათი აქვს. მაგალითად, სისხლის შემნახველი ბანკები, დონორის მომძიებელი და სხეულის ორგანოების შემნახველი ორგანიზაციები. მათი პასუხისმგებლობის საკითხი სხვაგვარად წყდება. ისინი არ არიან მწარმოებლები. პასუხისმგებლობის საფუძველიც სხვაა.

მაშასადამე, გერმანული სამართალი აღიარებს იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის სხეულის ნაწილები, ორგანოები და სისხლი მოძრავი ნივთია და, შესაბამისად, პროდუქტი. თუმცა, უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს თუ რა ფორმით, რა გზით არის მიღებული ეს პროდუქტი; ექვემდებარება თუ არა გადამუშავდას; რა მიზანი ამოძრავებთ სისხლის და ორგანოების ბანკებს; არსებობს თუ არა დონორის ბრალი ინფიცირებული სისხლის ჩაბარებისას და ა.შ.

რაც შეეხება ადამიანის გვამს, თუკი იგი სამეცნიერო მიზნებისთვის არასწორად იქნება მომზადებული, გამოყენებული და ამის შედეგად ზიანი დადგება, ProdHaftG-ის თანახმად, პასუხს აგებს მწარმოებელი. პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ორგანოები ან სისხლი წარმოებული იქნება კომერციული მიზნებისთვის, რაც შეიძლება განხორციელდეს ორგანოთა ბანკის და სისხლის ბანკის შემთხვევაში.<sup>36</sup>

<sup>35</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, 135-148.

<sup>36</sup> იხ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.30, 112.

ადამიანის სხეულის ნაწილები, მაგალითად, როგორიცაა: თმები, ორგანოები და სისხლი, სხეულისგან მოცილების შემდეგ ხდება მოძრავი ნივთი.<sup>37</sup> ნაკლება შესაძლებელია პროდუქტისათვის პასუხისმგებლობამდე მიგვიყვანოს მისი გადამუშავების შემდგომ, სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას. მაგალითად, ინფიცირებული სისხლის შემთხვევაში – თუკი სისხლი საავადმყოფოში იქნება გადასხმული, კანონის თანახმად, სხვისი სისხლი ითვლება როგორც პროდუქტი. როდესაც სისხლის ვირუსებთან შერწყმა-შეერთება ხდება, სისხლის პლაზმას მწარმოებელი შესაძლებელია ჩაითვალოს პასუხისმგებელ პირად.<sup>38</sup>

### 3.2. ელექტროენერგია (ელექტროდენი), როგორც პროდუქტი

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ჩაითვლება თუ არა ელექტროენერგია ნივთად და, შესაბამისად, პროდუქტიად. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის ძველ რედაქციაში ელექტროენერგია 1011-ე მუხლის მოქმედების სფეროში ხვდებოდა. შემდგომ ეს დანამატი ამოიღეს. თუმცა, საკითხავია, ელექტროენერგია რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მოძრავი ნივთების კატეგორიაში და, სწორედ მისი ფართო განმარტებიდან გამომდინარე, გაერთიანდეს პროდუქტის ცნებაში. მთავარი კითხვა იქნება შემდეგი: შესაძლებელია წუნდებული ელექტროენერგიით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დადგეს სსკის 1009-1016-ე მუხლების საფუძველზე, თუ, ზოგადად, დელიქტური სარჩელის საფუძველზე? ამ კითხვაზე პასუხს სასამართლო პრაქტიკაც აჩვენებს. თუმცა, რა მიზანი ამოძრავებდა კანონმდებელს მისი 1011-ე მუხლის პირველ ნაწილიდან ამოდებისას, ეს დაზუსტებას საჭიროებს.

გერმანული სამართალი და ევროპავშირის დირექტივა ელექტროენერგიას აერთიანებენ პროდუქტის ცნებაში. მართალია, ევროპული სამართლით, ელექტროენერგია ნივთი არ არის, ვინაიდან მას სხეულებრიობა არ ახასიათებს, პროდუქტიად მაინც ითვლება. თუ ეს პოზიცია იქნება გაზიარებული, პროდუქტიად ნივთის ჩათვლისთვის სხეულებრიობის არსებობა საჭირო არაა. უსხეულო სიკეთები ნივთების კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს, ნივთების შესახებ რომაული მოძღვრების საფუძველზე. თუმცა, საჭართველოს სამოქალა-

<sup>37</sup> ქანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 142.

<sup>38</sup> შეად. Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. 1995,23.

ქო კოდექსში ელექტროენერგია აღარ არის გათვალისწინებული. შესაძლოა, ელექტროენერგია ცალკე, სპეციალური მოწესრიგების საგანს წარმოადგენდეს. მაგალითად, გერმანულ დოქტრინაში ის ყოველთვის ცალკეა გამოყოფილი. ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის პირველი წინადადების თანახმად, ელექტროენერგია კვალიფიცირდება, როგორც პროდუქტი. ამიტომაცაა, რომ ენერგიით მომმარაგებელი მეწარმეები პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც ძაბვის თამაშის დროს წარმოიშობა.<sup>39</sup>

გერმანული სამართლით, კერძოდ, ProdHaftG-ის მოქმედების სფეროში ელექტროენერგიის გარდა, მოიაზრება სხვა ენერგიის მატარებელი სიკეთებიც, მაგალითად, წყალი, გაზი, გათბობა. მათი მიუწოდებლობით გამოწვეული ზიანი არ ანაზღაურდება, ვინაიდან მიუწოდებლობა (არმიწოდება) არ ითვლება წუნდებული პროდუქტის მიწოდებად.<sup>40</sup> ისინი, როგორიცაა ადამიანის საქმიანობით მიღებული ენერგიის მატარებლები, მექანიკურად დაუფლებადი ნივთებია. გათბობის შემთხვევაში ყურადსაღებია ის, რომ სითბო, როგორც ასეთი, წმინდა, სუფთა ენერგიაა და, ამასთანავე, უსხეულო საგანი. ენერგიისმატარებელთან დაკავშირებისას ის შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტად.<sup>41</sup> გაზი, წყალი, ქვანახშირი და ა.შ., როგორც ენერგიისმატარებელი, როგორც სხულებრივი საგნები BGB-ს 90-ე პარაგრაფის ცნებაში განიხილება. ისინი, როგორც მოძრავი ნივთები, მოიაზრება პროდუქტის ცნებაში.<sup>42</sup>

„ეკროდირექტივით ელექტროენერგიის პროდუქტის ცნებაში გათვალისწინება იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ გაერთიანების ზოგიერთი წევრი ქვეყნის სამართალი მას მოძრავ ნივთად მიიჩნევს“<sup>43</sup>

ელექტროენერგიის დახასიათებისას, ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ როცა ხდება ნაკლიანი, უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდება, პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველმყოფი ორგანოები. რაც შეეხება ელექტროენერგიის მიუწოდებლობას, ის არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც წუნდებული პროდუქტი. შესაბამისად, მიწოდების შეწყვეტა არ ექვემდებარება წუნდებული პროდუქტისათვის პასუ-

<sup>39</sup> იხ. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 39.

<sup>40</sup> Prütting – Wegen – Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand Verlag, 2013, Rn.2, 3418.

<sup>41</sup> Pott/Frieling, Produkthaftungskommentar, Verlag Wingen, 1992, Rn.7, 100.

<sup>42</sup> იხ. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 39.

<sup>43</sup> Taschner H.Cl., Frietsch E., Produkthaftungsgesetz und EG-Produkthaftungsrichtlinie, 2.Aufl.München, Beck, 1990,Rn.3, 254.

ხისმგებლობას.<sup>44</sup> ქართული სასამართლო პრაქტიკის განხილვა, რაც ნაშრომის ბოლოსაა მოცემული, ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს.

### 3.3. „ბაზარზე განთავსებული საქონელი“, როგორც პროდუქტი

შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტის ცნების ძალიან ფართო განმარტებას იძლევა როგორც სსკ-ი, ისე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი. ორივე კოდექსისთვის სიახლეს წარმოადგენს პროდუქტის ცნებაში „ბაზარზე განთავსებული საქონელის“ ჩართვა. საქონელი, როგორც სამართლებრივი ცნება, არ არსებობს. იგი მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინია. საქონელის მიმართ წაყენებული მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ იგი განთავსებული უნდა იყოს ბაზარზე. თუ რა ითვლება ბაზარზე განთავსებად, ამის შესახებ პასუხს იძლევა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-4 მუხლის მე-8 ნაწილი.<sup>45</sup> საქონელის პროდუქტად მიჩნევის მეორე კრიტერიუმი ისაა, რომ მნიშვნელობა არა აქვს ვისთვისაა პროდუქტი განკუთვნილი, საბოლოო მომსმარებლისთვის თუ საექსპერიმენტოდ, რომელიმე ლაბორატორიისთვის თუ კალევითი ორგანიზაციისთვის. ასევე, მნიშვნელობა არა აქვს ამ საქონელის შემოტანისას რა მიზანი ამოძრავებს მის მწარმოებელს – კომერციული თუ არაკომერციული. მაგალითად, რომელიმე მაღაზიასთვის ჩასაბარებლად თუ ქუჩაში დეგუსტაციისთვის; ასევე, რა გზით არის იგი მიწოდებული – პირდაპირ მიწოდებულია თუ სხვაგვარადაა ხელმისაწვდომი. ყველა ამ გარემოების გამორიცხვის შემდეგ, საქონელი პროდუქტად რომ ჩაითვალოს, აუცილებლად სამოქალაქო ბრუნვაში უნდა იყოს ჩართული, ანუ უნდა იყოს ბაზარზე განთავსებული. საკითხავია, რამდენად შესაძლებელია საქონელში უძრავი ნივთებიც გაერთიანდეს.

## 4. ცალკეული შემთხვევები

გერმანულ დოქტრინაში, ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი პროდუქტის ის სახეები, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას საჭიროებს და განსაკუთრე-

<sup>44</sup> შეად. *Landscheidt C., Das neue Produkthaftungsrecht*, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn.33, 56.

<sup>45</sup> ბაზარზე განთავსება – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. პროდუქტის ყოველი მომდევნო მიწოდება არ ითვლება ბაზარზე განთავსებად.

ბულ შემთხვევებს წარმოადგენს. ესენია: პროდუქტი, როგორც გამოყენებული, მეორეული ნივთები, ძირითადი მატერია, როგორც პროდუქტი, წიგნები და ბეჭდვითი ნაწარმოები, კომპიუტერული მომსახურეობა, ნარჩენები.<sup>46</sup>

მოკლედ შევხები თითოეულ მათგანს:

#### 4.1. მეორადი ნივთები

ProdHaftG არ ასხვავებს ერთმანეთისგან ახალ და მეორეულ ნივთებს. ეს კანონი მეორეულ ნივთებსაც მოიაზრებს პროდუქტის ცნებაში, როგორც მწარმოებელთან, ისე „ვითომ მწარმოებელთან“ და იმპორტიორთან ურთიერთობაში. თითოეული ნივთი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას ითვლება მეორეულ ნივთად. მისი ნებისმიერი სახით გამოყენება არაა განმსაზღვრელი (გამმიჯნავი) კრიტერიუმი ზიანის დაკისრებისთვის.<sup>47</sup>

დასახელებული კანონი პროდუქტის ცნებაში მოიაზრებს „ნახმარ პროდუქტებსაც.“ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას მნიშვნელობა არა აქვს რამდენი წლისაა პროდუქტი და რა დანიშნულებით აღმოჩნდა დაზარალებულის მფლობელობაში.<sup>48</sup>

კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევასაც, როდესაც ნახმარი ნივთის არსებითი გარდაქმნა (შეცვლა), მოდერნიზაცია ხდება. როცა პროდუქტს უტარდება კაპიტალური რემონტი, მაგალითად, როდესაც მსუბუქი ავტომობილის ძრავა ან სპორტული ხელსაწყო შეიცვლება, გადაკეთდება ან სატვირთო ავტომობილის საბურავი შეკეთდება ან ახალი ნაწილები ნახმარ პროდუქტში იქნება ჩაყენებული-ჩასმული ან შერწყმული, ამის საფუძველზე შეცვლილი პროდუქტი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ახალი და განახლებული ნივთი. ამ დროს ძველი მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის.<sup>49</sup>

<sup>46</sup> ი. ა. Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.1, 79.

<sup>47</sup> ი. ა. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.26,110.

<sup>48</sup> Landscheidt C., Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn.32, 56.

<sup>49</sup> ი. ა. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.8, 83.

## 4.2. ძირითადი მატერია, როგორც პროდუქტი

პროდუქტის ან მწარმოებლის ცნებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, პროდუქტის ცნება გადამუშავების პროცესთანაა დაკავშირებული და იგი არ მოიცავს მზა მასალას, რომელიც, თავის მხრივ, გადაუმუშავებული სახით არ-სებობს. ProdHaftG ზღუდავს ამ სახეობის პროდუქტს და მოითხოვს ძირითადი მასალის პროდუქტის შექმნაში გათვალისწინება-ჩართვას. აღნიშნული კანო-ნის თანახმად, მწარმოებელი არის ის, ვინც ძირითად მასალას აწარმოებს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აქ ძირითადი მასალა არ წარმოადგენს პროდუქტს და ამიტომ აზრი მწარმოებლის მიერ მისი წარმოე-ბის შესახებ გადაჭარბებულია. ის პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია (მიღებულია) მიწის, ქვიშისა და წყლისგან, მოძრავი ნივთებია და, აღნიშნული კანონის თანახმად, ითვლება პროდუქტად.<sup>50</sup>

## 4.3. წიგნები და სხვა ბეჭდვითი ნაწარმოებები

წიგნები და სხვა ნაბეჭდი ნაწარმოებები, როგორც სხეულებრივი საგნები შესაძლებელია ჩაითვალოს პროდუქტად ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის თა-ნახმად. პრობლემურია იმის დადგენა, თუ რა ფარგლებში ვრცელდება ამ სა-ხის პროდუქტების კანონით გათვალისწინებული დაცვა.<sup>51</sup>

ამასთან სიმართლეა, რომ ნებისმიერი კონსტრუქციული ნაკლი ეფუძნება არასწორ ინტელექტუალურ საქმიანობას. ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის დაცვის სფეროში შედის არასწორი საქმიანობით გამოწვეული ისეთი შედეგე-ბი, რომლებიც პროდუქტის ფიზიკურად საშიში თვისებებითაა გამოწვეული. კერძოდ, როცა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების მკითხველი ბეჭდვითი საღ-ბავის, წებოს ან გამსხველი ნივთიერების ზემოქმედებით იღებს ჯანმრთელო-ბის დაზიანებას. პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუკი ბეჭდვითი ნა-წარმოებები მხოლოდ არასწორ რჩევა-რეკომენდაციებს იძლევიან და მომხმა-რებლის ნების გამოვლენაზე ზემოქმედებენ.<sup>52</sup>

ბუნებრივია, ამ დროს დაისმება კითხვა, ვინაა მწარმოებელი და ვის შე-იძლება პროდუქტის ნაკლი გამოეწვია? ამის მიუხედავად, მწარმოებელი პა-

<sup>50</sup> იქვე, Rn.15, 105.

<sup>51</sup> იხ. Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar*, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.15,86.

<sup>52</sup> იქვე, Rn.16, 86.

სუხს აგებს ბეჭდვითი ნაკლის, შეცდომის გამო ან ტექსტის დამახინჯებით გამოწვეული ზიანისათვის. დელიქტური სამართლის თანახმად, მწარმოებელს პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, უნდა დადასტურდეს წარმოებული პროდუქტის ნაკლის შემცველობა. <sup>53</sup>

იბადება კითხვა, ვინ უნდა აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის – ავტორმა თუ გამომცემელმა? გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ავტორს. საქმე ეხებოდა განსაკუთრებულ შემთხვევას, კერძოდ კი, სამედიცინო ცნობარს. თუმცა, პასუხისმგებლობის საკითხის გადასაჭრელად საჭიროა გაირკვეს, ბეჭდვითი ნაწარმოები, როგორც პროდუქტი, კონსტრუქციულ ნაკლს შეიცავს თუ ინფორმაციულს.<sup>54</sup>

#### 4.4. ნარჩენები, როგორც პროდუქტი

გასარკვევია, მოიზარება თუ არა ნარჩენები პროდუქტის ან გამოუყენებული პროდუქტების სიაში, ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის გაგებით. ეს არ არის საკამათო იმ ობიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოების პროცესის შემდეგ ნარჩენებად იქცევა, ან, როგორც ნარჩენები გადახარისხდება, გადაირჩევა და, როგორც საქონელი, გამოყენებულ იქნება ახალი პროდუქტის საწარმოებლად. ასეთია, მაგალითად, მეტალის ინდუსტრიული ნარჩენებისგან მეტალის მიღება, საკვები პროდუქტის ნარჩენებისგან ცხოველის საკვების წარმოება. აქ უკვე აშკარად დამოუკიდებელი ახალი პროდუქტი გვაქვს, რომლის მიმართ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გამოიყენება ProdHaftG-ის წევები.<sup>55</sup>

„ნარჩენი, ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის პირველი წინადადების თანახმად, წარმოადგენს პროდუქტს“.<sup>56</sup>

ის პროდუქტი რომელმაც ერთხელ მოიპოვა პროდუქტისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, არც მაშინ კარგავს ამ თვისებებს, როცა მოუხმარებელი ხდება და აღარ შეიძლება მისი გამოყენება.<sup>57</sup>

<sup>53</sup> ob.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, 108.

<sup>54</sup> ob. Behrens H.J., Produkthaftung in Ausfüllung der EG-Richtlinie nach den englischen und deutschen nationalen Regeln, München: VVK, 1991, 76-77.

<sup>55</sup> ob.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.31, 112.

<sup>56</sup> ob.Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar, 6.Aufl.,Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.12, 84-85.

ნარჩენები მოძრავი ნივთებია, მიუხედავად იმისა, თუ რისგან წარმოიშვა – სხვა პროდუქტის წარმოებისას თუ უკვე რეალიზაციაში მყოფი პროდუქტებისაგან. როგორც ითქვა, ისინი პროდუქტის ცნებაშიც მოიაზრებიან.

ამდენად, პასუხისმგებლობა ნარჩენებისთვის დგება მაშინ, როდესაც ისინი შეგროვდება და იწარმოება ახალი პროდუქტი, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნება ნარჩენები, რომლებიც ნაკლისმქონე აღმოჩნდება.<sup>58</sup>

გამოდის, რომ ნარჩენი თავისთვად არაა პროდუქტი, ის იმდენად ითვლება პროდუქტად, რამდენადაც ახალი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობად მოიაზრება. თანაც იმიტომ, რომ, როგორც მთავარი კომპონენტი, გავლენას ახდენს ახალი პროდუქტის ხარისხზე.

ასეთი პროდუქტების უხარისხობით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. პასუხისმგებლობა ეკისრება იმასაც, ვინც საწარმოო ნარჩენებს აგროვებს, ახარისხებს და „ახალი“ მასალის სახით გააქვს ბაზარზე. მაგალითად, ჯართით მოვაჭრე ფირმა ყიდის რენტგენის აპარატის ნაწილებს, როგორც კეთილშობილ ლითონის. განსაზღვრული მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტები შემდგომ შეიძლება ნარჩენებად იქცნენ, მაგალითად, როცა მფლობელს, თავისი სურვილისამებრ ან პროდუქტის განსაკუთრებული თვისებების გამო, მათი თავიდან მოცილება სურს. მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან ვერ გათავისუფლდება იმის გამო, რომ უხარისხო პროდუქტი ნარჩენად გადაქცევის პროცესში იწვევს ზიანს.<sup>59</sup>

#### 4.5. პროგრამული უზრუნველყოფა – ე.წ. software

კომპიუტერული უზრუნველყოფის<sup>60</sup> შემთხვევაშიც შესაძლებელია განვითარება, ეჭვი – რამდენად მიეკუთვნება ის პროდუქტს. პროდუქტისათვის დამახასიათებელ ნიშანს, შესაძლოა, ის არ შეიცავდეს, რადგანაც თვითონ არ არის სხეულებრივი საგანი, არამედ სხეულის ფორმით არსებული ინტელექტუალური შესრულება-საქმიანობაა. თავად კომპიუტერული პროგრამა წმინდა ინტელექტუალური შესრულებაა. ამ შესრულების იზოლირებულად გატანა სა-

<sup>57</sup> ი.ბ.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.32, 112.

<sup>58</sup> ი.ბ. Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 6.Aufl.,Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.12, 84.

<sup>59</sup> ქართველი ბ., პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ქურნალი სამართლი, №5, 1999, 39.

<sup>60</sup> „software“

მოქალაქო ბრუნვაში შეუძლებელია. მათი ბრუნვაში ჩართვა (მიწოდება) შესაძლებელია მონაცემთა მატარებლების მეშვეობით (დისკეტა, ჩიპი, პლატა და ა.შ.), სადაც ეს პროგრამაა შენახული. მონაცემთა მატარებელი კი არის მოძრავი ნივთი. პროდუქტად ჩათვლისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა სახის პროგრამულ უზრუნველყოფას ეხება საქმე, სტანდარტულს თუ ინდივიდუალურს.<sup>61</sup>

პასუხისმგებლობა, მონაცემთა მატარებელზე შენახული კომპიუტერული პროგრამების ნაკლის გამო, მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პროგრამიდან ელექტრონული იმპულსები გამომდინარეობს, რომლებიც მართავს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, თვითფრინავებს, სატელიტებს და სხვა ხელსაწყოებს.<sup>62</sup>

ამრიგად, „პროდუქტს უნდა მივაკუთვნოთ კომპიუტერიული პროგრამები, თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც იმ მოსაზრებას ემყარება, რომ ინტელექტუალური საკუთრება არ არის ნივთი.”<sup>63</sup> „ნივთებად მიიჩნევა ის მატარებლები, რომლებზეც ეს ნაწარმოებებია განთავსებული. ანალოგიური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს კომპიუტერულ პროგრამებს. ის საგნები, რომლებზეც ეს პროგრამებია ჩაწერილი (დისკეტები, კომპაქტისკები), მიიჩნევა ნივთებად, მაგრამ არა თვითონ პროგრამები, რადგან მათ სწორედ სხეულებრიობა აკლიათ.”<sup>64</sup>

## 5. პროდუქტიდან გამონაკლისები

### 5.1. გამონაკლისების ზოგადი დახასიათება

პროდუქტიდან გამონაკლისები მთავარ თემას წარმოადგენს ნივთის პროდუქტად განსაზღვრისათვის. ეს საკითხი სრულიად ახლებურადაა მოწესრიგებული. როგორც სსკ, ისე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი ერთნაირად აწესრიგებენ ამ საკითხს. კერძოდ კი, სსკ-ის 1011-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-4 მუხლის ფორმულირება ასეთია: „ამ კო-

<sup>61</sup> ი. მ. Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.17, 87.

<sup>62</sup> იქნ, Rn.18, 88.

<sup>63</sup> შაკიაშვილი პ. „პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, უკრნალი სამართლი, №5, 1999, 38.

<sup>64</sup> ჯანგურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართლი”, თბილისი, 2011, 146-147.

დექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს“,

იმისათვის, რომ პროდუქტად არ იქნეს მიჩნეული, პირველ რიგში, ის „ნივთს“ არ უნდა წარმოადგენდეს. ასევე, იმისათვის, რომ პირველადი პროდუქტი ნივთად და, შესაბამისად, პროდუქტად სსკ-ის 1011-ე მუხლის გაგებით არ ჩაითვალოს, უნდა დადგინდეს, თუ რა მოიაზრება მასში. ზოგადი საყოფაცხოვრებო განმარტებიდან გამომდინარე, პირველადი პროდუქტია ის, რაც გადამუშავებას არ განიცდის და აქვს ნედლი სახე, ბუნებაში მზა სახით არსებული ფორმა. სურსათის პროდუქტში, პირველ რიგში, მოიაზრება საკვები პროდუქტები, რომლებიც არ გადამუშავდება და ბუნებაში მიღებული პირველადი სახით არსებობს. რაც შეეხება საკანონმდებლო განმარტებას, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პირველადი პროდუქტია ადამიანის ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც მიღებულია პირველადი წარმოებიდან გადამუშავებამდე, მათ შორის ნიადაგიდან, ცხოველის მოშენების, ნადირობის ან თევზჭერის შედეგად.“ ამავე კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სურსათი არის ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტი. გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღეჭ რეზინს და ყოველ ნივთიერებას დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში და გადამუშავების დროს“. ამავე მუხლის ბოლო წინადადებაში ხვდება სურსათისგან გამონაკლისები. კერძოდ კი, „სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს ან სამკურნალო პროდუქტებს, საერთო მოხმარების საგნებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, სხვადასხვა ნარჩენებსა და დამაბინძურებლებებს“. ამ კოდექსის განმარტებიდან თუ ამოვალთ, სურსათის პირველად პროდუქტში, ამასთანავე, მოიაზრება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტი. შესაბამისად, დასადგენია, მისი ცალკე გამოყოფა რამდენად სავალდებულო იყო. თუმცა, აქ შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა: სსკ-ის 1011-ე მუხლის გაგებით, შეიძლება თუ არა ნადირობის შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტი ჩაითვალოს პროდუქტად? რა თქმა უნდა, აღარ ჩაითვლება, ვინაიდან 1011-ე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი პროდუქტის ცნებიდან გამონაკლი-

სების კატეგორიებში მისი გაერთიანების შესახებ, სულერთია, პირველადი სახითაა მიღებული თუ გადამუშავებულია.

ორივე კოდექსი შეიცავს ერთნაირ ფორმულირებას. ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ორივე შემთხვევაში ნივთის ცნებიდან აბსოლუტურად გამოირიცხოს აღნიშნული პროდუქტი, რადგანაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქვევის“ კოდექსში მოცემული ფორმულირება სწორი უნდა იყოს, რადგანაც იგი სპეციალური კანონია და, ამ კანონის ვიწრო მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება აღნიშნული პროდუქტი არ წარმოადგენდეს „ნივთს“. სამოქალაქო კოდექსის მიზანი გაცილებით ფართო და ზოგადია. ამიტომ, როცა ჭურადღება გამახვილებულია კოდექსის მიზანზე და მასზე დაყრდნობით განისაზღვრება საგნის ბუნება, ამ ზოგადი მიზნის უგულებელყოფა ვერ მოხდება. კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, დასახელებული პროდუქტი ვერ ამოირიცხება „ნივთების“ სიიდან. თუ მიზანი დაუკავშირდება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას, მაშინ შეიძლება გამართლდეს ამ პროდუქტის „ნივთის“ ცნებიდან ამორიცხვა. ამიტომაც მიზანშეწონილია, დაზუსტდეს სსკის 1011-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის ძველ რედაქციას, მასში აღნიშნული იყო: პროდუქტებს „არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ“.

განვიხილავ თითოეულ მათგანს, კერძოდ, თუ რა იგულისხმებოდა მათში, უპირატესად, გერმანული სამართლის მიხედვით.

1. მიწათმოქმედებიდან მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მიუკუთვნება ყველაფერი, რაც მიწის გამოყენების, დამუშავების შედეგად იქნება წარმოქმნილი, წარმოებული, მაშასადამე, მიწაზე მოყვანილი პროდუქტი (ნაწარმი): ხორბალი, ბოსტნეული, ხილი, თამბაქო, იმის მიუხედავად, ადამიანის შრომითაა მოყვანილი თუ ველურადაა გაზრდილი. (მაგალითად: ტყის კენკრა, სოკო და ა.შ.), ასევე მცენარეები და მისი შემადგენელი ნაწილები (ფოთლები, ტოტები...). ამ გაგებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მიეკუთვნება, ასევე, სატყეო მეურნეობის შედეგად მიღებული პროდუქტები, ხის პროდუქტები, აგრეთვე, წყალმცენარეებიც.

2. მეცხოველეობის შედეგად მიღებულ პროდუქტებს მიეკუთვნება ყველა შინაური ცხოველი და მათგან მიღებული ნაწარმი – რძე, კვერცხი, ბუმბული, ბეწვი და ა.შ.

3. მეფუტკრეობის შედეგად მიღებულ პროდუქტებში თუ რა იგულისხმება, სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ იგი როგორც განსაკუთრებული წარმოების პროდუქტი, არ შედის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პროდუქტების კატეგორიაში.

4. მეთევზეობის შედეგად მიღებული პროდუქტებში იგულისხმება ზღვისა, მდინარისა თუ სხვა შიდა წყლების ყველა დაჭერილი, დაკავებული და შეგროვებული ცხოველი.

5. ნადირობის შედეგად მიღებულ პროდუქტებში იგულისხმება მოკლული ან დაჭერილი ცხოველები, იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი სანადირო ცხოველებს, ნადირობის კანონის მიხედვით.<sup>65</sup>

სსკ-ის ორივე რედაქციის ურთიერშედარებისა და განმარტებისას, ერთი და იგივე შედეგი დგება. კანონმდებლობამ მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილება განიცადა. იმავე დებულებას შეიცავს 1011-ე მუხლის ახალი რედაქცია, კერძოდ, ამ მუხლის ძველი რედაქცია ჩამოთვლიდა პროდუქტის იმ სახეებს, რომლებიც არ ითვლებოდა იმ პროდუქტად და, რომლებზედაც გავრცელდებოდა წუნდებული პროდუქტისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. კერძოდ, ასეთი იყო ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორებიცაა: მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები“. ამას ემატებოდა ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტებიც. ახალი რედაქცია უფრო ლაკონურია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღნიშნულ სახეობებს უწოდებს „სურსათის პირველად პროდუქტს“ და ცალკე, როგორც ეს ძველ რედაქციაში იყო, ხაზგასმას აკეთებს ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტზე.

ამ საკითხს გერმანული სამართალიც ანალოგიურად წყვეტს.

რაც შეება მეორე გამონაკლისს – ნადირობის შედეგად მიღებულ, მოპოვებულ პროდუქტს, რატომდაც, კანონმდებლები მას მეტი სიფრთხილით ეკიდებიან. თუ რატომ არ შეეხო ცვლილება მას და რატომ მიიჩნევა ამ გზით

<sup>65</sup> იხ. Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 86-89.

მოპოვებული პროდუქტი გამონაკლისად, დასადგენია. შეიძლება გაჩნდეს მარტივი კითხვა: ნადირობის შედეგად მოპოვებული პროდუქტი მეტ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას უწესებს მომპოვებელს მისი ბაზარზე განთავსებისას ან, ადვილი შესაძლებელია, ის მეტი საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს მომხმარებელთა ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლისათვის?

ევროკავშირის წევრი ქვეყნები კრიტიკულად აფასებენ ამ გამონაკლისების დაშვებას, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების და ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების ამოღებას პროდუქტის ცნებიდან. მათი აზრით, ეს გამონაკლისი გაუქმებას ექვემდებარება, რათა მომხმარებელთა უფლებები უფრო ეფექტურად იქნეს დაცული. ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნები გაითვალისწინა გერმანულმა სამართალმა ProdHaftG-ის შესაბამის ნაწილში 2000 წლის 1 დეკემბრიდან.<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, ამ მხრივ, არსებითი ცვლილება ჯერჯერობით არ განუცდია.

## 5.2. პირველადი გადამუშავების პროდუქტის ცნება

თუ რა იგულისხმება მასში, ProdHaftG-ში განმარტებული არ არის. გერმანული სამართლის მიხედვით, გადამუშავება მოითხოვს ადამიანის ისეთ საქმიანობას, როდესაც პირველადი პროდუქტი რომელიმე სახეობით იქნება შეცვლილი. მაგალითად, როდესაც რძისგან კარაქი, ყველი იქნება წარმოებული, ან, როცა ხორბლისგან – ფქვილი, ხილისგან – წვენი, ხორცისგან – ძეხვი, ასევე, როდესაც თევზისგან – თევზის კონსერვი.

პირველადი გადამუშავების ცნებისათვის არსებითია, წარმოიშობა თუ არა რისკის ახალი ფაქტორები პროდუქტისადმი მოპყრობით, რომელიც ბუნებით (ნატურით ან არსით) არ არსებობდა. პირველად გადამუშავებად მოიაზრება ის, რომ პროდუქტზე ჩატარებული მოქმედების შედეგად პროდუქტი საზიანო აღარაა.

პირველად გადამუშავებად არ ჩაითვლება პროდუქტის გასუფთავება, დახარისხება, შეფუთვა, ანუ როდესაც ამ პროდუქტის მხოლოდ მცირედი შეცვლა ხდება, მაგალითად, ქიმიური საშუალებების გამოყენებით გასუფთავება და ა.შ. ასევე საკითხავია, ჩაითვლება თუ არა გაშრობა და გაყინვა პირველად გადამუშავებად. ზოგი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ უნდა ჩაითვალოს, რადგან მისი მეშ-

<sup>66</sup> ი. ხ. Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 85.*

ვეობით ამ პროდუქტის შენახვა-დაკონსერვება ხდება. ზოგიერთი მეცნიერი კი უარყოფს ამ მოსაზრებას და, შესაბამისად, არ მიიჩნევს მას პირველად გადამუშავებად. აგრეთვე, არ ჩაითვლება პირველად გადამუშავებად პროდუქტის დაჭრა-დაყოფა. გასუფთავება და დახარისხება მაშინაც არ ჩაითვლება ამ სახის საქმიანობად, როცა, მაგალითად, მცენარეთა გასუფთავება მცენარეთა დაცვის მიზნით ხდება.<sup>67</sup>

პირველად გადამუშავებაში, საყოფაცხოვრებო გაგებით, უნდა მოიაზრებოდეს ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია ნივთის შეცვლისაკენ. როცა ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი მხოლოდ თავდაპირველი სახით რჩება, მაგალითად, თავის ბუნებრივ მდგომარეობაში, მაშინ პირველად გადამუშავებაზე აღარ ვსაუბრობთ.<sup>68</sup>

მაშასადამე, დაცვის ქვეშ მოიაზრება მხოლოდ ის ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც პირველადი გადამუშავების გზას გადიან. ასე რომ, პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის კუთხით, პროდუქტიად არც განიხილება ნედლეულის სახით, ბუნებაში ველურად აღებული პროდუქტი.<sup>69</sup>

პროდუქტის გადამუშავება ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან. მისი ჩარევის შედეგად ნედლი პროდუქტი იცვლება ისე, რომ მისი ბუნებრივი სასარგებლო თვისებები საშიში არ გახდეს. შეიძლება პროდუქტის შემადგენლობა შეიცვალოს, მაგრამ არა იმ სახით, რომ ადამიანთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საზიანო გახდეს. პროდუქტის პირველადი გადამამუშავებელი პირი უნდა განიხილებოდეს, როგორც პროდუქტის მწარმოებელი, რომელიც პროდუქტის წუნით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებს, მიუხედავად იმისა, ნაკლოვანი იყო ძირითადი მასალა თუ მისი რომელიმე ნაწილი.<sup>70</sup>

<sup>67</sup> იქვე, 89-90.

<sup>68</sup> ი. გ. Harald B., Produkthaftung nach neuem EG-Recht, Kommentar zum deutschen Produkthaftungsgesetz, Verlag moderne Industrie, Landsberg/Lech, 1989, 158-159.

<sup>69</sup> იქვე, 159.

<sup>70</sup> შეად. შავიაშვილი პ., პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ქურნალი სამართალი, №5, 1999, 41.

### III. წუნდებული პროდუქტის ცნება

წუნდებული პროდუქტის სრული აღმოფხვრა სამოქალაქო ბრუნვიდან როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. რამდენად მკაცრიც უნდა იყოს ხარისხის დადგენის კრიტერიუმები, თუნდაც შემუშავდეს ახალი წესები, პროცედურები მის დასადგენად, გატარდეს წუნდებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში არგაშეგების ლონისძიებები (ან უკიდურეს შემთვევაში, მისი ბაზრიდან გამოთხოვის), ყოველთვის იქნება შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი სწორედ ამ წუნდებული პროდუქტის გამოყენებით განიცდის ზიანს. უშეცდომო არავინ და არაფერიაა – არც ადამიანები, არც ტექნიკური დანადგარები. განსხვავება შეცდომის სფეროშია. შეცდომა შეიძლება მოხდეს პროდუქტის კონსტრუქციის შექმნისას, ინსტრუქციის შედგენისას თუ წარმოებისას. ნებისმიერ, სამართლებრივად განვითარებულ ქვეყანაში დღის წესრიგში დგას ის საკითხი, რომ, რაც შეიძლება, შემცირდეს წუნდებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა. თუკი ეს მაიც მოხდება, მაშინ დაუყონებლივ უნდა გამოითხოვონ ამგვარი პროდუქტი ბაზრიდან ან გატარდეს დამატებითი დონისძიება, რათა მომხმარებელი საქმის კურსში იყოს ჩაყენებული და, ამ გზით, თავიდან აიცილოს პროდუქტისგან გამოწვეული მოსალოდნელი საშიშროებანი. აგრეთვე, საჭიროა დაიხვეწოს და შეიცვალოს საკანონმდებლო სფეროც. ყველაფერი უნდა მიდიოდეს იქითკენ, რომ მომხმარებელთა უფლებები არ შეიღახოს და, შესაბამისად, იყოს დაცული, თუმცა, არა მწარმოებელთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. აქ მთავარია, რომ ეს ყველაფერი წარიმართოს სამართლიანობის, უფლება-მოვალეობათა დაბალანსების, სამართლებრივი წონასწორობის დაცვის გზით. არ შეიძლება მწარმოებელი, იგივე მეწარმე, თავისი საქმიანობის ფარგლებში ისე დატვირთო ვალდებულებებით, რომ მან სურვილი, აზრი დაკარგოს თავისი წარმოების მიმართ. არასდროს უნდა უგულებელვყოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ფუძემდებლურია კერძო სამართლისათვის და სამოქალაქო ბრუნვის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ე.წ. მცირე უფლების დაცვას არ უნდა მოჰყვეს ფუნდამენტური, ძირითადი უფლების დარღვევა.

დღევანდელი ქართული სამართლებრივი სინამდვილე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ, საკმაოდ განვითარებულია. მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის, რომ შეიქმნა ცალკე კოდექსი „პროდუქტის უსაფრთხოებისა

და თავისუფალი მიმოქცევის“. შესაბამისად, გაუქმდა ცალკე არსებული სპუ-  
ციალური კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ და „პროდუქტის  
და მომსახურეობის სერტიფიკაციის და სტანდარტიზაციის“ შესახებ. რა თქმა  
უნდა, ყველაფერი ახალი არ ნიშნავს, რომ ძველზე უკეთესია. მკვლევრის  
ამოცანაა შეისწავლოს საკანონმდებლო სიახლენი და გაავლოს პარალელი  
ძველსა და ახალ კანონს შორის, გამოავლინოს მათი დადებითი თუ უარყო-  
ფითი მხარეები, შეიმუშაოს რეკომენდაციები და ა.შ.

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას ხშირად ვაკრიტიკებდი „მომხმარე-  
ბელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონს, რომელიც წინააღმდეგობაში  
მოდიოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან, კერძოდ კი, დელიქტური  
სამართლის იმ თავთან, რომელიც აწესრიგებს წუნდებული პროდუქტის მწარ-  
მოებლის პასუხისმგებლობის საკითხებს. ხშირად ამ კანონის სიძველეს მო-  
ვიხსენიებდი კრიტიკის მთავარ მიზეზად. მიზანი, რომ შეცვლილიყო ცალკე-  
ული დებულებანი, ან გაუქმებულიყო და მიეღოთ ახალი, მიღწეულ იქნა. ამა-  
ზე, ალბათ, დრომ, ბაზარზე სხვადასხვა სახეობის პროდუქტის გაჩენამ და,  
რაც მთავარია, მომხმარებელთა მიერ თავიანთი უფლებების დარღვევის ფაქ-  
ტების საჯაროდ გაცხადებამაც იქონია გავლენა. კოდექსის ცალკეული მუხ-  
ლის ანალიზისას დავრწმუნდით, რომ კანონი გარკვეულ პროგრესს განიცდის  
მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, რაღაც ნაწილში შეესაბამება,  
როგორც სამოქალაქო კოდექსს, ისე ევროკავშირის დირექტივას. თუმცა,  
სრულყოფილი არაფერია, მათ შორის, ეს კანონიც. არის გარკვეული წინააღ-  
მდეგობანი, ალოგიკური განმარტებანი, ზოგი იმეორებს წინა რედაქციას, უბ-  
რალოდ, სხვა ინტერპრეტაციით.

## 1. პროდუქტის ხარისხი

იურიდიულ ლიტერატურაში პროდუქტის ხარისხის ზუსტი (სრულყოფი-  
ლი) განმარტება არ არსებობს. გვაქვს მხოლოდ წუნდებული პროდუქტის გან-  
მარტება, ანუ ის კრიტერიუმი, რომლის არსებობის შემთხვევაში პროდუქტი  
წუნდებულად ჩაითვლება. თუმცა, არსებობს აგრეთვე ხარისხის დამკვიდრებუ-  
ლი კრიტერიუმები, როგორიცაა „კარგი,“ „საშუალო ხარისხი“ და ა.შ.

ხარისხი არაა სამართლებრივი ცნება. ის არც სამოქალაქო სამართალ-  
შია განმარტებული. ეტიმოლოგიურად სიტყვა „ხარისხი“ ლათინური სიტყვაა

და ითარგმნება, როგორც თვისობრიობა, შემადგენლობა ნივთისა. მარტივად რომ ითქვას, ხარისხი განიზომება (ფასდება) პროდუქტის ფაქტობრივ და დადგენილ შემადგენლობათა ურთიერთდამოკიდებულებით. რაც უფრო ახლოა ფაქტობრივი შემადგენლობა დადგენილთან, მით უფრო მაღალია ხარისხი.<sup>71</sup> ხარისხი არის უნაკლო პროდუქტის საზომი პროდუქტის დამახასიათებელი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენების და მოსალოდნელი უსაფრთხოების გათვალისწინებით.<sup>72</sup>

ხარისხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი წინასწარ არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ ის ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.“

ამ მუხლიდან ჩანს, რომ ნივთი ხარისხიანია, თუ ის გამოსადეგია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. განხსნავებით ქართული სამართლისაგან, გერმანული სამართალი უნაკლო ნივთის ცნებაში არა მარტო ნივთის ხარისხს გულისხმობს, არამედ მის თვისებრიობას, რომელსაც ხარისხთან შედარებით უფრო ფართო განმარტება აქვს. კერძოდ კი, ნივთის თვისებრიობა მისი ბუნებრივი თვისებების ერთობლიობაა, როგორებიცაა, მაგალითად: მასალა, რისგანაც ის დამზადებულია; მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფება (ახალი, ნახმარი); მისი გამძლეობა ბუნების მოვლენებთან მიმართებით. თვისებრიობად ითვლება ასევე, ფაქტობრივი, კონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დამოკიდებულებანი გარემოსთან, რომელთა საფუძველიც თვით ნივთში დევს და მას ხანგრძლივად ახასიათებს. ხოლო გარემოებანი, რომელიც ნივთისგან დამოუკიდებლად არსებობს, მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა საქმე შეთანხმებულ თვისებრიობას ეხება. სხვა შემთხვევაში მას ყურადღება არ მიექცევა. მაგალითად, თუ გაირკვევა, რომ ნახატი ცნობილ მხატვარს არ ეკუთვნის, ეს ფაქტი მის ხარისხზე გავლენას ვერ მოახდენს, შესაბამისად, ის ნივთობრივ ნაკლად არ ჩაითვლება.<sup>73</sup>

<sup>71</sup> ი. მ. Birgit F., Qualitätssicherungsvereinbarungen und Produkthaftung, 1 Aufl. Baden-Baden, B.179, 1995, 17.

<sup>72</sup> იქვე, 19.

<sup>73</sup> ი. მ. გებეიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულ და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 31.

როგორც აღინიშნა, ნივთი ხარისხიანია, თუ ის ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. გერმანულ სამართალში კარგადაა ახსნილი, ასევე, თუ რა იგულისხმება თითოეულ მათგანში. ვარგისიანობა, ანუ იგივე ხარისხიანობა, შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით. კერძოდ, მხარეებმა შეიძლება თავიდანვე განსაზღვრონ, წინასწარ შეთანხმდნენ ნივთის კონკრეტულ თვისებებზე, ხოლო თუ არ არსებობს ამგვარი შეთანხმება, მაშინ გათვალისწინებულ იქნება ნივთის ის თვისებრიობა, რომელიც აუცილებელია ამ კონკრეტული ნივთის ჩვეულებრივი მოხმარებისათვის.

ნივთის ხარისხი განმარტებულია, ასევე, სსკ-ის 380-ე მუხლში, რომლის თანახმად, „მოვალე ვალდებულია შეასრულოს სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.“ თუ რა იგულისხმება საშუალო ხარისხში, ამაზე პასუხს კოდექსის ცალკეული ნორმები იძლევა. მაგალითად, 1010-ე მუხლიდან გამომდინარე, საშუალო ხარისხის ნივთი სწორედ ის ნივთია, რომელიც, ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მოსალოდნელ საიმედოობას; ანუ ხარისხის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, ამ ნორმის თანახმად, შეიძლება ჩავთვალოთ „საიმედოობა“, თუმცა, როგორ შესაფასებელია, რამდენად უზრუნველყოფს ამ საიმედოობას ესა თუ ის ნივთი.

მართალია, მხარეები თავისუფალი არიან, თავიდანვე განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, მისი პირობები, თუნდაც შეთანხმდნენ ნივთის (პროდუქტის) ხარისხზე, მაგრამ კანონი ზღუდავს ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს და, შესაბამისად, ზოგიერთი ნივთისთვის მხარეთა მიერ შეთანხმებული ხარისხი ვერ გახდება ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. კერძოდ, ზოგიერთი სახეობის საქონლის (ნივთის) ხარისხი განისაზღვრება სტანდარტით, რომლის საფუძველზე მომხმარებელს შეუძლია შეამოწმოს პროდუქტის ვარგისიანობა ანუ ხარისხი. ამრიგად, სტანდარტით განისაზღვრება ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მომხმარებელთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გარემოს უსაფრთხოება, აგრეთვე, მომხმარებლის ქონებისთვის ზიანის მიუენების თავიდან აცილების აუცილებელი პირობები. თუკი არ არსებობს ამ სახის საქონელთათვის დადგენილი სტანდარტი, ის დაუყონებლივ უნდა შემუშავდეს, რათა მომხმარებელთა უფლებები იქნეს დაცული.

## 2. პროდუქტის უხარისხობა

### 2.1. ზოგადად

რა თქმა უნდა, ხარისხიანი პროდუქტის გვერდით ყოველთვის არსებობს და იარსებებს წუნდებული პროდუქტი, ანუ უვარგისი, ნაკლის მქონე ნივთები, რომლის განმარტებას, ხარისხიანი პროდუქტისაგან განსხვავებით, პირდაპირ ითვალისწინებს სსკ-ის 1010-ე მუხლი. კერძოდ, „პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან“, ანუ როგორც ხარისხის, ისე უხარისხობის კრიტერიუმად აღებულია ე.წ. „საიმედოობა“ (არასაიმედოობა). თუ ესა თუ ის ნივთი, საქონელი გამოყენება-მოხმარებისათვის საიმედოა, ე.ი. ხარისხიანია, თუ არადა – უხარისხო. უხარისხო პროდუქტის მოხმარების შედეგი ის არის, რომ მომხმარებელთა სხეულს ან ჯანმრთელობას შესაძლოა ზიანი მიადგეს, ან უარესი შედეგი დადგეს – მოისპოს ადამიანის სიცოცხლე. ამიტომაცაა, რომ როდესაც პროდუქტი იყიდება მაღაზიაში ან სხვა სავაჭრო ობიექტში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროდუქტი საიმედოდაა უზრუნველყოფილი და გამორიცხულია ყოველგვარი უხარისხობა. მსგავს განმარტებას შეიცავს, ასევე, ევროპული თუ ევროკავშირის სამართალი. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, სსკ-ის გარდა, წუნდებული პროდუქტის განმარტება არსებობს აგრეთვე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსში, რომელიც საფუძლად დაედო სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე მუხლის ცვლილებას, მათ შორის ტერმინის – „უხარისხო პროდუქტის“ „წუნდებული პროდუქტით“ ჩანაცვლებას. ამ კოდექსში წუნდებული პროდუქტის როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური განმარტებაა მოცუმული უსაფრთხო პროდუქტის დეფინიციით. კერძოდ, მისი მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთად მიიჩნევა პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით, დასაშვებად მიიჩნევს მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის საკმარისი პროდუქტის სახიფათო პროდუქტად მიჩნევისათვის: წუნდებული პროდუქტის ნეგატიური განმარტება

კი მოცემულია ამ კოდექსის მე-5 მუხლში. სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს უსაფრთხო პროდუქტის ტერმინს და მათ წუნდებული პროდუქტის ნეგატიური ცნებით ახასიათებს (პ.1010).

## 2.2. ეტიმოლოგიური განმარტება

როგორც უკვე ითქვა, „უხარისხო - წუნდებული“ პროდუქტის ცნება სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. „უხარისხო პროდუქტის ახალი ტერმინით ჩანაცვლებით, კერძოდ, „წუნდებული პროდუქტით,“ სამოქალაქო კოდექსმა გაიზიარა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსით გათვალისწინებული წესები. არ უნდა იყოს განსხვავება უხარისხო და წუნდებულ პროდუქტს შორის. ისინი სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ. კანონმდებლის მიერ ერთიან ტერმინზე შეთანხმება გაუგებრობების თავიდან აცილების ერთგვარი გარანტიაცაა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში ტერმინები – „წუნდებული“ და „უხარისხო“ – იხმარება ერთი მნიშვნელობით. მაგალითად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინი „წუნიანი“ გულისხმობს წუნის მქონე საქონელს, პროდუქტს, „წუნმდებელი“ კი – პროდუქციის ხარისხის შემმოწმებელი პირია, ხოლო „უხარისხო“ გულისხმობს ცუდი ხარისხის მქონე პროდუქციას.<sup>74</sup> ალექსანდრე ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით, „წუნდებული“ ნიშნავს დაწუნებულს, წუნის მქონეს, უხარისხოს, უვარგისს, ხოლო „წუნი“ ესაა მანკი, ხინჯი, ნაკლი, ნაკლოვანება.<sup>75</sup> ამავე მნიშვნელობით განმარტავს წუნის ნიკო ჩუბინაშვილიც.<sup>76</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, საკანონმდებლო სიახლე ეტიმოლოგიურად მისადები იყოს, ვინაიდან იგი უშუალოდ პროდუქტის ნაკლზე ამახვილებს ყურადღებას. მხედველობაშია მისადები ის ფაქტიც, რომ გერმანულ სამართალში, რომელიც ფართოდაა გამოყენებული ამ ნაშრომში, შესაბამისად გამოიყენება არა „უხარისხო“ პროდუქტი, არამედ „დეფექტის (ნაკ-

<sup>74</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გამომცემელი:საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1990, 1226.

<sup>75</sup> ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1978, 529.

<sup>76</sup> ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, რუსული თარგმნითურთ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961, 454.

ლის) მქონე“ პროდუქტი და, ამდენად, აქაც ყურადღება წუნზეა გამახვილებული.<sup>77</sup>

### 3. პროდუქტის ნაკლის სახეები

#### 3.1. ზოგადად

ზოგადად, საქონლის (პროდუქტის) უსაფრთხოების ნაკლი, რომელიც წარმოადგენს შეცდომას (ნივთობრივ ნაკლს), შესაძლებელია იყოს ის, რომ საქონელი (პროდუქტი), საკუთარი კონსტრუქციით, ასევე ნაკლული წარმოების გამო, არ შეესაბამებოდეს მოთხოვნებს და გარკვეული სახით არღვევდეს საქონლის ბრუნვას. მაგალითად, ეს მოსალოდნელია მაშინ, როდესაც პროდუქტს, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, თან არ ახლავს მოხმარების ინსტრუქცია, ან, როდესაც ამგვარი მითითება არასაკმარისია; ამგვარივე მდგომარეობაა, როდესაც აუცილებელია გაფრთხილება, რადგან გარკვეული ნივთების მოხმარება საფრთხესთან არის დაკავშირებული ან იწვევს გვერდით მოვლენებს, რასაც პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა მოსდევს. აქედან ჩანს, რომ ნაკლის ცნება კანონისმიერი კონსტრუქციაა, რომელიც აუცილებელია მწარმოებლის ბრუნვასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა ერთ ცნებაში გაერთიანებისათვის.<sup>78</sup>

პროდუქტის უსაფრთხოების ნაკლი მაშინვე კი არ არის, როდესაც პროდუქტი მოხმარებისთვის საშიშია. ზოგადად, საშიში საქონლის, პროდუქტის წარმოება და მოხმარება დაშვებული იყო ინდუსტრიული ხანის დაწყებამდეც კი. სამზარეულოს დანა, ბურღი, ცეცხლსასროლი იარაღი ან მედიკამენტები, მანქანები, ასევე სატვირთო მანქანები, საშიშია, თუმცა, არსებობს საზოგადოებრივი კონსენსუსი მათი წარმოებისა და მოხმარებისათვის. პროდუქტის უსაფრთხოების ნაკლი, პროდუქტისთვის პასუხისმგებლობის ნორმების თანახმად, ეხება იმ საქონლის წარმოებას, რომლებიც არაპროპორციულად საშიშია.<sup>79</sup>

გერმანიის დელიქტურ სამართალში ცნობილია საქონლის ტიპური ნაკლი, რომლის საფუძველზეც დგინდება მწარმოებლის მხრიდან ბრუნვის ვალდებულებათა დარღვევა და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მიზეზობრიო-

<sup>77</sup> ob. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.616, 244.

<sup>78</sup> ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.6, 124.

<sup>79</sup> იქვე, Rn.7. 125.

ბა. თუმცა, ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით, უფრო საინტერესოა ნაკლის კავშირი განსაზღვრული საქონლის წარმოების სფეროსთან.<sup>80</sup>

სასამართლო პრაქტიკა და ლიტერატურა (დოქტრინა), ამ მხრივ, განასხვავებს ნაკლის სამ სახეობას: კონსტრუქციულს, ფაბრიკულს და ინსტრუქციულს.<sup>81</sup>

ProdHaftG არ იცნობს ნაკლის ამ კატეგორიებად დაყოფას. რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფს, ის ზოგადად აყალიბებს პროდუქტზე მწარმოებლის გულისხმიერი ზედამხედველობის ვალდებულებას, რომლის დარღვევამ შესაძლოა მიგვიყვანოს პროდუქტის სწორედ ამ ფაბრიკულ, ინსტრუქციულ თუ კონსტრუქციულ ნაკლთან. მაშასადამე, აქ მთავარია მწარმოებლის ზრუნვის ვალდებულებები.<sup>82</sup>

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას თუ დოქტრინას, არც ის იცნობს ნაკლის ამ კატეგორიებად დაყოფას. სიახლეს წარმოადგენს ის, რომ შეიქმნა ცალკე კოდექსი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომქმევის.“ შესაბამისად, როგორც უკვე ითქვა, გაუქმდა ცალკე არსებული სპეციალური კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „პროდუქტის და მომსახურეობის სერტიფიკაციის და სტანდარტიზაციის“ შესახებ.

### 3.2. კონსტრუქციული ნაკლი

კონსტრუქციული ნაკლის დროს საქონლის (პროდუქტის) უსაფრთხოების ნაკლი უკავშირდება ნივთის სტრუქტურულ ხელშეუხებლობას. კონსტრუქციული ნაკლი მოიცავს იმ ნაკეთოებებს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა საქონელი. ამის შედეგია, რომ კონსტრუქციის ნაკლი სერიული წარმოების დროს წარმოების მთელ სერიას ეხება. შესაძლებელია, რომ ცალკეული ნაწილი შეიცვდეს კონსტრუქციის ნაკლს, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროდუქტის თვის პასუხისმგებლობის ნორმები გამოიყენება არამხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანი დგება სერიული წარმოებისას დაშვებული ნაკლის დროს. კონსტრუქ-

<sup>80</sup> იქვე, Rn.8. 125.

<sup>81</sup> იბ. Nettelbeck B. I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995, 26.

<sup>82</sup> იბ.Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, 245, Rn.617-619.

ციის ნაკლის შემთხვევაში, მწარმოებელი იძულებულია, განმარტოს, რომ ნაკლი არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით.<sup>83</sup> ე.წ. „განვითარების ნაკლისას“ მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, რადგან, იმდროინდელი მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინებით, არსებული ნაკლი უცნობი, ან, კონკრეტულ შემთხვევაში, შეცნობილიც არ იყო; ანდა იყო ცნობილი, მაგრამ ტექნიკურად ჯერ კიდევ მოუგარებელი, მიუღწეველი.<sup>84</sup>

მწარმოებლის ე.წ. კონსტრუქციის ვალდებულება ეხება პროდუქტის კონსტრუქციას. მან ეს კონსტრუქცია ისე უნდა შექმნას, რომ მის მიერ განზრახული გამოყენების მიზნისათვის ნამდვილად შესაბამისი იყოს. მაშასადამე, კონსტრუქციული ნაკლი მაშინაა, როდესაც, ნაკლისმქონე კონცეფციის გამო, პროდუქტი უსაფრთხო გამოყენებისათვის არ არის გამოსადეგი. მწარმოებელი ასევე ვალდებულია, ტექნიკის დონის გათვალისწინებით, უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნები შეიმუშავოს. ის არ აგებს პასუხს, როდესაც განვითარების რისკი ხორციელდება (განხორციელებადია).<sup>85</sup>

საკითხავია, თუ რა მოცულობით უნდა იყოს პროდუქტი უსაფრთხო, რათა მწარმოებელმა თავისი „ზრუნვის ვალდებულება“ შეასრულოს? ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროდუქტი მაქსიმალურ უსაფრთხოებას უნდა გვთავაზობდეს, ანუ ტექნიკური შესაძლებლობების ჩარჩოები, ფარგლები სრულად უნდა შეივსოს, დაიპყროს, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ მხოლოდ ძვირადღირებული მოდელები უნდა გავიდეს ბაზარზე.<sup>86</sup> „მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება შექმნას ისეთი პროდუქტი, რომლის უსაფრთხოება უნდა აკმაყოფილებდეს არა ტექნიკურად დადგენილ მაღალ მოთხოვნებს, არამედ დასაშვებ მოლოდინებს“.<sup>87</sup> მწარმოებელს შეუძლებლის შესრულება ან როულად შესასრულებლის ვალდებულება არ უნდა დაეკისროს.

მწარმოებლის „კონსტრუქციული პასუხისმგებლობა“ ეფუძნება მის მიერ პროდუქციიდან მომდინარე იმ საფრთხეების უარყოფას, რომელთაგან დაცვაც მომხმარებელს არ შეუძლია, ვინაიდან სამართლებრივი სიკეთის დაზიანებამდე მისთვის იგი უცნობია. ტექნიკური უსაფრთხოების ზომები არ არის გა-

<sup>83</sup> ი.ბ.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, 125, Rn.9.

<sup>84</sup> ი.ბ. Schlutz J. H., Ingolstadt G., Haftungstatbestände des Produkthaftungsrechts,DSTR, 1994,791, 4.

<sup>85</sup> ი.ბ. Kraft I. R., Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 133.

<sup>86</sup> ი.ბ. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.619-617, 245.

<sup>87</sup> იქვე.

სათვალისწინებელი, როცა ზიანის რისკები ისედაც ცხადია. მაგალითად, სიგარეტის შემადგენლობა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისათვის საშიშია, რადგან ის შეიცავს ნიკოტინს და დამოკიდებულს ხდის მასზე, რამაც შესაძლოა ფილტვების კიბო გამოიწვიოს. იგივე ითქმის ტკბილეულის მწარმოებლებზეც – მისმა გამოყენებამ ჭარბ წონამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მაშასადამე, ამ დროს მწარმოებელს „კონსტრუქციული პასუხისმგებლობა“ არ დაუკისრება, ვინაიდან არავინ აიძულებს მომხმარებელს გამოიყენოს პროდუქცია, რომლის შესაძლო საშიშროება საყოველთაოდაა ცნობილი.<sup>88</sup>

### 3.3. ფაბრიკული (წარმოების) ნაკლი

ფაბრიკული (წარმოების) ნაკლის დროს, წარმოებული საქონელი განსხვავდება დაგეგმილი, წინასწარგანზრახული პროდუქტისაგან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს წარმოებასთან დაკავშირებულ პირთა ან მოწყობილობათა მიერ. წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობისას ასეთი ნაკლის მოზეზებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.<sup>89</sup>

მწარმოებელი ვალდებულია წარმოების სფერო ისე მოაწყოს, რომ თითოეული პროდუქტი ნაკლისაგან თავისუფალი იყოს და ისე გავიდეს მიმოქცევაში.

თუკი ნაკლი ჯერ კიდევ შეძლებისდაგვარად მაღალ უსაფრთხოებას გამორიცხავს, შესაბამისად, მწარმოებელმა ხარისხის დამატებითი კონტროლის მეშვეობით ნაკლისმქონე პროდუქტების სამოქალაქო ბრუნვაში (მიმოქცევაში) გაშვებას ხელი უნდა შეუშალოს, შეწყვიტოს. ამ ღონისძიებების გატარების მიუხედავად, თუკი წუნდებული პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში მოხვდება, აქ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ „ბრუნვაში გაპარულ“ პროდუქტზე. ამ შემთხვევაში, გერმანული სამართლის მიხედვით, მწარმოებელი, BGB-ეს 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის საფუძველზე, პასუხს არ აგებს, რადგან ეს ზრუნვის ვალდებულების დარღვევას გამორიცხავს.

მწარმოებლისგან ვერ მოვითხოვთ აბსოლუტური უსაფრთხოების დაცვას წარმოების პროცესში.<sup>90</sup> როგორც ადამიანები, ისე ტექნიკური პროცესები, სრულიად უნაკლოდ არასდროს არ მოქმედებენ, ვინაიდან, როგორც უმკვეთ აღი-

<sup>88</sup> იქვე, Rn.620, 246.

<sup>89</sup> ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.10, 125-126.

<sup>90</sup> ob. Kraft I. R., Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 134.

ნიშნა, ფაბრიკული ნაკლის დროს, პროდუქტის შემადგენლობა უნაკლოა, თუმცა, ერთ-ერთი მათგანი ნაკლის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს, ვინაიდან მისი დამზადების პროცესში შეცდომა იქნა დაშვებული და იგი დროულად არ იქნა აღმოჩენილი. ამ შემთხვევაში ნაკლი მოიცავს არა მთლიან სერიულად წარმოებულ პროდუქტიას, არამედ მხოლოდ რამდენიმეს, ე.წ. „ბრუნვაში გაპარულს“,<sup>91</sup> ამიტომ, პროდუქტის წარმოების პროცესი ისე უნდა იქნეს ორგანიზებული და კონტროლს დაქვემდებარებული, რომ წარმოების სფეროში არ წარმოიშვას არანაირი ნაკლი და არცერთი ნაკლისმქონე პროდუქტი არ გავიდეს სამოქალაქო ბრუნვაში.

### 3.4. ინსტრუქციის ნაკლი

ინსტრუქციის ნაკლის დროს, ნაკლი თვით პროდუქტში არაა. საფრთხესთან დაკავშირებული პროდუქტის შემთხვევაში, მწარმოებელი ვალდებულია მოხმარების წესების, გაფრთხილების მეშვეობით უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხო მოხმარება. ინსტრუქციის ნაკლი, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლის ორგანიზატორული შეცდომების მიზეზია. თუ არსებობს რაიმე სხვა სახის ნაკლი, იგი ვერ გამოსწორდება მწარმოებლის მიერ მომხმარებლისათვის ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით ან გაფრთხილებით. მწარმოებლის პასუხისმგებლობა შესაძლებელია შემცირდეს, როდესაც პროდუქციის მომხმარებელს ასევე ბრალი მიუძღვის ზიანის დადგომაში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გაფრთხილების გაუთვალისწინებლობით.<sup>92</sup>

შეძენილი პროდუქტის სწორი გამოყენება ძირითადად დამოკიდებულია მომხმარებელზე. თუკი სწორი გამოყენების შესახებ არსებული ცოდნა, ინფორმაცია საშუალო დონის მომხმარებელზე არაა გათვლილი, მაშინ მწარმოებელი ვალდებულია, შეიმუშაოს ინსტრუქცია ნივთის უსაფრთხო მოხმარების შესახებ.

მწარმოებელს დაბალი მოთხოვნები წაეყენება იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენება გათვლილია სპეციალისტებისთვის. იმ პროდუქტების მწარმოებელი, რომელიც გათვლილია საყოველთაო მოხმარებისთვის, არ არის ვალდებული, პროდუქტის მოხმარების წესებში გაკეთოს ისეთი მითითება, რომელიც საყოველთაო გამოცდილებაზე დამყარე-

<sup>91</sup> შევ. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, 249.

<sup>92</sup> ი.ბ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.11, 126.

ბულ ცოდნას ეფუძნება. ინსტრუქციული ნაკლი ასევე შეიძლება გამოირიცხოს, როცა ყოველი მესამე პირი, თავისი პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე, შესაძლო საფრთხის შესახებ მომხმარებელს ინფორმაციას მიაწვდის.<sup>93</sup> გაფრთხილების ვალდებულება წყდება იქ, სადაც მომხმარებელი პროდუქტს შეგნებულად არასწორად გამოიყენებს.<sup>94</sup>

სადაც იყო საკითხი იმის თაობაზე, თუ როდემდე და რა მოცულობით გააფრთხილოს მწარმოებელმა მომხმარებელი პროდუქტის საშიშროების შესახებ.

გერმანიის სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში აღნიშნეს, რომ „გაფრთხილების ვალდებულება არ არსებობს, როდესაც საშიშროება პროდუქტისა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს განეკუთვნება პროდუქტის მომხმარებლისათვის. მაგალითად, სიგარეტის მწარმოებელთა წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები არ დაკმაყოფილდა ინსტრუქციული ნაკლის არქონის გამო, ვინაიდან, როგორც ფრანკფურტის სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, ყველასთვის ცნობილი ფაქტია ის, რომ ხანგრძლივი მოწევა იწვევს ჯანმრთელობისთვის საშიშ ზიანს და ა.შ. ასევე ცნობილია ისიც, რომ მოწევის შეწყვეტა დაკავშირებულია დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განცდებთან“.<sup>95</sup>

### 3.4.1. ინსტრუქციის ვალდებულების ფარგლები

მწარმოებელმა პროდუქტის ყველა საშიშროების შესახებ არ უნდა მიუთითოს. მომხმარებელმა, შესაძლოა, ასევე უარი თქვას ამ მითითებების წაკითხვაზე, თუკი ის ძალიან დიდი მოცულობისაა, ან მისთვის უკვე ნაცნობ საშიშროებას ეხება. მწარმოებელმა უნდა მიუთითოს პროდუქტის იმ საშიშროებებზე, რომელიც მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად წარმოიშობა და იგი მომხმარებლისთვის ცხადი (აშკარა) არ არის.<sup>96</sup>

პროდუქტის იმ საშიშროების შესახებ, რომელიც შესაძლოა დადგეს მისი არასწორად, არადანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად, მწარმოებელი არაა ვალდებული ინფორმირებული გახადოს მომხმარებელი, ვინაიდან საყო-

<sup>93</sup> ob. *Kraft I. R.*, Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 135.

<sup>94</sup> იქვე, 136.

<sup>95</sup> ob. *Katzenmeier C.*, Entwicklungen des Produkthaftungsrechts, Jus, 943, Köln, 2003,4.

<sup>96</sup> ob. *Hettich R.*, Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 35.

ველთაოდ ცნობილია, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული პროდუქტი დანიშნულებისამებრ. მწარმოებელი ვალდებულია პროდუქტის არამიზნობრივად გამოყენებისას გააფრთხილოს მომხმარებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასწორად გამოყენებაში მნიშვნელოვანი რისკები დევს და, როდესაც საშიშროება სხეულის მძიმე დაზიანებით გამოიხატება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ინსტრუქციის ვალდებულებაც გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. როდესაც პროდუქტი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ, არამიზნობრივად, იმისგან გასხვავებით, რაზეც ინსტრუქციაშია მითითებული და ასეთმა მოხმარებამ ზიანი გამოიწვია, მწარმოებლის დადანაშაულება, რომ მას უნდა გაფრთხილებინა მომხმარებელი, ასევე, არამიზნობრივი გამოყენების შედეგების თაობაზე, უსაფუძვლოა.<sup>97</sup>

თითქმის ყველა პროდუქტი შეიძლება საშიშროების წყაროდ იქცეს, თუ ის არასწორად იქნება გამოყენებული. მწარმოებელი არ არის ვალდებული საზოგადოებას აცნობოს საზოგადო, დიად ცნობილი საფრთხეების შესახებ, რომელიც მოსდევს პროდუქტის არასწორ გამოყენებას. იმაზე მითითება, რომ გაზონის საჭრელი მანქანა არ უნდა გამოიყენო, როგორც სასხლავი მაკრატელი, არის ისეთივე ზედმეტი, როგორც გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ შინაური ცხოველი არ უნდა გააშრო მიკროტალდოვან ღუმელში, ან, რომ არ უნდა შეისუნოთ გაცხელებული საღებავის შემცველი სისარები ან სხვა ქიმიკატები. მეორე მხრივ, პროდუქტის მწარმოებელი მისი კონსტრუქციის შექმნის/დამზადებისას მხოლოდ იმას არ უნდა ითვალისწინებდეს, რომ მომხმარებელი მას მარტო დანიშნულებისამებრ გამოიყენებს, არამედ მან უნდა გათვალის მისი შეცდომით გამოყენების შემთხვევაც. მაგალითად, ასომის საწინააღმდეგო აეროზოლის მწარმოებელმა არამარტო მისი გამოყენების დოზა უნდა მიუთითოს, არამედ გაფრთხილებაც იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს დოზის გადამეტებამ.

განსაკუთრებით ადსანიშნავია, ამ მხრივ, ბავშვებისათვის განკუთვნილი პროდუქტები. ამ დროს მწარმოებლის მხრიდან გაფრთხილების ვალდებულები ერთობ მკაცრია და სავალდებულო. მაგალითად, სათამაშოების მწარმოებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი მომხმარებელი ამ სათამაშოთი არამარტო ითამაშებს, არამედ პირში ჩაიდებს, გატეხავს ან სხვა მსგავს საჭიელს ჩაიდენს. ამიტომ, ასეთ დროს, სათამაშო ისე უნდა იყოს კონსტრუქ-

<sup>97</sup> იქვე, 36.

ციულად დამზადებული, რომ მისმა არასწორმა გამოყენებამ ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მშობლები აუცილებლად უნდა იყვნენ გაფრთილებულნი ამის თაობაზე.<sup>98</sup>

### 3.4.1.1. „ბავშვის საჭოვარა ბოთლის სინდრომი“<sup>99</sup>

ინსტრუქციული ნაკლის მნიშვნელობა და მისი სრულყოფილად შემუშავების აუცილებლობა კარგად ჩანს გერმანიის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც ცნობილია შემდეგი სახელით: „Baby-Bottle-Syndrom”, ანუ „ბავშვის ბოთლით წოვის სინდრომი“. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბავშვთა ტკბილი ჩაის თუ წვენების ბოთლით წოვის ხანგრძლივმა გამოყენებამ გამოიწვია ბავშვთა ნაადრევი და რთული კარიესი, რაც დადასტურებულია ბავშვთა სტომატოლოგების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებით. პირველ რიგში, არასრულყოფილი ინსტრუქციის გამო, რომელიც შეიძლება ჰქონოდა ბავშვთა ჩაის, წვენს თუ ბოთლს. მაშასადამე, ნაკლის მქონე პროდუქტებს წარმოადგენდა ბავშვის ჩაი, წვენი და ბოთლი. ნაკლი კი მათი გამოყენების წესები, გაფრთხილები და ა.შ. იყო.

ეს საქმე შემდეგნაირად განვითარდა: ჩაის თუ წვენს ხშირად იყენებდნენ მშობლები ბავშვთა დაძინების თუ დამშვიდების საშუალებად. მათმა ინტენსიურმა გამოყენებამ კი ბავშვებს გაუჩინათ მავნე ჩვევა, ჩამოუყალიბა ე.წ. სინდრომი. კერძოდ, ის გახდა მათვის აუცილებელი, რომლის გარეშეც ისინი ვეღარ ძლებდნენ და გადაჩვევაც ძალიან რთული აღმოჩნდა. რაც შეეხება პლასტმასის ბოთლებს, ისინი იმ ფორმის და სახის იყვნენ, რომ ბავშვებს თავიანთი ხელებით დამოუკიდებლად შეეძლოთ დაჭერა და წოვა.

ყველაზე აღმაშფოთებელი იყო ის, რომ ჩაის ერთ-ერთ მწარმოებელს თავისი პროდუქტის შეფუთვაზე ეწერა, რომ „ჩაი ზრუნავს ბავშვთა მშვიდ ძილზე და არის ბავშვთა გემრიელი ვახშამი და ძილის წინ დასალევი სასმელი“.

<sup>98</sup> ი. ხ. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn. 639, 252.

<sup>99</sup> „Baby-Bottle-Syndrom“

ეს კი დედისთვის ნიშნავდა იმას, რომ ჩაი იყო უსაფრთხო ბავშვთა კვების-თვის.<sup>100</sup>

ბავშვთა სტომატოლოგმა პროფესორმა ველცელმა შეისწავლა აღნიშნული მდგომარეობა და დაასკვნა, რომ ტკბილი სასმელები იწვევს ბავშვთა რთულ კარიესს, ე.ი. უქმნის სარძევე კბილებს რთულ პრობლემებს. მან გამოაქვეყნა სათანადო კვლევა ერთ-ერთ გერმანულ სამედიცინო ჟურნალში სათაურით: „ტკბილი ჩაის კარიესი, ახალი ფორმა სარძევე კბილების კარიესისა ბავშვებში.“ ამ სტატიამ თავისი შედეგი გამოიდო. 1985 წლამდე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებში კარიესის გაჩენამ წინა წლებთან შედარებით პროცენტულად იკლო. თუმცა, 1985 წლიდან ისევ იმატა. მას შემდეგ, როდესაც ჩაის ბოთლის მაგივრად, მშობლებმა დამშვიდების საშუალებად წვენები აირჩიეს, ჩაისთან შედარებით, წვენი უფრო საშიში ადმონიდა კარიესის გაჩენისათვის.<sup>101</sup>

პროფესორ ველცელის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ჩაის მწარმოებლებმა დამატებითი მითითებები გააკეთეს ჩაის მომზადების წესებში, კერძოდ კი: „ბოთლი თავად დაიჭირეთ და როგორც საწოვარაბოთლი არ მისცეთ“; „სადამოს კბილების მოვლის შემდეგ ტკბილი არ უნდა დალიოთ ან შექმოთ.“ აგრეთვე, დაამატეს მომზადების წესებში შემდეგი: „ჩაი საკმარისად ტკბილია. შემდგომი დატკბობა საჭირო აღარ არის.“<sup>102</sup>

1986 წლიდან ბავშვებში კარიესის არსებობამ დიდ რიცხვს მიაღწია. შესაბამისად, მშობლებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში ამ სახის ჩაის მწარმოებელთა წინააღმდეგ. უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მწარმოებელთა მიერ გაკეთებული მითითებანი ალოგიკურია. ის, რომ ბავშვმა აღნიშნული ჩაი ძილის საშუალებად მარტო თავისი ხელით წოვის შედეგად არ უნდა გამოიყენოს, რადგან მან შეიძლება კარიესი გამოიწვიოს, გასაგებია. თუმცა, იბადება კითხვა: თუკი მშობლის მიერ იქნება აღნიშნული ჩაი მიცემული, გამორიცხავს ეს კარიესის გაჩენის საშიშროებას? აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ინსტრუქციულ ნაკლს შეიცავდა მწარმოებლის პროდუქტი; რომ მწარმოებელმა ბრალეულად დაარ-

<sup>100</sup> ი. კულმან H. J., „Das baby-bottle-syndrom“ in der Haftpflichtrechtsprechung der Bundesrepublik Deutschland, Festschrift für Hyung-Bae Kim, „Arbeitsrecht und Zivilrecht in Entwicklung“, Verlag Dunckler und Humboldt, Berlin, 1995, 314.

<sup>101</sup> იქვე, 315.

<sup>102</sup> იქვე.

დგია ინსტრუქციის ვალდებულება. სასამართლო მიიჩნევდა, რომ მწარმოებელს უნდა მიეთითებინა, რომ კარიესის საშიშროება წარმოიშობა ხანგრძლივი წოვის შედეგად და არა იმით, თუ ვის უნდა ეჭიროს ხელში ბოთლი, დაშაქრული არის თუ არა ჩაი და ა.შ.<sup>103</sup>

1995 წლის 31 იანვარს გერმანიის უზენაესმა სასამრთლომ მიიღო განჩინება, რომელიც ეხებოდა არა ჩაის, არამედ ბავშვთა ტბილი წვენების გამოყენებით გამოწვეულ კარიესს და მის შედეგად დამდგარ ზიანს.

წვენის მწარმოებელსაც იგივე შენიშვნები უნდა გაეთვალისწინებინა, რაც ჩაის მწარმოებელს ევალებოდა.<sup>104</sup>

სასამართლომ ბავშვთა ჩაის მწარმოებლები დაავალდებულა, რომ შეემუშავებინათ ისეთი მითითებანი, რომელიც უფრო გასაგებად, ნათლად მიანიშნებდა მშობლებს პროდუქტის საშიშროების შესახებ. ყოველივე ეს კი უნდა დაეტანა ჩაის დოზის მითითებასთან ერთად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს მითითება მოკლედ, გასაგებად, ლაკონურად ჩამოყალიბებული და ადვილად წასაკითხი უნდა ყოფილიყო.<sup>105</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ „გაფრთხილების მითითებანი უნდა შეიცავდეს იმ შედეგებს, რომელიც ემუქრება მის არასწორ გამოყენებას და ეს მითითებანი ნათლად, გასაგებად უნდა აღწერდეს, თუ რატომ არის ეს პროდუქტი საშიში.“<sup>106</sup>

საკითხავია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რომელ მუხლს გამოვიყენებდით ამ პრობლემის გადაჭრისას? „სსკ-ის 1010-ე მუხლით ნაკლოვანების ცნებიდან მწარმოებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევებზე გავრცელდებოდა, როდესაც პროდუქტს ნაკლი პირდაპირ შეიძლება მიეწეროს. ამიტომ ის ზიანი, რომელიც მომხმარებელს შესაძლოა თავისთავად უნაკლო პროდუქტის გამოყენების შედეგად მიადგეს, ამ რეგულირების მიღმა რჩება. პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულების შედეგად მწარმოებელი ვალდებულია, მომხმარებლის მიერ პროდუქტის გამოყენების პროცესს დაკვირდეს და თუ გახშირდება პროდუქტის მიერ ზიანის გამოწვევის შემთხვევები, შეცვალოს პროდუქტი ან თუნდაც მიუთითოს (გაცნოს) მომავალ მყიდველს ამ პროდუქტის განსაზღვრულად გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის შესა-

<sup>103</sup> იქვე, 316.

<sup>104</sup> იქვე, 318.

<sup>105</sup> იქვე, 321.

<sup>106</sup> იქვე,,325.

ხებ.“<sup>107</sup> ამ წესსა და ვალდებულებებს განამტკიცებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი. თუმცა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დადგეს სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. „გერმანული სამართალი კი მწარმოებლის ამგვარ ვალდებულებას პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულებად განიხილავს“,<sup>108</sup> რომლის დარღვევას თან მოჰყვება ზიანის ანაზღაურება.

### 3.4.1.2. „კოკა-კოლას“ საქმე

მსოფლიოში წამყავნი გაზიანი სასმელების კოპა-კოლას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა აღინიშნებოდა, ამ მხრივ, აშშ-ში. ერთ-ერთმა სამედიცინო ჟურნალმა გამოაქვეყნა ინფორმაცია სწორედ გაზიანი სასმელების და სწრაფი კვების ობიექტების მავნე შედეგებზე: ჭარბი წონა, დიაბეტი, არასწორი კვება, ძვლების ატროფია, კბილების პრობლემა (კარიესი) და სხვა მრავალი. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ კოკა-კოლას მომხმარებელი ბავშვებიც არიან, რაც მათ ზრდა-განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.<sup>109</sup>

გერმანიაში კოკა-კოლას წინააღმდეგ სარჩელი 2001 წელს შეიტანეს. მოსარჩელეს თავისი შრომითი „რეჟიმის“ გამო, მოუწია ჩვეული კვების გრაფიკის შეცვლა და დამოკიდებული გახდა გაზიან სასმელსა და ტკბილეულზე. ყოველივე ამან წლების შემდეგ მიიყვანა დიაბეტამდე. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსარჩელეს აღმოაჩნდა მე-2 კატეგორიის დიაბეტი. მისი გამომწვევი სამედიცინო მიზეზი კი, არასწორ კვებასთან ერთად, იყო უმოძრაობა და ჭარბი წონა. კოკა-კოლა ამ სახის დიაბეტის ერთ-ერთ გამომწვევად იქნა მიჩნეული.

კოკა-კოლა შეიცავდა ინსტრუქციულ ნაკლს, ვინაიდან ჯანმრთელობისათვის შესაძლო ზიანის, საშიშროების შესახებ არ იქნა გაფრთხილებული მომხმარებელი. გაფრთხილება სავალდებულოა, როცა ჯანმრთელობის შესაძლო მავნე შედეგები საყოველთაოდ ცნობილი არ არის. ინსტრუქციაში მითითებული არ ყოფილა სასმელში შაქრის შემცველობის ოდენობა.

<sup>107</sup> ლუთრინგაუხეი პ., დელიქტური სამართალი, გამომცემლობა სიესტა, თბილისი, 2011, 36.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> იხ. Adams M., Kraas-Littger M., „Produkthaftung für Colagetränke“, Festschrift für Wolfgang Wiegand, „Norm und Wirkung“, Herausgeber: Buchen, Eugen, München, 2005, 48.

კოკა-კოლას მწარმოებელი ამტკიცებდა, რომ მისი პროდუქტი არ იყო ნაკლისმქონე. ის, რომ კოკა-კოლა შაქრისშემცველია, შეიცავს კოფეინს და მომხმარებელს დამოკიდებულს ხდის მასზე, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და საშუალო დონის ყველა მომხმარებელმა იცის ამის შესახებ. შესაბამისად, თითოეული ადამიანი თავად წყვეტს, დალიოს თუ არა კოკა-კოლა.<sup>110</sup> იყო თუ არა კოკა-კოლა დიაბეტის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ამას ორივე მხარე თანაბრად ამტკიცებდა და უარყოფდა. მათი არგუმენტები ემყარებოდა BGB-ეს 823-ე პარაგრაფის I ნაწილსა და ProdHaftG-ის პირველ პარაგრაფს. ორივე ნორმის არსებითი წინაპირობებია: 1. პროდუქტის ნაკლის არსებობა; 2. ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება; 3. მიზეზობრივი კავშირი ნაკლსა და ზიანს შორის; კოკა-კოლას მხრიდან აშკარა იყო მხოლოდ ინსტრუქციული და კონსტრუქციული ნაკლი.<sup>111</sup>

სამედიცინო დასკვნების საფუძველზე საბოლოოდ დამტკიცდა, რომ კოკა-კოლა შეიცავდა როგორც კონსტრუქციულ ნაკლს, ისე ინსტრუქციულს. ეს უკანასკნელი მაშინ ჩნდება, როდესაც პროდუქტის ყველა საშიში თვისების შესახებ მომხმარებელი არასაკმარისადაა გაფრთხილებული. მწარმოებელმა თავისი პროდუქტის საშიშროების შესახებ სრულყოფილად, ნათლად უნდა მიუთითოს. კოკა-კოლას აღნიშნული გაფრთხილება რომ გაეკეთებინა, შეეძლო მომხმარებლამდე მიეტანა პროდუქტის მისთვის ცნობილი ან შესაცნობი რისკები. ამგვარ გაფრთხილებას კოკა-კოლა არ შეიცავდა. შესაბამისად გამოჩნდა ინსტრუქციული ნაკლიც.

ის, რომ კოკა-კოლას „მავნე“ თვისებების შესახებ არსებული ინფორმაცია საყოველთაოდ ცნობილია და დამატებით მითითებას ადარ საჭიროებს, საკამათოა. აღსანიშნავია ის, რომ მისი მომხმარებელთა წრე ძალიან ფართოა. მასში შედის მოზარდი ბავშვები, რომლებიც თავიანთი ჯიბის ფულით ყიდულობენ კოკა-კოლას და ის მათი ყოველდღიური სასმელი ხდება. ვინ უნდა იქნეს ამ შემთხვევაში გაფრთხილებული? ბავშვი გალდებულია, იცოდეს კოკა-კოლას მავნე თვისებების შესახებ? როგორ უნდა აიკრძალოს მისი დაცვა, როდესაც სკოლებში ავტომატების მეშვეობითაც იყიდება?<sup>112</sup>

<sup>110</sup> იბ. Adams M., Kraas-Littger M. „Produkthaftung für Colagetränke“, Festschrift für Wolfgang Wiegand, „Norm und Wirkung“, Herausgeber: Buchen, Eugen, München, 2005, 49.

<sup>111</sup> იქვე, 50.

<sup>112</sup> იქვე, 56-57.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკამდებოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. იქ, სადაც დამტკიცდა რომ არასრულყოფილი ინსტრუქციის მითითებამ გამოიწვია აღნიშნული დაავადებები, შესაბამისად წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც.

რამდენად აუცილებელია პროდუქტის საშიშროებებზე მითითება, როდესაც ეს საშიშროება თვით პროდუქტის ბუნებაში, დანიშნულებაში, აგებულებაშია. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნე, ცეცხლსასროლი იარაღის თუ სიგარების შემთხვევა. ეს პროდუქტები თავისი ნატურით, ბუნებით საშიშია. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მისმა გამოყენებამ შესაძლოა, მინიმუმ, მცირე ზიანი მოუტანოს მომხმარებელს. იბადება კითხვა: არის თუ არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, როდესაც პროდუქტის საშიში თვისებები, მისი დანიშნულება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია? ან თუნდაც პროდუქტი თავისი კონსტრუქციით უკვე საშიშია და მისი სხვაგვარად წარმოება გამორიცხულია. ამ კონკრეტულ საქმეში მდგომარეობას ამძიმებს მომხმარებელთა წრე. კერძოდ კი, მოზარდები, ბავშვები. შესაბამისად, მწარმოებელს მეტი ვალდებულებები აკისრია სრულყოფილი ინსტრუქციის შემუშავების საკითხში. მწარმოებელს ვერ ავუკრძალავთ კოკა-კოლის წარმოებას, ვერ მოვთხოვთ მასში „სასარგებლო“ თვისებების ჩადებას, ვინაიდან ის, თავისი არსით, აგებულებით მასტიმულირებელი სასმელია, რომელიც, წარმოების შეცვლის თუ ახალი ტექნიკის გამოყენების მიუხედავად, ვერასდროს გახდება „სასარგებლო“. ერთადერთი, რაც შეიძლება დაწესდეს, არის სრულყოფილი ინსტრუქციის შემუშავება. მაშასადამე, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების არსებობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ გახდება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

#### 4. მწარმოებლის ვალდებულებები დელიქტური სამართლის მიხედვით

წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივ სფეროს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დელიქტურ სამართალში, კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლს (შესაბამისად, BGB-ეს 823-ე პარაგრაფის I ნაწილს), რომლის საფუძველზეც მწარმოებელი პასუხს აგებს კოდექსით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებზე წუნდებული პროდუქტით ზიანის მიყენების შემთხვევაში.

ყოველი პირი, რომელსაც პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს, ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს საიმისოდ, რომ მისი პროდუქტისგან წარმოშობილი საშიშროება შეძლებისდაგვარად მცირე იყოს. მას ამ შემთხვევაში, გერმანული სამართლის მიხედვით, ეკისრება დელიქტური გულმოდგინების-/ზრუნვის<sup>113</sup> ვალდებულება – თავიდან რომ აიცილოს ზიანი.<sup>114</sup>

მწარმოებელი ასევე ვალდებულია არ გაიტანოს სამოქალაქო ბრუნვაში საშიშროების მომტანი პროდუქტები. მან უსაფრთხოების დონისძიებები უნდა მიიღოს არამარტო მაშინ, როცა თეორიულადაა დასაშვები, რომ დაზიანდება სამართლებრივი სიკეთეები, არამედ მაშინაც, როცა მისი დადგომა რეალურადაა მოსალოდნელი.<sup>115</sup>

მაშასადამე, მწარმოებლის გულმოდგინების/ზრუნვის ვალდებულება არ მთავრდება პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებით. იგი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს, თვალყური ადევნოს ბრუნვაში მყოფი პროდუქტების ჯერ კიდევ მისთვის ამოუცნობ საშიშროებებს. პროდუქტის ამგვარი ნაკლოვანება შესაძლებელია დამალული იყოს კონსტრუქციის შექმნის და წარმოების პროცესში. თუკი მწარმოებელი ზემოთ ხსენებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს და არ მიიღებს ზომებს საშიშროებების აღმოსაფხვრელად, მაშინ იგი დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას.<sup>116</sup> მით უფრო მეტი ზედამხედველობის ზომები უნდა მიიღოს მწარმოებელმა, რაც უფრო მეტი იქნება საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. მან ორგანიზება უნდა გაუწიოს კლიენტთა საჩივრების მიღებას, რათა შემდგომ განიხილოს, შეამოწმოს, შეაფასოს ისინი. მეწარმე, რომელიც ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს, ასევე, ვალდებულია ამ პროდუქტის მომხმარებლებისათვის საერთაშორისო ლიტერატურით გაავრცელოს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია.<sup>117</sup>

მოკლედ, მწარმოებელს გულმოდგინების/ზრუნვის ვალდებულება ეკისრება არამარტო პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებაზე, არამედ შემდგომაცაა იგი პასუხისმგებელი იმ რისკებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს ბრუნვის პროცესში. მან თვალყური უნდა ადევნოს სამოქალაქო ბრუნვის დი-

<sup>113</sup> „Sorgfaltspflicht“

<sup>114</sup> ი. ხ. *Kraft I. R.*, Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 131.

<sup>115</sup> იქვე, 132.

<sup>116</sup> „Verkehrssicherung“

<sup>117</sup> ი. ხ. *Hettich R.*, Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. Münchcen, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 39.

ნებას, კლიენტთა საჩივრებს, ზიანის შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და მხარი აუბას მას, თუკი პროდუქტის შემდგომი საშიშროება შესაცნობი ან ასაცილებელი იქნება, ბრუნვაში გასვლის დროისთვის კი შეუცნობელი ან აუცდენელი იყო. ამას გერმანულ ლიტერატურაში ჰქონია „Produktbeobachtungspflicht”, ანუ პროდუქტზე თვალყურის დევნების ვალდებულება.<sup>118</sup>

თუკი მწარმოებელს ახალი ცოდნა აქვს პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ, მან უნდა გადააკეთოს მომავალი პროდუქტია, რათა შესაცნობი ზიანის რისკები გამოირცხოს ან შემცირდეს. თუკი პროდუქტი უკვე სამოქალაქო ბრუნვაშია, მწარმოებელი ვალდებულია ეს პროდუქტი ბრუნვიდან გამოითხოვოს.<sup>119</sup>

ამდენად, მწარმოებელი ვალდებულია არამარტო გაიტანოს ბაზარზე უნაკლო პროდუქტი, არამედ თვალყური უნდა ადევნოს თავისი პროდუქტის გამოყენების შედეგებს, რათა საშიშროების მქონე ნაკლის აღმოცენების შემთხვევაში საჭირო ზომები მიიღოს.

„პროდუქტზე თვალყურის დევნების ვალდებულების“ ფარგლებში განასხვავებენ აქტიურ და პასიურ დაკვირვებას, ზედამხედველობას. პასიური ზედამხედველობა ამოწურავს გადამოწმებისას ცნობილ განცხადებებს, პრეტენზიებს თუ რეკლამირებას.

როგორც ზემოთ ითქვა, პროდუქტის მწარმოებელს სამოქალაქო ბრუნვაში პროდუქციის შემოტანის შემდეგ ეკისრება მათზე აქტიური ზედამხედველობა-დაკვირვების ვალდებულება. კერძოდ, მან საკუთარი ინიციატივით ინფორმაციები უნდა მოიპოვოს და შეაფასოს, გამოიტანოს დასკვნები. ანუ, ის პირადად უნდა გაეცნოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესს მდგომარეობას, მაგალითად, გაზეობებში არსებულ ინფორმაციას, ჩატარებული ცდების დასკვნებს და ა.შ.

მწარმოებელი ვალდებულია კონკურენტ მწარმოებელთა პროდუქტებზეც განახორციელოს ზედამხედველობა ანუ დაპირვება.

მან ყურადღებით უნდა შეისწავლოს საფრთხის გაჩენის წყაროები, რომებიც ჩნდება საკუთარი პროდუქტის სხვა პროდუქტთან ერთად გამოყენების შემთხვევაში ან მასთან შერწყმის, შეერთების შედეგად. <sup>120</sup>

<sup>118</sup> ი. მ. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.642, 254.

<sup>119</sup> იქვე, Rn.644, 255.

<sup>120</sup> ი. Kraft I. R., Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 136.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი ითვალისწინებს ზემოთ განხილული შინაარსის ვალდებულებებს. კერძოდ კი, კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში. თუ მწარმოებელს შეუძლია ასეთი რისკის თავიდან აცილება, იგი ვალდებულია განახორციელოს ყველა დონისძიება ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად.“ აგრეთვე, ამავე კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილში წერია თუ რა დონისძიებებს უნდა მიმართოს მწარმოებელმა, როდესაც მისი პროდუქტი ბაზარზე გადის. კერძოდ კი, მან უნდა: „ა. გაანალიზოს რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტმა; ბ. მიიღოს შესაბამისი ზომები რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, გააფრთხილოს მომხმარებელი და გამოითხოვს პროდუქტი მომხმარებლისგან და ბაზრიდან.“ ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „მწარმოებელი და დისტრიბუტორი ვალდებული არიან ითანამშრომლონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან იმ დონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზარზე მათ მიერ მოწოდებული პროდუქტით გამოწვეული რისკის თავიდან აცილებას.”<sup>121</sup>

მაშასადამე, მწარმოებელს აკისრია პროდუქტის ე.წ. სამოქალაქო ბრუნვაზე ზედამხედველობის ვალდებულება, თუმცა, უფრო მცირე მოცულობით, ვიდრე ეს გერმანულ სამართალშია.

## 5. პროდუქტის უვარგისობა, როგორც პროდუქტის წუნდებულად მიჩნევის საფუძველი

პროდუქტის ვარგისიანობის დაკარგვა თეორიულად შეიძლება განიხილავდეს, როგორც პროდუქტის ნაკლი. თუ პროდუქტი უვარგისია, მაშინ იგი შესატყვის ჩარევას არ საჭიროებს და არც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს განეკუთვნება. პროდუქტი შესაძლებელია სახელშეკრულებო გაგებით იყოს ნაკლისმქონე და ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით წყდება. ამ დროს პასუხისმგებლობა შესაძლებელია ინსტრუქციულ ნაკლს დაემყაროს და არა კონსტრუქციულ ან ფაბრიკულ ნაკლს. უნაკლო,

<sup>121</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებაზი, 2012 წელი, №6157-II.

მაგრამ საშიშ პროდუქტებში, რომელთა მოხმარების წესები ან გაფრთხილებანი ნაკლები ინფორმაციის შემცველია.<sup>122</sup>

არსებობს იმის ვარაუდი, რომ პროდუქტი უსაფრთხოდ, ხარისხიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებით დაცულია „ვარგისიანობისა“ და „საგარანტიო ვადები.“<sup>123</sup>

## 6. პროდუქტის უსაფრთხოება

### 6.1. ზოგადად

ქართული სამართალი პროდუქტის უსაფრთხოების რამდენიმე განმარტებას იძლევა.

სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, უსაფრთხო პროდუქტის ცნებას იძლევა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი.

ამ კოდექსის ტერმინთა განმარტებაში, კერძოდ, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში უსაფრთხოდა მიჩნეული „პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დასაშვებად მინიმალურ რისკს.“ ამდენად, პროდუქტის უსაფრთხოები მიჩნევისათვის არსებითია იმის დადგენა, თუ რამდენად რისკის შემცველია იგი. ამის გასარკვევად კი საჭიროა იმის ცოდნა, თუ რასთანაა ეს რისკები დაკავშირებული. ნალოგიურად, ამ შემთხვევაშიც უნდა გაირკვეს წუნდებული პროდუქტის ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

როგორც უკვე ითქვა, სსკის 1010-ე მუხლი პროდუქტის უსაფრთხოებას უკავშირებს იმ საიმედოობას, რომელიც უკელა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. პროდუქტი, რომელიც არ აქმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, წუნდებულია.

მსგავსი დეფინიცია არსებობს გერმანულ სამართალში. მაგალითად, ProduktHaftG ამბობს, რომ „პროდუქტი ნაკლისმქონედ ითვლება, როცა არ უზრუნველყოფს იმ უსაფრთხოებას, რომელიც მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.“<sup>124</sup>

<sup>122</sup> ი. ხ. Harald B., Produkthaftung nach neuem EG-Recht, Kommentar zum deutschen Produkthaftungsgesetz, Verlag moderne Industrie, Landsberg/Lech, 1989, Rn.31, 190.

<sup>123</sup> შოთაძე თ., უსარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება,“ №2; 2007, 69.

დელიქტური პასუხისმგებლობის სამართალში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პროდუქტის მწარმოებელმა მასზე დაკისრებული ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება<sup>125</sup> დაარღვია.<sup>126</sup>

ProdHaftG-ის გაგებით, ზიანის საფუძველი არის ნივთის ნაკლის დადგენისას გადამწყვეტია საიმედოობაა, რომელიც ყველა გარემოებების გათვალისწინებითა მოსალოდნელი. დასადგენია, თუ რომელ უსაფრთხოებას უნდა ელოდოს მომხმარებელი. კანონის ოფიციალური განმარტებიდან ჩანს, რომ აქ მოსალოდნელია არა კონკრეტული მომხმარებლის სუბიექტური მოლოდინი უსაფრთხოების მიმართ, არამედ საყოველთაო, საზოგადო უსაფრთხოების მოლოდინი.

აღნიშნული კანონის თანახმად, პროდუქტი ისე უნდა შეიქმნას, რომ მომხმარებლისთვის იგი უსაფრთხო იყოს მისი მოხმარების მთელ მანძილზე. იგი არ უნდა შეიცავდეს არავითარ კონსტრუქციულ თუ წარმოების ნაკლს. გარდა ამისა, მწარმოებელმა უნდა იზრუნოს საიმისოდ, რომ პროდუქტი ყველა აუცილებელი მითითებებით და გაფრთხილებებით აღიჭურვოს, მისი უსაფრთხო გამოყენება რომ უზრუნველყოს. ამ სავალდებულო, საჭირო მითითებების გარეშე პროდუქტს გააჩნია ე.წ. ინსტრუქციული ნაკლი.<sup>127</sup>

უსაფრთხოების კრიტერიუმებს ითვალისწინებს, როგორც გერმანული, ისე ქართული სამართალი. გასარკვევია, „საიმედოობა პროდუქტისა, რომელიც ყველა გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელია მისგან.“ გერმანული კანონის მიხედვით, უსაფრთხოების კრიტერიუმები ძალიან ზოგადია, საყოველთაო. იგი დაკონკრეტებას, შემოსაზღვრას საჭიროებს. მეორე მხრივ, თითოეული პროდუქტის უსაფრთხოების კრიტერიუმის დადგენას მოსამართლე არკვევს.<sup>128</sup>

ევროკავშირის ფარგლებში არ არსებობს უსაფრთხოების ერთიანი სტანდარტი. ეს ნიშნავს იმას, რომ რეგიონალური განსხვავების საფუძველზე, ევროკავშირის წევრ ერთ ქვეყანაში პროდუქტი შესაძლებელია ნაკლის მქონე იყოს, ხოლო მეორეში კი პირიქით. როდესაც მწარმოებელი უნაკლო პრო-

<sup>124</sup> Pfeiffer, Juris Texte Zivil- und Zivilprozessrecht, Juris/Luchterhand, 2005, 619-624;  
<sup>125</sup> „Verkehrssicherungspflicht“

<sup>126</sup> ob. Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995, 25.

<sup>127</sup> ob. Bodenschatz W., Fichna G., Voth D., Produkthaftung, Verlag moderne Industrie, 3 Aufl. Frankfuhrt/M. 1988,18-19.

<sup>128</sup> ob. Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995, 29.

დუქტს შეიტანს ეკროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში, სადაც უსაფრთხოების სტანდარტი უფრო მკაცრია, შესაბამისად, მწარმოებელმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ეს ყველაფერი.<sup>129</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქტის უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენას საჭიროებს, როგორც გერმანული, ისე ქართული სამართლი. საიმედოობა პროდუქტისა, რომელიც ყველა გარემოებათა გათვალისწინებით მოსალოდნელია, ძალიან აფართოებს უსაფრთხო პროდუქტის ცნებას. რა თქმა უნდა, ყველა პროდუქტს ვერ ექნება უსაფრთხოების საერთო კრიტერიუმი. შესაბამისად, კანონმდებელი უფლებას აძლევს მოსამართლეს თითოეულ საქმეზე თავად დაადგინოს უსაფრთხოების კრიტერიუმი. განსხვავებით ქართული სამართლისაგან, ეკროკავშირის ქვეყნებში პროდუქტის უსაფრთხოების დადგნისას აუცილებლად გაითვალისწინება სამი ძირითადი გარემოება. ეს არის პროდუქტის ხარისხის ერთგვარი საზომი. კერძოდ: 1. პროდუქტის შეთავაზება; 2. მოსალოდნელი საიმედოობა; 3. დრო, როდესაც ეს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გავიდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს ამ გარემოებებს. პირიქით, მეტად აფართოებს მათ ზოგადი დეფინიციით. რაც შეეხება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსს, ის შინაარსობრივად ეხმიანება ეკროპულ სამართალს. კერძოდ, კოდექსის მე-5 მუხლში, წუნდებული პროდუქტის ნიშნებია ჩამოთვლილი. კერძოდ, წუნდებულად ითვლება „პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი: ა) პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით, ბ) ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში, გ) იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა“.<sup>130</sup>

როგორც ჩანს, ქართული კანონმდებლობა გარკვეულწილად იზიარებს ეკროპულ გამოცდილებას და პროდუქტის უსაფრთხოების რამდენიმე კრიტერიუმს ადგენს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის ცალკე თავშია მოცემული პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები, სადაც გაწერილია მწარმოებლის/დისტრიბუტორის ვალდებულებები დაკავშირებული ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებასთან, აგ-

<sup>129</sup> იხ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.16, 133.

<sup>130</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 2012 წელი, №6157-III.

რეთვე პროდუქტის უსაფრთხოების შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებები, კერძოდ: 1. პროდუქტის მახასიათებლები, 2. სხვა პროდუქტზე გავლენა, 3. პროდუქტის პრეზენტირება, ეტიკეტირება, გაფრთხილება, ინსტრუქცია ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, 4. მომხმარებელთა ასაკობრივი კატეგორიები, რომელთაც ამ პროდუქტის გამოყენებით შეიძლება ზიანი მიადგეთ.<sup>131</sup>

## 6.2. ყველა გარემოების გათვალისწინება

როგორც ჩანს, პროდუქტის საიმედოობა დაკავშირებულია სხვადასხვა გარემოებებთან. თუ რაა ეს გარემოებები, ამას სრულყოფილად აწესრიგებს გერმანული სამართალი, კერძოდ, ProdHaftG. ეს გარემოებებია:

ა. პროდუქტის შესაძენად შეთავაზება (წინადადება), ბ. პროდუქტის მოხმარების საიმედოობა, გ. დრო (თარიღი), როდესაც ეს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში იქნა გატანილი. ამავე ნორმას იმურებს ავსტრიული სამართალიც.<sup>132</sup> ნაკლის განმარტებაში გერმანული სამართალი სრულად შეესაბამება ევროკავშირის 1985 წლის 25 ივლისის 374-ე დირექტივას.<sup>133</sup>

### 6.2.1. პროდუქტის შეთავაზება

ეს შეიძლება მოიცავდეს მწარმოებლის ყველა საქმიანობას. შეთავაზება მოიცავს პროდუქტის აღწერას, შეფუთვას, გამოყენების შესახებ მითითებას, საშიში თვისებების შესახებ აღნიშვნას და, აგრეთვე, რეკლამას. აქ ძირითადად წარმოდგენილია ინსტრუქციული ნაკლი.<sup>134</sup>

განვიხილავ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე:

#### 6.2.1.1. პროდუქტის აღწერა, გამოყენების წესები, მოსალოდნელობის მითითება

პროდუქტის აღწერა მიანიშნებს, თუ რისთვის იქნა ეს პროდუქტი წარმოებული; პროდუქტის გამოყენების წესები ზღუდავს მისი გამოყენების შესაძ-

<sup>131</sup> ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.16, 133.

<sup>132</sup> ob. Feil M.E., „Produkthaftung, Produktsicherheit, Verbraucherschutz beim Fernabsatz”, kurzkommentar fur die praxis, Linde Verlag, Wien, 2001, 32, Rn.1.

<sup>133</sup> ob. Landscheidt C., Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, 63, Rn.40.

<sup>134</sup> ob. Nettelbeck B.I, Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995, 31.

ლებლობებს, რომელიც მოსალოდნელი იყო მისგან. უნდა აღიწეროს პროდუქტის სწორი გამოყენება. პროდუქტის განმარტებანი ადვილად გასაგები უნდა იყოს საშუალო დონის მომხმარებლისათვის და<sup>135</sup> შეძლებისდაგვარად, მრავალენოვანი უნდა იყოს. არასწორი გამოყენების შემთხვევაში მითითებას საჭიროებს მოსალოდნელი საშიშროება. არ არის სავალდებულო რომ პროდუქტი ამ ინფორმაციით, მითითებებით გადაიტვირთოს. ამ მითითებების მოცულობა იმ ოდენობის უნდა იყოს, რომ ყველამ შეძლოს მისი წაკითხვა.<sup>136</sup>

### 6.2.12. რეკლამა

რეკლამის შემთხვევაში ზოგადი, საყოველთაო გამონათქვამები ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს პროდუქტის მოსალოდნელ უსაფრთხოებაზე.<sup>137</sup> აქ იგულისხმება ის ბანალური გამონათქვამები, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება და მომხმარებელზე ზეგავლენას ახდენს. მართალია, რეკლამის მიზანი მომხმარებელზე ზეგავლენის მოხდენაა, მაგრამ მან არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი შეცდომაში. მაგალითად ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ერთადერთი საშუალება“, „უმაღლესი ხარისხის პროდუქცია 1 ლარად“ და ა.შ.

### 6.2.13. გამაფრთხილებელი მითითებანი

მითითებებში ზუსტად და გარკვევით უნდა იყოს აღწერილი ის საშიშროებანი და შედეგები, რაც შეიძლება მოჰყეს პროდუქტის გამოყენების წესის, მითითებების გაუთვალისწინებლობას.<sup>138</sup> გაფრთხილების ვალდებულების მიზანია მომხმარებელმა თავი დაიცვას იმ შესაძლო საფრთხისგან, რომელსაც იგი ვერ გაითვალისწინებდა.<sup>139</sup>

ამდენად, პროდუქტის შეთავაზებაში იგულისხმება პროდუქტის აღწერა, რეკლამირება, მოხმარების წესები, მითითებანი საშიში, სახიფათო პროდუქტის თვისებებზე. გაფრთხილებანი, ცხადად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული,<sup>140</sup> ანუ პროდუქტის შეთავაზებაში უნდა გავიგოთ ყველა საქმიანო-

<sup>135</sup> იქვე, 32.

<sup>136</sup> იქვე, 33.

<sup>137</sup> იქვე, 33-34.

<sup>138</sup> იქვე, 35.

<sup>139</sup> ი. მ. Feil M. E., „Produkthaftung, Produktsicherheit, Verbraucherschutz beim Fernabsatz”, kurzkommentar fur die praxis, Linde Verlag, Wien, 2001, Rn.2, 34.

ბა, ყველა გარემოებათა ერთიანობა, რომელთა გათვალისწინებით, მწარმოებელს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს.<sup>140</sup>

მოხმარების წესების ჩამოყალიბებისას მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვადასხვა გარემოებები, კერძოდ, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მოხმარების წესები არ უნდა შეიცავდეს არასრულფასოვან, გაუგებარ ან არასწორი მონტაჟის წესებს, გამოყენების რჩევებს, არასწორ, გაუგებარ ან არასრულყოფილ ტექნიკურ მონაცემებს, მასში აუცილებელია პროდუქტის საშიშროების შესახებ შეძლებისდაგვარად კონკრეტული და ნათელი მითითება, ასევე პროდუქტის არასწორად გამოყენების მავნე შედეგების შესახებ გაფრთხილება და ა.შ.

ტექნიკური თვალსაზრისით, მოხმარების წესები უნდა იყოს გასაგები, გამართული ენით, მოკლე წინადადებებით ჩამოყალიბებული, უცხო სიტყვებით და საგნობრივი ტერმინებით ნაკლებად დამძიმებული. იგი არ უნდა შეიცავდეს სიტყვიერ გადაჭარბებას პროდუქტის თვისებებზე, რათა მომხმარებელს არ გაუდვიძოს მცდარი წარმოდგენა მის შესახებ; გათვალისწინებული უნდა იყოს განსხვავებულ ხალხთა მენტალობა და ა.შ.<sup>141</sup>

## 6.2.2. პროდუქტის გამოყენება, რომელიც საშუალოდ გათვალისწინებული უნდა იყოს

აქ იგულისხმება პროდუქტის განსაზღვრული მიზნით გამოყენება. მწარმოებელმა არ უნდა აგოს პასუხი იმ ზიანისათვის, რომელიც პროდუქტის ბოროტად გამოყენების შედეგად წარმოიშობა. რთულია ზღვარის გავლება ბოროტად გამოყენებასა და წინასწარ განსაჭვრებ არასწორ გამოყენებას შორის. მწარმოებელი ვალდებულია, პროდუქტის არასწორი გამოყენება, რომელსაც იგი წინასწარ ხედავს, აღმოფხვრას. კერძოდ კი, მომხმარებელი გააფრთხილოს და მიუთითოს პროდუქტის შესაძლო საშიშროების შესახებ.<sup>142</sup>

<sup>140</sup> ob. Schlechtriem P., Angleichung der Produkthaftung in der EG, Versicherungsrecht, Heft 41 (A), Verlag Versicherungswirtschaft e.V., 1986, 1036.

<sup>141</sup> ob. Heck H. J., Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, Kommentar, 3 Aufl. Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 57.

<sup>142</sup> ob. Bodenschatz W., Fichna G., Voth D., Produkthaftung, Verlag moderne Industrie, 3 Aufl. Frankfuhr/M. 1988, 19.

### **6.2.3. სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დრო და პროდუქტის შემდგომი გაუმჯობესება**

ნაკლის შეფასებისას გადამწყვეტი დრო არის ის მომენტი, როდესაც ეს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში იქნა შეტანილი. პროდუქტი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანისას ჩვეულებრივი უსაფრთხოების მოლოდინს შეიცვდა და ამასთან უნაკლო იყო, მოგვიანებით ამით არ გახდება ნაკლის მქონე, თუკი შემდგომ, მომავალში, უსაფრთხოების მოლოდინი გამძაფრდება ანუ გამკაცრდება.<sup>143</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.“<sup>144</sup> Prod-HaftG-ის მე-3 პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, ასევე პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად, მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით, უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა სამოქალაქო ბრუნვაში შემოტანილი. გაუმჯობესებული მოდელის შექმნა არ გულისხმობს იმას, რომ ადრინდელი მოდელი ნაკლს შეიცავდა. დავის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია, პროდუქტის მოხმარების ან დამატებითი გარემოებების საფუძველზე (მაგალითად, როცა სხვა მწარმოებელმა გაუმჯობესებული მეთოდით აწარმოა პროდუქტი, მაგრამ ასევე საშუალო მომხმარებლის უსაფრთხოების მოლოდინი გაითვალისწინა), მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ყველა პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანისას შეიძლება ნაკლის მქონე აღმოჩნდეს. ამ დროს არ იგულისხმება პროდუქტის გაუმჯობესება.

ამგვარ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს სასამართლო მაშინაც, როცა პროდუქტის თვისებრივი ცვლილება მაღე ისევ შეცვლას დაექვემდებრება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროდუქტის პირველი თვისებრივი ცვლილება ტექნიკურად ჯერ კიდევ დაუსრულებელი (არასრულყოფილი) იყო და ამის გამო, იგი ნაკლიანი, უხარისხო აღმოჩნდა.<sup>145</sup>

<sup>143</sup> ი. სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დრო და პროდუქტის შემდგომი გაუმჯობესება

<sup>144</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997.

<sup>145</sup> ი. კულმან ჰ. პროდუქტურული სამოქალაქო კოდექსი, „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3. Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 115.

პროდუქტთა შედარებითობა არ ნიშნავს სრულ მსგავსებას, ინდეტობას. პროდუქტთა გაუმჯობესება პირველ რიგში გულისხმობს მისი კონსტრუქციის გაუმჯობესებას, თუმცა, ეს არ გამორიცხავს თვით პროდუქციის წარმოების ან ინსტრუქციის გაუმჯობესებას. ორივე შედარებითი პროდუქტი არ უნდა იქნეს წარმოებული ერთი და იმავე მწარმოებლისაგან. პროდუქტის გაუმჯობესება არ ნიშნავს იმას, რომ ძველი ნაკლისშემცველი იყო.<sup>146</sup>

„გაუმჯობესებული პროდუქტის ხარისხი არ არის ნაკლის დადასტურების მტკიცებულება ძველი პროდუქტისათვის.“<sup>147</sup>

#### 6.2.4. სხვა გარემოებები

როგორც ქართული, ისე ევროპული კანონმდებლობა (ევროკავშირის დოკუმენტის ჩათვლით) ადგენს პროდუქტის უსაფრთხოების კრიტერიუმების ფართო წრეს. ამ კ.წ. „ყველა გარემოებაში“, რომელთა გათვალისწინებით პროდუქტის უსაფრთხოება დგინდება, შედის ასევე ის ზოგიერთი გარემოება, რომელზეც ცალკე მსჯელობენ დოქტრინაში. ერთ-ერთი ასეთი გარემოებაა პროდუქტის ფასი.

ეჭვგარეშეა საზოგადოების ის შეხედულება, რომ ძვირადღირებული პროდუქტი მაღალი ხარისხისაა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მაღალ გარანტიებს იძლევა. თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ დაბალფასიანი პროდუქცია საერთოდ უხარისხოა ან საფრთხისმქონეა. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეოქვა, რომ ნაკლები ღირებულების მქონე ნივთი შესაძლოა დაბალი ხარისხის იყოს, მაგრამ შეიცავდეს ხარისხის იმ მინიმუმს, რაც მისი გამოყენებისას უზრუნველყოფს „უსაფრთხოებას“, ანუ მომხმარებლის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს თუ ქონებას არ უნდა მიადგეს სერიოზული ზიანი. მაგალითად, ორი ავტომობილის შედარებისას, ერთი, რომელიც ძვირადღირებულია და აღჭურვილია დამატებით სხვადასხვა აქსესუარით, ხოლო მეორე, რომელიც დაბალფასიანია, შეიცავს ავტომობილის ექსპლუატაციისთვის საჭირო დანადგარებს, ნაწილებს, სწორად უნდა დავადგინოთ მინიმალური და მაქსიმალური ხარისხი. მაქსიმალური ხარისხი ჩანს პირველ შემთხვევაში, ვინაიდან ავტომობილი შეიცავს როგორც მისი გამოყენებისათვის აუცილებელ

<sup>146</sup> ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, 1990, Rn.46,142..

<sup>147</sup> ob. Dr.Friedrich Graf v.Westphalen, Das neue Produkthaftungsgesetz, NJW, Köln, 1990, 83.

ნაწილებს, ისე კომფორტისათვის საჭირო დანადგარებს. მინიმალური ხარისხისაა მეორე შემთხვევა. აღნიშნული დანადგარების არქონის შემთხვევაში პროდუქტი ჩაითვლება როგორც უხარისხოდ, ისე საფრთხის შემცველად. მაგალითად, თუკი ავტომობილის ძრავას თავიდანვე პრობლემა აღმოაჩნდება, ეს უკვე კონსტრუქციული ნაკლია; ან თუკი საქარე მინის გამოყენების წესები არასწორ მითითებას შეიცავს, ეს ინსტრუქციული ნაკლია.<sup>148</sup> მართალია, მაღალი ხარისხის უსაფრთხოებას თავისი ფასი აქვს, თუმცა, იაფ პროდუქტსაც უნდა გააჩნდეს მინიმალური ხარისხი; ანუ ამ პროდუქტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს დაწესებული მინიმალური სტანდარტი. მომხმარებლისთვის გარანტირებული უნდა იყოს პროდუქტის განსაზღვრული საბაზო, საწყისი უსაფრთხოება. მაგალითად, იაფი სამზარეულოს გაზქურისგან არ უნდა მოვალოდოთ, რომ ის განსაკუთრებული უსაფრთხოების მოწყობილობით იქნება აღჭურვილი, მაგალითად, გამაფრთხილებელი მოწყობილობით, რომელსაც მხოლოდ ძვირადღირებული ნივთები შეიცავს.<sup>149</sup>

პროდუქტის უსაფრთხოების მეორე გარემოება, მომხმარებელთა დაცვაა, ანუ რამდენადაა დაცული მათი უფლებები. მომხმარებელთა უფლებების დამცველი კანონები, უპირველეს ყოვლისა, მათ ინტერესებს იცავს და იძლევა ამ უფლებების დაცვის გარანტიებს. სხვაგვარად არის საქმე, როდესაც ნივთი, პროდუქტი მომხმარებლის მფლობელობაში აღმოჩნდება ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვის შედეგად. შესაბამისად, ისინი არაუფლებამოსილნი არიან, ელოდონ რაიმე უსაფრთხოებას პროდუქტისაგან. თუკი მწარმოებელს მოპარავენ პროდუქტს ან სხვა არასამართლებრივი გზით გავა ის მისი მფლობელობიდან, მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან თვითონ მას არ გაუტანია პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში.<sup>150</sup>

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ეხება ელექტროენერგიის მიუწოდებლობის შემთხვევას. მართალია, დღევანდელი ქართული კანონმდებლობით ელექტროენერგია პროდუქტის ცნებაში აღარ შედის, მაგრამ, ამჯერადაც გავიმეორებ, რომ ელექტროენერგიის მიუწოდებლობით დამდგარი ზიანი არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წუნდებული პროდუქტით მიყენებულ ზიანი,

<sup>148</sup> იბ. *Fitz H., Purtscheller M., Reindl P., Produkthaftung, Das Produkthaftungsgesetz - prägnant kommentiert*, Wien, 1988, Rn.31, 74.

<sup>149</sup> იბ. *Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar*, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 110.

<sup>150</sup> იბ. *Fitz H., Purtscheller M., Reindl P., Produkthaftung, Das Produkthaftungsgesetz - prägnant kommentiert*, Wien, 1988, Rn.36, 78.

რადგანაც ის სამოქალაქო ბრუნვაში არ გასულა. ვინაიდან აქ საერთოდ არ გვაქვს პროდუქტი, ლოგიკურია, რომ ზიანიც ვერ იქნებოდა მისგან გამოწვეული.<sup>151</sup>

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ პროდუქტის უსაფრთხოების მოლოდინი დამოკიდებულია ცალკეული პროდუქტის ბუნებაზე. მაგალითად, ზოგიერთი პროდუქტის მოხმარების გვერდითი მოვლენები საშიშია, ნეგატიურია, ვინაიდან მისი სხვაგვარად წარმოება გამორიცხულია. ან ეს გვერდითი მოვლენა თვით პროდუქტშია, მაგალითად, თამბაქოს ან ალკოჰოლის გამოყენებისას.<sup>152</sup>

პროდუქტის საშიშროება, რომელიც ამ პროდუქტის ბუნებიდან, სახეობიდან მოდის, არ აქვევს მას ნაკლისმქონედ. მაგალითად, მჭრელი დანის გამოყენებისას შეიძლება დაზიანდეს ადამიანი. ამ დროს არ არსებობს ისეთი საშუალება, რომ ამ საშიშროებისაგან, რისკისგან დაცული ვიყოთ. ანალოგიურია ალკოჰოლის თუ იარაღის გამოყენების შემთხვევები. მაშასადამე, პროდუქტის საშიში ფუნქცია არ აქვევს მას ნაკლის მქონედ.<sup>153</sup>

ადნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები:

1. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მიღებამ გამოიწვია სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ზოგიერთი სპეციალური კანონის გაუქმება. სამოქალაქო კოდექსი უხარისხო პროდუქტის ნაცვლად იყენებს წუნდებული პროდუქტის ტერმინს. ამ ტერმინის გერმანულ შესატყვისში წუნიან პროდუქტზე საუბარი და არა უხარისხო პროდუქტზე. ეტიმოლოგიურად უხარისხო და წუნიანი პროდუქტი ერთ შინაარსს გადმოსცემს.

2. რაც შეეხება უხარისხობის დადგენის კრიტერიუმებს, ამ კუთხით პრობლემა არსებობს როგორც ქართულ, ისე ევროპულ სამართალში. წუნდებული პროდუქტის ცნება იმდენად აფართოებს ხარისხის დადგენის კრიტერიუმებს, ძნელია განსაზღვრო, რა ჩაითვალის წუნდებულად და რა – არა. ადსანიშნავია, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი უფრო მეტად აკონკრეტებს ამ გარემოებებს. სამოქალაქო კოდექსში,

<sup>151</sup> იქვე, Rn. 42, 80.

<sup>152</sup> იხ. Harald B., Produkthaftung nach neuem EG-Recht, Kommentar zum deutschen Produkthaftungsgesetz, Verlag moderne Industrie, Landsberg/Lech, 1989, Rn.40, 199.

<sup>153</sup> იხ. Nettelbeck B. I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995,39.

ამ მხრივ, ცვლილებები არ შესულა. ლოგიკურია, რომ კანონმდებლობა ერთმანეთს შეესაბამებოდეს.

3. აღსანიშნავია აგრეთვე პროდუქტის ნაკლოვანებათა სახეები. გერმანული სამართალი იცნობს ნაკლის ისეთ სახეებს, როგორებიცაა: ინსტრუქციული, ფაბრიკული თუ კონსტრუქციული ნაკლი. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ქართულ კანონმდებლობაში არაფერი შეცვლილა. ადრე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი“, რომელიც უკვე გაუქმებულია, ადგენდა ნაკლოვანებათა ორ სახეობას: არსებითსა და არაარსებითს.

4. მნიშვნელოვანია მწარმოებლის დელიქტური სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები, როგორიცაა, სამოქალაქო ბრუნვაზე ზრუნვის ვალდებულება, მეთვალყურეობის ვალდებულება და ა.შ. გერმანული სამართალი წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას როგორც ცალკე სპეციალური კანონით, ისე დელიქტური სამართლით აწესრიგებს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი მწარმოებელს/იმპორტიორს გარკვეულ ვალდებულებებს უდგენს, რომელიც ნაწილობრივ ეხმიანება გერმანულ სამართალს. აღნიშნულ ვალდებულებათა დარღვევისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

## IV. პასუხისმგებლობა

### 1. პასუხისმგებლობის სუბიექტები

მთავარი კითხვა, რომელზედაც პასუხი უნდა გაეცეს, პრაქტიკული თვალსაზრისით, ისაა, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის? დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ მისი დარღვეული უფლებები აღდგენილ იქნეს, ანუ განხორციელდეს რესტიტუცია, თუკი არაა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. რა თქმა უნდა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასე ცალსახად პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდება. ამასთან, საჭიროა ისეთი საკანონო საკითხის განხილვა, როგორიცაა ბრალი (ბრალეული თუ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა). მასთან ერთად განსახილველია მიზე-ზობრივი კაგშირი დამდგარ შედეგსა და მოქმედებას შორის და ა.შ. მაშასადამე, პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრის დადგენა არ გულისხმობს მასზე პასუხისმგებლობის უცილოდ დაკისრებას. კანონი, უბრალოდ, ასახელებს პოტენციურ სამართალდამრღვევთა წრეს, რომელთა არასწორი, თუ გაუთვალისწინებელი, მოქმედებებით დადგა ზიანი.

თუმცა, „იმის გამო, რომ მწარმოებლის ცნება საკმაოდ ფართოა და ერთ წუნდებულ პროდუქტს ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მწარმოებელი ჰყავდეს, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები და, ზოგადად, მწარმოებლად იდენტიფიცირებულ პირთა სიმრავლე.”<sup>154</sup>

თავდაპირველად განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ (დადგენილ) პასუხისმგებელ პირებს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის დადგომისას და, იმავდროულად, პარალელს გავაკეთებთ ევროპულ სამართალთან.

როგორც ქართული, ისე ევროპული სამართალი პასუხისმგებელ პირთა შორის, პირველ რიგში, მოიაზრებს პროდუქტის მწარმოებელს. სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები ქება მწარმოებლის ცნებას, აგრეთვა, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-4

<sup>154</sup> ბენდულიანი ო., ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ხტუდენტური სამართლებრივი უურნალი, გამოცემლობა GIZ, 2014, 41.

და მე-6 მუხლებში მოცემულია პასუხისმგებელ სუბიექტთა ჩამონათვალი. ქართული სამართალი ნაწილობრივ იზიარებს გერმანული სამართლის და ევროპაგმირის დირექტივის რეგულირებას.

ვიდრე თითოეულ სუბიექტს დავახასიათებდეთ, ცალკე განვიხილოთ მწარმოებელთა ზოგადი ჯგუფები, კერძოდ, მწარმოებელთა ჯგუფის პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროდუქტის შექმნა-დამზადებაში, ეს იქნება მთლიანი პროდუქტი თუ მისი ნაწილი; აგრეთვე, ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომელთაც პროდუქტზე, მის წარმოებაზე ორგანიზაციული ძალაუფლება აქვთ; მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებთაც, პირიქით, არ აქვთ პროდუქტზე ე.წ. ორგანიზაციული ძალაუფლება და, შესაბამისად, არც არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ მთლიანი პროდუქტის თუ მისი ნაწილის შექმნა-დამზადებაში. ეს ორი ძირითადი ჯგუფი აერთიანებს ქართული თუ ევროპული კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ცალკეულ სუბიექტებს.

## 1.1. ფაქტობრივი მწარმოებელი

სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ფაქტობრივი მწარმოებელი ესაა „მწარმოებელი საბოლოო პროდუქტის, ძირითადი ელემენტის ან პროდუქტის ნაწილისა.“ შინაარსობრივად იმავე დეფინიციას იძლევა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი. კერძოდ კი, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის „პ“ და „ა“ ქვეპუნქტების თანახმად, პროდუქტის ფაქტობრივი მწარმოებელია „დასრულებული პროდუქტის, ნედლი მასალის ან პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი, პროდუქტის გადამკეთებელი (მ.4,ნ.4,პ.”ა“). როგორც ჩანს, მწარმოებლის ცნება ორივე შემთხვევაში პროდუქციის წარმოებას უკავშირდება. მთავარია, რომ პასუხისმგებლობის პოტენციურმა სუბიექტმა გარკვეული მონაწილეობა მიიღოს პროდუქტის შექმნა-დამზადებასა თუ გადაკეთებაში. მნიშვნელობა არა აქვს, რა სახის, ნაწილის იქნება ეს პროდუქტი, ის მაინც მწარმოებელთა რიცხვში გადის.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, დოქტრინა მწარმოებელთა აღნიშნულ კატეგორიაში მოიხსენიებს საბოლოო პროდუქტის, ძირითადი ელემენტის თუ პროდუქტის ნაწილის ფაქტობრივ მწარმოებელს.<sup>155</sup> მთავარი აქ ის არის,

<sup>155</sup> „tatsächliche Hersteller“

სად წარმოიშვა პროდუქტის ნაკლი. საბოლოო პროდუქტის თუ ძირითადი ელემენტის მწარმოებელს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან მის მიერ საბოლოო პროდუქტის შექმნისას პროდუქტის ნაწილის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი. აქ დასადგენია პროდუქტის ნაკლი სახე – კონსტრუქციულია ის, ფაბრიკული თუ ინსტრუქციული. მისი დაზუსტება კი პასუხისმგებელი პირის დადგენას ნიშნავს.

ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის I ნაწილისა და პირველი პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, პროდუქტის ნაწილის ე.წ. მიმწოდებელს ეკისრება იმისი მტკიცების ტვირთი, რომ საბოლოო პროდუქტის ნაკლი მის მიერ მიწოდებული პროდუქტის ნაწილისგან კი არ წარმოშობილა, არამედ ნაკლი საბოლოო პროდუქტის მთლიანი კონსტრუქციის შედეგია.<sup>156</sup> მაშასადამე, თუკი პროდუქტს დაუდგინდება კონსტრუქციული ნაკლი, ამ შემთხვევაში პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. პასუხს აგებს მხოლოდ საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი, რომელმაც არასწორი დაგეგმარების შედეგად კონსტრუქციულად ნაკლიანი პროდუქტი შექმნა. მას ორგანიზაციული ძალაუფლება გააჩნდა წარმოებაზე, შესაბამისად, მეტი წინდახედულება და გულისხმიერება მოეთხოვებოდა წარმოების პროცესის მიმართ, კერძოდ კი, პროდუქტის ნაწილის გადამუშავებისას. „მას ეკისრება ვალდებულება პროდუქტის ნაწილების „მიმწოდებელი“ გულდასმით აირჩიოს და ცალკეული ნაწილები, რომელიც მან საბოლოო პროდუქტის შექმნისას უნდა გამოიყენოს, ხარისხობრივად შეამოწმოს.“<sup>157</sup>

„საბოლოო პროდუქტი არის იმ სახის პროდუქტი, რომელიც მომხმარებლისთვის არის გამიზნული და არ საჭიროებს არანაირ შეცვლას თუ დამატებას. იმ სახის მოქმედების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად, წამალში წყლის გაზავება, ელექტრომოწყობილობის დენის წყაროში შეერთება და ა.შ. არ ცვლის საბოლოო პროდუქტის თვისებას. შესაბამისად, მისი მომხმარებელი მწარმოებლად არ ჩაითვლება.“<sup>158</sup>

რთულად გასამიჯნია ერთმანეთისგან პროდუქტის ნაწილისა და ძირითადი ელემენტის მწარმოებელი. ორივე მათგანი, ჯამში, საბოლოო პროდუქტის

<sup>156</sup> ob.Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.648, 257.

<sup>157</sup> ob. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 14.

<sup>158</sup> ob. Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3.Aufl.,Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 121.

დამზადებისთვის გამოიყენება. თუკი ის თავიდანვე, მისი საბოლოო პროდუქტში გადამუშავებამდე, ნაკლიანი იყო, მაშინ დგება მათი მწარმოებლის პასუხისმგებლობა. ხოლო, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, თუკი ზიანი საბოლოო მწარმოებლის არასწორი კონსტრუქციის შედგენის ან არასწორი გადამუშავების შედეგად დადგა, პროდუქტის ნაწილის ან ძირითადი ელემენტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. თუმცა, მათვე ეკისრებათ, აგრეთვე, გაფრთხილების ვალდებულება პროდუქტის საშიში თვისებების შესახებ.

რაც შეეხება მემონტაჟეს,<sup>159</sup> ის საბოლოო პროდუქტის მწარმოებლად მიიჩნევა. კერძოდ კი მაშინ, „როდესაც გამზადებული ნაწილების შეერთების გზით მთლიან პროდუქტს შექმნის.“<sup>160</sup> მონტაჟად არ ჩაითვლება საბოლოო პროდუქტი, როდესაც ის მომხმარებელთა მიერ მისი ნაწილების შეერთების შემდეგ წარმოიშობა.

მწარმოებლის ცნებაში, მემონტაჟესთან ერთად, შეიძლება განვიხილოთ ლიცენზიის ამდები პირი. ის პასუხს აგებს, აგრეთვე, დელიქტური სამართლითაც. აქ პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადამწყვეტია ის, რომ ლიცენზიის ამდებმა ნაკლიანი პროდუქტი აწარმოა და სამოქალაქო ბრუნვაში გაიტანა.<sup>161</sup> ის პასუხს აგებს იმ კონსტრუქციული ნაკლისათვის, რომელიც წარმოების პროცესში ან კონსტრუქციულ გეგმაში წარმოიშვა, რომელიც სწორედ ლიცენზიის საგანი გახდდათ.<sup>162</sup>

ProdHaftG-ის მე-5 პარაგრაფის თანახმად, პროდუქტის ნაწილის მწარმოებელმა შესაძლოა, საბოლოო პროდუქტის მწარმოებელთან ერთად, სოლიდარულად აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის. სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს იმას, რომ დაზარალებულმა შეიძლება ორივე მათგანს წაუყენოს მოთხოვნა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად გვევლინება საბოლოო მწარმოებელი, ვინაიდან დაზარალებულისათვის ხშირ შემთხვევაში უცნობია პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის ვინაობა. რადგანაც საბოლოო პროდუქტის მწარმოებელსა და პროდუქტის ნაწილის მწარმოებელს სამეწარმეო სფეროში აქვთ ურთიერთობა, „აუცილებადი პასუ-

<sup>159</sup> „Assemblier“

<sup>160</sup> ob. Behrens H.J., *Produkthaftung in Ausfüllung der EG-Richtlinie nach den englischen und deutschen nationalen Regeln*, München: VVK, 1991, 185.

<sup>161</sup> ob. Schlutz J.H., *Ingolstadt G.*, Haftungstatbestände des Produkthaftungsrechts, DSTR, 1994, 791, 4.

<sup>162</sup> ob. Heck H. J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte*, Kommentar, 3 Aufl. Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 62.

ხისმგებლობის”<sup>163</sup> დადგომის შესახებ ნორმა, ამ კანონის თანახმად არ მოქმედებს, ვინაიდან ის კერძო მომხმარებელთან ურთიერთობებს მოიცავს.<sup>164</sup>

თუკი პროდუქტის ნაწილის მწარმოებელს პროდუქტის ნაწილის შესახებ სპეციალური ცოდნა გააჩნია, მაშინ საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი არ არის ვალდებული ყველა ღონისძიება ჩაატაროს მისი ხარისხიანობა-ვარგისიანობის შემოწმებისას. საკმარისია მხოლოდ ცდები.<sup>165</sup>

## 1.2. „ვითომ მწარმოებელი“

პასუხისმგებლობის მეორე სუბიექტს წარმოადგენს „ვითომ მწარმოებელი“. სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, „მწარმოებლად მიიჩნევა ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი.“<sup>166</sup> „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის თანახმად, მწარმოებლად ჩაითვლება - „ნებისმიერი სხვა პირი, რომლის სახელი, საგაჭრო ან სხვა განმასხვავებელი ნიშანი განთავსებულია პროდუქტზე და რომელიც თავს ამ პროდუქტის მწარმოებლად წარმოადგენს.“<sup>167</sup> სამოქალაქო კოდექსი დაახლოებით ანალოგიურ ფორმულირებას იძლევა. 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, „მწარმოებლად მიიჩნევა ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი.“ როგორც ვხედავთ, მწარმოებელი არანაირ მონაწილეობას არ იღებს პროდუქტის წარმოების არც ერთ ეტაპზე, ეს იქნება მისი დამზადება-გარდაქმნა, დაგეგმარება თუ მხოლოდ ორგანიზაციული ზედამხედველობა. ის მხოლოდ გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებს მომხმარებელთა წინაშე თავისი სახელის, სასაქონლო ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის პროდუქტზე მიბმით. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, „ვითომ მწარმოებლის“ პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როდესაც მის სასაქონლო ნიშანს, მის სახელს ბაზარზე ხარისხის საიმედოო-

<sup>163</sup> „Auffangshaftung“

<sup>164</sup> ob. Heck H. J., Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, Kommentar, 3 Aufl. Verlag Erich Schimdt, Berlin, 2001, 62.

<sup>165</sup> ob.. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 51.

<sup>166</sup> ob. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, №31..

<sup>167</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 2012 წელი, №6157-II.

ბის ნიშნად აღიქვამენ მომხმარებლები და გარკვეული ნდობით სარგებლობენ მათ თვალში. სწორედ ამ ნდობის თუ იმედის გაცრუებისთვის შესაძლოა დადგეს ფაქტობრივ მწარმოებელთან ერთად მათი პასუხისმგებლობაც. „ვოთომ მწარმოებელი“ ძირითადად პასუხს აგებს პროდუქტის კონსტრუქციული და ფაბრიკული ნაკლისათვის, როდესაც მომხმარებელი მის სახელსა და სასაქონლო ნიშანს დიდ ნდობას უცხადებდა და მნიშვნელობას ანიჭებდა. პასუხისმგებლობის ეს წესი, ძირითადად, უმაღლეს სასამართლოებში ჩამოყალიბდა.<sup>168</sup>

როდესაც პირს სხვისი ნაწარმოები პროდუქტი მხოლოდ მისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით გამოაქვს და მომხმარებელს უდგიმებს, უქმნის აზრს, რომ ის მწარმოებელია, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი ფორმით არ მიუღია მონაწილეობა პროდუქტის შექმნაში, ის ამ სავაჭრო ნიშნის გამოყენებით, არ არღვევს მასზე დაკისრებულ სამოქალაქო ბრუნვაზე ზედამხედველობის ვალდებულებას.<sup>169</sup>

„ვითომ მწარმოებელს“ შესაძლოა დაეკისროს პროდუქტზე ზედამხედველობის პასიური ვალდებულება. კერძოდ კი, პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში შემოტანის შემდგომ, მას შესაძლებელია გარკვეული ვალდებულებები შეხვდეს. ვინაიდან ნამდვილი, ფაქტობრივი მწარმოებელი უმეტეს შემთხვევაში მომხმარებელთათვის ცნობილი არ არის, შესაძლო შეცილებანი მან უნდა მიიღოს და შემდგომ ფაქტობრივ მწარმოებელს გადააკისროს.<sup>170</sup>

მწარმოებლის სახელის პროდუქტზე მარკირება არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად სავაჭრო სამართლებრივი ფირმა იყოს. პერსონის სამოქალაქო სახელიც საკმარისია მწარმოებლად მისი წარმოჩენისათვის.<sup>171</sup> მომხმარებელი არ არის ვალდებული შიდაგამოძიება, კვლევები ჩაატაროს პროდუქტის წარმოშობის თუ წარმოების შესახებ. მან ის უნდა ჩათვალოს მწარმოებლად, ვინც საკუთარი სახელით ასაღებს პროდუქტს. სხვაგვარად არის საქმე, როდესაც პირი არამარტო მისი წარმოშობის ადგილზე მიუთითებს მომხმარებელს, არამედ კონკრეტულ მითითებას შეიცავს ფაქტობრივი მწარმოებლის შესახებ. მაგალითად: როდესაც პროდუქტზეა დატანილი, რომ პროდუქტი „X“ ფირმის

<sup>168</sup> ი. ხ. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.649, 257.

<sup>169</sup> ი. ხ. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 18.

<sup>170</sup> ი. ხ. Nettelbeck B.I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg..., 1995, 139.

<sup>171</sup> ი. ხ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.28, 154.

მიერ პონკ-კონგში იქნა ნაწარმოები, გამოდის, რომ პასუხისმგებლობა იმპორტიორს ეკისრება.<sup>172</sup>

სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელ ნიშანში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაყენებელი ყველა ნიშანი, როგორიცაა, მაგალითად, გამყიდველის, ფირმის სახელი, საწარმო ნიშანი და ა.შ.<sup>173</sup>

„ვითომ მწარმოებლად“, გერმანული სამართლის მიხედვით, გვევლინებიან მოვაჭრები, ე.წ. დიდი სავაჭრო სახლები, რომლებიც პასუხს აგებენ კლიენტის წინაშე, რომელთათვის სრულიად უინტერესოა ნამდვილი მწარმოებლის სახელი, მთავარია, რომ ხარისხის მოლოდინი გამართლდეს“,<sup>174</sup> ანუ მოვაჭრები ნამდვილი მწარმოებლისგან ღებულობენ ნებართვას თავიანთი სასაქონლო ნიშნით ბაზარზე გაიტანონ პროდუქტი და, შესაბამისად, თვითონ აგებენ პასუხს მის ხარისხზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ვითომ“ მწარმოებელს ე.წ. აუცილებელი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. კერძოდ კი, იმპორტიორისგან თუ მიმწოდებლისგან განსხვავებით, ის არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ფაქტობრივი მწარმოებელიც რომ დაუსახელოს მომხმარებელს.

### 1.3. მიმწოდებელი

„მიმწოდებელია ნებისმიერი პირი, ვისაც პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს. მას შესაძლებელია მივაკუთვნოთ არა მხოლოდ პროდუქტის გამყიდველი, არამედ სხვა პირიც, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა. მაშასადამე, გამქირავებელი, ლიზინგის გამცემი და ა.შ. ნებისმიერი ფორმა კომერციული საქმიანობისა მიმწოდებლის ნიშანს შეიცავს.“

თუკი პროდუქტი რამდენიმე მიმწოდებლის ხელში გაივლის, თითოეული მიმწოდებელი უნდა განვიხილოთ პოტენციურ მწარმოებლად და არა მხოლოდ უკანასკნელ მიმწოდებლად. ეს გამომდინარეობს თითოეული მიმწოდებლის ვალდებულებისგან, დაასახელოს წინა მიმწოდებელი. როგორც ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-3 წინადადებიდან გამომდინარეობს, მიმწოდებლად მიიჩნევა იმპორტიორი. გვხვდება „ვითომ მწარმოებელიც“ – მწარმოებელთან გათა-

<sup>172</sup> Ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.28, 155.

<sup>173</sup> Ob. Dr.Friedrich Graf v.Westphalen, Das neue Produkthaftungsgesetz, NJW, Köln, 1990, 10.

<sup>174</sup> Landscheidt C., Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn.59, 82.

ნაბრებული მიმწოდებლი, როდესაც ის პროდუქტს მესამე პირის სასაქონლო ნიშნით აწარმოებს მისივე თანხმობით, მაგრამ ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის ვინაობა დაუდგენელია.<sup>175</sup>

მაშასადამე, პასუხისმგებელ პირთა შორის, მიმწოდებელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თუმცა, პასუხისმგებელ პირად რომ ჩაითვალოს, ის უნდა მივიჩნიოთ მწარმოებლად. ამისათვის კი კანონი განსაზღვრულ წინაპირობებს აწესებს. თუკი მიმწოდებელი დაზარალებულის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში არ დაასახელებს ფაქტობრივ მწარმოებელს (ეს იქნება საბოლოო პროდუქტის, პროდუქტის ნაწილის თუ ძირითადი ელემენტის მწარმოებელი) ან წინა მიმწოდებელს, თუკი პროდუქტი მიმწოდებელთა ჯაჭვში მოძრაობდა, მაშინ ის ჩაითვლება პროდუქტის მწარმოებლად და, შესაბამისად, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხსაც აგებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ პასუხისმგებელ პირად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არა აქვს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: მიიღო თუ არა მან გარკვეული მონაწილეობა პროდუქტის დამზადება-შექმნაში; აქვს თუ არა პროდუქტზე უსაფრთხოების კრიტერიუმების დაცვის ვალდებულება, სამოქალაქო ბრუნვაზე ზედამხედველობის ვალდებულება, პროდუქტის საშიში თვისებების შეტყობინების ვალდებულება და ა.შ. გადამწყვეტი არის ის, რომ დაზარალებულის ხელში აღმოჩნდა ანონიმური ნაკლიანი პროდუქტი, რომელიც სწორედ ამ მიმწოდებელმა მიაწოდა. შესაბამისად, მისი მხრიდან მწარმოებლის ან წინა მიმწოდებლის ვინაობის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო, ეკისრება პასუხისმგებლობა. ფაქტობრივად იკვეთება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. თუკი ბრალი ისაა, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო სცოდნოდა ნამდვილი მწარმოებლის ან მიმწოდებლის ვინაობა, მაშინ საკითხავია, საქმე გვაქვს თუ არა „აუცილებად პასუხისმგებლობასთან“,<sup>176</sup> როგორც ეს გერმანულ სამარალშია? ვინც დაიძვრენს თავს კანონის ამ ლაბირინთიდან, თავისუფალია პასუხისმგებლობისგან; ვითარდება ე.წ. პასუხისმგებლობის გადაკისრების პროცესი. კერძოდ კი, ბოლო, უკანასკნელმა მიმწოდებელმა შეიძლება წინა მიმწოდებელთან მიგვიყვანოს, წინამიმწოდებელმა – იმის წინა და ბოლოს, შესაძლოა დადგინდეს ნამდვილი, ფაქტობრივი მწარმოებელი. თუმცა, ეს, ალბათ, დროის საკითხია. დაზარალებულისთვის მთავრია პასუხისმგება-

<sup>175</sup> ი.ბ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.67, 168.

<sup>176</sup> „Auffangshaftung“

ლი პირის მოძიება და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, ხოლო ვინ იქნება ეს, მისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

რაც შეეხება ქართული სამართლის საკანონმდებლო მოწესრიგებას, ის, ამ მხრივ, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. კერძოდ კი, განსხვავება საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით, ასეთია: სსკ-ი პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში აკისრებს ე.წ. მიმწოდებელს, ხოლო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი მას, პროდუქტის ბაზარზე ფაქტობრივად განმათავსებლად მოიაზრებს. აგრეთვე მეორე არაარსებითი სხვაობა არის შემდეგი ტერმინების გამოყენებაში – სსკ ამბობს, რომ „...თუკი შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა“; „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი – „...თუ მწარმოებლის მიკვლევა შეუძლებელია“. შინაარსობრივად, ალბათ, ორივე ერთ აზრს გამოხატავს, ვინაობა იქნება ეს თუ მისი ადგილსამყოფელი – არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ვინაობის დადგენა ხომ მის ადგილსამყოფელადე მიგვიყვანს, ან პირიქით. დაბოლოს, ძალიან მნიშნველოვანი განსხვავება ამ ორ საკანონმდებლო აქტს შორის არის ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია დაასახელოს მწარმოებელი ან წინა მიმწოდებელი. სსკ-ის მიხედვით, გერმანული სამართლის მსგავსად, ეს ვადა ერთი თვეა; „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი კი არ აკონკრეტებს მას და, ზოგადად, გონივრულ ვადას უწესებს მიმწოდებელს. გონივრულ ვადაში, რა თქმა უნდა, მოიაზრება დაზარალებულისათვის და, ზოგადად, მიმწოდებლისათვის ობიექტურად განსაზღვრული ვადა, რომელიც შესაძლებელია ერთ თვეზე მეტიც იყოს. სსკ-ი კი ამ ვადის გასვლას უკავშირებს ბოლო მიმწოდებლის პასუხისმგებელ პირად ანუ მწარმოებლად მიჩნევას. საკითხავია, რა ხდება მეორე შემთხვევაში? ხომ არ არის ეს პასუხისმგებელი სუბიექტის უსასრულო ძიება და, რაც მთავარია, დაზარალებულის ინტერესების უგულებელყოფა? შეიძლება ეს გარემოება მიჩნეულ იქნეს, არათუ პასუხისმგებლობის დაკისრების, არამედ პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მიერ დაწესებული „გონივრული ვადა“ კი ეხმიანება ევროკავშირის დირექტივას.

ცხადია, აღნიშნული ორი კოდექსის მიერ ერთი მოვლენის განსხვავებულად მოწესრიგება არ უნდა იყოს გამართლებული. თუმცა, გონივრულ ვადას ყველაზე მეტად შეესაბამება ერთოვიანი ვადა. საფიქრებელია, რომ ერთოვიანი ვადის იმპერატიულად დაწესება თავიდან გონივრულობის პრინციპით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მაგრამ მაინც რჩება შეუსაბამობის განცდა, ვინაოდან, როგორც ზემოთ ითქვა, იგი ერთ თვეზე მეტიც შეიძლება იყოს და, შესაბამისად, სხვადასხვა შემთხვევებისთვის განსხვავებული.

გერმანული სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით აზუსტებს გარკვეულ დეტალებს. კერძოდ, მოთხოვნა დაზარალებულის მხრიდან დაკონკრეტული უნდა იყოს, რათა მიმწოდებელმა შესაბამისი სავალდებულო დონისძიებანი გაატაროს წინა მიმწოდებლის ან მწარმოებლის დასადგენად. ეს ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულმა, მინიმუმ, პროდუქტი საკმარისად გასაგებად, ნათლად უნდა აღწეროს. მაგალითად: თუკი მიმწოდებელი ასაღებს რამდენიმე მწარმოებლის ბოთლებს, მაშინ დაზარალებულმა უნდა დააკონკრეტოს რომელ, რა სახის ბოთლებს ეხება მისი მოთხოვნა. თუკი მისი მოთხოვნა არ შეიცავს ამ კონკრეტიზაციას, მაშინ ის არ არის ნამდვილი, მოქმედი მოთხოვნა. შესაბამისად, მას აღარ უნდა აწუხებდეს ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგები. როულადაა საქმე, როდესაც იმ პროდუქტის აღწერაა საჭირო, რომელიც ზიანის დადგომისას განადგურდება და ამის შედეგად მესამე პირი დაზიანდება. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელი პროდუქტის ნაკლებ მითითებისას არ არის ვალდებული რეალიზაციის ჯაჭვი მოიძოოს ან გახსნას.<sup>177</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნა შესაძლებელია ზეპირადაც იქნეს წაყენებული. დაზარალებული არ არის ვალდებული, რომ მოთხოვნა წაუყენოს მხოლოდ ბოლო მიმწოდებელს. თითოეული მიმწოდებელი, პასუხისმგებელ მწარმოებლად მიიჩნევა. როგორც წესი, მოთხოვნა წაეყენება დაზარალებულისთვის ყველაზე აღრე ცნობილ მიმწოდებელს.<sup>178</sup>

სასამართლოში სარჩელის შეტანისას წინა მიმწოდებლის და, შესაბამისად, მწარმოებლის დასახელებისათვის საჭიროა მიეთითოს მათი სრული სახელი და მისამართი. ხშირ შემთხვევაში, კერძოდ კი, როდესაც შესაძლებელია მხოლოდ წინა მიმწოდებელის დასახელება. ზუსტი დასახელებისათვის

<sup>177</sup> ი. ხ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, 177, Rn.85.

<sup>178</sup> იქვე, Rn.87, 178.

საჭიროა, აგრეთვე, სხვა ფაქტების მითითება, მაგალითად, ანგარიშის თარიღი, ანგარიშის ნომერი და სხვა საიდენტიფიკაციო ნიშნები; საჭიროების შეთხვევაში – ანგარიშების ან ზედნადებების ასლების გაცემა, რათა მოხერხდეს დასახელებული პირის, როგორც მწარმოებლის ან წინა მიმწოდებლის, იდენტიფიკაცია, მათ შორის იმისათვისაც, რომ დადგინდეს პროდუქტის ბრუნვაში შემოსვლის მომენტი.<sup>179</sup>

სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ერთოვიანი ვადა გერმანული სამართლის გავლენით უნდა აიხსნას. ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, მიმწოდებელმა დაზარალებულის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაასახელოს მწარმოებელი ან წინა მიმწოდებელი. ევროკავშირის დირექტივა არ განსაზღვრავს კონკრეტულ დროს, ის ადგენს გონივრულ, შესატყვის ვადას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, განისაზღვროს. ის არც „საჩქაროდ, დაუყონებლივ“ უნდა იქნეს გაგებული და არც ისე განგრძობადად დროში, როგორც სახდაზმულობის ვადაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმწოდებელს შესაძლოა ობიექტური სირთულეები შეექმნას წინა მიმწოდებლის ან მწარმოებლის დასახელებისას, ისეთი სიძნელეები, რომელსაც ის წინასწარ ვერ გათვლიდა. ის შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ საჭირო ინფორმაცია მოცემულ ვადაში ვერ მოიპოვოს. თუკი მიმწოდებელი ერთ-ერთ მათგანს დაასახელებს, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.<sup>180</sup>

#### 1.4. იმპორტიორი

პასუხისმგებელ პირთა შორის ორიგინალური პასუხისმგებლობით გამოირჩევა იმპორტიორი. ის შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გავუთანაბროთ მწარმოებელს და, შესაბამისად, პასუხი აგოს როგორც მწარმოებელმა. ეს ხდება სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძოდ, „...ეს წესი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი

<sup>179</sup> ი. ხ. Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;*” Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 142-143.

<sup>180</sup> ი. ხ. Rolland W., *Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar,* Köln, 1990, Rn.88, 178-179.

ცნობილია.”<sup>181</sup> მაშასადამე, იმპორტიორების მიმართ მოქმედებს, როგორც გერმანულ სამართალშია მიღებული, „აუცილებადი პასუხისმგებლობა“.<sup>182</sup>

სსკ-ის 1011-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მწარმოებლად მიიჩნევა აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.“<sup>183</sup> შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართალი იზიარებს გერმანული სამართლის მიღგომას. კერძოდ, იმპორტიორი მწარმოებელს მხოლოდ მაშინ უთანაბრდება და, შესაბამისად, მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, როცა, ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, იმპორტი ხორციელდება გაყიდვის, იჯარით გაცემის, საიჯარო ქონების საკუთრებაში შეძენის ან რეალიზაციის სხვა ფორმით ეკონომიკური მიზნებისათვის. მაშასადამე, იმპორტიორის განზრახვაზეა დამოკიდებული, გაუთანაბრდება თუ არა ის მწარმოებელს. ამასთან, ზუსტად უნდა განისაზღვროს ცნება – „რეალიზაცია ეკონომიკური მიზნით“. იგი მოიცავს დაფინანსების გაცემასაც და იმ საქონლის ნიმუშების უსასყიდლო განაწილებასაც, რომლებიც იმპორტიორებულია მესამე სამყაროს ქვეყნებიდან. სხვა უსასყიდლო გადაცემა (მაგალითად, ჩუქება) ასეთად არ ჩაითვლება.<sup>184</sup>

გერმანულ სამართალში საქონლის შემოტანის მიზანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, „მიზნის განსაზღვრისათვის არსებითია შემოტანის დრო. ეს ნიშნავს, რომ მოგვიანებით ცვლილებები საქონლის შემოტანის მიზნის-თვის უმნიშვნელოა. თუ საქონლის იმპორტიორს პროდუქტი კომერციული მიზნით შემოაქვს და მწარმოებელი ხდება, იგი მწარმოებელად რჩება მაშინაც, როდესაც შემდგომ გადაწყვეტს, საქონელი ან თვითონვე მოიხმაროს, ან ეკონომიკური მიზნების გარეშე გადასცეს მესამე პირს. პირიქით, იმპორტიორი, რომელსაც საქონელი ან საკუთარი მიზნებისთვის ან არაკომერციული ამოცანებისათვის შემოაქვს, ვერ გახდება შემდგომში მწარმოებელი, თუ გადაწყვეტს, რომ საქონელი კომერციული მიზნებით აწარმოოს. ამასთან დაკავშირებით, მწარმოებლის ხასიათის განსაზღვრისას გადამწყვეტია შემოტანის

<sup>181</sup> იბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებაზე, საქანონმდებლო დამატება, 1997, №31.

<sup>182</sup> „Auffangshaftung“

<sup>183</sup> იბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებაზე, საქანონმდებლო დამატება, 1997, №31..

<sup>184</sup> იბ. Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“* Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001,136.

მიზნის სუბიექტური კრიტერიუმი. თუმცა, მანიპულირების საფრთხე გამორიცხული არ არის. მაგრამ ეს საფრთხე არ უნდა იყოს გადაჭარბებით შეფასებული, რადგან იმპორტიორის ნება არსებითია მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეულ გარემოებებში გამოიხატება. მტკიცების ტვირთი იმპორტიორს ეკისრება.“<sup>185</sup>

იმპორტის მიზანი უნდა იყოს რეალიზაციის ერთ-ერთი სახეობა მაინც. იმპორტიორის ზრახვების შემდგომი ცვლილებები, კერძოდ, მოგვიანებით გაყიდვა, ან მხოლოდ მოგვიანებით დაწყებული ბიზნესსაქმიანობა არ იწვევს იმპორტიორის მწარმოებელთან გათანაბრებას. საპირისპირო შემთხვევაში, როცა იმპორტიორი, რომელიც ეკონომიკური მიზნით პროდუქტის იმპორტს ეწევა გაყიდვის ან სხვა ფორმით გასაღების მიზნით, მაგრამ შემდეგ თვითონ იყენებს მას, არ თავისუფლდება მწარმოებელთან გათანაბრებისაგან.<sup>186</sup>

მაშასადამე, საქონლის იმპორტი, იმპორტისა და წარმოების მიზნების ფართო გაგებით, უნდა ხვდებოდეს სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაგალითად, გაყიდვა, გაქირავება და ა.შ. უნდა არსებობდეს რეალიზაციის მიზანი საქონლის შემოტანის დროს. თუ ეს პროდუქტი პირადი მიზნით გამოყენებისთვის იქნება შემოტანილი, მაგრამ მოგვიანებით მაინც გაიყიდება, ამ იმპორტიორთა პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ევროკავშირის იმპორტიორთა პასუხისმგებლობის მიზანი მომხმარებელთა დაცვაა.<sup>187</sup>

პასუხისმგებლობა დგება იმ პროდუქტების იმპორტიორისა, რომელიც ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შემოიტანს საქონელს. ის იმპორტიორი, რომელიც პროდუქტს ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორე წევრ ქვეყანაში შეიტანს, არ უთანაბრდება მწარმოებელს, თუმცა ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომისას, ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ეჭვმიტანილად“, ანუ პასუხისმგებელ პირად, როგორც ეს მიმწოდებლის პასუხისმგებლობისას ხდება.<sup>188</sup>

გერმანული სამართლის თანახმად, „იმპორტიორს ეკისრება იმაზე ზრუნვა, რომ ქვეყნის შიდამომხმარებელი ინფორმირებული იყოს გერმანულ ენაზე

<sup>185</sup> Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.62, 166.

<sup>186</sup> ob. Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 137.

<sup>187</sup> შეიდ. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990,75.

<sup>188</sup> ob. Nettelbeck B. I., Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg.. ,1995,57.

პროდუქტის თვისებებსა და მის საშიშროებებზე. მან ასევე უნდა შეაგროვოს კლიენტთა საჩივრები, რათა შესაცნობი უსაფრთხოების ნაკლოვანება გაყიდვების შეჩერებით, საჭიროებისას – პროდუქტის უკანგამოთხოვით აღმოფხვრას. თუკი საზღვარგარეთ წარმოებული საქონელი შიდაქვეყნის სასაქონლო ნიშნით იქნება რეალიზებული, გერმანელ მომხმარებელს ექმნებათ აზრი, რომ პროდუქტი შეესაბამება ქვეყნის შიგნით არსებულ უსაფრთხოების მოთხოვნებს. ასეთ დროს იმპორტიორი ვალდებულია შეამოწმოს კონსტრუქტორის თუ ფაბრიკული ნაკლი. ეს ვალდებულება გამოირიცხება ევროპავშირის სხვა წევრი ქვეყნებიდან პროდუქტის იმპორტირებისას.”<sup>189</sup>

რაც შეეხება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსს, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მწარმოებლად ითვლება „უცხოური დამამზადებლის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი, ან/და პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი, თუ უცხოელ დამამზადებელს საქართველოში არ ჰყავს წარმომადგენელი“ და ამავე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული პირები, როგორიცაა იმპორტიორი/პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის პასუხისმგებელი პირი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ქვეყნაში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის.“ ისინი შეიძლება გაუთანაბრდეს მწარმოებელს და, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებად გამოვიდნენ დაზარალებულის წინაშე.

გარდა ზემოთაღნიშნული შემთხვევებისა, „...წუნდებული პროდუქტი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის გზითაც შეიძლება აღმოჩნდეს დაზარალებულის ხელში“.<sup>190</sup> აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეების ჩამონათვლის ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა ზუსტად ჩამოყალიბებულიყო მწარმოებლის საქმიანობის მიზანი, როგორც მიგვანიშნებს 1011-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ, „ხელშეკრულების მხარე, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს სამურნეო მიზნებით თავისი საქმიანობის, მოღვაწეობის სფეროში.“ ასე რომ, სრულიად საკმარისია მიზნის განსაზღვრა, ხელშეკრულებათა ჩამონათვალი კი უფრო გაართულებს პასუხისმგებლობის სუბიექტის მოქებნას. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, მწარმოებელი, ProdHaftG-ის მე-4 პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით, არის ყოველი პირი, რომელსაც შემოაქვს საქონელი ევრო-

<sup>189</sup> Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.651, 258.

<sup>190</sup> ჟოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიუენგბული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება,” №2; 2007, 66.

პის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების მოქმედების ტერიტორიაზე. მათ განეკუთვნება არა მხოლოდ საქონლის გამყიდველი, არა-მედ ყოველი პირი, რომელიც საქონელს კომერციული მიზნით გადასცემს, ანუ გამქირავებელიც, ლიზინგის გამცემი და სხვა. შესაბამისად, “მწარმოებელი“ გაგებულია ფართო ცნებით, რაც იმპორტიორისთვისაც განსაზღვრავს პასუ-სისმგებლობის კრიტერიუმებს. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ბრუნვის ყოვე-ლი ფორმა მოიცავს მწარმოებლის მახასიათებელ ნიშნებს. ამ ცნებაში შესაძ-ლებელია მოიაზრებოდეს როგორც სავაჭრო წარმომადგენელი, ასევე საქონ-ლის გამანაწილებელიც.

## 2. დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეები

სამართლებრივ სიკეთეში მოიაზრება არა მარტო მატერიალური საგნები, არამედ არამატერიალური სიკეთეებიც, რომელთაც ქონებრივი დირებულება არ აქვთ. შესაძლოა, არამატერიალური სიკეთეები, დაცვის თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანი და უპირატესი იყოს ქონებრივ სიკეთეებთან შედარე-ბით. მაგალითად, ადამიანის სხეული, ჯანმრთელობა, მისი სიცოცხლე თუ დირსება სამართლებრივ სასწორზე უფრო მეტი დირებულების მატარებელია და, შესაბამისად, დაცვის დირსიც, ვიდრე ისეთი სიკეთეები, რომლებიც სა-კუთრებიდან, ქონებიდან გამომდინარეობენ. უნდა აღინიშნოს, რომ სიკეთის დაცვის მოთხოვნილების ხარისხი განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვაში მისი უპირატესობის განსაზღვრას.

მაშასადამე, დაცვის დირსია ნებისმიერი უფლება, თუმცა, მათი დაცვის ხარისხი, ცალკე კანონმდებლობით განისაზღვრება. სსკ-ის 1014-ე მუხლის თა-ნახმად, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანი გულისხმობს როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, ისე სხეულის და სიცოცხლისათვის მიუწვდომელ ზიანს; ანუ სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ამ შემთხვევაში ისეთ სამარ-თლებრივ სიკეთეებს, როგორებიცაა: ადამიანის სიცოცხლე, სხეული და ჯან-მრთელობა. როგორც გერმანული სამართალი აღნიშნავს, ეს კ.წ. საყოველთაო პერსონალური უფლებებია.

შესაბამისად, რანგის მიხედვით შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი სა-მართლებრივი სიკეთეები:

1. საყოველთაო პერსონალური უფლებები,

2. აბსოლუტური სანიგოვნო უფლებები,

3. პირადი არაქონებრივი უფლებები.

რაც შეეხება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს,“ მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში, კერძოდ, ტერმინთა განმარტებებშია განსაზღვრული, თუ რას მოიცავს ის ზიანი, რომელიც წუნდებული პროდუქტის გამოყენების შედეგად დგება. ესაა: 1. ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება, 2. ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის დირებულება 300 ლარზე მეტია.

სსკ-ის 1009-1014 მუხლები არ ითვალისწინებენ იმ შემთხვევას, როდესაც წუნდებული პროდუქტის გამოყენების შედეგად ზიანი მიადგება ადამიანის ქონებრივ სიკეთეს – ნივთს, კერძოდ, როცა იგი დაზიანდება ან საერთოდ განადგურდება. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი კი, როგორც ჩანს, შეიცავს ამ გამონაკლისს. საინტერესოა რატომ არ დადგა დღის წესრიგში სსკ-ში მსგავსი ცვლილებების შეტანის საკითხი? საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის როგორც სიცოცხლესა და მის ჯანმრთელობას, ისე საკუთრების უფლებას. შესაბამისად, არ უნდა იყოს გამორიცხული წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი მიადგეს როგორც ადამიანის პირად უფლებებს, ისე ქონებრივი უფლების ობიექტს – ნივთს. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იქ განსხვავებულ და დეტალურ მოწესრიგებას ვხვდებით. მომხმარებელთა უფლებები დაცულია როგორც დელიქტური სამართლით, ისე ცალკე სპეციალური ProdHaftG-ით. მართალია, სსკ-ის 1009-1014-ე მუხლები მხოლოდ ადამიანის სხეულის, ჯანმრთელობის თუ სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნივთების დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება გამორიცხულია. უბრალოდ, აქ მოთხოვნის საფუძველი დელიქტური სამართლის ნორმებითა და ცალკე სპეციალური კანონით – „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსით განისაზღვრება. ეს უგანასქნელი პირდაპირ ითვალისწინებს ნივთის დაზიანების შემთხვევას.

ProdHaftG-ის §1-ის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, თუკი პროდუქტის ნაკლის შედეგად ვინმე გარდაიცვლება, მისი სხეული ან ჯანმრთელობა ან/და ნივთი დაზიანდება, ამ შემთხვევაში პროდუქტის მწარმოებე-

ლი ვალდებულია მისგან გამოწვეული ზიანი დაზარალებულს აუნაზღაუროს. ნივთის დაზიანების შემთხვევაში ეს წესები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ზიანდება ნივთი, რომელიც თავად არ არის ნაკლისმქონე და თავისი ჩვეული თვისებებით გამოიყენება პირადი მოხმარებისთვის და დაზარალებულმა უპირატესად ამ მიზნით გამოიყენა.“ რაც შეეხება ევროპავშირის დირექტივას, ის ოდნავ განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს. კერძოდ, მე-8 მუხლის თანახმად, „პირველი პარაგრაფის გაგებით ზიანის ცნებაში მოიაზრება: 1. სიკვდილით და სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზიანი, 2. სხვა ნივთის დაზიანების ან განადგურების შედეგად გამოწვეული ზიანი, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის ღირებულება 500 ევროზე მეტია. ეს ნივთი კი, თავისი სახეობიდან გამომდინარე, პირადი მოხმრებისთვისაა განკუთვნილი და დაზარალებულის მიერ სწორედ ამ მიზნისთვის იქნა გამოყენებული.“

როგორც უკვე აღინიშნა, ნაწილობრივ მსგავსს განმარტებას იძლევა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი.

გერმანიის დელიქტური სამართალი აფართოებს დაცვას დაქვემდებარებულ სიკეთეთა წრეს. კერძოდ კი, BGB-ეს 823-ე პარაგრაფის I ნაწილის თანახმად, „პირი, რომელიც გაზრას ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა მსგავსს უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი.“ როგორც კხედავთ, ProdHaftG-ისგან განსხვავებით, აქ მეტი სიკეთეა გაერთიანებული სამართლებრივი დაცვის ქვეშ.

დასადგენია, რამდენად იდენტურია სხეულისა და ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანი. სხეულის დაზიანება არ არის გაიგივებული ჯანმრთელობასთან და არ მოიცავს მას. ალბათ, ძალიან მცირება მათ შორის სხვაობა და იგი განმარტებას საჭიროებს. რაც შეეხება ადამიანის თავისუფლებას, ეს ერთეული ძირითადი პერსონალური უფლებაა, რომელიც ProdHaftG-ის მოქმედების არეალში არ ექცევა.

დაბოლოს, მთავარი განსხვავება ამ ორ ძირითად კანონს შორის ნივთზე საკუთრების უფლებისა და არასაკუთრებითი უფლების მიმართებაა. გამოდის, რომ დელიქტური სამართალი მხოლოდ მესაკუთრის უფლებას იცავს და არა-მესაკუთრეთა უფლებებს არ მოიზრებს. რაც შეეხება ProdHaftG-ს, ის ნივთის დაცულ სიკეთეთა წრეში გაერთიანების გზით ამბობს, რომ ნივთზე ნებისმიერ

რი სამართლებრივად უფლებამოსილი პირი დაცულია, იქნება ეს მესაკუთრე, დამქირავებელი, მეაღნაგე თუ ა.შ. ნივთის რაობასაც არ აქვს მნიშვნელობა.

## 2.1. სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა

სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის დაცვა ხდება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 1014-ე მუხლებით. საქმე ისაა, რომ ეს სიკეთეები დაცულია როგორც საყოველთაოდ, ისე სამეწარმეო საქმიანობის სფეროში.<sup>191</sup> მათზე სუბიექტის უფლებები აბსოლუტური უფლებებია. დაცვის თვალსაზრისით, ის სცილდება ერთი, რომელიმე დარგის ფარგლებს და მთელი სამართლებრივი სისტემის სივრცეში ექცევა.

დასადგენია, თუ რა მოიაზრება ადამიანის სხეულის, ჯანმრთელობის თუ სიკვდილის შედეგად დამდგარ ზიანში. სხეულის თუ ჯანმრთელობის დაზიანებით დამდგარ ზიანში შეიძლება შევიყვანოთ ყველა ის ხარჯი, რომლებიც აუცილებელი იყო სხეულის თუ ჯანმრთელობის დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად. ეს შეიძლება იყოს მკურნალობის ხარჯები: ოპერაციის, ანალიზების, ექიმის კონსულტაციის, თერაპიის, რეაბილიტაციის შედეგობი პერიოდის და ა.შ. სიკვდილის შემდგომ დამდგარ ზიანში, პირველ რიგში, დაკრძალვის ხარჯები იგულისხმება. უფრო მეტად თუ ჩავუდრმავდებით ამ თემას, შეიძლება გამოვყოთ ცალკეული ცხოვრებისეული შემთხვევები და ასე განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობის, სხეულის დაზიანებად და ვის რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება. მაგალითად, ზიანი მიადგა ორსულ ქალს ორსულობის პერიოდში არასწორი მკურნალობის შედეგად, რამაც ბავშვის ფიზიკური განუვითარებლობა გამოიწვია. იბადება კითხვა: ვის წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების უფლება და რა სახის – მატერიალური თუ მორალური? ემბრიონს, როგორც სამართლის სუბიექტს, რისი მოთხოვნის უფლება აქვს?

გერმანულ სამართალშიც არის ისეთი საკითხები, რომლებიც დისკუსიის საგანია დღემდე. კერძოდ, „რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანებად, როდესაც დაზარალებული ზიანის მიუენების მოქმედების პერიოდში უკვე დაბადებული იყო. „ბავშვი, როგორც ზიანი“ – დღეს

<sup>191</sup> ი. ხ. Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;* Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 35.

განხილვის საგანი აღარაა, თუკი, მაგალითად, როდესაც ბავშვი დედისმუც-ლადუოფნის პერიოდში შესაძლოა დაზიანდეს დედის ავტოავარიაში მოხვედრის შედეგად, ან დედის იმ მდიმე სულიერი მდგომარეობის შედეგად, რომელიც გამოიწვია მამის ავტოავარიაში მოხვედრამ. იგივე ვითარებაა ჯანმრთელობის დაზიანებისას, როდესაც ემბრიონს ექიმების არასწორი მოქმედების გამო, ზიანი მიადგება, მაგალითად, დაბადების პროცესის მიმდინარეობისას. სიფილისით დაბადებულ ბავშვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, როცა მოპასუხე სავაადმყოფომ დედას სიფილისით დაავადებული სისხლი გადაუსხა იმ დროს, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო.<sup>192</sup>

„ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება ასევე ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად იქნეს მიუენებული. პრაქტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევა, როცა ძალიან ახლობელი ადამიანის გარდაცვალების ფაქტის გაგებისას დაზარალებულს „სულიერი შოკი“ ემართება. შოკირებული ახლობლის შემთხვევაში საქმე ეხება სამართლებრივი სიკეთის არაპირდაპირ დაზიანებას. ვინაოდან ჯანმრთელობის დაზიანება დაზარალებულის მწვავე სულიერი რეაქციითაა გამოწვეული, აქ საუბარია ე.წ. “ფსიქიკურ მიზეზობრიობაზე“, მაგალითად, ა-ს მეუღლე ბ. გ-ს ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა. როცა ა-მ ამის შესახებ შეიტყო, მან სულიერი შოკი განიცადა, რაც შემდეგ დეპრესიაში, უძილობასა და პერიოდულად ისტერიულ ტირილში გადაიზარდა. ა. იძულებული გახდა გაევლო სამედიცინო მკურნალობის კურსი, რომელიც მას 2500 ლარი დაუჯდა. ა-მ გ-სგან მოითხოვა მკურნალობის ხარჯების გადახდა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე და არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით.“<sup>193</sup>

სხეულის დაზიანებაში მოიაზრება ადამიანის სხეულებრივი ხელშეუხებლობის ნებისმიერი დაზიანება. მას მიეკუთვნება ნაკლისმქონე მედიკამენტის მიღებით ან წუნდებული საკვები პროდუქტის დაგემოვნებით გამოწვეული დაზიანება. სხეულის დაზიანების საკვალიფიკაციოდ აუცილებელია ადგილი ჰქონდეს ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობიდან გადახრას.<sup>194</sup> ეგრო-

<sup>192</sup> ob. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.139, 64.

<sup>193</sup> მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, გამომცემლობა „რაიზი“, თბილისი, 2011, 37.

<sup>194</sup> ob.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, 1990, Rn.24, 19.

კავშირის N85/374 დირექტივა (პარაგრაფი 9) მხოლოდ სხეულის დაზიანებით შემოიფარგლება, ვინაიდან ის სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანებას ერთმანეთთან აიგივებს, ერთი მეორეს მოიცავს. ჯანმრთელობის დაზიანება აღამიანის სხეულებრივი და სულიერი ერთიანობის ხელშეშლაა.

გერმანული სამართლის მიხედვით, ProdHaftG-ის საფუძველზე დადგება თუ არა პასუხისმგებლობა, ეს დამოკიდებულია იმაზე, სხეულის დაზიანება ამ კანონის მქ-3-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ნაკლით იქნება გამოწვეული თუ არა.<sup>195</sup>

მაშასადამე, „სხეულის დაზიანებით ირდვევა სხეულის ხელშეუხებლობის უფლება. რადგანაც ყოველი ადამიანი სარგებლობს თვითგამორკვევის უფლებით, ქირურგიული ჩარევის თუ სხვაგვარი სამედიცინო მკურნალობისას, როგორც წესი, პაციენტის თანხმობაა საჭირო, მაშინაც კი, როცა ეს სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია და აპრობირებული მეთოდებით ხორციელდება.”<sup>196</sup>

ადამიანის სიცოცხლის დაზიანებაში კანონმდებულმა სიკვდილი მოიაზრა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომელიც ადამიანის სიკვდილის შემდეგ წარმოიშობა, BGB-ეს 823-ე პარაგრაფის თანახმად, აქვს იმ პირს, რომელიც სიკვდილის შემდეგ მატერიალური დახმარების მოთხოვნას გარდაცვლილის მიმართ კარგავს. თუკი ფიზიკურ დაზიანებას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სიკვდილამდე მივყავართ, დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები წარმოეშობა, მაგალითად ექიმის მომსახურეობის, მკურნალობის ხარჯები, სიკვდილის შემდეგ კი – დაკრძალვის ხარჯები.<sup>197</sup> მესამე პირთა მოთხოვნებში შედის, აგრეთვე, სხვა ქონებრივი უფლებები, მაგალითად, მიუღებელი სარგებელი მომსახურეობის არმიდების შედეგად. მოთხოვნები, რომლებიც სიკვდილამდე წარმოეშვა დაზარალებულს, შესაძლებელია მემკვიდრეობით გადავიდეს.<sup>198</sup> კანონით დაცულია როგორც შემთხვევით დაზარალებული არამონაწილე პირი, ისე მწარმოებელი და მომხმარებელი. „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს საბოლოო მომხმარებელს, მეწარმე მყიდველს და თითოეულ მესამე პირს, რომელმაც ზიანი განიცადა. უმნიშვნელოა,

<sup>195</sup> იქვე, Rn.29, 21.

<sup>196</sup> მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, გამომცემლობა „რაიზი”, თბილისი, 2011, 36.

<sup>197</sup> იხ.Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010,Rn.135, 62.

<sup>198</sup> იხ.Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.23,19.

რა ურთიერთობაშია დაზარალებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირთან.“<sup>199</sup>

სსკ-ის 992-ე მუხლით დაცულ სიკეთეთა შორის ადამიანის სიცოცხლე უმთავრესია, რადგანაც გარდაცვალებით პირის უფლებაუნარიანობა წყდება. მისი სიცოცხლის მოსპოტით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გარდაცვლილის ახლობლებს წარმოეშობათ., თუმცა, მათ არა აქვთ უფლება, სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოითხოვონ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება“.<sup>200</sup>

მაშასადამე, საყოველთაო ძირითადი უფლებების ხელყოფისას მოთხოვნის საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ერთი მხრივ, გვაქვს სსკ-ის 992-ე ზოგადი მუხლი დელიქტის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, სსკ-ის 1009-1014-ე სპეციალური მუხლები წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისას. ზიანის გამომწვევი მიზეზით უნდა გაირკვეს რომელ მუხლს გამოვიყენებო.

## 2.2. ნივთები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოთ დასახელებული ნორმებით წუნდებული პროდუქტისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუკი ასევე დაზიანდება ნივთი. ნივთების დაზიანების მიმართ მოქმედებს დელიქტური პასუხისმგებლობა. კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლი. გერმანულ სამართალში ეს საკითხი სპეციალური კანონითაცად მოწესრიგებული. ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფი იძლევა ნივთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. ნივთის დაზიანება ProdHaftG-ის ნორმებით არ გულისხმობს ფიზიკური თვალსაზრისით მისი სუბსტანციის შეცვლას. საკმარისია, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა იყოს შემცირებული.

სსკ-ის 1009-ე მუხლი ზოგადად საუბრობს ზიანის მიყენებაზე და არ გამოყოფს სიკეთის სახეობას, რომლის დაზიანებაც ხდება. მასში აღნიშნულია, რომ წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. ამ მუხლიდან არ ჩანს, თუ რომელი სახის ზიანზეა საუბარი –

<sup>199</sup> ი. მ. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 49.

<sup>200</sup> გარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, გამომცემლობა „რაიზი“, თბილისი, 2011, 31.

მარტოოდენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიუენებულ ზიანზე, თუ, იმავდროულად, ქონებისათვის მიუენებულ ზიანზე? სსკ-ის 1014-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ამტკიცებს რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილის ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით, სავარაუდოდ, საქმე არ ეხება ქონებისათვის მიუენებულ ზიანს. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ქონების დაზიანების შემთხვევაში ქართულ სამართალში გამოიყენება დელიქტური პასუხისმგებლობის საერთო წესები. სსკ-ის 1011-ე მუხლის ძველი რედაქცია პროდუქტის ცნებაში ელექტროუნივერგიასაც მიიჩნევდა. არ შეიძლება ამ სახის წუნდებული პროდუქტით მიუენებული ზიანი ასევე ნივთობრივიც არ ყოფილიყო. უხარისხო ელექტროდენიო შეიძლება ისეთი ზიანის გამოწვევა, რომელიც მიადგება ქონებასაც. თუმცა, აქ ჩვეულებრივი დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებიც გამოიყენება. დღევანდელი მდგომარეობით, ელექტროენერგია პროდუქტის სიაში აღარ შედის.

ProdHaftG ცალკე გამოყოფს ნივთისათვის ზიანის მიუენებას და ადგენს, თუ რა შემთხვევაში არ დადგება პასუხისმგებლობა. კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში ნათქვამია: „ნივთის დაზიანებისას ეს წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზიანდება ნივთი, რომელიც თავად არ არის ნაკლოვანი და თავისი ჩვეული თვისებებით გამოიყენება პირადი მოხმარებისათვის და დაზარალებულმა იგი უპირატესად ამ მიზნით გამოიყენა.“<sup>201</sup> აქედან ჩანს, რომ თუ წუნდებული პროდუქტით ზიანი ადგება ასევე წუნდებულ პროდუქტს, ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.<sup>202</sup>

თუ რა მოიაზრება დაზიანებულ ნივთებში, ეს დამოკიდებულია ბრუნვის ტრადიციებზე. კერძოდ: ასეთად უნდა მივიჩნიოთ ერთდროულად მიწოდებული და ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მოწყობილობანი.<sup>203</sup>

ზიანის ანაზღაურება ნივთებისათვის მიუენებული ზიანისათვის გამოირიცხება, როცა ისინი, ტრადიციული განსაზღვრებით, კერძო მოხმარებისათვის გამოიყენება და მას ძირითადად იყენებს დაზარალებული. გერმანული სამართალი ამ შემთხვევაში ემყარება ორ კრიტერიუმს: ობიექტურს, როგორიცაა ნივთის გამოყენება ტრადიციული დანიშნულებით, კერძო მოხმარებისათვის,

<sup>201</sup> ი. მ. Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;* Kommentar, 3. Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 35.

<sup>202</sup> იქვე, 35.

<sup>203</sup> იქვე, 36.

და სუბიექტურს, როგორიცაა ნივთის აღნიშნული მიზნით (და არა სხვა დანიშნულებით) გამოყენება. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ მაშინ, როცა დაზიანებული ნივთები ტრადიციულად გამოიყენება სამეწარმეო, პროფესიული ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. მაგალითად, როგორიცაა მანქანები, ავტოფურგონები, სასტუმროს ან რესტორნის პირველადი მოხმარების საგნები და ა.შ.

საკითხავია, პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ არა მაშინ, როცა ზიანი ადგება იმ ნივთებს, რომლებიც თავიანთი განსაზღვრებით განკუთვნილია როგორც კერძო მოხმარებისათვის, ისე სამეწარმეო მიზნებისათვის. მაგალითად, საწერი მაგიდა, პერსონალური კომპიუტერი, ინსტრუმენტები და ა.შ. ეპროგაერთიანების სამართლის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ პასუხისმგებლობა ნივთისათვის მიყენებული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ გამოირიცხება, როცა ეს ნივთი განკუთვნილია მხოლოდ კერძო სარგებლობისათვის.<sup>204</sup>

ქართული კანონმდებლობა სხვადასხვანაირად განმარტავს ზიანის დადგომის შემთხვევას, ერთი მხრივ სსკ-ი ჯანმრთელობის, სხეულის და სიცოცხლის მოსპობით დამდგარ ზიანს გულისხმობს, ხოლო პირადი უფლებებიდან ადამიანის ჯანმრთელობის და გარდაცვალების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას იცნობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.“ რაც შეეხება ნივთისათვის მიყენებულ ზიანს, მასში ეს შემთხვევაცაა გათვალისწინებული, კერძოდ, „ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება.“

გასარკვევოა რას გულისხმობს ტერმინი „ქონება“. სსკ-ის 147-ე მუხლზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, მასში არამარტო ნივთები, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთებიც უნდა მოვიაზროთ. თუმცა, რადგანაც ქონების ნაწილზეა საუბარი, მასში უფრო ნივთები უნდა იგულისხმებოდეს.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ გამონაკლის შემთხვევებს ადგენს, როდესაც ქონებისადმი მიყენებული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას ზიანის მიმყენებლისგან. დაახლოებით ანალოგიურად წყვეტს ამ საკითხს გერმანული სამართალი (ProdHaftG §11) და ევროდირექტივა (§9). აღნიშნული კოდექსის მუ-5 მუხლის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება „ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზია-

<sup>204</sup> იქვე, 38.

ნება ან განადგურება, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის დორებულება 300 ლარზე მეტია.“ მაშასადამე, 300 ლარამდე ღირებულების ქონების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები დაზარალებულმა თავის თავზე უნდა აიღოს. რა ხდება მაშინ, როდესაც ქონებას უფრო მეტად არამატერიალური ღირებულება გააჩნია. ალბათ, ამ შემთხვევაში გამოსავალი იქნება არამატერიალურის შესატყვისი მატერიალური ეკვივალენტის განსაზღვრა და ამ გზით ქონების ღირებულების დადგენა.

ამრიგად, ნივთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვს რამდენიმე წინაპირობას:

1. არ უნდა დადგეს წუნდებული პროდუქტით ისევ წუნდებული ნივთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხი;
2. ეს ნივთი, თავისი ჩვეული თვისებებით, მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი.
3. დაზარალებულის მიერ, ფაქტობრივად, სწორედ ამ მიზნით უნდა იყოს გამოყენებული.

ცალ-ცალკე განვიხილოთ ზემოაღნიშნული პირობები:

1. ალბათ, ლოგიკურია პირველი საფუძვლით პასუხისმგებლობის გამორიცხვა, ვინაიდან იმ ნივთის ზიანი, რომელიც თავიდანვე ნაკლისმქონე იყო, რატომ უნდა ანაზღაურდეს? ის თავიდანვე ნაკლის მქონე იყო და, რაც მთავრია, ამ ნაკლის დადგომაში „სხვა“ ნივთს არ მიუძღვის წვლილი.

აგრეთვე დასადგენია, იმავდროულად, სხვა ნივთებისთვის მიყენებული ზიანი ექვემდებარება თუ არა ანაზღაურებას, თუკი მათ მიუძღვით ბრალი ზიანის დადგომაში? მაგალითად, ნაკლისმქონე საბურავების გამო ავტოვარიის შედეგად მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში ზიანის დადგომაში „ბრალი მიუძღვის“ ავტომობილის შემადგენელ ნაწილს – საბურავებს, რითაც სხვა ნივთებსაც მიადგათ ზიანი, მაგალითად, იქვე მდებარე საცხოვრებელ სახლს. საკითხავია, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დგება და რაზე ვრცელდება ზიანი? სწორი იქნება საბურავების მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს ავტომანქანისადმი მიყენებული ზიანისათვის ProdHaftG-ის საფუძველზე, ხოლო ქონებისადმი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვროს დელიქტური სამართლის საფუძველზე.

რა ხდება, თუკი ავტომობილი თავიდანვე ნაკლისმქონე იყო. ალბათ, აქ დასადგენია, რა სახის ნაკლთან გგაქვს საქმე და არსებობს თუ არა მიზეზე-

დეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ნაკლს შორის. მაგალითად, ავტომობილს თავიდანვე პქონდა წუნდებული ძრავა, მაგრამ ავარიის მიზეზი გახდა საბურავები, რა თქმა უნდა, ProdHaftG-is ნორმებით, ზიანი კვლავ საბურავების მწარმოებლის მიერ ანაზღაურდება.

2. რთულია პირადი მოხმარების განსაზღვრა; რთულია გაივლოს ზღვარი პირად მოხმარებასა და სამეწარმეო, პროფესიულ მოხმარებას შორის. არის ნივთები, რომელთა გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება, როგორც პირადი მიზნებისთვის, ისე სამეწარმეო, პროფესიული დანიშნულებით. შესაძლოა აღნიშნული ნივთის ფუნქცია არ შეიცვალოს, მაგრამ მისი გამოყენების ადგილი და მიზანი შეიცვალოს. მაგალითად, ავტომობილის გამოყენება შეიძლება როგორც პირადი, ისე სამეწარმეო მიზნებისთვის. ასეთ დროს რთულია იმის მტკიცება, თუ რა მიზანი პქონდა დაზარალებულს ნივთის ექსპლუატაციისას, მიუხედავად იმისა, რომ „ნივთის მიზნის განსაზღვრას ადგენს ნივთის მწარმოებელი.“<sup>205</sup>

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ნივთები, რომელთა მოხმარებაც ერთდროულადაა შესაძლებელი პირადი და პროფესიული მიზნებისთვის, პირველ რიგში, მაინც პირადი მოხმარებისთვისაა გათვლილი. მაგალითად მსუბუქი ავტომობილები, საოჯახო ტექნიკა, ძირითადად ProdHaftG-ის სფეროში ხვდება; ჩვეულებრივი ყავის მოსადუღებელი მოწყობილობა შესაძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ როგორც სახლში, ისე სამსახურში.<sup>206</sup>

3. შემდეგი გარემოება, რომლის დადგომაც აუცილებლია ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას ისაა, რომ დაზარალებულმა აღნიშნული ნივთი, ფაქტობრივად, ამ მიზნით გამოიყენა; ანუ უნდა დადგინდეს გამოყენების ფაქტი. სხვა თემაა, ეს როგორ დამტკიცდება. ნივთის ფაქტობრივი გამოყენებისას გადამწყვეტი არაა, როგორ გამოიყენეს ნივთი იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც იგი დაზიანდა.<sup>207</sup>

### 3. მიზეზობრივი კავშირი პროდუქტის წუნსა და დაცული სიკეთის დარღვევას შორის

<sup>205</sup> ob. *Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.81, 46-47.*

<sup>206</sup> Lem C., *Die Haftung für fehlerhafte Produkte nach deutschem und französischem Recht, Verlag Recht und Wirtschaft, Heidelberg, 1992, 72.*

<sup>207</sup> ob. *Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, 1990,Rn.84, 48.*

წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ზემოთ დასახელებული სიკეთეების ხელყოფასა და პროდუქტის უხარისხობას შორის. სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ზიანი გამოწვეული უნდა იყოს პროდუქტის წუნით. საამისოდ საჭიროა ეკვივალენტური მიზეზობრიობა.<sup>208</sup> მიზეზობრიობის ამ თეორიის თანახმად, „შედეგის დადგომაში ყველა პირობას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი პირობაც რომ გამოაკლდეს, შედეგი არ დადგება. მოკლედ, მოქმედება შედეგის ეკვივალენტური უნდა იყოს.“<sup>209</sup> ეს თეორია მიზეზობრიობის „აუცილებელი პირობის“ სახელითაცაა ცნობილი. მისი ნაკლი ისაა, რომ იგი მიზეზობრიობას განიხილავს როგორც პირობათა ჯაჭვს, რომელშიც ყველა პირობას თავისი ფუნქცია აკისრია. ამ პრობლემას წყვეტს „ადეკვატური მიზეზობრიობის“ თეორია, რომლის მიხედვითაც, უნდა ვეძებოთ მოქმედებასა და შედეგს შორის არამარტო ეკვივალენტური, არამედ ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს შედეგის მიზეზად, თუკი მას ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ უიმისოდ შედეგი არ დადგებოდა. ამდენად, ადეკვატურია ზიანის უშუალოდ გამომწვევი გარემოებანი.<sup>210</sup> მაგალითად, როცა ქარხანამ სამოქალაქო ბრუნვაში გაუშვა წუნიანი მუხრუჭების მქონე ავტომობილი. ავტომობილის მფლობელმა ამის გამო ვერ დაიმორჩილა იგი და ზიანი მიაყენა ქვეითად მოსიარულებს. ამ შემთხვევაში ზიანის გამომწვევი მოქმედება ეკვივალენტურად და ადეკვატურად მიზეზობრივია. ავტომობილის მწარმოებელმა დაარღვია თავისი ვალდებულება, ბრუნვაში არ გაეშვა წუნდებული პროდუქტია, რომელიც საფრთხის ქვეშ ჩააყენებდა კანონით დაცულ სიკეთეებს.<sup>211</sup>

თუმცა, როგორც გერმანელი მკვლევრები აღნიშნავენ, ქმედების შედეგუნარიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ადეკვატურობის ცნებით. მწარმოებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვისაც რისი გათვალისწინებაც „ოპტიმა-

<sup>208</sup> ი. მ. Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz; „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“* Kommentar, 3. Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 40.

<sup>209</sup> ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საჭარველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001, 369.

<sup>210</sup> ი. მ. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2006, 405.

<sup>211</sup> ი. შალა ა., *Система германского гражданского права*, Междуннародные Отношения, Москва, 1999, 111-113.

ლურ მეთვალყურესაც“ არ შეეძლო.<sup>212</sup> აქედან გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, როცა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინება პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანისას. სხვა დროსაც, როცა საქმე ეხება ძალზე იშვიათ შემთხვევებს, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელია, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დადგება.<sup>213</sup>

„ქმედებასა და ზიანს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი ორ ეტად განიხილება: პირველი ეტაპი გულისხმობს ქმედებასა და შედეგს შორის კავშირს, ხოლო მეორე – კავშირს ამ შედეგსა და ზიანს შორის. მაგალითად, ა-მ არასათანადოდ შეაკეთა ბ-ს ავტომანქანა, რის გამოც ბ შეეჯახა მაღაზიას და მიიღო მრავლობითი დაზიანება. მკურნალობის ხარჯები შეადგენს 20 000 ლარს. ამ მაგალითში მოვალის ქმედებასა და შედეგს შორის კავშირი გამოიხატება ავტომანქანის არასათანადო შეკეთებაში, რითაც ა-ს ჯანმრთელობა დაზიანდა, ხოლო შედეგსა და ზიანს შორის კავშირი იმ თანხით განისაზღვრება, რომელიც ბ-მ გასწია მისი ჯანმრთელობის აღსაღგენად.“<sup>214</sup>

#### 4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა

ბრალი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი საფუძველია. სამართალში გაბატონებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს და მაშინ დგება, როდესაც დაცული სიკეთე განსაკუთრებული ფასეულობისაა და ზიანის მიმყენებლის მაქსიმალური ყურადღებიანობის მიუხედავად, იმის დიდი ალბათობაა, რომ ზიანი მაინც დადგება. მაგალითად, ასეთია მომეტებული საფრთხის წყროთი ზიანის მიყენება.

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლების მიმართ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომაა. ზოგ ქვეყანაში არსებობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, ზოგში – ბრალეული და ზოგშიც – შერეული პასუხისმგებლობა (ბრალისა და ბრალის გარეშე). ბრალის

<sup>212</sup> ი. მ. Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;* Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 41.

<sup>213</sup> იქვე.

<sup>214</sup> გაშაიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 199.

გარეშე პასუხისმგებლობა ცნობილია მკაცრი (აბსოლუტური) პასუხისმგებლობის სახელწოდებით. იგი ფართოდაა გავრცელებული საერთო სამართლის ქვეყნებში. ასე მაგალითად, მკაცრი პასუხისმგებლობა არსებობს აშშ-ში, სადაც დაზარალებულს არ სჭირდება მწარმოებლის ბრალის დამტკიცება. საამისოდ საკმარისია პროდუქტის ნაკლის არსებობა და მისგან ზიანის მიყენება.<sup>215</sup>

მკაცრი პასუხისმგებლობა გამოწვეულია დაზარალებულის ინტერესებიდან და მისი დასაბუთება არც ისე ძნელია, ვინაიდან საამისოდ სულ ერთია დაზარალებულს ზიანი ბრალეულად მიაღგება თუ ბრალის გარეშე. მთავარია, ანაზღაურდეს ეს ზიანი. მწარმოებლის მკაცრი პასუხისმგებლობა მოქმედებს რუსულ სამართალშიც. ევროპის ბევრ ქვეყანაში ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპია გაბატონებული. მაგალითად, საფრანგეთში მომხმარებელს არ შეუძლია მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება უშუალოდ მწარმოებელს. მოთხოვნა წაეყენება მოვაჭრეს, რომლისგანაც მან ეს პროდუქტი შეიძინა. ვაჭარი-პროფესიონალი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა პროფესიონალი-მოვაჭრის ბრალეულობის პრეზუმაცია არაპროფესიონალი მომხმარებლის წინაშე. თავის მხირვ, მოვაჭრეს შეუძლია პასუხისმგებლობა გადააკისროს მწარმოებელს ან რეგრესის გზით, ანდა როგორც თანამოპასუხეს. მოსარჩევეს არ ევალება ბრალის მტკიცება. საკმარისია პროდუქტის წუნისა და მისგან ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცება.<sup>216</sup>

რაც შეეხება ქართულ სამართალს, აქ პასუხისმგებლობა ბრალის გარეშეც შეიძლება დადგეს. სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის ცალკეული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, რომლებშიც საუბარია მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და პასუხისმგებლობის შემცირების შემთხვევებზე, დგინდება, რომ მოქმედებს ბრალის გარეშე აბსოლუტური – მკაცრი პასუხისმგებლობა.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მოქმედებს გერმანულ სამართალში. კერძოდ, გამოიკვეთა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელიც სხვა პირს ჰქინდება პროდუქტის ამა თუ იმ ხარისხს, პასუხს აგებს ამ პროდუქ-

<sup>215</sup> ი. Охрана прав потребителей в Капиталистических странах. Научноаналитический Обзор, Москва, 1972, 27.

<sup>216</sup> იქვე.

ტით მიუენებული ზიანისათვის, თუნდაც ეს ზიანი გამოწვეული იყოს ბრალის გარეშე.

მაშასადამე, წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის შემადგენელი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, შეიძლება არც არსებობდეს. დიდი ხანია, როგორც აშშ-ის სამართალი, ისე გერმანული და ევროკავშირის დირექტივა, ამკვიდრებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მომენტიდან უნდა დადგინდეს ბრალის არსებობა-არარსებობის საკითხი: პროდუქტის ნაკლის დადგომისას თუ ამ ნაკლით გამოწვეული ზიანის დადგომისას? თითქოს ძალიან ახლოსაა ეს ორი ურთიერთდამაკავშირებელი გარემოება, თუმცა, ბრალეულობა ყოველთვის სუბიექტური შეფასების საგანია. სწორედ ამ ნიშან-თვისებიდან გამომდინარე, მწარმოებელი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი როლი არ მიუძღვის ნაკლის დადგომაში, მაინც აგებს პასუხს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. მნიშვნელობა არა აქვს, რისი თუ ვისი ბრალით დადგა პროდუქტის წუნი, რით გამოიხატება პროდუქტის ნაკლოვანება. თუკი მწარმოებელი ვერ დაიხსნის თავს ვერც ერთი კანონით, კერძოდ, სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის საშუალებებით და, ვერ დაამტკიცებს თავის ე.წ. არაბრალეულობას, ეს დაუმტკიცებლობა გახდება მისი ბრალეულ პირად შერაცხვის საფუძველი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობისას, ზოგადად, გარემოებები ისეა აწყობილი და შექმნილი, რომ ეჭვმიტანილი პირის მიერ მისი ბრალის გაქარწყლების შესაძლებლობა თითქმის ნულამდეა დაყვანილი. ეს კარგად ჩანს „ქათმის ჭირის“<sup>217</sup> საქმიდან. ამიტომაც ეძახიან ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას „მკაცრ პასუხისმგებლობას“. მიუხედავად მწარმოებლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირის არარსებობისა, პროდუქტის ნაკლოვანება გარდუვალია. მის დადგომაში თუკი გამორიცხულია დაზარალებულის ან მესამე პირის ბრალეულობა, მაშინ პასუხისმგებელ პირად მწარმოებელი უნდა მივიჩნიოთ.

მკაცრი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგენილი იქნეს კანონით ან განსაზღვრული იყოს ხელშეკრულებით. წუნდებული პროდუქტის კანონისმიერი განმარტებიდან გამომდინარე, გვაქვს კანონით გათვალისწინებული ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. ამას ამყარებს სსკ-ის 1016-ე მუხლი, რომელიც

<sup>217</sup> ob.Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.611, 242.

აწესებს მწარმოებლის პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვისა და შეზღუდვის დაუშვებლობას, ანუ ასეთ შეთანხმებას კანონი ბათილად მიიჩნევს.

საერთოდ, „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბრალეული პასუხისმგებლობიდან გამონაკლისს.”<sup>218</sup> თუკი მხარეთა შეთანხმებით დადგინდება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, ის უნდა თავსდებოდეს ბრუნვის მონაწილისათვის წაყენებული სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობრივი ქცევის ფარგლებში – მხარე ვერ იქნება შეუძლებელი შესრულების რისკის მატარებელი.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა დაუძლეველი ძალა გახდეს მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, თუ კანონი აქაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მწარმოებლის მიმართ? როგორც წესი, „ზიანის ანაზღაურებაზე პირს ვალდებულს ხდის არა თავის-თავად ზიანი, არამედ ბრალი. თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია ისეთი შემთხვევითი გარემოებით, რომელიც არ არის დამოკიდებული სამართლის ნორმის დამრღვევის ნებაზე, პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.”<sup>219</sup>

სამოქალაქო კოდექსის არაერთ მუხლში მოცემულია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ნიშნები. „სახელშეკრულებო სამართლალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ხშირად უკავშირებენ მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას, გვაროვნულად განსაზღვრული ნივთის დაღუპვას, ხოლო დელიქტურ სამართლალში – მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიენების ფაქტს.”<sup>220</sup>

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისას პასუხისმგებლობა შეიძლება ატარებდეს როგორ ბრალეულ, ისე არაბრალეულ ხასიათს. აქაც ნათლად ჩანს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანალოგიური ვითარება. ორივე შემთხვევაში ზიანის დადგომის, გამომწვევის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მიზეზი საშიში, საფრთხის შემცველი მოქმედება ან თავად პროდუქტია. რამდენად გარდუვალი იყო მისი დადგომა, სამოქალაქო სამართლალში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, სსკ-ის 1009-1016-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემადგენლობა ეჭვმიტა-

<sup>218</sup> ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართლი, თბილისი, 2001, 387-388.

<sup>219</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, 107.

<sup>220</sup> იქვე, 108.

ნილ პირს საშუალებას აძლევს, თავი დაიხსნას თავად ამ პასუხისმგებლობისგან. რამდენად ცვლის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის კლასიკურ შინაარს გამონაკლისის დაშვება, ეს დასადგენია.

წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობა ორი სახის პასუხისმგებლობის – სახელშეკრულებოს თუ დელიქტურის – ზღვარზეა. რომელ სასარჩელო მოთხოვნას დაეფუძნება ზიანის ანაზღაურება, ეს დამოკიდებულია მხარის ნებაზე. პასუხისმგებლობის შემადგენლობის თვალსაზრისითაც, ის, შესაძლებელია, ატარებდეს როგორც ბრალეულ ხასიათს, ისე არაბრალეულს; შესაძლოა, მწარმოებელს პირადად არ მიუძღვოდეს ბრალი ზიანის დადგომაზი ან პროდუქტის წუნში, თუმცა, მაინც დაეკისროს პასუხისმგებლობა.

ეშირ შემთხვევაში მწარმოებელი ხდება შეუძლებლის შესრულების რისკის მატარებელი. ეს რისკი კი თავად მისი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარეობს. მწარმოებლის მიზანი – შექმნას, აწარმოოს და მოახდინოს სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაცია, დაკავშირებულია შესაბამისი ხარისხისა თუ უსაფრთხოების დონისძიებებთან. კანონი მწარმოებელს პირდაპირ ავალდებულებს, შექმნას და ბაზარზე გაიტანოს ჯანმრთელობისთვის თუ სიცოცხლისათვის უსაფრთხო პროდუქტი. თუკი პროდუქტის ბაზარზე უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ იქნება და დადგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მწარმოებელს შესაძლოა, ბრალის მიუხედავად, დაეკისროს პასუხისმგებლობა. მკაცრი პასუხისმგებლობის ბუნებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. მას არ აინტერესებს, თუ რატომ დადგა ეს შედეგი, რომელი ვალდებულება დაარღვია მწარმოებელმა – მთავარია, რომ მან გადაუხვია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ძირითად ვალდებულებებს და, ამის შედეგად, დადგა ზიანი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 1009-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაქარწყლების შესაძლებლობებს, მკაცრი პასუხისმგებლობის შემსუბუქების შემთხვევებს.

## 5. ხელშეკრულების მიუხედავად პასუხისმგებლობა

ქართული სამართლის მიხედვით, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დგება ხელშეკრულების მიუხედავად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის თანახმად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელს პასუხისმგებლობა ეკისრება, მიუხედავად

იმისა, იმყოფება თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულ მომხმარებელთან. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ზიანის გამომწვევი პროდუქტი დაზარალებულს მწარმოებელმა მიაწოდა თუ სხვა პირმა. მაგალითად, თუ დაზარალებულმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი შეიძინა არა უშუალოდ მწარმოებლისგან, არამედ სხვა პირისაგან, რომელმაც, თავის მხრივ, პროდუქტი მწარმოებლისგან შეიძინა, პასუხს აგებს მაინც მწარმოებელი, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელსა და დაზარალებულს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს.

ასეთივე სურათი ჩანს გერმანულ სამართალშიც, რომლის ბევრი დებულება ქართულ სამართალშია გადმოღებული. ამ პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფშია მოცემული. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაზარალებულს, რომელიც არ იმყოფება მწარმოებელთან პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე, კერძოდ, 823-ე პარაგრაფის საფუძველზე, მოსარჩევემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხე მწარმოებელმა დაარღვია ყურადღებიანობისა და მზრუნველობის აუცილებელი მოთხოვნები.<sup>221</sup>

მწარმოებელი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუკი დაამტკიცებს, რომ ის და მისი მუშაკები, რომლებიც მონაწილეობენ საქონლის დამზადებაში, მოქმედებდნენ ყურადღებიანობისა და გულისხმიერების ყველა მოთხოვნათა დაცვით. ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ეს პრინციპი გამოიყენა ე.წ. საქმეზე „ქათმის ჭირის შესახებ“. ქათმების ფაბრიკის პატრონმა მიმართა ვეტერინარს, რათა ქათმებისთვის გაეკეთებინა შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა. ვეტერინარმა გამოიყენა მოპასუხე მწარმოებლის ვაქცინა. რამდენიმე დღის შემდეგ ქათმებს გაუჩნდათ შავი ჭირის ეპიდემია და 4000 ქათმი გაწყდა. დადგინდა, რომ შავი ჭირის ეპიდემია გაჩნდა ქათმების ფაბრიკაში სწორედ აღნიშნული უხარისხო პრეპარატის გამოყენების შედეგად. ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა მოპასუხეზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ვინაიდან დადგინდა, რომ ვაქცინა გამოშვებისთანავე წუნდებული იყო, მოპასუხე ვალდებული იყო ემტკიცებინა, როგორ აღმოჩნდა ვაქცინა უხარისხო

<sup>221</sup> ob. Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung, 3.neubearb.Aufl.Tübingen: Mohr, 1996, 682-683.

და, რომ მასში არ იყო მწარმოებლისა და მისი პერსონალის ბრალი. ამგვარი მტკიცებულებანი მწარმოებელმა ვერ მოიტანა. მწარმოებლის გაუმართლებელ მტკიცებულებებს „ეშმაკისეულს“ უწოდებენ, ვინაიდან ძალიან ძნელია იმის დამტკიცება, რომ მწარმოებელი არ არის ბრალეული.<sup>222</sup>

ფრანგულ სამართალშიც გაფართოებულია მწარმოებლის დელიქტური პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის. სასამართლო პრაქტიკაში გატარებულია სამოქალაქო კოდექსზე დაფუძნებული ხაზი, რომლის მიხედვითაც, საქონლის მყიდველი და მწარმოებელიც ინარჩუნებენ რა თავიანთ კონტროლს საქონლის სტრუქტურაზე, შესაბამისად, პასუხსაც აგებენ ასეთი საქონლით მიყენებული ზიანისათვის (მუხლი 1384). ქართული სამართლის ზემოთ მოტანილი დებულებაც ფრანგულის ანალოგიურია.<sup>223</sup>

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1645-ე მუხლში წერია, რომ, თუკი გამყიდველმა იცოდა გაყიდული ნივთის ნაკლის შესახებ, მყიდველს უნდა აუნაზღაურდეს ამ ნაკლით მიყენებული მთელი ზიანი. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გამყიდველად ითვლება ის, ვინც იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ და, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შეუძლებელია არ სცოდნოდა ამ ნაკლის შესახებ. ამდენად, ყოველი მწარმოებელი ან საცალოდ მოვაჭრე, რომელიც თავისი ბიზნესის ფარგლებში ყიდის დეფექტურ საქონელს, ითვლება ისეთ პირად, რომელმაც იცოდა თავისი საქონლის ნაკლოვანების შესახებ და, ამიტომაც მან ზიანი უნდა აანაზღაუროს. ვინაიდან ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზეა საუბარი, დაზარალებულს შეუძლია სარჩევი წაუყენოს საცალოდ მოვაჭრეს. ამ უკანასკნელს კი შეუძლია პროცესში ჩართოს თავისი გარანტი საბიოუმო მოვაჭრე და ამტკიცოს, რომ იგი არის პასუხისმგებელი მის წინაშე. საბიოუმო მოვაჭრეს, თავის მხრივ, შეუძლია იგივე გამოიყენოს მწარმოებლის მიმართ. ყოველივე ეს მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბოლოოდ „მოძებნოს“ მწარმოებელი, რომელიც გადაიხდის.<sup>224</sup>

რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკულ სამართალს, იქაც მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი. ამ სახის პასუხისმგებლობა აქ მოწესრიგებულია სახელშეკრულებო სამართლით. ჯერ კიდევ ადრე, 1844 წელს, ინგლისურ სასამარ-

<sup>222</sup> იქვე, 683.

<sup>223</sup> ი. კომაროვ А.С. Ответственность в комерческом обороте, Издательство Юридическая литература, Москва, 1991, 173.

<sup>224</sup> ი. Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung, 3.neubearb.Aufl.Tübingen: Mohr, 1996, 682.

თლო პრაქტიკაში თავი იჩინა „სახელშეკრულებო კავშირის“ თეორიამ, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხი შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ იმას, ვისთანაც დაზარალებული იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ე.ი. მომხმარებელი თუ არ იმყოფება დამამზადებელ-მწარმოებელთან უშუალო კავშირში, ამ უკანასკნელს ვერ მოსთხოვდა პასუხეს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის.

„სახელშეკრულებო კავშირის“ თეორია შემდგომ შეცვალა რეკლამირების პრინციპმა. მწარმოებელი, რომელიც რეკლამას უწევს პროდუქტიას, ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი ყველა იმ დაზარალებულს, რომელიც დაზიანდება რეკლამირებული წუნდებული პროდუქტით; მწარმოებლის რეკლამამ ვერ გაამართლა. ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია ასეთი მაგალითი: მოსარჩელემ შეიძინა „ფორდის“ მარკის ავტომობილი. „ფორდის“ კომპანია ავტომობილის გაყიდვისას ამტკიცებდა, რომ ავტომანქანა აღჭურვილი იყო დაუმსხვეველი მინებით. მოსარჩელეს დაემსხვრა საქართველოს მინა და ამით დაუზიანდა სხეული. ავტომობილის მფლობელმა სარჩელი წაუყენა „ფორდის“ კომპანიას, რომელთანაც იგი არ იმყოფებოდა არავითარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში. სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა იმას, რომ კომპანია თავის განცხადებაში იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას საქონლის ბაზარზე გაყიდვის დროს.<sup>225</sup>

ამერიკულ სამართალში თანდათან გამოიკვეთა წუნდებული პროდუქტისათვის არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პრინციპის ნიშნები. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ემყარებოდა რა სახელშეკრულებო კავშირის დოქტრინას, გამორიცხავდა, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გარდა, სხვა რომელიმე სახის პასუხისმგებლობას, კერძოდ – დელიქტურ პასუხისმგებლობას. სასამართლოები უარს ამბობდნენ დელიქტურ სარჩელებზე. პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ვერ გამორიცხა დელიქტური პასუხისმგებლობა, 1916 წელს დაფიქსირდა. ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლომ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ავტომობილის მწარმოებელს, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სახელშეკრულებო კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. სასამართლომ მიუთითა, რომ მწარ-

<sup>225</sup> ი. კომაროვ А.С. Ответственность в комерческом обороте, Издательство Юридическая литература, Москва, 1991, 164. ასევე ი. ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლომ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ცნობა ქართულ სამოქადაქო სამართალში, „ცხოვრება და სამართლი“, 1998, №3, 75.

მოებელმა პასუხი უნდა აგოს იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მისი პროდუქციის შედეგად, თუკი აღგილი ექნებოდა დაუდევრობას პროდუქციის წარმოების პროცესში. ამ გადაწყვეტილებით საფუძველი დაედო პასუხისმგებლობის არასახელშეკრულებო ხასიათს. თუმცა, დელიქტური პასუხისმგებლობა დაზარალებულის მდგომარეობას ართულებდა იმ მხრივ, რომ მას უნდა ემტკიცებინა, რომ ვნების მიზეზი მწარმოებლის მიერ დაშვებული დაუდევრობა იყო.<sup>226</sup>

ასე თანდათან, ერთიმეორის გვერდით, ვითარდება პასუხისმგებლობის სახელშეკრულებო და დელიქტური კონცეფციები. ბოლოს გამოიკვეთა ის აზრიც, რომ პასუხისმგებლობა უნდა ემყარებოდეს არა ბრალს, არამედ უნდა ატარებდეს აბსოლუტურ ხასიათს.<sup>227</sup> ასეთი მიდგომით წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა იქცა აბსოლუტურ პასუხისმგებლობად.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა გულისხმობს სხვა პირის სამართლებრივი სიკეთისათვის ან აბსოლუტური უფლებისადმი ზიანის მიყენების ანაზღაურების დაკისრებას. მაშასადამე, სამართლებრივ ურთიერთობაში ორი მხარეა. ერთი მხრივ, ზიანის მიმყენებელი სამართალდამრდველი და, მეორე მხრივ, დაზარალებული.

მაშასადამე, აქ სამართალდარღვევასთან გვაქვს საქმე. ეს კი აუცილებელი პირობაა იურიდიული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

თუ რა ხასიათის სამართლებრივი კავშირია მხარეთა შორის ურთიერთობაში იმის მიხედვით განისაზღვრება მოთხოვნის საფუძველი და პასუხისმგებლობის სახეები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რა სახის ურთიერთობა აქვთ მხარეებს; არის თუ არა მათ შორის ხელშეკრულება დადებული; დამდგარი შედეგისათვის რის საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს ზიანი? ეს ის შეკითხვა ბია, რომელზედაც პასუხის გაცემას მივყავართ პასუხისმგებლობის სახეების გამიჯვნისაკენ.

როგორც სამოქალაქო კოდექსი, ისე იურიდიული დოქტრინა, ერთმანეთისგან მიჯნავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, უწ. დელიქტურ პასუხისმგებლობას. „სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებიდან

<sup>226</sup> ი. კომაროვ А.С. Ответственность в комерческом обороте, Издательство Юридическая литература, Москва, 1991, 164.

<sup>227</sup> იქვე, 165.

გამომდინარე ვალდებულებას. არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კი მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. პასუხისმგებლობის ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ კონკრეტული ნორმის გამოყენება<sup>228</sup>. შესაბამისად, ზუსტად განისაზღვრება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ რომელ ნორმებს ეყრდნობა იგი – დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმებს თუ ხელშეკრულების შინაარსში ჩადებულ პირობებს?

სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, „წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან.”<sup>229</sup>

სსკ-ის დელიქტების კარში არის განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი შესაძლებელია იყოს როგორც ხელშეკრულება, ისე დელიქტი. მოთხოვნის საფუძვლის გამორკვევას მოსდევს პასუხისმგებლობის სუბიექტის დადგენა, კერძოდ, უნდა გაეცეს პასუხი მთავარ სამართლებრივ პრობლემას – ვინ უნდა აგოს პასუხი წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის? ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი დაზარალებულმა? თუკი მწარმოებელსა და დაზარალებულ-მომხმარებელს შორის თავიდანვე არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რამდენად შეიძლება პასუხისმგებლობის დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე დაკირება? შესაძლოა გამყიდველს მოვთხოვოთ წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, თუკი დაზარალებულსა და მწარმოებელს შორის სახელშეკრულებო კავშირი არ შემდგარა? ცალსახად უნდა დადგინდეს, სამართლებრივი ურთიერთობის რომელი სახეა უფრო ეფექტური დაცვის თვალსაზრისით დარღვეული უფლებების აღდგენისათვის? როგორც ჩანს, არსებობს ბევრი კითხვა, რომელზედაც ზუსტი პასუხის გაცემა რთულია. მოთხოვნათა არჩევის თავისუფლება დაზარალებულთათვის უფრო გაართულებდა ისედაც გართულებულ სამართლებრივ რეალობას. ყოველთვის შეიძლება

<sup>228</sup> დუნდუა ქ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის უურნალი, №1, თბილისი, 2009, 54.

<sup>229</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997.

დადგეს მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი, თუმცა მან სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის გართულება და მომხმარებლის მხრიდან მის მიმართ ინტერესის დაკარგვა არ უნდა გამოიწვიოს. ზოგადად, უფლების დაცვა სამართლებრივი ბარიერების არსებობასაც გულისხმობს, თუმცა დარღვეული უფლებების აღდგენის ეს გზა არ უნდა გართულდეს და არ უნდა გახდეს მიუწვდომელი. შესაბამისად, ცალსახაა, რომ დღევანდელი სამართლებრივი რეალობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, დახვეწას საჭიროებს.

თითოეული კონკრეტული შემთხვევისას უნდა შეფასდეს, რა სახის სამართლებრივ ურთიერთობაშია დაზარალებული მწარმოებელთან, როდესაც აღნიშნულ პროდუქტს უშუალოდ მწარმოებლისგან კი არა, არამედ შუამავალი პირების მეშვეობით იძენს. ცალკე, სხვა თემაა ბრალის საკითხი. ხელყოფილ სამართლებრივ სიკეთეთა რაობაც არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეს. როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობისას შესაძლოა ხელყოფილ იქნეს როგორც ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სხეულის ხელშეუხებლობა, ისე ქონებრივი სიკეთეები.

„პრაქტიკულად ძალზე მნიშვნელოვანია დელიქტური და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი, რადგან ერთი და იგივე ქმედება შეიძლება ჩაითვალოს როგორც დელიქტად, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად. თეორიულად ასეთი გამიჯვნა პრობლემას არ წარმოადგენს.“<sup>230</sup>

თუკი მხარის ნებაზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობის რომელ საფუძველს აირჩევს, რა თქმა უნდა, ის იხელმძღვანელებს იმით, თუ რომელი პასუხისმგებლობა უფრო ხელსაყრელი იქნება ზიანის ასანაზღაურებლად.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებებია და უპირატესად სარგებლობენ რელატიურ უფლებებთან მიმართ ბით. ამიტომაც, ზიანი ანაზღაურდება დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით, ურთიერთობას ხელშეკრულებაც რომ ედოს საფუძვლად. სასამართლო პრაქტიკაც ანალოგიურად წყვეტს ამ საკითხს: სამკურნალო დაწესებულებასა და პაციენტს შორის დაიდო სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება და პაციენტს გაუკეთდა რამდენიმე ოპერაცია, რომელთა შედეგად მას შეერყა ჯანმრთელობა და გახდა ინგალიფი. პაციენტმა სარჩელით მიმართა სასამარ-

<sup>230</sup> დუბლება ქ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, №1, ობილისი, 2009, 58.

თლოს და მოითხოვა ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლო, საქმის განხილვისას, დაეყრდნო სსკ-ის 1007-ე მუხლს, რომლის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას ... პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმუენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.“ ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ამ საქმეზე გამოტანილ განჩინებაში თქვა, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგან მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული ნორმის საფუძველზე კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (იხ. საქმე #ას- 33-406-05, 13 აპრილი, 2005წ).<sup>231</sup>

ამდენად, საკასაციო სასამართლომ გამორიცხა ამ შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენება.

შეიძლება ითქვას, მსგავსი რეალობაა მოთხოვნათა გამიჯვნისას წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის დადგომისას. ერთი მხრივ, შესაძლოა გვქონდეს პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობა, მეორე მხრივ კი, არასახელშეკრულებო ურთიერთობა. სასამართლო, ალბათ, აქაც კონკრეტული შემთხვევისას გადაწყვეტს, თუ სამართლის რომელი ნორმებით იხელმძღვანელოს.

თუმცა, დასახელებული გადაწყვეტილება (იხ.საქმე #ას- 33-406-05, 13 აპრილი, 2005წ) სხვა კუთხითაცაა დანახული, რასაც საფუძვლად უდევს შემდგენი მოტივაცია: სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გამოცხადება, როგორც სამოქალაქო გარიგების კონკლუდენტური ფორმა, ორიგე მხარისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოშობს. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი სწორედ იმას ემსახურება, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე დელიქტური პასუხისმგებლობა გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოდექსის 1007-ე მუხლის საჭიროება არ იარსებებდა, რადგან, ზოგადად, დელიქტური პასუხისმგებლობის მოსაწესრიგებლად კოდექსის 992-ე მუხლი უნდა იყოს გამოყენებული. ამიტომაა, რომ 1007-ე მუხლი გამონაკლი-

<sup>231</sup> იქვე, 59.

სია დელიქტურ ვალდებულებებში.<sup>232</sup> ამ გამონაკლისთა სიაში შედის 1009-ე მუხლიც. თუმცა, მაინც საკამათოა, რამდენად აქვს სარჩელთა კონკურენციას აღგილი და, არის თუ არა ეს მუხლი დელიქტური სამართლის გამონაკლისი შემთხვევა?

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-6 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრებას მწარმოებლის-თვის, თუმცა, არ აკონკრეტებს ვისთან და რა სამართლებრივ ურთიერთობა-შია იგი დაზარალებულ-მომხმარებელთან. შესაბამისად, უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ ეს კანონი, როგორც მოთხოვნის საფუძველი, შეიძლება გახდეს ორივე პასუხისმგებლობის – სახელშეკრულებოს თუ დელიქტურის – დაკისრების საფუძველი.

მართალია, აღნიშნული კოდექსი სპეციალური ნორმატიული აქტია და კოლიზიისას მას ენიჭება უპირატესობა, მაგრამ პასუხისმგებლობის შემადგენლობის განხილვისას და, ზოგადად, პასუხისმგებლობის დაკისრებისას, სსკის ნორმების გამოყენება აუცილებელია.

დელიქტური ვალდებულება მკაცრად უნდა გაიმიჯნოს სახელშეკრულებოსგან. არ უნდა იყოს დამაჯერებელი ლიტერატურაში არსებული აზრი, რომელიც ტრადიციული დელიქტური ვალდებულების გვერდით გამოყოფს სახელშეკრულებო დელიქტურ ვალდებულებას. ამ აზრის თანახმად, სახელშეკრულებო დელიქტური ვალდებულება ხელშეკრულების პირობების დარღვევას მოჰყვება. მართალია, ხელშეკრულების დარღვევას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ზიანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დელიქტური ვალდებულებაა. ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც ხელშეკრულების დარღვევასთანაა დაკავშირებული. ისტორიულად, ტრადიციულად დელიქტი ზიანის მიყენებაა არასახელშეკრულებო ურთიერთობაში. ამიტომაცაა, რომ აქ დელიქტი განსაზღვრავს ვალდებულების ბუნებას, იქ კი – ხელშეკრულება. ამიტომაც, საჭიროა იმის მტკიცება, რომ ზიანი, რომელიც სამართალდარღვევის შედეგად დადგა (იქნება ეს სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო), დელიქტის შედეგია და მისი ანაზღაურება დელიქტური ხასიათის ვალდებულებას წარმოადგენს.<sup>233</sup> როცა ზიანის მიყენება ხდება ზოგა-

<sup>232</sup> სუხიტაშვილი თ., სუხიტაშვილი დ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი”, №3(30), 2011, 72.

<sup>233</sup> ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, უურნალი მართლმსაჯულება, №1, 2008, 50.

დი აბსოლუტური ვალდებულების დარღვევის შედეგად, მაშინ ცხადია და-  
ლიქტური ვალდებულება, რომელიც დალიქტური პასუხისმგებლობის იდენტუ-  
რია. როცა ზიანის მიუენება ხდება რელატიური ვალდებულების, კერძოდ, სა-  
ხელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად, მაშინ ჩნდება სახელ-  
შეკრულებო პასუხისმგებლობა, რომელიც იმიჯნება სახელშეკრულებო ვალ-  
დებულებისგან და წარმოადგენს მის უარყოფას.

მიუხედავად სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისა, წუნდებული  
პროდუქტით მიუენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, დალიქტური პასუ-  
ხისმგებლობაა. პრაქტიკაში როგორიც დალიქტური და სახელშეკრულებო პა-  
სუხისმგებლობათა გამიჯვნა. სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილი, მართალია, უშ-  
ვებს ხელშეკრულების როგორც დადების, ისე მისი არდადების ფაქტსაც. შე-  
საძლებელია მხარეთა შორის დაიდოს ნახყიდობის ხელშეკრულება კონკრე-  
ტულ ნივთზე, რომელმაც შემდგომ გამოიწვია ჯანმრთელობისა თუ სიცოცხ-  
ლისათვის ზიანი. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მყიდვე-  
ლი ან მწარმოებელი ვალდებული იყო, მიეწოდებინა უსაფრთხო და სარისხი-  
ანი, ნივთობრივად უნაკლო ნივთი, რომლის ვალდებულებაც მან დაარღვია.  
ანუ დაირღვა ხელშეკრულების პირობები. ის, რომ ამ ნივთმა გამოყენების შე-  
დეგად ზიანი გამოიწვია, უკვე დალიქტიდან წარმოშობილი ზიანია, კერძოდ  
კი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ბრალეულად თუ არაბრალეულად მი-  
ყენებული ზიანი. ეს უნდა დადგინდეს თითოეული კონკრეტული შემთხვევი-  
სას. ამ დროს უკვე შესაძლებელია დალიქტური სამართლის ნორმები გამოყე-  
ნებულ იქნეს.

პასუხისმგებლობის დაკისრებისას გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორე-  
ბი. კერძოდ, მნიშვნელოვანია, თუ რა სახის ნაკლი გვაქვს, ვისგან მომდინარე-  
ობს ეს ნაკლი, რა ეტაპიდან და რომელი სამართლებრივი სიკეთის დაზიანე-  
ბას აქვს ადგილი. ამ გარემოებების შესწავლის შემდგომ, ვადგენთ იმ პირის  
ვინაობას, რომლის მოქმედებით წარმოებული პროდუქტის ნაკლის შედეგად  
დადგა ზიანი. როცა დადგინდება პასუხისმგებელი პირის ვინაობა, ბუნებრივია  
იმავდროულად გაეცემა პასუხი იმ კითხვაზე, თუ რა სამართლებრივი ურთი-  
ერთობა აკავშირებდა მას დაზარალებულ-მომხმარებელთან, კერძოდ, სახელ-  
შეკრულებო თუ არასახელშეკრულებო. პასუხისმგებლობის დაკისრებისას,  
ზოგადად, უნდა გამოირცხოს მისი არდაკისრების გამამართლებელი გარემო-  
ბები, რომელთა ჩამონათვალსაც სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის ბო-

ლო წინადაღება იძლევა. მაგალითად, თუკი პროდუქტის უსაფრთხოება რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიქმნა „საფრთხეედ“ იმის გამო, რომ სახელმწიფომ გაამკაცრა ხარისხის დადგენის კრიტერიუმები პროდუქტისათვის, მწარმოებელს ამ სახის პროდუქტის წუნით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს ვერ მოვსთხოვთ (1009, დ.). აგრეთვე, მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუკი ნაკლი მისი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას არ არსებობდა (1009.პ.). წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც სავაჭრო ობიექტის მეშვეობით ხდებოდა კონკრეტული პროდუქტის რეალიზაცია, ხოლო პროდუქტის წუნი გამოიწვია არასწორმა შენახვამ, ტრანსპორტირებამ თუ მოხმარების გზით გამყიდველის მიერ გამოჩენილმა უყურადღებობამ, რამაც შემდგომში ზიანი გამოიწვია მოხმარებლისთვის. ამ შემთხვევაში ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა? რეალურად, გვაქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა, დაიდონასყიდობის ხელშეკრულება და მოთხოვნის საფუძველიც სახელშეკრულებო. ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია ვალდებულება, გადაუცა უნაკლო, მინიმალურად საშუალო ხარისხის ნივთი, შედეგად კი დადგა ჯანმრთელობისათვის საშიში ზიანი. მაგალითად, ტრანსპორტირებისა თუ არასათანადო შენახვის შედეგად დაზიანებული შეფუთვის გამო სურსათის მაღაზიაში შეძენილი სასმელი პროდუქტი საზიანო აღმოჩნდა მომხმარებლისთვის. სასმელი წყლის ბოთლის გახსნის შემდეგ ბოთლი გატყდა და ნამსხვრევების შედეგად სხეული დაზიანდა. აქ მწარმოებლის ბრალული ქმედება გამორიცხულია. პასუხისმგებელ პირად, პირველ რიგში, მოიაზრება გამყიდველი, ვისთანაც დაზარალებულს სახელშეკრულებო ურთიერთობა გააჩნია. აქაც იკვეთება პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი შემადგენლობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და ზიანს შორის. თუმცა, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაც არაა გამორიცხული. მაშასადამე, დაზარალებულზეა დამოკიდებული, რა გზას აირჩევს თავისი აბსოლუტური უფლებების აღდგენა-კომპუნისაციისათვის: სახელშეკრულებოს, დელიქტურს თუ სსკ-ის 1009-1016 მუხლებს. ეს თითოეული კონკრეტული შემთხვევისას უნდა დადგინდეს და განისაზღვროს, რომელი მოთხოვნის საფუძველი გამართლებს უფრო მეტად (სსკ-ის 395-ე, 992-ე თუ 1009-1016-ე მუხლები).

სასამართლო პრაქტიკაში დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნის გასამიჯნავად აუცილებელია პასუხისმგებლობის ამ სახეების არსებითი თავისებურებების გამოკვლევა. მართებული არ უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ დე-

ლიქტური პასუხისმგებლობა გამოუყენებელი ხდება, როცა მხარეებს შორის დადგებულია ხელშეკრულება (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება). მართალია, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების მონაწილის მიმართ, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დელიქტური პასუხისმგებლობა წარმოიშობა ყველას მიმართ როგორც პროდუქტის უკანასკნელი მომხმარებლის, ასევე ხელშეკრულების მონაწილის მიმართ (მ.1009.1.). სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ემსახურება ეკვივალენტური ინტერესების დაცვას. დელიქტური პასუხისმგებლობა კი ეხება ხელშეკრულების გარეურთიერთობაში არსებული სამართლებრივი სიკეთეების დაცვას.

დელიქტური პასუხისმგებლობის ობიექტი არაა თავად პროდუქტიდან ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები. იგი მიმართულია იმ ზიანის კომპენსაციისაკენ, რაც ნაკლის მქონე ნივთის შედეგად მიაღდგა სხვა სამართლებრივ სიკეთეებს.

დელიქტური და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანხვედრისას დაზარალებულს შეუძლია თავისი ინტერესები ორივე საფუძვლით დაიცვას. გასათვალისწინებელია ის, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნა ხანდაზმულობის მოკლე ვადას ითვალისწინებს და სხვაგვარად აწესრიგებს პასუხისმგებლობის საფუძველთა გამორიცხვის შემთხვევებს.”<sup>234</sup>

როდესაც მეწარმე აწარმოებს პროდუქტს და სამოქალქო ბრუნვაში გაიტანს, ამის შედეგად კი თავისი არასწორი (ნაკლიანი) მოპყრობით დადგება ზიანი, ჩნდება კითხვა, რა საფუძვლებით უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მწარმოებლისგან ზიანის ანაზღაურება. ამასთან ერთად, შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი შეკითხვა, რომ მწარმოებლის გარდა, ასევე იმპორტიორმა და დიდმა სავაჭრო სახლებმა აგონ პასუხი, როდესაც წუნდებული პროდუქტი მათ გააქვთ სამოქალაქო ბრუნვაში. წესებს, რომელთა მიხედვითადაც მწარმოებლის, იმპორტიორის ან მოვაჭრის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების საფუძველი და მოცულობა დგინდება, ჰქვია „პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის სამართალი”.<sup>235</sup>

სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობისას, ხელშეკრულების მხარეს შეუძლია გამოიყენოს მეორეული

<sup>234</sup> Giorgishvili K., Transformation durch Rezeption: Möglichkeiten und Grenzen des Rechtstransfers am Beispiel der Zivilrechtsreformen im Kaukasus und in Zentralasien, Das georgische Verbraucherrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 254.

<sup>235</sup> ob.Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.606, 239.

მოთხოვნის უფლება – ზიანის ანაზღაურება. „საქონლის მყიდველს შეუძლია, თუკი ეს საქონელი ნაკლისმქონეა და ამით სამართლებრივ სიკეთეს ზიანი მიაღება, დამოუკიდებლად წაუყენოს გამყიდველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ეს უკანასკნელი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა. დღევანდელ ვალდებულებით სამართალში საამისო სამართლებრივი საფუძველი მოპოვება BGB-ეს 437-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილსა და 280-ე პარაგრაფებში“.<sup>236</sup>

შესაძლებელია გავიხსენოთ მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან: წყლის ბოთლი ავსებული იყო არა მინერალური წყლით, არამედ მუსათი და მისმა მოხმარებამ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია; მსუბუქი ავტომობილის ნაკლისმქონე ნაწილის გაყიდვის შედეგად მოხდა უბედური შემთხვევა და ამის გამო მყიდველი დაზიანდა; რესტორანში სტუმარმა შეუკვეთა კერძი – ქათამი ბრინჯაონ ერთად, მასში აღმოჩენილი ძვლის გამო მას სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, თუმცა უშედეგოდ – პაციენტი გარდაიცვალა“.<sup>237</sup>

გერმანულ სამართალში პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის მოთხოვნა, შესაძლოა, ეფუძნებოდეს სახელშეკრულებო სამართალს, ზოგადად, დელიქტურ სამართალს და სპეციალურ ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობის კანონებს, სახელდობრ, ProdHaftG, მედიკამენტების შესახებ კანონს და გენტექნიკურ კანონს. ყველა დასახელებული პასუხისმგებლობის საფუძველი თავისუფლად უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. სპეციალურ კანონებს შორის კონკურენცია არ არსებობს.<sup>238</sup>

პროდუქტისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა არაა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შიგნით არსებული რაიმე ტიპი. აქ სახელშეკრულებო სამართლის ნორმები მოდიფიცირებულად გამოიყენება. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ „ქათმის ჭირის“ საქმეზე უარყო ის მოსაზრება, რომ დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს ხელშეკრულება მწარმოებელსა და მოვაჭრეს შორის. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ცნებას გერმანულ სამართალში მხოლოდ ფენემენოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ზოგადი სახელშეკრულებო დებულების საფუძველზე, შესაძლოა, სამოქალაქო ბრუნვაში გასული წუნდებული პროდუქტისათვის დადგეს პასუხისმგებლობა.<sup>239</sup>

<sup>236</sup> იქვე, Rn.607, 239.

<sup>237</sup> იქვე, Rn.607, 240.

<sup>238</sup> Wandt M., Internationale Produkthaftung, Verlag Recht und Wirtschaft, Heidelberg, 1994, Rn.282, 155.

<sup>239</sup> იქვე, Rn.283, 155.

გერმანიის ზოგად დელიქტურ სამართალში პროდუქტისათვის პასუხისმგებლობა არის დამოუკიდებელი ტიპი, მიუხედავად იმისა, რომ ის ვითარდება ზოგადი, საყოველთაო დელიქტური სამართლებრივი დებულებების საფუძველზე. ამ თვითმყოფადობას მივყავართ სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ ბრუნვის უსაფრთხოების სპეციფიკურ ვალდებულებასთან, საიდანაც ჩანს, თუ რა ფუნქცია აქვს პასუხისმგებელ პირს პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესისას. ეს თვითმყოფადობა გამომდინარეობს სპეციფიკური სამოსამართლო პრაქტიკიდან, კერძოდ კი, მტკიცების ტვირთის განაწილებიდან.<sup>240</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ სამართალში მოთხოვნათა კონკურენციისას, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რაიმე გამოკვეთილი აზრი არ არსებობს. სასამართლომ, თვითშემოქმედების თავისუფლების პრინციპიდან და საკანონმდებლო ხარვეზის შევსების ვალდებულებიდან გამომდინარე, შესაძლოა დაადგინოს ახალი წესები, შექმნას ახალი პრინციპები, როგორც ეს გერმანულ სამართალშია.

ქართულ სამართალში „წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე განსხვავებული საფუძვლით:

1. „სსკ-ის 1009-ე და შემდგომი მუხლებით მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველი წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის მიმართ.“<sup>241</sup>

2. ზოგადი (გენერალური) შემადგენლობის დელიქტის მომწესრიგებული სსკ-ის 992-ე მუხლი.

3. სსკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლები, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლები, თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა მხარეთა შეთანხმებით არ არის გამორიცხული.

4. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-6 და მომდევნო მუხლები.

შესაბამისად, მომხმარებლის საფარაუდო მოთხოვნები, როგორც წესი, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გრძელ ჯაჭვს ქმნის და, შესაძლებელია, არსებობდეს როგორც მწარმოებლის, ისე გამყიდველის მიმართ. იმის გასარკვევად, თუ რომელი გამოიყენება უპირატესად აღნიშნულ ნორმათა შო-

<sup>240</sup> იქვე, Rn.284, 155.

<sup>241</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, გამომცემლობა ეში, 2011, თბილისი, 145.

რის, აუცილებელია გაიმიჯნოს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების წინაპირობები და მათი შემადგენლობის ელემენტები.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი, როგორც დელიქტის სპეციალური შემადგენლობა, უპირატესად უნდა ჩაითვალოს, სახელშეკრულებო მოთხოვნასთან და, შესაბამისად, მის დამფუძნებელ საფუძველთან მიმართებით.

ერთი შეხედვით, უდავოა, რომ სახელშეკრულებო და ზოგადი (გენერალური) დელიქტის მოთხოვნის საფუძვლები გამომრიცხავ კონკურენციაშია სსკის 1009-1016-ე მუხლებთან. მწარმოებლის მიმართ აღნიშნული ნორმები, უპირატესად, გამოსაყენებელია, თუ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის არსებული შეთანხმებით არაა დადგენილი მომხმარებლის დაცვის ამაზე უფრო მაღალი სტანდარტი.<sup>242</sup> არის მოსაზრება, რომ ვინაიდან უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დელიქტების თავშია განთავსებული, პასუხისმგებლობის სუბიექტი ვერ იქნება კონტრაკენტი.<sup>243</sup>

## 6. სოლიდარული პასუხისმგებლობა

სამოქალაქო კოდექსის 1013-ე მუხლის თანახმად, თუ ერთი და იმავე ზიანისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. სოლიდარული პასუხისმგებლობა, როგორც წესი, მაშინ დგება, როდესაც გვყავს ზიანის ერთად მიმყენებლები. ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში ასეთი პასუხისმგებლობა ორიგინალურადაა ჩამოყალიბებული. მაგალითად, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ მოსარჩევე ქალის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა იმის შედეგად, რომ დედამისი ორსულობის დროს დებულობდა DES-ის შემცველ, ნაყოფისათვის საზიანო ტაბლეტებს. სარჩევი წარდგენილი იყო სხვადასხვა ფირმების მიმართ, რომელნიც იმ მომენტში აწარმოებდნენ აღნიშულ DES-ს და იყენებდნენ თავიანთ მედიკამენტებში. მოსარჩევემ ვერ დამ-

<sup>242</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, გამომცემლობა ეშხი, 2011, თბილისი, 142-143.

<sup>243</sup> ზაალიშვილი გ., სამომხმარებლო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებაზი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ქურნალი, თხუ, იურიდიული ფაქულტეტი, თბილისი, №1-2, 2010, 74.

ტკიცა, თუ რომელი მწარმოებლის მიერ წარმოებული მედიკამენტი მიიღო და-დამისმა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სარჩელი დაპკამყოფილა. მოპასუ-ხეებზე პასუხისმგებლობა გადანაწილდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მა-თი „პრეპარატის“ წილი იმ დროს ბაზარზე. ამ გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პოლანდიის უზენაესმა სასამართლომ ასეთ გა-დაწყვეტილებას „საბაზრო წილის შესატყვისი პასუხისმგებლობა“ უწოდა. შემდგომ კი მას მოპასუხეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ეწოდა. თუკი რომელიმე მოპასუხე გადაიხდის იმაზე მეტს, რაც ადეკვატური იქნება მის სა-ბაზრო წილზე, მას შეუძლია ზედმეტად გადახდილი კომპენსაცია სხვა მოპა-სუხეებისგან მოითხოვოს.<sup>244</sup>

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივ-ლისის №ბს-434-25 (3კ-06) განჩინებაც, რომლიდანაც ჩანს, რომ „B“ პეპატიტის მკურნალობის პროცესში, რომლის მიმართაც არ არსებობდა სახელმწიფო სტანდარტი, დამდგარი ზიანისათვის სოლიდარულად დაეკისრა პასუხისმგებ-ლობა კომპანია „გი-ისკოს“, სახელმწიფოს და დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს, რომელიც იყო იმუნიზაციის პროცესის უშუალო მონაწილე.<sup>245</sup>

## 7. ზიანის ანაზღაურების ბუნება

სამართლებრივად დაცულია მხოლოდ ის ზიანი, რომლის გათვალისწინე-ბა შესაძლებელი იქნებოდა ბრუნვის საშუალო მონაწილისთვის. ამრიგად, კა-ნონმდებლობა მოსალოდნელი ზიანის განსაზღვრის ობიექტურ კრიტერიუმს ამკვიდრებს, რაზედაც დამოკიდებულია მოვალის პასუხისმგებლობის ფარ-გლები.<sup>246</sup>

ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანი. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფას მოს-დევს, ხოლო არაქონებრივი ზიანი – არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შე-

<sup>244</sup> ი. კონტად ცვაიგერტი, პაის კოტი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერ-ძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამომცემლობა ჯი სი აი, თბილისი, 2001, 365.

<sup>245</sup> კანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სა-მოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, ”იურისტების სამყარო, თბი-ლისი, 2014, 76.

<sup>246</sup> ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრი-სათვის, სამართლის უკრნალი, №1, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2009, 206.

დეგს წარმოადგენს, კერძოდ ისეთის, რომელიც არაა სამოქალაქო ბრუნვის საგანი. ადამიანის სიცოცხლე, ცივილისტური გაგებით, ქონება არაა, მაგრამ მისი ხელყოფით დამდგარი ზიანი ანაზღაურებადია. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივისგან დამოუკიდებლად. თუკი ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ისევ ქონებრივი საშუალებებით ხდება, არაქონებრივი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს სხვა გზებითაც.

არაა აუცილებელი ზიანის ანაზღაურება მათემატიკური სიზუსტით განისაზღვროს. მთავარია, რომ უტყუარი იყოს მისი არსებობა. შეუძლებელია იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც არ წარმოშობილა და არასდროს წარმოიშობა. მოქალაქემ, რომელმაც წუნდებული პროდუქტი გამოიყენა და ზიანი არ განუცდია, ცხადია, ვერც მის ანაზღაურებას მოითხოვს. მაგალითად, რამდენიმე მოქალაქემ ერთდროულად საკვებად გამოიყენა სუპერმარკეტში შეძენილი ძეხვი, რის შედეგადაც მოიწამლა მხოლოდ ერთ-ერთი მომხმარებელი. მიუხედავად იმისა, რომ წუნდებული ძეხვი სხვებმაც ჭამეს, მათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობათ. თუკი ერთ-ერთი მომხმარებელი მოკვდება წუნდებული პროდუქტის გამოყენებით, არ არის გამორიცხული, რომ დანარჩენებმა, რომელთაც არავითარი ქონებრივი ზიანი არ განუცდიათ, დასვან საკითხი იმ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი განიცდიან იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო მათი სიცოცხლეც სიკვდილით დამთავრებულიყო. ამ დანარჩენთა შემთხვევით გადარჩენა არ უნდა გახდეს წუნდებულ პროდუქტიაზე პასუხისმგებელი პირისთვის პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველი.

ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც დადებითი, ისე მიუღებელი შემოსავალი.<sup>247</sup> როცა ზიანდება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასეთ შემთხვევაში დადებითი ზიანი იქნება ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია მისი ჯანმრთელობის აღსადგენად. ხოლო მიუღებელი შემოსავლები ის შემოსავლებია, რომლებიც მან დაზიანების გამო ვერ მიიღო. ასეთია, მაგალითად, მიუღებელი ხელფასი.

აქვე აღსანიშნავია მოსაზრება ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დელიქტური პასუხისმგებლობის ხარვეზის შესახებ. კერძოდ, დელიქტურ პასუხისმგებლობაში საგჭვოა მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურება, მაშინ როცა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

<sup>247</sup> Kötz H., Deliktsrecht, 7.Aufl., Luchterhand Verlag, Neuwied, Kriftel, Berlin, 1996, 190, Rn.494.

ამერიკული სასამართლო პრაქტიკა იმ პოზიციაზეა, რომ ეკონომიკური ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა მოწესრიგდეს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ნორმებით და არა დელიქტურით, რადგან მოსარჩელე, რომელიც სახელშეკრულებო სამართალს უყრდნობა, უფრო მოგებულია.<sup>248</sup>

მატერიალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ყოველთვის იქნეს მოთხოვნილი, თუკი დადგება მისი ანაზღაურების წინაპირობები. რაც შეეხება არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურებას მატერიალური სახით, ეს დაკავშირებულია იმ სულიერ განცდებთან, რომელიც მიადგა დაზარალუბულს არამართლზომიერი, არაკეთილსინდისიერი, არაპროფესიონალური მოქმედების შედეგად. მაგალითად, არასწორი მკურნალობით გამოწვეული სულიერი სტრესი, ძლიერი ამორალური მოქმედებით დამდგარი ტანჯვა. გასათვალისწინებელია ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში არამატერიალური ზიანის ანაზღაურება მატერიალურზე უფრო მნიშვნელოვანია.

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი – სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული – ფუნქციის კომბინაცია მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანია, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.“<sup>249</sup>

გერმანულ სამართალში, ProdHaftG-ით დეტალურადაა გაწერილი ზიანის ანაზღაურების მოცულობა, ხარჯები, სახეები. მასში მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების შემთხვევები ადამიანის სიკვდილის, სხეულის დაზიანების თუნივთის დაზიანების შემთხვევაში. კანონი ადგენს ზიანის ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას – 85 მილიონ ევროს. გამონაკლისია ნივთის დაზიანების შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მხრიდან თანამონაწილეობა 500 ევროს არ აღემატება.<sup>250</sup>

ProdHaftG-ის მე-11 პარაგრაფის თანახმად, დაზარალებულმა ნივთის დაზიანებისას ზიანის ნაწილი თავის თავზე უნდა აიღოს. 2002 წლიდან ეს თან-

<sup>248</sup> Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте, Издательство Юридическая литература, Москва, 1991, 165.

<sup>249</sup> ძლიერი შვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი უკურნალი, 2012, 111.

<sup>250</sup> ob. Kötz H., Wagner G., Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.654,259..

სა შეადგენს 500 ევროს.<sup>251</sup> თუკი დაზარალებულს არ შეუძლია ამ თანხის თავის თავზე აღება, მაშინ მას აქვს შესაძლებლობა დელიქტური სამართლის საფუძველზე მოითხოვოს ზიანის სრული ანაზღაურება, თუკი ზიანის მიმყენებელი ბრალეულია.<sup>252</sup>

ქართული კანონმდებლობა ამ აკითხს არ აკონკრეტებს. შესაბამისად, არ გამოირიცხება ის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დადგეს წუნდებული პროდუქტის მიზეზით გამოწვეული ნებისმიერი სიკეთის დაზიანებისას. ზიანის გამოთვლისა და დაანგარიშების მეთოდები კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. განსხვავებით გერმანულისგან, ქართული სამართალი, ამ მხრივ, ზიანის ანაზღაურების ლიმიტს არ ადგენს, არც მინიმუმის და არც მაქსიმუმის სახით. ყველაფერი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ფორმებზე და ხარისხზეა დამოკიდებული. ლოგიკურია ის, რომ ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურდება მკურნალობის ხარჯები. იქნება ეს ექიმის კონსულტაცია, მედიკამენტები თუ სხვა დამატებითი სამედიცინო მომსახურება. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრას, გერმანული სამართალი თანხის ლიმიტს აწესებს ყველა სახის ზიანზე, მათ შორის, სერიულ ნაკლებებს.

გერმანულ სამართალში ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულთა თუ პასუხისმგებელ პირთა რაოდენობას. თუკი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირები მრავლად არიან, მაშინ მათ შორის თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ოდენობას. იგივე ითქმის დაზარალებულთა მიმართ. ერთი და იმავე პროდუქტის ნაკლის გამო, თუკი დაშავდება რამდენიმე ადამიანი, მიღებული საკომპენსაციო თანხა მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.<sup>253</sup>

„დირექტივის ინგლისურენვანი ვერსიის თანახმად, საკუთრებაზე (ნივთზე) მიყენებული ზიანის ანაზღაურების (უშუალოდ წუნიანი პროდუქციის გარდა) „მინიმალური თანხა 500 ევროა“. განსხვავებულია დირექტივის სხვაგნოვანი ვერსიები. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს თანხა მინიმალურ ლიმიტად მო-

<sup>251</sup> ob. *Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz;,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;*” Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 175.

<sup>252</sup> ob. *Heck H.J., Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, Kommentar,* 3 Aufl. Verlag Erich Schimdt, Berlin, 2001,46.

<sup>253</sup> ob. *Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz;,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;*” Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 172.

იაზრება (როცა ხდება ზიანის სრული ანაზღაურება, თუ იგი ამ მინიმუმს აჭარბებს), ზოგჯერ კი – აუცილებელი თანხაა (როგორც დაზღვევის მინიმუმი), რომელიც ყველა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს. ქვეყნების უმრავლესობა მას აუცილებელ საზღაურად მიიჩნევს. გამონაკლისია დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების კანონმდებლობა, სადაც “ზიანის ანაზღაურების მინიმალური თანხა“ (500 ევრო) მინიმალურ ლიმიტადაა მიჩნეული. თუმცა, ესპანეთის სასამართლოებიც მას მინიმალურ ლიმიტად განიხილავენ, მიუხედავად იმისა, რომ კანონში ის აუცილებელ საზღაურად არის მიჩნეული. აქედან ჩანს, თუ რა პრობლემები შეიძლება გაჩნდეს, როცა კანონი მრავალუროვან ევროპაზე ვრცელდება.”<sup>254</sup>

#### 8. პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევები

როგორც კანონმდებლობითაა დადგენილი, მწარმოებელი პასუხს აგებს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, რა სახის ურთიერთობა ჰქონდა დაზარალებულთან – სახელშეკრულებო თუ არა-სახელშეკრულებო. იგი, ძირითად შემთხვევაში, ბრალეულად თუ არაბრალეულად პასუხისმგებლობის მატარებელი პირია. თუმცა, კანონი არც ისე დაუნდობელია მის მიმართ; კანონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩამონათვალია, როდესაც მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. კერძოდ, სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, მწარმოებელი არ აგებს პასუხს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის. სსკ-ის ამ მუხლიდან არ ჩანს, ეკისრება თუ არა მწარმოებელს პასუხისმგებლობის გამორიცხვის თითოეული შემთხვევის მტკიცების ტვირთი. მხოლოდ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსში წერია, რომ „მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ზიანის მიყენებისათვის, თუ ის დაამტკიცებს, რომ“... (მ.8.2.). როგორც ამ მუხლიდან ირკვევა, მის მტკიცებაზეა დამოკიდებული, გათავისუფლდება თუ არა იგი პასუხისმგებლობისაგან. მას ეწინააღმდეგება სსკ-ის 1012-ე მუხლი. კერძოდ, „წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს.“ ეს მუხლი, ზოგადად, ეხება მტკიცების ტვირთს. თუმცა

<sup>254</sup> Fairgrieve D. and Howells G., Rethinking product liability: a missing element in the European Commission's Third Review if the European Product Liability Directive, 2007, 974.

ლოგიკურია, რომ დაზარალებულმა ამტკიცოს ზიანის გამომწვევი პირის ბრალეულობა, ბრალეულმა პირმა კი იმ შემთხვევაში, თუკი ის არ თვლის თავს ზიანის მიმყენებელ პირად და აქვს საფუძველი, კერძოდ, სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის რომელიმე შემთხვევის არსებობისას დაამტკიცოს თავისი არაბრალეულობა. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, ის მტკიცების ტვირთს დაზარალებულს აკისრებს, გარდა ორი შემთხვევისა, რომელსაც ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მე-4 ნაწილი აწესებს. ხოლო ევროკავშირის დირექტივის თანახმად, მწარმოებელი ზიანის ანაზღაურებისაგან თავისუფლდება მხოლოდ მაშინ, თუკი ის დაამტკიცებს იმ პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარემოებებს, რომელიც მე-7-ე მუხლშია დადგენილი.

განვიხილოთ და სამართლებრივად გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

## 8.1. პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანა

მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუკი „მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ“ (სსკ-ის 1009.1.). აღსანიშნავია, თუ როგორ აწესრიგებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის ამ კონკრეტულ შემთხვევას გერმანული სამართალი და ევროკავშირის დირექტივა. აქ მნიშვნელოვანი საკითხია „სამოქალაქო ბრუნვაში გატანის“, „რეალიზაციაში გასვლის“ ცნებების განმარტება. როგორც ევროდირექტივა, ისე კანონი პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ ერთნაირად განმარტავს მას. თუმცა, პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლასა და ბაზარზე გატანას შორის შინაარსი მაინც განსხვავებულია.

ვიდრე აღნიშნულ საკითხს ევროპულ სამართალს შევადარებო, განვიხილოთ ქართული კანონმდებლობა. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი ყურადღებას ამახვილებს პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას მწარმოებლის ბრალის არარსებობაზე. რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა - „პროდუქტი ბაზარზე მას არ განუთავსებია.“ აქ გადამწყვეტი უნდა იყოს ის, თუ ვინ გაიტანა პროდუქტი ბაზარზე. თუკი ის ვინმე სხვა პირმა გაიტანა, რომელმაც პროდუქტი მწარმოებლის ნების გარეშე, მალულად მიითვისა, რა თქმა უნდა, მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ამასთანავე გასარკვევია, ვინ მოიაზრება მწარმოებელთა ჯაჭვში. თუკი გადავხედავთ

სამოქალაქო კოდექსისეულ განმარტებას – „მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ“ – აქ აქცენტი თითქოს გადატანილია წარმოების მიზანზე, ანუ ვისთვის დაამზადა მწარმოებელმა აღნიშნული პროდუქტი, პირადი მოხმარებისთვის თუ სარეალიზაციოდ. შესაძლებელია ეს განმარტება გამოირიცხოს იმ მოტივით, რომ კოდექსი ცალკე ითვალისწინებს ამ საფუძვლით მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვას (სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, აქ მთავარია, ვინ გაიტანა პროდუქტი სარეალიზაციოდ, მწარმოებელმა, თავისი ნებით, თუ სხვა პირმა. ამ ორ კოდექსს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ სსკ-ი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას უკავშირებს პროდუქტის რეალიზაციაში გატანას, ხოლო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი – „პროდუქტის ბაზარზე განთავსებას.“ არის თუ არა ეს ორი გამოთქმა იდენტური ან პროდუქტის რეალიზაცია მოიცავს თუ არა ბაზარზე განთავსებას – ეს დასადგენია. პროდუქტის ბაზარზე განთავსება განმარტებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსში. კერძოდ კი, მე-4 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ბაზარზე განთავსებად მიჩნეულია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. პროდუქტის ყოველი მომდევნო მიწოდება არ ითვლება ბაზარზე განთავსებად.“ ამ კოდექსში განხილულია ბაზარზე განთავსების გამორიცხვის შემთხვევებიც, კერძოდ, მე-4 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, „ბაზარზე განთავსებად არ ითვლება შემთხვევა, როდესაც:

- ა. მწარმოებელმა პროდუქტი საკუთარ წარმომადგენლობას მიაწოდა;
- ბ. პროდუქტი მიწოდებულია შემდგომი დახვეწის (მაგალითად, აწყობის, შეფუთვის, გადამუშავების ან ეტიკეტირების) მიზნით;
- გ. პროდუქტი არ არის საბაჟო ტერიტორიაზე;
- დ. პროდუქტი წარმოებულია საქართველოში სხვა ქვეყანაში ექსპორტის მიზნით;
- ე. პროდუქტი განკუთვნილია სადემონსტრაციოდ;
- ვ. პროდუქტი განთავსებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და საწყობების მიზნით და არ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის.

ვის, თუ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დასაწყობებისათვის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ზოგადი განმარტების მიხედვით, რეალიზაცია გულისხმობს წარმოების ნებისმიერ ფორმას. გერმანული სამართალი პროდუქტის რეალიზაციაში გასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. „Inverkehrbringen” – ქართულად განიმარტება, როგორც სამოქალაქო ბრუნვაში გატანა. პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გატანასა და ბაზარზე განთავსებას ერთნაირ მნიშვნელობას გერმანული სამართალიც არ ანიჭებს. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის მწარმოებული. მთავარია, მან წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს მონაწილეობა ან, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, თავსდებოდეს მწარმოებლის ცნებაში. ვიდრე პროდუქტი სარეალიზაციოდ, ანუ სამოქალაქო ბრუნვაში გავა, ის მრავალ შემოწმებასა და პროცედურას გადის, ტექნიკური თუ თეორიული თვალსაზრისით. კერძოდ, კონტროლდება მისი ხარისხი, მოწმდება და ეფარდება დადგენილ სტანდარტებს. მაგალითად, თუკი სერიულად წარმოებული ტრანსპორტის ერთ ცალს მწარმოებელი ქარხნიდან ქუჩაში გაიტანენ ტესტის (გამოცდის) ჩატარების მიზნით და, ამ გზით, ის მწარმოებლის დაქვემდებარებიდან გამოვა, ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ეს არ ჩაითვლება პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გატანად.<sup>255</sup>

მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია მაშინ, როდესაც მას ეს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში არ გაუტანია. თუკი პროდუქტს, მაგალითად, მოიპარავენ ან მიითვისებენ ან სხვა გზით მწარმოებლის ძალაუფლებიდან გამოვა, და ზიანის მიყენება მოხდება ნაკლის გამო, მწარმოებელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად ითვლება მაშინ, როდესაც ის საწარმოს რეალიზაციის მიზნებისათვის ქარხანას ტოვებს. იგივე მოქმედებს, როდესაც ძირითადი შემადგენელი ნაწილი ან პროდუქტის ნაწილი საბოლოო მწარმოებელს ან პროდუქტის ნაწილის მწარმოებელს მიეწოდება, რათა მან ეს თავისი პროდუქტისთვის გამოიყენოს. პროდუქტი არ არის სამოქალაქო ბრუნვაში გატანილი, როდესაც ის გატანილია

<sup>255</sup> ი. ხ. Kullmann H.J., Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001,Rn.32, 47.

შესამოწმებლად, სატესტო გამოცდის ჩასატარებლად ან ხარისხის დასადგენად.<sup>256</sup>

ფრანგული სამართლის თანახმად, პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად ითვლება, როდესაც მწარმოებელი პროდუქტზე მფლობელობას (ფაქტობრივ ბატონობას) წყვეტს თავისი ნებით. მწარმოებლის მიერ პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად არ ითვლება, როდესაც „მას მოიპარავენ, ჩამოართმევენ ან მიითვისებენ. საკუთრების უფლების გადაცემისას ეს არ მოქმედებს. აქ გადამწყვეტია ნივთის ფაქტობრივი ბატონობის გადაცემის დრო. ფრანგული კანონმდებლობით დგინდება, რომ პროდუქტი მხოლოდ ერთხელ შეიძლება გავიდეს სამოქალაქო ბრუნვაში.“<sup>257</sup>

„თუკი მწარმოებელი ნივთს შეცდომით ან გაუფრთხილებლობით ტყუილის საფუძველზე გაიტანს სამოქალაქო ბრუნვაში, ეს მას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან“,<sup>258</sup> როგორც აღვნიშნეთ, პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად ითვლება, როდესაც ის მწარმოებლის სფეროს მწარმოებლისვე ნებით ტოვებს, ანუ, როდესაც პროდუქტი საბოლოოდ ტოვებს წარმოების ადგილს. ხანდახან პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად ითვლება, თუკი მწარმოებელს ეკონომიკურ ციკლში გააჭვს პროდუქტი, რომლის წარმოება მისთვის დასრულებულია. სწორედ ამ პროდუქტის გადაცემით იგი კარგავს ფაქტობრივ ძალაუფლებას.<sup>259</sup>

მაშასადამე, იმისათვის, რომ ამ საფუძვლით გამოირიცხოს მწარმოებლის პასუხისმგებლობა, უნდა დადგინდეს, თითოეულ შემთხვევაში, თუ ვინ არის მწარმოებელი: პროდუქტის ძირითადი არსებითი შემადგენელი ნაწილის, პროდუქტის ნაწილის მწარმოებელი თუ ე.წ. ვითომ მწარმოებელი, ან კიდევ სხვა ვინმე? და, მეორე გარემოება, რომელიც დასადგენია: რა ითვლება სამოქალაქო ბრუნვაში პროდუქტის გატანად. ეს ორი გარემოება ერთდროულად უნდა განიმარტოს და დადგინდეს, შედეგად შესაბამისი პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. გერმანულ სამართალში, მაგალითად „ვითომ“ (კვაზი) მწარმოებლისთვის პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გატანილად ისე არ ითვლება, როგორც, მაგალითად, ფაქტობრივი მწარმოებლისთვის. ვინაიდან ისი-

<sup>256</sup> ი. მ. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 73.

<sup>257</sup> ი. მ. Kraft, I. R., Der Angleichungsstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 44.

<sup>258</sup> ი. მ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.89, 50.

<sup>259</sup> იქვე, Rn.90,50.

ნი სხვადასხვანაირად „აწარმოებენ“ პროდუქტს; ანუ ისინი ხვდებიან პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. თუმცა, საბოლოო ჯამში, მათი პასუხისმგებლობა რომ გამოირიცხოს, ისინი მწარმოებლის ცნებაში არ უნდა მოიაზრებოდნენ. უნდა იყოს ნებისმიერი სხვა პირი, გარდა მწარმოებლისა, რომელმაც ეს პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გაიტანა. რა გზით მოხდა ეს, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, მწარმოებლის ნება, სურვილი გამოირიცხოს.

აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა მწარმოებელი პროდუქტს აწარმოებს, მაგრამ ეს პროდუქტი მას ჯერ კიდევ საწყობში უდევს და მისი რეალიზაციის პროცესი არ დაწყებულა. თუ ასეთ შემთხვევაში ზიანი მიაღება ვინმეს, მაშინ მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. მაგალითად, მწარმოებელმა აწარმოა ძეხვი, რომლითაც სტუმრებს გაუმასპინძლდა ოჯახში, მწარმოებელი პასუხს არ აგებს თუ ამ ძეხვმა ზიანი გამოიწვია. აქედან გამოდინარეობს დასკვნა, რომ წუნდებულად პროდუქტი ითვლება მაშინ, როდესაც ის რეალიზაციის პროცესშია, ჩართულია სამოქალაქო ბრუნვაში. როგორც ადვინიშნეთ, პროდუქტი შეიძლება სარეალიზაციოდ აღმოჩნდეს მწარმოებლის ნების გარეშე, სხვისი მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ ისინი, ვინც ბრუნვაში გაუშვა წუნდებული პროდუქტია. ამდენად, არ დგება მწარმოებლის პასუხისმგებლობა, როცა მისი ძალაუფლებიდან პროდუქტია მისი ნებით არ გამოსულა. ერთი შეხედვით, ასეთ მიდგომაში გარკვეული ულოგიკობა უნდა ჩანდეს. რა მნიშვნელობა აქვს, წუნდებული პროდუქტიით მომხმარებელს ზიანი მიაღება მისი დეგუსტაციის პროცესში თუ რეალიზაციის პროცესში. როგორც ჩანს, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ პროდუქტის ვარგისიანობის პრეზუმუცია უკვაშირდება რეალიზაციაში მის გატანას. ვიდრე პროდუქტი ბრუნვაში არ მოხვდება, მანამდე ის ვერ ჩაითვლავა იმ თვისებრიობის მქონე პროდუქტად, რომელიც ბრუნვისთვისაა განკუთვნილი. რეალიზაციაში გაშვება კი გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელმა პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით გათვალისწინებული ყველა პირობა (მოთხოვნა) შეასრულა. ადვილი შესაძლებელია, რომ სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქტია არ გავიდეს ბაზარზე სარეალიზაციოდ. ამდენად, არსებობს მეორე პრეზუმუცია – ე.ი. სარეალიზაციო პროდუქტია შეიძლება იყოს წუნდებული.

## 82. სარეალიზაციოდ გატანისას პროდუქტის უნაკლოობის პრეზუმფცია

სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ. ქვეპუნქტის თანახმად, პასუნისმგებლობა გამორიცხულია, როცა „საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სამოქალაქო ბრუნვაში გატანისას.“

აღნიშნული საფუძვლით, მწარმოებელი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება პასუნისმგებლობისგან, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ პროდუქტზე მისი ძალაუფლების დროს, მის ხელში პროდუქტი უსაფრთხო იყო და ნაკლისშემცველი გახდა მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის შემდეგ; ანუ გამოდის, რომ მწარმოებელმა დაიცვა ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული პროდუქტის წარმოებასა თუ რეალიზაციასთან. მან წესით და რიგით აწარმოა როგორც ტექნიკური, ისე თეორიული თვალსაზრისით, უსაფრთხო, ნაკლისარმქონე პროდუქცია. როგორც ვიცით, ვიდრე პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გავა, ის არაერთ შემოწმებას გადის. მაშასადამე, არსებობს იმის პრეზუმფცი, რომ პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლამდე ნაკლის არმქონე იყო. თუმცა, საწინააღმდეგოს ვარაუდის ფორმით დაშვება ყოველთვის შეიძლება. ამ შემთხვევაში კი, მწარმოებელს მტკიცების გზით შეუძლია თავი იხსნას აღნიშნული პასუნისმგებლობისგან: იმ გარემოებების გაბათილებით, რომელიც უშვებს ვარაუდს იმისას, რომ პროდუქტი ნაკლისშეცველია. ამასთანავე, დასადგენია, რა სახის ნაკლიერ საუბარი – ფაბრიკული, ინსტრუქციული თუ კონსტრუქციული. თითოეულ შემთხვევაში პასუნისმგებლობის საკითხი განსხვავებულად წყდება. სსკ-ი, გერმანული სამართლის მსგავსად, აწესრიგებს ამ საკითხს. რაც შეეხება ევროკავშირის დირექტივას, ის მცირე განსხვავებას შეიცავს. კერძოდ ამატებს შემდეგს: „–ან როდესაც ნაკლი მოგვიანებით წარმოიშობა”; ანუ რეალიზაციამდე პროდუქტი ნაკლის არმქონე იყო, თუმცა, ყველასგან დამოუკიდებლად, ბრალის გარეშე, ნაკლი წარმოიშვა. მტკიცების ტვირთი აქაც მწარმოებელს ეკისრება. აქ პასუნისმგებლობისაგან გათავისუფლება წინა საფუძვლის მსგავსად უნდა განიმარტოს და დადგინდეს პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის თარიღი.

„საკვები პროდუქტის, ტკბილულის, ფარმაცეუტიული პროდუქციის შემთხვევაში, ნაკლი წარმოიშობა არასათანადო შენახვა-დაცვის შემთხვევაში ან როდესაც პროდუქტს განსაზღვრული ვარგისიანობის გადა გააჩნია – ამ ვა-

დის გასვლით. სხვა პროდუქტები შესაძლებელია წარმოება-რეალიზაციის დროს ისე დაზიანდეს, რომ ნაკლისმქონე გამოდგეს (მაგალითად, მინერალური წყლის ბოთლი გადმოვარდება ყუთიდან და გაიჩენს ბზარს და შემდგომ მისი გახსნისას მომხმარებელი ზიანს განიცდის). უმეტეს შემთხვევაში, პროდუქტის ნაკლი წარმოიშობა იმით, რომ მწარმოებელი თავად ან სხვა პირების მეშვეობით ისე შეცვლის მას, რომ პროდუქტი ნაკლის მქონე ხდება.”<sup>260</sup>

შეთავაზების ნაკლი შეიძლება მოგვიანებით წარმოიშვას, როდესაც პროდუქტს თან არ ახლავს მოხმარების წესები, ინსტრუქცია ან, თუ პროდუქტი არაა მიწოდებული შემდგომი გადამამუშავებლის ან მოვაჭრის მიერ. ასევე, როცა პროდუქტს მონტაჟისას არ აქვს დამცავი მოწყობილობა და მაშინაც, როდესაც პროდუქტის ნაწილის (მაგალითად, ავტომობილის საბურავები) მოხმარების წესები ინსტრუქციაში არაა ასახული.

„ვითომ მწარმოებლის“ მიერ პროდუქტის წარმოებისას, ნაკლი ჩნდება მაშინ, როდესაც ის პროდუქტის არასწორი მოხმარების წესებს მიუთითებს ან, საერთოდ არ დაურთავს მას პროდუქტს და ისე გაიტანს სამოქალაქო ბრუნვაში.

შეთავაზების ნაკლი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის შემდგა მაშინ წარმოიშობა, როდესაც სერიული წარმოების პროდუქტის მწარმოებელი სარეკლამო განცხადების მეშვეობით არასწორ, მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს პროდუქტის უსაფრთხოებაზე. ყველა პროდუქტი, რომელიც ამგვარ რეალამამდე იქნება მიწოდებული, ჩაითვლება უნაკლოდ.<sup>261</sup>

არცერთი პროდუქტი არ შეიძლება განუსაზღვრელი დროით გამოვიყენოთ. თუკი მოხმარების, გამოყენების ვადა მომხმარებლისთვის ცნობილია, ის ადარუნდა ელოდოს ამ ვადის გასვლის შემდგომ პროდუქტის უსაფრთხოებას.<sup>262</sup>

რაც შეეხება პროდუქტის ნაწილის მწარმოებელს, ის იმავენაირად აგებს პასუხს წუნდებული პროდუქტისათვის, როგორც პროდუქტის ძირითადი ნაწილის მწარმოებელი, თუკი ვერ დაამტკიცებს პასუხისმგებლობის გამომირცხველ გარემოებებს. რაც შეეხება „ვითომ მწარმოებელს“, იმპორტიორსა და მიმწოდებელს, ისინი პროდუქტის ძირითადი ნაწილის, ანუ ფაქტობრივი მწარმოებლის გან დამოუკიდებლად აგებენ პასუხს. აქაც მათი პასუხისმგებლობისგან გათავი-

<sup>260</sup> ი. მ. Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar*, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.40, 50.

<sup>261</sup> იქვე, Rn.43, 51.

<sup>262</sup> იქვე, Rn.47, 52.

სუფლება მტკიცების ტვირთზეა დამოკიდებული: თუკი ისინი დაამტკიცებენ, რომ პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას უნაკლო იყო, თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან. მცირედ განსხვავდება მდგომარეობა „მიმწოდებელთან“ დაკაგშირებით. მიმწოდებელი მაშინაც თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, როდესაც ის ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მეორე ნაწილით განთვალისწინებულ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს წარმოადგენს თვითონ ან ამას გააკეთებს პროდუქტის ფაქტობრივი მწარმოებელი.<sup>263</sup>

იმ გარემოებების მტკიცება, რომლებიც აკონკრეტებს, რომ პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას უნაკლო იყო, მიზნობრივად სხვა დატვირთვის მქონეა, ვიდრე იმ გარემოებების მტკიცება, საიდანაც ჩანს, რომ პროდუქტის ნაკლი მოგვიანებით წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ივარაუდება, რომ პროდუქტის ნაკლი მოგვიანებით აუცილებლად გაჩნდება; პირველ შემთხვევაში კი პროდუქტის ნაკლი ბრუნვაში გასვლამდე არ უნდა წარმოიშვას.<sup>264</sup>

გარემოებები, რომლებითაც პროდუქტის ნაკლი მოგვიანებით დადასტურდება, დაკავშირებულია პროდუქტთან მომხმარებლის ურთიერთობის ხასიათზე. კერძოდ, როცა მისი მოქმედება ნეგატიურ გავლენას ახდენს პროდუქტის ვარგისიანობაზე. ასეთია, მაგალითად, პროდუქტის არასაგნობრივი შენახვა, არასწორი ინსტალაცია, ნაკლისმქონე მომსახურეობა, არამიზნობრივი გამოყენება, არასათანადო მოვლა. ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია პროდუქტის სახეობა.<sup>265</sup>

მაშასადამე, პროდუქტის, როგორც ძირითადი ისე არაძირითადი ნაწილის მწარმოებელი, იმპორტიორი, მიმწოდებელი, „ვითომ მწარმოებელი“, გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუკი ისინი დაამტკიცებენ, რომ პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დროს მას ნაკლი არ ჰქონდა. ანუ არსებული გარემოებებით მტკიცდება, რომ სარეალიზაციოდ გასვლამდე პროდუქტი უსაფრთხო იყო.

დაზარალებულისთვის პროდუქტის ნაკლის მტკიცება ნაწილობრივ შემსუბუქებულია. მან, ამასთანავე, უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი პროდუქტი არ არის უსაფრთხო, ანუ არ შეიცავს უსაფთხოების იმ მოთხოვნებს, რომლებიც, წესისამებრ, მოსალოდნებელია ამ პროდუქტისაგან, თუმცა, მწარმოებელს არ მოეთხოვება წარმოადგინოს ან ამტკიცოს პროდუქტის ნაკ-

<sup>263</sup> ი. როლ, W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.114-115, 60-61.

<sup>264</sup> იქვე, Rn.111, 58.

<sup>265</sup> იქვე, Rn.110, 58.

ლის კონკრეტული მიზეზები. როცა ლიად რჩება საკითხი – არსებობდა თუ არა პროდუქტის ნაკლი მისი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას – ამ შემთხვევაში მოქმედებს ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის II ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული „პასუხისმგებლობის ვარაუდი“. ივარაუდება, რომ პროდუქტის უსაფრთხოების ნაკლი პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას არსებობდა. ამგვარ ვითარებაში მტკიცების ტვირთის მწარმოებელს ეკისრება.<sup>266</sup>

### 8.3. პროდუქტის პირადი მოხმარების მიზნით წარმოება

სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.“

პასუხისმგებლობის გამორიცხვის მნიშვნელოვან გარემოებაა, როდესაც მწარმოებელს არ აქვს არანაირი კომერციული მიზანი ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებისას როგორც პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ისე მის გარეთ. აქ დასადგენია, რა მიზნით არის ესა თუ ის პროდუქტი ნაწარმოები. მაშასადამე, პასუხისმგებლობის დაკისრება-გათავისუფლების საკითხს განსაზღვრავს წარმოების მიზანი. განმარტება სჭირდება იმას, გამორიცხულია თუ არა მწარმოებლის მიერ ნებისმიერი გარიგების დადება, რომელიც რეალიზაციის ნიშან-თვისებებს შეიცავს? ან იგულისხმება თუ არა კომერციულ მიზანში მატერიალური თუ არამატერიალური სარგებლის მიღება?

ყიდვა-გაყიდვა პროდუქტის რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მიზანი აუცილებლად კომერციულია. თუმცა, შესაძლებელია საქმე გვქონდეს სხვა ხელშეკრულებასთანაც. რაც შეეხება, „პროფესიული საქმიანობის ფარგლებში“ პროდუქტის წარმოებას, აქ გასარკვევია, ვინაა მწარმოებელი, რას აწარმოებს და რა არის მისი საქმიანობის მიზანი? საგარაუდოდ, მწარმოებელი პროდუქტის რეალიზაციას ახდენს თავის პროფესიონან გამომდინარე, როგორც მეწარმე-სუბიექტი, იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. თუკი პროდუქტის წარმოება არ შეესაბამება მისი საქმიანობის მიზანს, მაშინ ის თავისუფ-

<sup>266</sup> Lem C., Die Haftung für fehlerhafte Produkte nach deutschem und französischem Recht, Verlag Recht und Wirtschaft, Heidelberg, 1992, 58.

ლდება პასუხისმგებლობისგან. ალბათ, მაგალითებით უფრო ნათელი იქნება აღნიშნული ნორმის შინაარსი.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი განსხვავებული ინტერპრეტაციით აყალიბებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ამ საფუძველს. კერძოდ კი, მე-8 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა არ დადგება, როცა „პროდუქტი არ იყო გამიზნული ბაზარზე განთავსებისთვის, ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის; ან პროდუქტი არ ყოფილა წარმოებული/გავრცელებული მის მიერ მისი საწარმოო საქმიანობის პერიოდში.“ როგორც ვხვდავთ, ამ მუხლის შინაარსი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შინაარსის მსგავსია. თუმცა, შეიმჩნევა განსხვავებული ტერმინების ჩანაცვლება, მაგალითად, „ბაზარზე განთავსება“, „ნებისმიერი ფორმით დისტრიბუცია“, „საწარმოო საქმიანობის პერიოდში“.

პროდუქტის ბაზარზე განთავსება პროდუქტის გასაყიდადი წარმოების იდენტურია. თუმცა, ბაზარზე განთავსება უფრო ფართო ცნებად მიმაჩნია და იგი უნდა მოიცავდეს გასაყიდად წარმოებასაც; შეიძლება იგივე ითქვას „ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციის“, „ან სხვა კომერციული მიზნით წარმოების“ შესახებაც. დისტრიბუციის მიზანი ყოველთვის კომერციულია. დაბოლოს, გამოთქმები – „საწარმოო საქმიანობის პერიოდში“, „პროფესიული საქმიანობის ფარგლებში“ – როგორც ტერმინოლოგიურად, ისე შინაარსობრივად ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მწარმოებელი არ აგებს პასუხს, როდესაც იგი ამ პროდუქტს არ აწარმოებდა თავისი საქმიანობის პერიოდში; ანუ იმ დროს, როდესაც იგი პროდუქტის რეალიზაცია-წარმოებით არ იყო დაკავებული, მისი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. რაც შეეხება, სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ბოლოს წინადაღებას, ის შემდეგნაირად განიმარტება: მწარმოებელი თავისი პროფესიული საქმიანობის მიზანს, სახეს არ უნდა გასცდეს, ის უნდა მოქმედებდეს, როგორც მწარმოებელი.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, აქაც მცირეოდენი განსხვავებაა ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით. კერძოდ კი, საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა „მწარმოებელს არ უწარმოებია და არ მოუხდენია მისი (პროდუქტის) რეალიზაცია არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.“

„პროფესიულ საქმიანობაში“ მოიაზრება ყველა სახის საქმიანობა. ეს შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი საქმიანობა. პროფესიული

საქმიანობის თავისებურება ისაა, რომ მისი შესრულება ნაზღაურდება. გაას-ხვისებს რა მწარმოებელი, მაგალითად, მის მიერ ნაწარმოებ „სარეკლამო სა-ჩუქარს“ ანაზღაურების გარეშე, ამასთანავე, ის ახდენს პროფესიული წარმოე-ბის პროფესიულ რეალიზაციას.

გამონაკლისია შემთხვევები, თუკი პროფესიული საქმიანობისათვის მწარმოებლები ანაზღაურებას არ იღებენ და ამას მხოლოდ უბრალო გართო-ბის მიზნით (როგორც პობი) აკეთებენ. პროფესიონალიზმი მწარმოებლის საქ-მიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა მის უნარებთან. ნივთის წარმოება მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. მაგალითად, როცა მეტალის გადამამუშავებლი დანადგარის მწარმოებელი აწარმოებს მუტალის პლასტიკას თავისი პირადი მოხმარებისთვის, წარმოების პროცესიც პირადულია. ProdHaftG არ აწესებს წარმოების რომელიმე განსაზღ-ვრულ სახეობას.<sup>267</sup>

გერმანული სამართლის თანახმად, პასუხისმგებლობა გამოირიცხება, რო-დესაც მოპასუხე დაამტკიცებს, რომ ნაკლიმქონე პროდუქტი არც გასაყიდად (მაგალითად, კომერციული მიზნებისთვის) და არც თავისი პროფესიული საქ-მიანობის ფარგლებში უწარმოებია და გაუსაღებია. საქმე ეხება პასუხისმგებ-ლობის გამორიცხვის კუმულატიურ წინაპირობებს. შესაბამისად, პასუხისმგებ-ლობისგან გასათავისუფლებლად საკმარისი არა ის, რომ პროდუქტი წარმო-ებულ იქნეს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მაგრამ უანგაროდ, ან პირიქით, პროდუქტი განკუთვნილი იყო კომერციული მიზნისთვის, მაგრამ წარმოებული იყო პირადი მოხმარებისთვის.<sup>268</sup> მაშასადამე, ეს ორი წინაპირო-ბა ერთდროულად უნდა არსებობდეს. ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას.

წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობა წარმოება-რეალიზაციის პრობლემაა, რომელიც მომდინარეობს კომერციული ინტერესებიდან. წარმოება პირადი მიზნებისა თუ მოხმრებისთვის ProdHaftG-ის მოქმედების არეალში არ ექცევა. იმისათვის, რომ მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან გათავისუფ-ლდეს, კანონი ასახელებს ორ ნეგატიურ წინაპირობას. ესენია: 1. პროდუქტი არ უნდა იყოს წარმოებული გაყიდვის ან რეალიზაციის სხვა მიზნებისთვის

<sup>267</sup> Ob. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.118, 62.

<sup>268</sup> Lem, C., Die Haftung für fehlerhafte Produkte nach deutschem und französischem Recht, Verlag Recht und Wirtschaft, Heidelberg, 1992, 57-52.

(მხედველობაშია ეკონომიკური მიზანი) და 2. მწარმოებელმა არ უნდა აწარმოოს პროდუქტი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. პირველი წინაპირობა დამოკიდებულია განზრახვაზე. კერძოდ, აქ იგულისხმება ის, რომ წარმოება ხორციელდება ეკონომიკური მოგების მიზნით, გაყიდვის ან რეალიზაციის სხვადასხვა ფორმით, ასეთია, მაგალითად, გაქირავება, გაყიდვა. განზრახვა ყოველთვის უნდა იყოს მიმართული პირდაპირი ან არაპირდაპირი მოგების მიღებისკენ. ამდენად, ასეთი მიზანი მაშინ სრულდება, როდესაც პროდუქტი ანაზღაურებადია. ამ პრინციპიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როგორიცად მაგალითად, ნამცხვრის გამოცხობა: როცა დიასახლისი ნამცხვარს აცხობს და მეგობრებს ეპატიუება, პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის იგი პასუხს არ აგებს. მაგრამ, როდესაც ნამცხვარს აცხობს და შემდგომ მას ყიდის – ამ შემთხვევაში პასუხს აგებს დიასახლისი.<sup>269</sup>

მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამოსარიცხად უნდა არსებობდეს მეორე ნეგატიური წინაპირობაც. წარმოება ან რეალიზაცია პროფესიული საქმიანობიდან არ უნდა გამომდინარეობდეს. მაშასადამე, უნდა შემოწმდეს მწარმოებლის საქმიანობა პროფესიულია თუ პირადი. მაგალითად, როცა დურგალი თავისუფალ დროს ამზადებს ავაჯს, აქ აშკარაა მეორე ნეგატიური წინაპირობის არსებობა. მაგრამ როცა იგი ამას აკეთებს ეკონომიკური მოგების მიზნით, ანუ დამატებით ყიდის ამ ავაჯს, შესაბამისად, არ გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ვინაიდან მას პირველი წინაპირობა აკლია.

როცა პირი, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, პროდუქტს აწარმოებს არაკომერციული მიზნებისათვის, ამ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის. პირველი წინაპირობა არ ჩანს, მაგრამ იკვეთება მეორე წინაპირობა. მაგალითად, მცხობელი თავის გამომცხვარ პურს გააჩუქებს. აქ მისი პასუხისმგებლობა გამორიცხული არაა. ასევე, არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან პირი, როდესაც პროდუქტს, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, თავისითვის აწარმოებს და გაყიდის. მაგალითად, რძის პროდუქტებით მოვაჭრე თავისი პირადი მოთხოვნილებიდან გამომდინარე ყველს აწარმოებს, მოგვიანებით კი თავისსავე მაღაზიაში გაყიდის. ამ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება.<sup>270</sup>

<sup>269</sup> ი. მ. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 75.

<sup>270</sup> იქვე, 1990, 75.

უანგარო წარმოების შემთხვევები ხშირია, როდესაც დამამზადებელი პროდუქტს ამზადებს მხოლოდ საოჯახო, პირადი მიზნებისათვის. პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ რეალიზაციის მიზანიც არ არსებობს და, ცხადია, დამამზადებელი, რომელიც პირადი მოხმარებისთვის დაამზადებს პროდუქტს და ამ პროდუქტით სტუმარს მიადგება ზიანი, პასუხს არ აგებს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ დამამზადებელს ვერ მოვთხოვთ იმაზე მეტი ყურადღებიანობა გამოიჩინოს სხვების მიმართ, რამდენსაც იგი საკუთარი თავის მიმართ გამოიჩენდა. გერმანული სამართალიც ამავე პოზიციაზე დგას. ის მწარმოებლის პასუხისმგებლობას გამორიცხავს მაშინაც, როცა პროდუქტს აწარმოებს პირადი მოხმარება-გამოყენებისათვის, თუნდაც ჩუქების მიზნით ან სხვა რაიმე უსასყიდლო, არაკომერციული მიზნით, საყოველთაო მოხმარებისათვის; ანუ როდესაც მას ამ პროდუქტის შექმნისას არ აქვს არანაირი მოგების მიზანი. გერმანული სამართალი ასევე აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება კომერციულ მიზანში, კერძოდ კი, სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერ ფორმაში. ასეთია, მაგალითად: ნასყიდობის, ქირავნობის ხელშეკრულების, ფრენშაიზინგის, ნარდობის, მომსახურეობის ხელშეკრულების დადება და ა.შ.

მწარმოებლის პასუხისმგებლობა მაშინაც არაა გამორიცხული, თუ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქტის წარმოების ან გაყიდვის კონკრეტული შემთხვევებისას არ არსებობს რაიმე კომერციული მიზანი. ოდონდ აქ საჭიროა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ერთდროულად, კუმულატიურად არსებობა.<sup>271</sup>

#### **84. მოქმედი ნორმების შესაბამისი ნაკლი**

სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს.“ პასუხისმგებლობის გამორიცხვის ამ საფუძველში უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი შემთხვევა: სამოქალაქო ბრუნვაში გატანისას პროდუქტი ნაკლის არმქონე იყო, მოგვიანებით კი, მისი სამართლის ნორმებთან შეუსაბამობის გამო, გახდა ნაკლის შემცველი. აქაც გადამწყვეტია პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის მომენტი. სრულიად შესაძლებელია,

<sup>271</sup> ი.ბ. Frietsch Edwin A., „Das Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte und seine Konsequenzen für den Hersteller,” Wirtschaftsrecht, Heft 1, 1990, 31.

რომ ამა თუ იმ სახის პროდუქტის წარმოება-დამზადებასა თუ გასაღებასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნები, ნორმები მოგვიანებით შეიცვალოს, რის გამოც პროდუქტი ნაკლის მქონე ხდება. რამდენად წუნდებულად შეიძლება იგი მივიჩნიოთ ამ ცვლილებების შემდეგ, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პროდუქტზე. მაშასადამე, გამოდის, რომ სამართლის ნორმა, რომელმაც დაუშვა პროდუქტის წარმოება-რეალიზაცია, მოგვიანებით ახალი ნორმით შეიცვალა და ამიტომაც ეს პროდუქტი ნაკლისშემცველად ცხადდება. დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, იცვლება პროდუქტის დამზადების ტექნიკური მოთხოვნებიც. თუმცა, გასარკვევია, რამდენად შესაძლებელია მისი შეცვლა იმგარად, რომ პროდუქტი საშიში ხდება მომხმარებელისთვის.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ის, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამოირიცხება. სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს რა სახის ნორმებზეა საუბარი – სამართლებრივ თუ ტექნიკურ ნორმებზე. მთავარია, რომ ეს ნორმები იმ დროს მოქმედებდა და წარმოადგენდა ე.წ. „ნაციონალური სამართლის ნორმას,“ ანუ შეესაბამებოდა პროდუქტის დამზადების ქვეყანაში მოქმედ ნორმებს. გასარკვევია, რა ხდება, როდესაც ამ პროდუქტების რეალიზაცია ხდება იმ ქვეყნებში, რომელთა სამართლთან თუ ტექნიკურ ნორმებთან ის წინააღმდეგობაშია. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ შესახებ კოდექსი პირდაპირ ამბობს, რომ „წუნი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობამ გამოიწვია.“ (მ.8.2.დ) ეს კოდექსი შინაარსობრივად სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებულია. აქ, ფაქტობრივად, ან სრულიად სხვა შემთხვევაა, ან ერთგვარი ხარვეზია ამ კანონისა. თუკი პროდუქტი შეესაბამებოდა ტექნიკურ მოთხოვნებს როგორც სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას, ისე შემდგომ, მაშინ რამ გამოიწვია მისი ნაკლი? თვით ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნაა შეუსაბამო? და, თუკი შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს, გამოდის, რომ საქმე როგორ შემთხვევასთან გვაქვს. კარგი იქნებოდა ამ მუხლის ეს ნაწილი ნათლად ჩამოყალიბებულიყო კანონმდებლის მიერ. აქ არ ჩანს, თუ როდის დადგა პროდუქტის ნაკლი, სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის შემდეგ თუ გასვლისას? ალბათ, ბუნებრივი უნდა იყოს იმის ვარაუდი, რომ ნაკლი პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის შემდეგ მოგვიანებით აღმოჩნდა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით უსაფრთხო პროდუქტის წარმოება შეუძლებელი იყო. გერმანული სამართლი (ასევე ევროპაგშირის დირექტივა) ამ შინაარსის ნორმას არ იცნობს.

სამოქალაქო ბრუნვის განვითარებამ და მრავალფეროვნებამ, შესაძლებელია, ბუნებრივად დაყენოს კანონმდებელი ცვლილებების, სიახლის ვალდებულების წინაშე. რა თქმა უნდა, ტექნიკის თუ სხვა პროდუქტების განვითარება, ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს ძველი პროდუქტების „უვარგის, საფრთხის შემცველ“ პროდუქტებად გარდაქმნა. აქ მსჯელობა უნდა იყოს კონკრეტულ შემთხვევაზე. სხვა საკითხია, როდესაც კანონმდებელმა მიიღო ნორმა, რომლითაც საერთოდ აიკრძალა ამ პროდუქტების სამოქალაქო ბრუნვაში გატანა, ან აიკრძალა გატანა მოცემული ფორმით და ამიტომაც საჭიროებს სხვა ტექნიკურ ცვლილებებს. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რა სახის ნორმაზეა საუბარი – სამართლებრივზე თუ ტექნიკურზე, ასევე, გასარკვევია, რა სახის პროდუქტან გვაქვს საქმე და სხვა რა გარემოებებია კიდევ გასათვალისწინებელი მწარმოებლის პასუხისმგებლობის დაკისრება-გამორიცხვის დასადგენად.

ამ კითხვებზე პასუხს გერმანული დოქტრინა იძლევა. როგორც ProdHaftG-ის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აღნიშნული საფუძვლიდან ჩანს, „პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც სახელმწიფო მწარმოებელს აიძულებს პროდუქტი აწარმოოს კანონით დატაღურად გაწერილი წესის მიხედვით, რომლის შედეგად პროდუქტი ნაკლისმქნე ხდება.<sup>272</sup>

ასეთ ვითარებაში მწარმოებელი არჩევანს მოკლებულია. მისი ერთადერთი ალტერნატივა ისაა, რომ საერთოდ უარი თქვას პროდუქციის წარმოებაზე. მაგალითად, კანონით დადგენილია, რომ საკვებ პროდუქტს უნდა შეერიოს ქიმიური დანამატი, რათა საკვები პროდუქტის სასწრავო გაფუჭება აღმოიფხორას. გამოსაყენებელი ქიმიური დანამატი კი კიბოსგამომწვევია.<sup>273</sup>

ასეთ შემთხვევაში, როდესაც მწარმოებელს მხოლოდ დაუმორჩილებლობასა და პასუხისმგებლობას შორის არჩევანი დარჩენია, პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად გამოიყენება ProdHaftG-ის §1-ის მეორე ნაწილის მეოთხე წინადაღება. სავალდებულო სამართლებრივ ნორმებში მოიზრება კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში მოცემული ნორმები. კანონმდებლის გაგებით, აქ არ შედის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებიც სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს. თუკი მწარმოებელი გამოიყენებს ამ დანამატს და

<sup>272</sup> Ob. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 75.

<sup>273</sup> იქვე, 76.

საკვებ პროდუქტს გახდის ნაკლისმქონედ, იგი პასუხს აგებს აქედან წარმოშობილი ზიანისათვის. მას არ შეუძლია ProdHaftG-ის საფუძველზე დაიხსნას თავი პასუხისმგებლობისაგან. იგივე ითქმის საკანონმდებლო უსაფრთხოების ნორმებზე, რომელთაც სავალდებულო ხასიათი აქვთ. ეს ეხება განსაკუთრებით პროდუქტის უსაფრთხოებას, რათა დაცული იყოს მინიმალური სტანდარტი. არაა გამორიცხული, რომ მოგელდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი უსაფრთხოების ნორმები.<sup>274</sup>

როდესაც საკანონმდებლო უსაფრთხოების ნორმების დადგენა საკმარისი არ არის ProdHaftG-ის §1-ის მეორე ნაწილის მეოთხე წინადადებით გათვალისწინებული შემადგენლობის შესასრულებლად, მაშინ ეს მოქმედებს, მით უფრო, კერძო სამართლებრივ ნიადაგზე განვითარებულ ნორმებზე. საქმე ეხება ასევე ტექნიკურ ნორმებს, ქცევის რეკომენდაციებს, რომელიც პროდუქციის, წარმოების სტანდარტიზაციის გაადვილებას და რაციონალიზაციას ემსახურება. რადგანაც ისინი სამართლებრივი ნორმები არაა და, შესაძლებელია, მწარმოებელმა არ დაიცვას, ამიტომაც პასუხისმგებლობის გამოსარიცხად არ გამოდგება.<sup>275</sup>

პროდუქციის/წარმოების სავალდებულო წესები მხოლოდ მაშინ ათავისუფლებს მწარმოებელს პასუხისმგებლობისგან, როდესაც ისინი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის ფორმითაა გამოცემული. აქვე მოიაზრება სხვა ნორმატიული წყაროები, მათ შორის, ჩვეულებითი სამართალი.

ტექნიკურმა წესებმა შესაძლებელია ნორმის ხასიათი მიიღოს, თუკი კანონში ან კანონქვემდებარე აქტში მითითებული იქნება, რომ კანონის გამოცემისას მათი შინაარსი კანონის შემადგენელი ნაწილია. ისინი ნორმატიულ ხასიათს კანონის მეშვეობით იძენენ.<sup>276</sup>

ProdHaftG-ის §1-ის მე-2 ნაწილის მეოთხე წინადადება, ისევე როგორც ეპროკაგშირის დირექტივა, არ პასუხობს იმაზე, რომელი ქვეყნის სავალდებულო სამართლებრივი ნორმებია მხედველობაში, სადაც პროდუქტი იწარმოა, თუ ის ქვეყანა, სადაც ამ პროდუქტის რეალიზაცია მოხდა.<sup>277</sup>

გერმანულ სამართალში, ProdHaftG-ში, მოიაზრება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მწარმოებელი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, როდესაც პროდუქტის წარმოება საზღვარგარეთის სავალდებულო სამართლებრივი დებულებების მიხედ-

<sup>274</sup> ი. მ. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 76.

<sup>275</sup> იქვე, 76-77.

<sup>276</sup> ი. მ. Rolland W., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn. 130, 68.

<sup>277</sup> იქვე, Rn. 135-136, 72.

ვით მოხდა, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მსგავს მოწესრიგებას არ შეიცავს.<sup>278</sup>

გერმანული სამართლის თანახმად, მწარმოებელმა დაუმორჩილებლობა უნდა გამოხატოს ან კანონის მიმართ, ან პასუხისმგებლობის მიმართ. ამის წინაპირობა კი ისაა, რომ საკანონმდებლო აქტი დეტალურად აწესრიგებს სავალდებულო სამართლებრივ უსაფრთხოებას, ან უთითებს სავალდებულო ტექნიკურ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც მწარმოებელს იმ აღტერნატივის წინაშე აყენებს, რომ მან ან ნაკლიანი პროდუქტი უნდა აწარმოოს, ან უარი თქვას წარმოებაზე. სამართლებრივად სავალდებულო უსაფრთხოების ნორმებით დგინდება მხოლოდ მინიმალური უსაფრთხოების სტანდარტი, რომელმაც საყოველთაო უსაფრთხოების ინტერესები არ უნდა გადაწონოს, გადაფაროს. ProdHaftG-ის §1-ის მე-2 ნაწილის მეოთხე წინადადება მხოლოდ იშვიათი შემთხვევებისას გამოიყენება, როდესაც სახელმწიფო აიდულებს მწარმოებელს ზუსტად, კონკრეტულად დადგენილი პროდუქტი აწარმოოს. შესაბამისად, ნორმის ადრესატი იძულებულია წინასწარ განსაზღვრული წარმოების მეთოდი აირჩიოს ან პროდუქტის წარმოება შეწყვიტოს.<sup>279</sup>

## 8.5. ნაკლის აღმოჩენის შეუძლებლობა

სსკ-ის 1009-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას“. მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის აღნიშნული საფუძველი შეიძლება ითქვას, არის ერთადერთი, რომელსაც ერთნაირი მიდგომები და განმარტებები აქვს როგორც საქართველოს კანონმდებლობაში, ისე გერმანულ და ევროკავშირის დირექტივაში. მთავარი პრობლემაა მეცნიერებისა და ტექნიკის დონის, მისი განვითარების შეფასება და, ახლა ვიკითხოთ ეს როგორ უნდა განიმარტოს და შეფასდეს? როგორც ჩანს, მისი დადგენა დაკავშირებულია ისევ დროსთან – კერძოდ, სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს უნდა შეფასდეს, რამდენად განვითარებული იყო მეცნიერება და ტექნიკა იმის დასადგენად, რომ აღმოჩინა პროდუქტის ესა თუ ის ნაკლი. აღბათ, აქაც მნიშვნელოვნება და მათ განვითარება უნდა განვითარდეს.

<sup>278</sup> იქვე, Rn.136, 72.

<sup>279</sup> ob. Prey/Klaus P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990, 52-53.

ლოვანია ნაკლის სახეობა. გამოდის, რომ მწარმოებელი იხსნის ვალდებულებას, პროდუქტის უსაფრთხოების დაცვაზე, თუკი არის იმის ალბათობა, რომ სადღაც შესრულების შეუძლებლობასთანაა საჭმე, ობიექტური და არა სუბიექტური მიზეზების გამო. მარტივად რომ ითქვას, რა მისი ბრალია, თუკი მეცნიერებისა და ტექნიკის დონე არ იყო ისეთი, რომ აღნიშნული ნაკლი შეეცნო. ალბათ ეს საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რათა ერთმანეთისგან განსხვავდეს ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულად ამ მწარმოებლისთვის იყო შეუძლებელი ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გაუთვალისწინებლობის გამო, და, მეორე შემთხვევა, როდესაც, ზოგადად, ნებისმიერი მწარმოებლისთვის შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა; ანუ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო ამ მონაცემების გაცნობა მწარმოებლისთვის, ან თუნდაც ამ ტექნიკის შეძენა, ან პროდუქტზე ექსპერიმენტის ჩატარება. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, შესაბამისად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა ვიმსჯელო. თუმცა, რისკების მატარებელი ყოველთვის მწარმოებელია, აქედან გამომდინარე, მტკიცების ტვირთიც მასზეა.

რაც შეეხება ცნებას – „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე“ – ეს დოქტრინაში კარგადაა განმარტებული. მასში მოიაზრება მეცნიერული მიღწევები, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არის პრეცედენტი, როდესაც მწარმოებელი ითხოვდა ამ საფუძვლით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.<sup>280</sup> ამ დროს მთავარია იმის შეფასება, რამდენად შეუძლებელი იყო იმის გათვალისწინება ამ მწარმოებლისთვის და რა სახის პროდუქტზეა საუბარი. არასწორად ხომ არ იწარმოება პროდუქტი და ხომ არ იქმნება „ხელოვნური დაბრკოლებები“? ალბათ, ძალიან როული შესაფასებელი და დასამტკიცებელი იქნება როგორც მწარმოებლის, ისე დაზარალებულისთვის ამ საფუძვლით პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრა. სასამართლომ უნდა მოითხოვოს მთელი რიგი საექსპერტო დონისძიებები და სწორედ ექსპერტთა დასკვნის საფუძველზეც უნდა მოხდეს ამ „პრობლემის“ მოგვარება. სპეციალური ცოდნის ვალდებულება ეკისრება იმ მწარმოებელს, რომელიც დაკავებულია ამ სახის პროდუქციის წარმოება-რეა-

<sup>280</sup> იხ. საქართველოს უზენაეთი სახამართლოს სამოქალაქო, ხაზეწარმეო და გაკოტრების ხაქმთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-296-624-07.

ლიზაციით, რაც მოითხოვს, აგრეთვე, პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნების კეთილსინდისიერად დაცვას.

„ზიანის მიმყენებელი თვისება პროდუქტისა არსებობდა მანამ, ვიდრე ის სამოქალაქო ბრუნვაში გავიდოდა“. სწორედ ამ დროს იყო ეს ნაკლი ობიექტურად შეუცნობელი, თანაც არამარტო ამ მწარმოებლისთვის, არამედ ყველასთვის, ვინაიდან, თავის დროზე, მეცნიერება და ტექნიკა ჯერ კიდევ არ იძლეოდა საჭირო ინფორმაციას. მაგალითად, საკვები პროდუქტის ვარგისიანობის შემანარჩუნებელი დანამატი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც იწვევს კობოს და იმ დროს მისი მოქმედება, მეცნიერებისა და ტექნიკის გათვალისწინებით, შეუცნობელი იყო.

ამდენად, დასადგენია, რამდენად შესაცნობი იყო პროდუქტის ნაკლი მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინებით. ვინაიდან ორივე ძალიან სწრაფად ვითარდება, შესაბამისად, ძნელია იმის მტკიცება, რა დონეზე იყო განვითარებული მეცნიერება და ტექნიკა პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დროს, მით უფრო, როცა მისი მტკიცების ტვირთი ეკისრება მწარმოებელს.<sup>281</sup>

ვიდრე დადგებოდეს პასუხისმგებლობის გამორიცხვის აღნიშნული საფუძველი, მანამდე უნდა დადგინდეს, თუ რა მოიაზრება მეცნიერებისა და ტექნიკის დონეში. მასში უნდა მოიაზრებოდეს სპეციალური, დარგობრივი ცოდნა, რომელიც არსებობს ამ სახის პროდუქტის წარმოებისათვის მეცნიერულ და ტექნიკურ სფეროში. მაშასადამე, პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ არ გამოირიცხება, როდესაც მსოფლიოში არავის შეეძლო ამ ნაკლის აღმოჩნა, შეცნობა.<sup>282</sup>

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობა მხოლოდ ობიექტური შეხედულებებით განისაზღვრება, კერძოდ, როცა ობიექტურად მიუწვდომელი იყო სამეცნიერო მიღწევები და ცოდნა.<sup>283</sup>

პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის ეს საფუძველი უნდა დადგინდეს მეცნიერული ცოდნის „ობიექტურად მიუწვდომლობის“ გათვალისწინებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის დონის შეფასებისას გასათვა-

<sup>281</sup> ი. მ. Hettich R., Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990, 77.

<sup>282</sup> ი. მ. Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 6. Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn. 67, 61

<sup>283</sup> იქვე, Rn. 68, 62.

ლისწინებელია უნივერსიტეტების, ტექნიკური თუ პროფესიული სასწავლებლების ყველა ხელმისაწვდომი მეცნიერულ-ტექნიკური პლატფორმა.

BGB-ეს §823-ის I ნაწილის მიხედვით, ProdHaftG-ის მსგავსად, მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როდესაც პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში შესვლის დროს უახლესი ტექნიკური და მეცნიერული ცოდნა არ იყო საკმარისი ამ პროდუქტის ნაკლის შესაცნობად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მისგან მომდინარე საფრთხე – პროდუქტის ნაკლი, რთულად შესაცნობი იყო. საქმე არ ეხება იმ ქვეყნის სპეციალურ, დარგობრივ ცოდნას, რომელსაც იყენებდა მწარმოებელი. თუმცა, ცოდნის ხელმისაწვდომობა, მინიმალური დოზით, საჯაროდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული; უნდა შეიძლებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწვევის საყოველთაოდ დაუფლება, ათვისება.<sup>284</sup>

„მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობა“, „მისი განვითარების დონე“ ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, ანუ სამართლებრივი ცნებაა, ვინაიდან ის არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლის გარეთ არსებული გარემოებებით. შეიძლება ითქვას, რომ ის ზოგადი სამართლებრივი ცნებაა. მისი განმარტება შესაძლებელია მხოლოდ ProdHaftG-დან გამომდინარე. „მეცნიერებისა და ტექნიკის დონე არის პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას მისი ნაკლის შეცნობის საზომი, რაც დაკავშირებულია მწარმოებლის პასუხისმგებლისგან გათავისუფლებასთან. აქ გვაქვს არსებული წესიდან გამონაკლისი, როცა მწარმოებელი პროდუქტის ნაკლისთვის ბრალის გარეშე აგებს პასუხს. ეს მოითხოვს მკაცრ შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ ProdHaftG მიზნად ისახავს, თითოეული მომხმარებლის დაცვას წუნდებული პროდუქტისაგან. ამიტომ, მწარმოებლის მიმართ შემუშავებული სანქციები, თავისი გამაფრთხილებელი, პრევენციული მიზნებით, ემსახურება ისეთი სტანდარტების შემუშავებას, რომლებიც სცილდება „რეგიონალიზაციის“ ფარგლებს. ProdHaftG ითვალისწინებს ობიექტური უსაფრთხოების სტანდარტებს. „მეცნიერება“ და „ტექნიკა“ აღნიშნული კანონის მიზნებისთვის ერთმანეთის შემავსებელი კრიტერიუმებია. არის თუ არა თეორიული ცოდნა „პრაქტიკაში განხორციელებული“, ეს დამოკიდებულია პროდუქტის სახეობასა და, ასევე, მის ნაკლებები პრაქტიკაში არსებული ცოდნა ავლენს პროდუქტის ნაკლს, ის აუცილებლად გასათვალისწინებელია. მაშასადამე, მეცნიერებისა და ტექნიკის დონე გულისხმობს იმგვარ ცოდნას, რომელიც პროდუქტის ნაკლს ვრცლად

<sup>284</sup> იქვე, Rn.69, 62.

აფასებს. ცნება ობიექტურად უნდა იქნეს გაგებული, რაც ნიშნავს იმას, რომ მწარმოებელი, თავისი პირადი მდგომარეობის მიუხედავად, არ იყო საქმის კურსში, დაეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნა, მაგალითად – ეკონომიკური მიზეზები. ის არ უნდა შემოიფარგლოს რეგიონალური ცოდნით,<sup>285</sup> რომელიც გარანტირებული იქნება თუნდაც იმით, რომ საყოველთაოდ აღიარებულია.<sup>286</sup>

ევროკავშირის დირექტივაც ითვალისწინებს ამ საფუძვლით მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. კერძოდ, პასუხისმგებლობის-გან თავისუფალია მწარმოებელი, თუ ის დაამტკიცებს, რომ პროდუქტის არსებული ნაკლი მისი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დროს, მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინებით, შეუცნობელი იყო. ეს წესი ეხება კონსტრუქციულ ნაკლს. მართალია, მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის დონე უნდა იქნეს გათვალისწინებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას, მაგრამ ამის ცოდნაში არ იგულისხმება კონკრეტული, განსაზღვრული ინდუსტრიული სექტორის ცოდნა. საგადღებულოა მხოლოდ ის, რომ ხელმისაწვდომი იყოს საჭირო ინფორმაციები.<sup>287</sup>

ადსანიშნავია, რომ მწარმოებელი ამ საფუძვლით ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, როდესაც მედიკამენტია წუნდებული. ეს საკითხი მოწესრიგებულია გერმანიის მედიკემანტების შესახებ სპეციალური კანონით, რომლის მე-16 თავში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მედიკამენტებით მიყენებული ზიანისათვის. მედიკამენტებში კი შედის სისხლი და ტრანსპლანტაციები.<sup>288</sup>

„არავითარი პასუხისმგებლობა განვითარების რისკებისათვის“ – ამ დებულებაში მოიაზრება ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის II ნაწილის მეხუთე წინადადება. მაშასადამე, თუკი მწარმოებელი დაამტკიცებს, რომ პროდუქტის ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანისას მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას, მაშინ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. რადგანაც პროდუქტის ნაკლი შეუცნობელი იყო, მწარმოებელს არ შეეძლო ნაკლთან დაკავშირებული საშიშროების არც აღმოფხვრა და არც მომხმარებლის გაფრთხილება ამ საშიშროების შესახებ. აქედან კეთდება ის დასკვნა, რომ პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას არ არ-

<sup>285</sup> ი. როლ, *Produkthaftungsrecht*, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.143,78.

<sup>286</sup> იქვე, Rn.143, 79.

<sup>287</sup> ი. კრაფტ, *Der Angleichungstand der EG-Produkthaftung*, Verlag Tenea, Berlin, 2004, 49-50.

<sup>288</sup> იქვე, 51.

სებობდა არანაირი ნაკლი. ნაკლი ომ შეუცნობელი იყო, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პროდუქტი ბაზარზე განთავსებისას საყოველთაო უსაფრთხოების მოღოდინს არ შეიცავდა.<sup>289</sup>

ამგვარად, პროდუქტის ნაკლის შესაცნობად მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ობიექტური მდგომარეობა პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ამ დროს ხელმისაწვდომი ყველა ცოდნა, რომელიც ნაკლის დადგენას შეუწყობს ხელს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწარმოებელმა მის განკარგულებაში არსებული ყველა ცოდნა გამოიყენა. მწარმოებლის მხრიდან საქმე ეხება მხოლოდ ობიექტურად გასათვალისწინებელ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შევიმეცნოთ პროდუქტის ნაკლი. Schmidt Salzer-ის მიხედვით, „პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის“ ეს შემთხვევა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, ჩავთვალოთ თუ არა პროდუქტის ნაკლი, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების რისკები. შესაბამისად უნდა გავარკვიოთ, ბრალისგარეშე პასუხისმგებლობის სფეროშია იგი, თუ ბრალეული პასუხისმგებლობის სფეროში. ამ შემთხვევაში ნაკლი ფასდება ბრალის კრიტერიუმის საფუძველზე<sup>290</sup>

აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ შესაბამის მაგალითს. „1996 წელს იაპონელმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ მიკროტალდური ღუმელი წვეულებრივი გამოყენების შემთხვევაშიც კიბოსგამომწვევია და შესაბამისი გამოკვლევა გამოაქვეყნა ერთ-ერთ იაპონურ სამეცნიერო ჟურნალში 1996 წელს. ამის შემდეგ ვინმე X-მა 1997 წლის იანვარში შეიძინა ფრანგული ფირმის მიერ დამზადებული მიკროტალდური ღუმელი და წლების განმავლობაში იყენებდა მას გაყინული მზა პროდუქტის შესათბობად, რომლითაც იგი იკვებებოდა. ბატონი X დაავადდა კიბოთი და დადგინდა, რომ ავადმყოფობა კვების აღნიშნული რეჟიმით იყო გამოწვეული. მან უჩივლა ფირმას და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. Schmidt Salzer-ის შეხედულების თანახმად, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, 1997 წლის იანვრში – პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას, ფრანგული ფირმისთვის რამდენად ხელმისაწვდომი იყო იაპონური ჟურნალი და ამ გზით პროდუქტის კიბოსგამომწვევი თვისების შეცნობა და საფრთხის თავიდან აცილება. სხვა მოსაზრების თანახმად, ამ კონკრეტული შემთხვევისას უნდა შემოწმდეს, 1997 წლის იანვარში იაპონურ ჟურნალში გამოქ-

<sup>289</sup> Lem C., Die Haftung für fehlerhafte Produkte nach deutschem und französischem Recht, Verlag Recht und Wirtschaft, Heidelberg, 1992, 59.

<sup>290</sup> იქვე, 60.

ვეუნებული სტატიის საფუძველზე ობიექტურად იყო თუ არა შესაცნობი, რომ ეს ღუმელი კიბოსგამომწვევ თვისებებს შეიცავდა.

ბრალეული პასუხისმგებლობისას ყურადღებიანობის ფარგლები ობიექტურად ისეა განსაზღვრული, რომ მწარმოებელი ვალდებულია, შეამოწმოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მდგომარეობა, რათა აღმოაჩინოს და აღმოფხვრას პროდუქტის თითოეული საშიში თვისება. ამ დროს ირდვევა ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საზღვრები, რადგან, ობიექტური ვითარების მიუხედავად, საბოლოოდ არავითარი განსხვავება არ გვაქვს – ნაკლი შეუცნობელი იყო პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას თუ, ყოველგვარი ყურადღებიანობის მიუხედავად, აუცდენელი – მწარმოებელი ორივე შემთხვევაში აგებს პასუხს.<sup>291</sup>

საბოლოოდ, როგორც ProdHaftG-ის აღნიშნული პარაგრაფის საფუძველზე, ისე BGB-ის 823-ე პარაგრაფის საფუძველზე, დადგა მიკროტალდური ღუმელის მწარმოებლის პასუხისმგებლობა. დადგინდა, რომ იაპონურ ჟურნალში გაცხადებული მიკროლუმელის კიბოსგამომწვევი თვისებები 1997 წლის იანვარში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიხედვით, შესაცნობი და ხელმისაწვდომი იყო. ამდენად, მწარმოებელს შეეძლო მიეღო სათანადო ზომები პროდუქტისგან გამომდინარე საშიშროების აღმოსაფხვრელად<sup>292</sup>

პროდუქტის მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუკი ზიანი დგება დაუძლეველი ძალის შედეგად. მაგალითად, ძლიერი ქარიშხლის ან მიწისძვრის შედეგად ზიანდება ელექტროგადამცემი მოწყობილობანი და ძაბვის მოულოდნელი გაზრდისა თუ შემცირების შედეგად მომხმარებელს უზიანდება ქონება. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დგება.

დაუძლეველ ძალას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძლებში მოიხსენიებს ასევე უკრაინის სამართალიც, კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს გამყიდველის, საქონლის დამამზადებლის, სამუშაოს შემსრულებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ორ შემთხვევას: ა. დაუძლეველი ძალა, ბ. დაზარალებულის მიერ საქონლის (სამუშაო, მომსახურეობა) გამოყენების ან შენახვის წესების დარღვევა.<sup>293</sup>

<sup>291</sup> იქვე, 61.

<sup>292</sup> იქვე, 62.

<sup>293</sup> იხ. Гражданский кодекс Украины: Комментарий. Том II, Издание второе, Харков, Одиссей, 2004, 903.

ProdHaftG-ის მუ-8 პარაგრაფის მუ-2 ნაწილი ემთხვევა სსკ-ის დანაწესებს; ანუ აქაც იგივე პირობაა დაწესებული პასუხისმგებლობისთვის. კერძოდ, გერმანულ სამართალში, უბრალოდ, მწარმოებლის მტკიცების ტვირთზეა გამახვილებული ყურადღება – „ის არ აგებს პასუხს, თუკი დამტკიცებს, რომ არსებული ნაკლი, იმ დროს არსებული ტექნიკისა და მეცნიერების მდგომარეობის გათვალისწინებით, რომლის დროსაც ეს პროდუქტი იქნა წარმოებაში გატანილი, ვერ იქნა აღმოჩენილი.“ მტკიცებისგან გათავისუფლების წინაპირობა ამ მუხლის მიხედვით ისაა, რომ ეს პროდუქტი წარმოებაში გატანისას ნაკლის მქონე იყო. მწარმოებელი რომ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, განსაზღვრული პროდუქტის თვისებიდან გამომდინარე, საშიშროება მისთვის შეუცნობელი უნდა იყოს.

მეცნიერულად გააზრებული და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული აზრი, რომელთაც ახალი ცოდნა მოაქვთ, გასათვალისწინებელია, თუკი ეს მეწარმისთვის ხელმისაწვდომია; ანუ, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, რომ მწარმოებელმა (მეწარმემ) უნდა გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის აღნიშნული ცოდნა, გამოცდილება თუ მდგომარეობა, თუკი მას, რა თქმა უნდა, ამაზე ხელი მიუწვდება.

მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო ბრუნვაში საქონლის გატანის დრო. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამტკიცოს, რომ მას ნაკლის ცნობა ამ დროს არ შეეძლო.<sup>294</sup> ნაკლად მოიაზრება კონსტრუქციული და არა ფაბრიკული ნაკლი.

რაც შეეხება ევროსაბჭოს დირექტივებს, მისი მიღების შედეგად არანაირად არ შეცვლილა პასუხისმგებლობის რეგულირების სფეროში საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შექმნილი მექანიზმი. მან მხოლოდ გაართულა ეს რეგულირება. წევრ-სახელმწიფოებში, დირექტივის საფუძველზე შემოღებული ნორმების გარდა, ძალაში დარჩა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნაციონალური სამართლის ნორმებიც.<sup>295</sup>

<sup>294</sup> ი. მ. Feil Mag E., „Produkthaftung, Produktsicherheit, Verbraucherschutz beim Fernabsatz“, kurzkommentar für die praxis, Linde Verlag, Wien, 2001, 51-52, Rn.3.

<sup>295</sup> ი. მ. კონტრად ცვალებები, პაიხ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამოცემლობა ჯი სი აი, თბილისი, 2001, 370.

## 8.6. დაზარალებულის ბრალეული მოქმედება

სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ.“

სსკ-ს, ისე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი ითვალისწინებს ამ საფუძვლით მწარმოებლის პასუხისმგებლობის შემცირებას ან საერთოდ გათავისუფლებას. თითოეული შედეგის დადგომა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე. პასუხისმგებლობის შემცირება მოსალოდნელია მაშინ, როდესაც ორივეს თანაბრად მიუძღვით ბრალი პროდუქტის უხარისხოდ გარდაქმნაში ან ზიანის დადგომაში. ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მომხმარებლის ბრალით ხდება პროდუქტი ნაკლის მქონე ან მისმა არასწორად გამოყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ზიანი. მაგალითად, მალფუჭებადი პროდუქტისათვის დადგენილია კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი ვარგისია და უსაფრთხო. ეს ვადა, როგორც წესი, მითითებულია პროდუქტზე, რომლის წაკითხვის და გათვალისწინების ვალდებულება ეკისრება მომხმარებელს. მისი გაუთვალისწინებლობა მომხარებელს რისკის წინაშე აყენებს. იგივე ითქმის პროდუქტის ინსტრუქციაზე. როდესაც მომხარებელი არასწორი დანიშნულებით იყენებს პროდუქტს, რამაც შესაძლოა არა მხოლოდ პროდუქტის ნაკლისმქონედ გარდაქმნა ან სრულად განადგურება გამოიწვიოს, არამედ ზიანი მიაღეს ადამიანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. მაშასადამე, გააჩნია ზიანის დადგომა რა სახის ნაკლის გამოიწვია და ვისი ჩარევით და ხელშეწყობით მოხდა. ეს ნაკლი შესაძლებელია იყოს როგორც ინსტრუქციული, ისე კონსტრუქციული ან ფაბრიკული ან, ზოგადად, პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლის შედეგი. მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვის ხელში გახდა პროდუქტი ნაკლისმქონე და რა წვლილი მიუძღვის მას ამ საქმეში. მთავარია ბრალეული მოქმედება, მნიშვნელობა არ ენიჭება რა სახის ბრალზეა საუბარი. აუცილებელია მოქმედება შეიცავდეს ბრალის ნიშნებს. განმარტებას საჭიროებს აგრეთვე მომხმარებლის გარდა, პასუხისმგებელ პირში ვინ მოიაზრება? „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-6 მუხლის მე-8 ნაწილი მას მოიხსენიებს, როგორც „პირს, რომელზედაც პასუხისმგებელია დაზარალებული, თუმცა მათ ბრალეულობაზე არსად უთითებს. კანონი მხოლოდ „არასწორი ქმედებით“ შემოიფარგლება.

აღსანიშნავია ის, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომქცევის“ კოდექსი ემყარება ევროკავშირის დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს და სსკ-ისა და ProdHaftG-ისგან განსხვავებით ამბობს, რომ „მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს, თუ გარკვეული გარემოებების არსებობისას ზიანი გამოიწვია, როგორც პროდუქტის წუნმა, ისე დაზარალებულის არასწორმა ქმედებამ ან იმ პირმა, რომელზედაც პასუხისმგებელია დაზარალებული.“ ან აქ სავალდებულოა ზიანის დადგომა გამოიწვიოს ერთდროულად, როგორც პროდუქტის წუნმა, ისე დაზარალებულის არასწორმა ქმედებამ.“ თითქოს ამ შინაარსიდან ის იკითხება, რომ პროდუქტის წუნი შესაძლებელია დამოუკიდებლადაც არსებობდეს, მაგრამ დაზარალებულის არასწორმა ქმედებამ ზიანი გამოიწვიოს. სსკ-ში კანონმდებელმა, ვფიქრობ, რომ აქ სხვა შინაარსი ჩადო. პროდუქტი თავიდან უსაფრთხო იყო, მაგრამ მომხმარებლის ბრალეულმა ქმედებამ გახადა ის ნაკლისმქონედ, შესაბამისად, ზიანის გამომწვევი მიზეზიც სწორედ მის მიერ პროვოცირებული ნაკლია. ყველაფერი ეს უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისას. ევროკავშირის დირექტივა „არასწორი ქმედების“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს – „ბრალეულ ქმედებას.“ ვფიქრობ, რომ ეს უკანასკნელი სამართლებრივად უფრო მისაღებია. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, ProdHaftG-ის მე-6 პარაგრაფის პირველ ნაწილში არსებობს ზოგადი და განსხვავებული განმარტება, როგორც ქართული კანონმდებლობის, ისე ევროკავშირის დირექტივისაგან. კერძოდ კი, ამ კანონის მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, „ზიანის დადგომაში თუკი დაზარალებული ბრალეულად მოქმედებდა, მოქმედებს BGB-ეს 244-ე პარაგრაფი. ნივთის დაზიანების შემთხვევაში იმ პირის ბრალეულობა დგას, რომელიც, დაზარალებულის ბრალეულობის მსგავსად, ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებდა.“

მაშასადამე, გერმანული სამართალი აქცენტს აკეთებს პირის ბრალეულობაზე და ცალკე გამოყოფს ნივთის დაზიანების შემთხვევას. ProdHaftG კანონის მე-6 პარაგრაფი უთითებს BGB-ეს 254-ე მუხლზე, რომელიც ამბობს, რომ „თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა მოქმედებამ, მაშინ ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, უფრო მეტად რა მოცულობით არის გამოწვეული ზიანი ერთი ან მეორე მხარის ბრალით.“ გერმანული სამართალი, ევროკავშირის დირექტივისაგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის ბრალეულობაზე. თუმცა, არ გამორიცხავს მეორე მხარის

ბრალეულობას. ამ მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, მწარმოებლის პასუხისმგებლობა შესაძლებელია ერთ შემთხვევაში შემცირდეს, თუკი დაზარალებულსაც მიუმდვის ბრალი, ან საერთოდ გამოირიცხოს მისი პასუხისმგებლობა, თუკი მხოლოდ დაზარალებულის მოქმედებით დადგა ზიანი. ბრალეულ პირთა წრეში შედის ის პირიც, რომელიც, ფაქტობრივად, ფლობდა ნივთს, როდესაც ის დაზიანდა; ანუ ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი მწარმოებლის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ტოლია.

#### 8.7. მესამე პირის მოქმედება

სსკ-ის 1009-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.“ რაც შეეხება პასუხისმგებლობის შემცირების ამ შემთხვევას როგორც ქართული, ისე ევროპული სამართალი ამ საკითხს ერთნაირად უდგება. ერთდროულად უნდა დადგინდეს ორი პირობა – აუცილებელია ზიანი გამოწვეული იყოს პროდუქტის ნაკლით და მესამე პირის ხელშეწყობით. მესამე პირის მოქმედება სავარაუდო ბრალის ნიშნებს უნდა შეიცავდეს. რაც შეეხება პროდუქტის ნაკლს, უნდა ვიფიქროთ, რომ პროდუქტის ნაკლისმქონედ გარდაქმნა მესამე პირის მოქმედებით არაა გამოწვეული. მესამე პირის მოქმედება დაკავშირებულია ზიანის დადგომასთან, პროდუქტის წუნი კი ცალკე, დამოუკიდებლად არსებობდა. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ელექტრო- და გაზქურის შემთხვევებში არსებობდა ქარხნული, ფაბრიკული წუნი, რის გამოც ქურა დაშვებულ ტემპერატურაზე მეტად ხურდებოდა. მესამე პირის მხრიდან დაუდევარმა მოქმედებამ, მაგალითად, კერძის დაშვებულზე მაღალ ტემპერატურაზე მომზადებისას, გამოიწვია კერძის განადგურება და ხანძრის გაჩენა. მაშასადამე, ზიანის დადგომა ერთდროულად გამოიწვია როგორც მესამე პირის არასწორმა ქმედებამ, ისე პროდუქტის ფაბრიკულმა წუნმა.

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის მე-4 ნაწილი აფიქსირებს იმ შემთხვევას, როდესაც „მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და, იმავდროულად, მესამე პირის მოქმედებით.“ სამოქალაქო კოდექსი და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი, ვფიქრობ, მწარმოებლის პასუხისმგებლობას სხვა-

დასხვა დონით განიხილავს. როცა ზიანის გამომწვევი მოქმედება მომდინარეობს მესამე პირის მხრიდან, მწარმოებელი პასუხს აგებს ორივე შემთხვევაში. განსხვავება ამ ორ კოდექსს შორის ისაა, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მწარმოებლის სრულ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის დადგომის მიზეზი მესამე პირის მოქმედებაცაა. ეტყობა, ბრალის ხარისხის მიხედვით, მწარმოებელს რეგრესული მოთხოვნის უფლება რჩება ამ პირის მიმართ. სპეციალური კოდექსი კი საუბრობს, მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე, ზოგადად. ჩანს, ეს პასუხისმგებლობაც მთლიანია. ზიანის მიზეზი მაინც პროდუქტის წუნია და ის მესამე პირის მოქმედებით გამოვლინდება. იმავე დებულებას შეიცავს გერმანული სამართალიც. ამდენად, პასუხისმგებლობა გადანაწილდება ეწ. მესამე პირზე და „მწარმოებელთან ერთად ისიც ხდება პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებაზე.“<sup>296</sup> „მესამე პირი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამყიდველი ან სხვა პირი, რომელსაც სათანადო ინსტრუქცია უნდა ჩაეტარებინა შემძენისათვის.“<sup>297</sup>

#### 8.8. პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამოიცხავს პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობას, თუ ზიანი პროდუქტის ნაწილით კი არაა გამოწვეული, არამედ იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. „მოცემულ შემთხვევაში ისეთ გარემოებასთან არის საქმე, როცა პროდუქტის ნაწილი ხარისხია, მაგრამ ეს ნაწილი მწარმოებელმა საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად არასწორად გამოიყენა და პროდუქტმა ზიანი გამოიწვია.“<sup>298</sup>

ავსტრიული სამართალი კი პროდუქტის არასწორი კონსტრუქციის გარდა, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ამ ნაწილს უმატებს იმ შემთხვევას, „როდესაც ნაკლი პროდუქტის მწარმოებლის მითითებით იქნა გამოწვეული.“ ამდენად, ავსტრიული სამართალი შეიცავს, ერთი მხრივ, ნაკლის გამოწვევას პროდუქტის კონსტრუქციით, მეორე მხრივ, ნაკლის გამოწვევას საბოლოო მწარმოებლის მითითება-ინსტრუქციის საფუძველზე.

<sup>296</sup> Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte,”* Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 71.

<sup>297</sup> ახლაურიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1999, 278.

<sup>298</sup> იქვე, 277.

აღსანიშნავია ის, რომ მიმწოდებელი საერთოდ არ აგებს პასუხს, როდე-საც ნაკლი გამოწვეულია მის მიერ მიწოდებული პროდუქტის ძირითადი ელე-მენტის, ნაწილის, ასევე იმ პროდუქტის კონსტრუქციით, სადაც ეს მასალა იქ-ნა მიწოდებული (ჩართული, გამოყენებული).<sup>299</sup>

„მწარმოებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა, თუკი დეფექტის მქონე იქნებოდა ავტომანქანის დიზაინი ან კონსტრუქცია. უმეტეს შემთხვევაში კი ეს გულგრილი, გაუფრთხილებელი დამოკიდებულე-ბის შედეგია. ძირითადად, გამონაკლისია: კონკრეტული პროდუქტი, რომელიც ნამდვილად იყო დეფექტური, როცა მყიდველმა შეიძინა, თუმცა, მწარმოებელს მიღებული ჰქონდა უსაფრთხოების ოპტიმალური ზომები და დეფექტიანი ეგ-ზემპლარი იმ არასწორი ტექნოლოგიური ოპერაციის შედეგი იყო, რომელიც მიღიონ ერთხელ ხდება და არ შეიძლება აღიკვეთოს ხარჯებით. მიუხედა-ვად ამისა, პასუხისმგებლობა მწარმოებელს დაეკისრება“.<sup>300</sup>

სასამართლო პრაქტიკაში არსებობს პასუხგაუცემელი საკითხები, კერ-ძოდ: „ნაკლოვანია თუ არა ავტომანქანა, როდესაც კონსტრუქციის მიხედვით, ბენზინის ავზისთვის ამორჩეული ადგილი არ არის ოპტიმალური ზიანის, ავა-რიის ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გამოღვრილი ბენზინი-საგან ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანის თვალსაზრი-სით? თუკი ავზი მართებულადაა განლაგებული, მაგრამ მოსარჩევე დაჭინე-ბით ამტკიცებს, რომ იგი უფრო სქელი თუნუქისაგან უნდა დამზადებულიყო? რა როლს ასრულებს ის ფაქტი, რომ ავზის კედლების გასქელება გააძვირებს ავტომობილის ღირებულებას, შეამცირებს მის სიჩქარეს და გაზრდის საწვა-ვის ხარჯებს? არის თუ არა კონსტრუქციული ნაკლი ის, რომ მოპასუხეს და-ავიწყდა, თავისი სატვირთო ავტომობილის ძარის უკანა მხარეს, ქვემოთ, დაუ-მაგრებინა უსაფრთხოების სპეციალური მოწყობილობა და ა.შ. მსგავს შემ-თხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იქნება პასუხი კითხვაზე – შეიძლება თუ არა არსებული სამუცნიერო-ტექნიკური ცოდნის პირობებში შეიქმნას უფრო სრულყოფილი და უსაფრთხო კონსტრუქცია და, შეუძლია თუ არა მოპასუხეს არჩევანი მასზე შეაჩეროს? სავსებით ცხადია, რომ მოცემულ შემთხვევაში სა-უბარია თითქმის იმავე ფაქტებსა და მტკიცებულებზე, რომლებიც ჩანდა დაუ-

<sup>299</sup> Ob. Feil Mag E., „Produkthaftung, Produktsicherheit, Verbraucherschutz beim Fernabsatz“, kurzkommentar fur die praxis, Linde Verlag, Wien, 2001, 52, Rn.4.

<sup>300</sup> Познер Р.А., Економический анализ права, т.1, Издательство экономическая школа, Санкт-Петербург, 2004, 246.

დევრობის გამო სარჩელებში; როდესაც მწარმოებლის პასუხისმგებლობა და-  
მოკიდებულია იმაზე, გამოავლინა თუ არა მან გონიერი ადამიანისთვის დამა-  
სასიათებელი მზრუნველობა და წინდახედულობა. აქ, როგორც ითქვა, დღემ-  
დე არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის  
მდგომარეობის შესახებ – მათი განვითარების დონე გათვალისწინებულ უნდა  
იყოს საქონლის წარმოების მომენტისათვის თუ სასამართლოს გადაწყვეტი-  
ლების მიღების მომენტისათვის? უკანასკნელ შემთხვევაში მწარმოებლისათ-  
ვის ეს არის დამატებითი პასუხისმგებლობა „განვითარების რისკებისთვის,“  
თუ ზიანის მიუენების მომენტისათვის შემუშავებული იყო ალტერნატიული,  
უფრო უსაფრთხო კონსტრუქციები, ვიდრე იყენებდა მოპასუხე თავისი პრო-  
დუქციის წარმოებისათვის.“<sup>301</sup>

მაშასადამე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კვლავ მეცნიერებისა ტექნიკის  
განვითარების დონის შეფასება ხდება, რომელიც იმის საფუძველს იძლევა,  
საბოლოო პროდუქტისა თუ პროდუქტის ნაწილის მწარმოებელი გავათავი-  
სუფლოთ თუ არა პასუხისმგებლობისგან.

სსკ-ის 1009-ე მუხლის მეორე ნაწილით მწარმოებლის პასუხისმგებლობა  
მთლიანად გამოირიცხება, თუკი პროდუქტის ნაკლი გამოწვეულია იმ პრო-  
დუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. აქ პასუ-  
ხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე თუ არის საუბარი, ეს ეხება მხოლოდ  
პროდუქტის ნაწილის მწარმოებელს. ხოლო მწარმოებელი, რომელმაც პრო-  
დუქტის ნაწილი არასწორად გამოიყენა, ჩააშენა თუ სხვა ფორმით მოიხმარა  
ის წარმოებისას, გვევლინება, როგორც ბრალეული პასუხისმგებელი პირი,  
როგორც პროდუქტის ძირითადი ნაწილის მწარმოებელი (ან, როგორც „ვი-  
თომ“ მწარმოებელი). მაშასადამე, ერთ შემთხვევაში გვყავს პროდუქტის ნაწი-  
ლის მწარმოებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში – პროდუქტის ძირითადი ნაწი-  
ლის მწარმოებელი. მათი ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, ერთ-ერ-  
თი მათგანი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.

რა მოიაზრება „იმ პროდუქტის კონსტრუქციაში“, რომელმაც სწორედ  
პროდუქტის ნაწილის უსაფრთხოება დააყენა ეჭვის ქვეშ? პროდუქტის ნაკლის  
სახეების განხილვისას ნათლად განვსაზღვრეთ, თუ რას ნიშნავს კონსტრუქ-  
ციული ნაკლი. სწორედ ამ ნაკლის მტკიცება გახდავთ ყველაზე რთული,

<sup>301</sup> ცვაიგერტი კ., ქობცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართ-  
ლის სფეროში, ტომი II, გამომცემლობა ჯი სი აი, თბილისი, 2001, 366.

მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით. პროდუქტის ძირითადი ნაწილის მწარმოებელი, ხშირ შემთხვევაში, ბრალის გარეშე აგებს პასუხს კონსტრუქციული ნაკლისათვის. მაშასადამე, პროდუქტის ნაწილის მწარმოებელის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში გამოირიცხება.

რაც შეეხება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსს, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა არ დგება, თუკი „პროდუქტის შემაღენელი ნაწილის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს ნაწილია მოთავსებული, ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ ნაწილს.“ როგორც ჩანს, ეს კოდექსი, სსკ-სგან განსხვავებით, მითითების საფუძველზეც ითვალისწინებს პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას; ანუ აქ არა მხოლოდ კონსტრუქციული, არამედ ინსტრუქციული ნაკლიც აშკარაა. მაშასადამე, ეს მითითება პროდუქტის ნაწილად პროდუქტის ძირითადი ნაწილის მწარმოებლის მიერ არასწორად იქნა გადმოცემული, კერძოდ კი, მას შეეძლო საბოლოო პროდუქტის ნაკლისმქონედ გარდაქმნა (როგორც პროდუქტის ძირითადი ნაწილის, ისე მისი ნაწილის).

როგორც ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მესამე ნაწილი, ისე ევროკავშირის დირექტივის მე-7 მუხლის „f“ ქვეყნები მსგავსებას პოვებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსთან. კერძოდ კი, ისინი დამატებით გვთავაზობს „მწარმოებლის მითითებებს,“ რომლებიც პროდუქტის ნაკლს იწვევს.

## 9. მტკიცების ტვირთი

სსკ-ის 1012-ე მუხლი, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის დადგომისას, მტკიცების ტვირთს სრულად აკისრებს დაზარალებულს, იმაგვ მომხმარებელს. ეს ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის სსკ-ის 102-ე მუხლთან, რომლის თანახმად, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს,<sup>302</sup> ანუ მხარეებს შორის ეს ტვირთი გადანაწილებულია.

<sup>302</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №47-48, 1997.

რა უნდა იგულისხმებოდეს მტკიცების ტვირთში სსკ-ის 1012-ე მუხლის მიხედვით? კერძოდ, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი, რომელიც მან განიცადა, სწორედ რომ წუნდებული პროდუქტის გამოყენების შედეგად მიადგა და, მეორე, ეს პროდუქტი მართლაც იყო წუნდებული. მომხმარებლისათვის სირთულეს არ წარმოადგენს ზიანის დადგომის მტკიცება. პროდუქტის უხარისხობის მტკიცება კი – ის თუ რა შეცდომა დაუშვა მწარმოებელმა – რთული შესაფასებელი და დასამტკიცებელია, რადგან მომხმარებელს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა, გამოცდილება, დაინახოს პროდუქტის ყველა ხარვეზი. მაშასადამე, „დაზარალებულს, რომელსაც წარმოდგენა არ შეიძლება პქონდეს წარმოების არც ერთ სტადიასა და ტექნოლოგიურ პროცესზე, ძნელია დავაკისროთ მტკიცების ტვირთი. მისი მტკიცების ტვირთი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ზიანის მიყენების ფაქტით. ამიტომ, კარგი იქნება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით მტკიცების ტვირთის ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელი ფაქტები განეკუთვნება სარჩელის საფუძვლებში შემავალ ფაქტებს, რომლებიც უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ და რომელი ფაქტები განეკუთვნება შესაგებლის საფუძველს, რომლებიც უნდა დაამტკიცოს მოპასუხება.“<sup>303</sup>

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, ამ საკითხს ის შემდეგნაირად წყვეტს: აქ შენარჩუნებულია მტკიცების ტვირთის კლასიკური ფორმა. კერძოდ, ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მე-4-ე ნაწილის მიხედვით, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს პასუხისმგებლობის გამამართლებელი გარემოებანი, კერძოდ, პროდუქტის უხარისხობა, ზიანი და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. ამის დაუმტკიცებლობის შედეგები თვითონ უნდა იტვირთოს. ამ გზის გამოყენება რთულია მედიკამენტებით დაზარალების შემთხვევაში.<sup>304</sup>

ზიანის მტკიცების დროს ნივთიერი მტკიცებულება არის სამართლებრივი სიკეთის დაზიანება და მასთან ერთად წარმოშობილი ზიანი, მაგალითად, წამლისა და მკურნალობის ხარჯები და ა.შ.

<sup>303</sup> მოთაծე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება,” №2; 2008, 66.

<sup>304</sup> იხ. Taschner H.C., Die künftige Produzentenhaftung, Neue Juristische Wochenschrift, Heft 10, 1986, 613-614.

ნივთის დაზიანების დროს უნდა დამტკიცდეს, რომ ნივთი დაზიანდა ნაკლიანი პროდუქტით და, იგი გამიზნული იყო პირადი მოხმარებისათვის და დაზარალებულმა გამოიყენა კიდევ იგი.<sup>305</sup>

დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ მწარმოებლის პროდუქტს ჰქონდა ნაკლი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლით. ამის მტკიცება კი ძალიან რთულია, როდესაც პროდუქტი უკვე აღარ არსებობს.

ნაკლის მტკიცებისას მტკიცდება ის, რომ მოპასუხე ზიანის გამომწვევი პროდუქტის მწარმოებელია. დაზარალებულს არ ეკისრება იმის მტკიცება, რომ ეს ნაკლი წარმოიშვა წარმოებისას, ანუ ე.წ. ნაკლის სფეროს მტკიცება.<sup>306</sup>

არ შეიძლება მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში დაზარალებულს ეკისრებოდეს. გერმანული სამართალი ამ საკითხს გონივრულად წყვეტს, კერძოდ, ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფის მე-2-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (შესაბამისად, სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტები): „საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას“; „მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში“ – ამ შემთხვევებში პასუხისმგებლობა გამოირიცხება თუ არა, უნდა ამტკიცოს მწარმოებელმა. მტკიცების ტვირთის ასეთი გადანაწილება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ არსებული გარემოებების შესახებ მწარმოებელს მეტი ცოდნა აქვა.

გერმანული სამართლის საპირისპიროდ, ქართული სამართალი მტკიცების ტვირთს მთლიანად დაზარალებულს აკისრებს. კერძოდ კი, სსკ-ის 1012-ე მუხლის თანახმად, „წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს.“ სსკ-ი არ აკონკრეტებს, თუ რისი მტკიცების ვალდებულება ეკისრება დაზარალებულს: ნაკლის, ზიანის, ნაკლსა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის თუ მწარმოებლის ვინაობის. მაშასადამე, ის მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება. რაც შეეხება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მი-

<sup>305</sup> ი. მ. Kullmann H.J., *Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;* Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 69.

<sup>306</sup> იქვე, 69.

მოქცევის“ კოდექსს (მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი სსკ-ის), ის დაზარალებულს აკისრებს სრული მოცულობით მტკიცების ტვირთს, ამასთან, აკონკრეტებს მტკიცების სფეროს. კერძოდ, დაზარალებულს ეკისრება ზიანის დადგენის მტკიცების ტვირთი. ასევე, იგი ვალდებულია დაამტკიცოს წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. მართალია, პროდუქტის ნაკლებ ცალკე საუბარი არაა, მაგრამ ვინაიდან მიზეზობრივ კავშირზეა საუბარი, ივარაუდება, რომ მასში ნაკლის მტკიცების ვალდებულებაც შედის.

ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილი არ უნდა იყოს ყველა შემთხვევაში დაზარალებულს დაეკისროს მტკიცების ვალდებულება. ამას ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს. არ შეიძლება მას დაეკისროს იმაზე მეტის ცოდნა, რაც ზოგჯერ მწარმოებლისთვისაც ან უცნობია, ან რთულად დასამტკიცებელი. ამიტომაცაა, რომ გერმანული სამართალი, ევროკავშირის დირექტივა ითვალისწინებს ცალკე, სპეციალურ შემთხვევებს, როდესაც ეს მძიმე ტვირთი „გადანაწილდება“ მწარმოებელზე. მართალია, ქართულ კანონმდებლობაში, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა, თუმცა, არსებული საკანონმდებლო სარვეზები შეიძლება შეივსოს სასამართლო პრეცედენტების გზით.

როგორც უკვე აღინიშნა, როგორც ქართულ, ისე ევროპულ სამართალში დადგენილია მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ცალკეული შემთხვევები. თუმცა მისი პასუხისმგებლობისგან ასე მარტივად და უპირობოდ გათავისუფლება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მას, გარკვეულწილად, ეკისრება თავის მართლება იმის გასაქარწყლებლად, რაც მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ეჭვისქვეშ აყენებს. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, გერმანული სამართლის მიხედვით, კერძოდ, ProdHaftG-ის §1-ის მე-4 ნაწილის II წინადადების თანახმად, მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუკი ის დაამტკიცებს, რომ „საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის გარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას.“ ასევე, მან უნდა ამტკიცოს, რომ „პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.“ აქედან ჩანს, რომ ამ საფუძვლების დადასტურება ყველაზე კარგად მწარმოებელს უნდა შეეძლოს. მან უნდა იცოდეს, რომ პროდუქტმა წარმოების ნებისმიერი სფერო ნაკლისგან თავისუფალი დატოვა, მას გააჩნია პროდუქტის წარმოების

ყველა ეტაპზე ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა. აქვე უნდა დადგინდეს პროდუქტის რეალიზაციაში გასვლის დრო, თარიღი, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომელიც შეუძლებელია დაზარალებულმა არათუ ამტკიცოს, არამედ ელემენტარულად იცოდეს მათ შესახებ. შესაბამისად, ამ გარემოებების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მხოლოდ მასზე დაკისრება შეიძლება უსამართლოდ ჩაითვალოს. სამართლიანობის პრინციპი შეჯიბრებითობის პრინციპის ნებისმიერ ეტაპზე უნდა იყოს დაცული, მით უფრო, იქ, სადაც მტკიცების შეუძლებლობაა. იგივე ითქმის პასუხისმგებლობის გამორიცხვის მეორე საფუძველზეც. მწარმოებელმა უნდა ამტკიცოს, რა მიზანი გააჩნდა მას ამ პროდუქტის დამზადებისას და, საიდან მოხვდა ეს პროდუქტი დაზარალებულის ხელში. ეს მისგან უნდა იქნეს გაგებული. თუმცა, დაზარალებულს არ ეკისრება ამ შემთხვევაში სამართლდარღვევის შემადგენლობის თითოეული კომპონენტის მტკიცება. გერმანული სამართალი ასეთ დროს იყენებს ტერმინს „*Beweislastumkehr*,“ რაც მტკიცების ტვირთის შემობრუნებას ნიშნავს. საკმარისია, დაზარალებულმა დამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო სხვა დანარჩენის მტკიცება უნდა იკისროს მწარმოებელმა. თუკი ის ვერ მოიტანს გამამართლებელ არგუმენტებს და თავს ვერ დაიხსნის პასუხისმგებლობისგან, ვალდებულია, ბრალის მიუხედავად, ზიანი აუნაზღაუროს დაზარალებულს. მტკიცების ტვირთის შემობრუნების მაგალითი კარგად ჩანს „ქათმის ჭირის“საქმეზე.<sup>307</sup>

ზიანის მტკიცება დაზარალებულისთვის ყველაზე მარტივი და უტყუარია. ნაკლის მტკიცებას რაც შეეხება, მისთვის, ალბათ, საკმარისია პროდუქტის ნაკლზე მითითებაც; ანუ მან უნდა მიუთითოს მხოლოდ ნაკლზე და არ ევალება ამტკიცოს, თუ რა შეცდომა იქნა დაშვებული პროდუქტის წარმოებისას. ნაკლის სფეროს მტკიცება მას არ უნდა დაეკისროს. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ნაკლსა და ზიანს შორის, პროდუქტის ნაკლის მიზეზის დადგენის შემდეგად შესაძლებელი. თუკი უცნობია რა სახის ნაკლთანაა საქმე, რამ გამოიწვია პირდაპირ ზიანი, ალბათ, როულია მათ შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენაც. ასევე არ არსებობს მწარმოებლის ვინაობის ცოდნის ვალდებულება, ან მისი ვინაობის დადგენის ვალდებულება. მართალია, ეს აუცილებელია, რათა ელემენტარულად, სარჩელის წარდგენის თვალსაზრისით, მოპა-

<sup>307</sup> იხ. Zweigert K., Kütz H., Einführung in die Rechtsvergleichung, 3.neubearb.Aufl.Tübingen: Mohr, 1996, 683.

სუხე მხარე განისაზღვროს, მაგრამ თუკი პროდუქტზე არ არის დატანილი მისი მწარმოებელი, მაშინ ეჭვმიტანილ პირად შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერი პირი, ვინც მონაწილეობდა ამ პროდუქტის დამზადება-რეალიზაციის პროცესში. ნაკლის სახე მიგვიყვანს პასუხისმგებელ მწარმოებლამდე. ნებისმიერი მწარმოებელი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლშია მოხსენიებული, ითვლება პასუხისმგებელ პირად.

მტკიცების ტგირთის განხილვისას, მთავარი პრობლემა ისაა, თუ რისი მტკიცება უწევს დაზარალებულს და, ხომ არ ამძიმებს ეს ტგირთი მის სამართლებრივ მდგომარეობას, რაც შედეგად მისი უფლებების დაუცველობას იწვევს. მაგალითად, თუკი მას, როგორც ბრუნვის საშუალო მონაწილეს, მომხმარებელს არ შეეძლო კონკრეტული ნივთის საშიში თვისებების ამოცნობა იმის გამო, რომ არ იყოს პროფესიონალი ან, არასრული ინსტრუქციის გამო, არასწორად გამოიყენა აღნიშნული პროდუქტი, რატომ უნდა მოეთხოვოს ამ პროდუქტის ნაკლის მიზეზების მტკიცება? მისგან ობიექტურად დამოუკიდებელმა გარემოებებმა, ვალდებული არ უნდა გახადოს დაზარალებული იცოდეს პროდუქტის ნაკლი.

ამდენად, როგორც ევროკავშირის დირექტივა, ისე ProdHaftG-ის §1-ის მეოთხე ნაწილის I წინადადება განამტკიცებს დაზარალებულისთვის ზიანის, ნაკლის და მიზეზობრივი კავშირის ნაკლსა და ზიანს შორის მტკიცების ტარების ტგირთს. მაშასადამე, ვისაც ამ კანონის საფუძველზე სასამართლოში სარჩელის შეტანა სურს, მან, ამასთანავე, უნდა მოიტანოს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს რომ მას ზიანი მიადგა პროდუქტის ნაკლით, რომლის მწარმოებელი იყო მოსარჩელე.<sup>308</sup>

## 9.1. ზიანის მტკიცება

ზიანის მტკიცებისას მტკიცების საგანი გახლავთ დაცვას დაქვემდებარებული სამართლებრივი სიკეთეები და მისგან წარმოშობილი ზიანი. მაგალითად, ექიმის, საავადმყოფოს ხარჯები.<sup>309</sup> ნივთის დაზიანებისას ზიანის მტკიცების საგანია ის, რომ ნაკლისმქონე პროდუქტით დაზიანდა სხვა ნივთი და

<sup>308</sup> Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.94, 69-70.

<sup>309</sup> იქვე, Rn.98, 71.

რომელიც ჩვეული პირადი მოხმარებისთვის იყო გამიზნული და დაზარალუ-ბულმა სწორედ ამ მიზნით გამოიყენა.<sup>310</sup>

## 9.2. ნაკლის მტკიცება

ნაკლის არსებობის დასადასტურებლად დაზარალებულმა პროცესზე უნდა წარმოადგინოს და ამტკიცოს, რომ მწარმოებლის პროდუქტი შეიცავდა ProdHaftG-ის მესამე პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნაკლს. ამის დასაბუთება რთულია, როდესაც პროდუქტი აღარ არსებობს. უდაც მტკიცებულება, უმეტესწილად, თვალსაჩინოა. მტკიცებულების მოტანისას მაღალი მოთხოვნები წესდება. მაგალითად, იმის მტკიცებულება, რომ სავალდებულო იყო განსაზღვრული ინსტრუქცია. მაგალითად, თუ პროდუქციას მაღალი ტემპერატურისას საზიანო თვისებები შეიძლება აღმოაჩნდეს, ამ დროს საჭიროა იმ მტკიცებულების მოყვანა, რომ პროდუქტი მსგავს სიტუაციაში არ ყოფილა გამოყენებული. ნაკლის მტკიცება ყოველთვის გულისხმობს ნაკლის იდენტიფიკაციის მტკიცებას.<sup>311</sup>

დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ მწარმოებლის მიერ მიწოდებული პროდუქტის ნაწილი ნაკლისმქონე იყო. საკმარისია იმისი მტკიცება, რომ პროდუქტის ნაწილი საბოლოო პროდუქტში ობიექტურად გამოუსადეგარი იყო. მიმწოდებელმა, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემადგენლობის მტკიცებულება უნდა გამოიყენოს.<sup>312</sup>

## 9.3. მიზეზობრივი კავშირის მტკიცება

ნაკლისა და ზიანის მტკიცებულების მოტანის შემდეგ საჭიროა, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მათ შორის. არასრული ან ნაკლისმქონე ინსტრუქციის არსებობისას, მტკიცებულება დაზარალებლის სასარგებლოდ მოქმედებს. აქ მოქმედებს ის წესები, რომელიც უმაღლესი სასამართლოების პრეცედენტებიდან დელიქტური პასუხისმგებლობის სახით განვითარდა.<sup>313</sup>

პროდუქტის ნაწილის ან ძირითადი შემადგენელი ნაწილის მწარმოებლის მიმართ ჩივილისას, დაზარალებულმა უნდა მოიყვანოს მტკიცებულება იმისა,

<sup>310</sup> Kullmann H. J., *Produkthaftungsgesetz:,, Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar*, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010, Rn.99, 71.

<sup>311</sup> იქვეRn.100,71.

<sup>312</sup> იქვე, Rn.101,72.

<sup>313</sup> იქვე, Rn.102,72.

რომ ზიანის მიზეზი პროდუქტის ნაწილით ან ძირითადი შემადგენელი ნაწილითაა გამოწვეული.<sup>314</sup>

#### 9.4. მწარმოებლის მტკიცება

ზიანის, ნაკლისა და პროდუქტის ნაკლსა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დამტკიცების შემდეგ, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებითაც დადგინდება პასუხისმგებლობის სავარაუდო სუბიექტი, კერძოდ, მწარმოებელია ის, „ვითომ მწარმოებელი“ თუ მიმწოდებელი.

<sup>315</sup>

დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი პროდუქტი ეჭვმიტანილი მწარმოებლის მიერაა წარმოებული იმ ვალდებულების დარღვევის შედეგად, რომელიც მწარმოებელმა თავისთავზე აიღო, რათა ეწარმოებინა უსაფრთხო პროდუქტი. დაზარალებლისათვის ამის მტკიცება საკმაოდ რთულია, ვინაიდან მისთვის მწარმოებლის საწარმოში მიმდინარე პროცესები, როგორც წესი, უცნობია. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა მტკიცების ტვირთთან მიმართებით დაზარალებულის სასარგებლოდ განვითარდა (მაგალითად, „ქათმის ჭირის“ საქმე). გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაზარალებულმა მხოლოდ ის უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი პროდუქტის ნაკლმა გამოიწვია, კერძოდ, მწარმოებლის ორგანიზაცულ ან პროცესუალურ სფეროში წარმოიშვა. მწარმოებელს მხოლოდ მაშინ შეეძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ მან მასზე დაკისრებული მოვალეობები, წესის შესაბამისად, თანამშრომლებს გადააკისრა, ან როდესაც ნაკლიანი პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში გაიპარა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცების ტვირთის შემობრუნება არამარტო ფაბრიკული, არამედ კონსტრუქციული ნაკლის დროსაც მოქმედებს. თუკი თვალსაჩინოა ინსტრუქციული ნაკლი, მაშინ უნდა გაირკვეს, თუ როდის გახდა ეს ინსტრუქცია ნაკლისშემცველი: პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გატანის მომენტისათვის უკვე ნაკლისშემცველი იყო, თუ ამის შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით. პირველ შემთხვევაში ხდება მტკიცების ტვირთის დაზარალებულის სასარგებლოდ შემობრუნება, ვინაიდან ივარაუდება, მწარმოებელმა ინსტრუქციასთან დაკავშირებული ვალდებულება ბრალეულად დაარ-

<sup>314</sup> იქვე, Rn.103,72.

<sup>315</sup> იქვე, Rn.104, 72-73.

დგია. მეორე შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, მტკიცების ტვირთის განაწილებიდან არ უნდა გადავუხვიოთ. როდესაც პროდუქტის ინსტრუქციული ნაკლი მისი სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დროს ხდება შესამჩნევი, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქმე აღარ ეხება წარმოების შიდა პროცესებს, რომლებიც დაზარალებულისთვის შესამჩნევი არ არის.<sup>316</sup>

„მრავალჯერადი გამოყენების ბოთლების“ საქმეზე, გერმანიის უმაღლეს-მა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით, იმისი მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი მწარმოებლის სფეროში წარმოიშვა, დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა შემობრუნდეს, როცა დადგინდება, რომ მწარმოებელმა შემოწმება-ექსპერტის ჩატარების ვალდებულება<sup>317</sup> დაარღვია.<sup>318</sup>

ინსტრუქციული ნაკლისას მტკიცების ტვირთის შემობრუნება, შეზღუდვა არ ხდება. დაზარალებულმა აქ უნდა ამტკიცოს, რომ მწარმოებელმა დაარღვია ინსტრუქციის შექმნის ვალდებულება. ე.ი. მან არ გააკეთა ის აუცილებელი მითითებანი, რაც დაკავშირებული იყო პროდუქტის საშიშროებათან და მისი შეცნობა შესაძლებელი იყო პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას.<sup>319</sup>

დაზარალებულმა, ასევე, უნდა შეძლოს მწარმოებლის, როგორც პასუხისმგებელი პირის, იდენტიფიკაცია. გერმანულ კანონმდებლობაში ეს სპეციალურად არაა მითითებული, მაგრამ მისგან გამომდინარეობს. დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ ვინაა იმ პროდუქტის მწარმოებელი, რომლითაც მოხდა ზიანის მიყენება.”<sup>320</sup>

დაზარალებულმა, ამასთანავე, უნდა ამტკიცოს, როგორც პასუხისმგებელის დამფუძნებელი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, ისე მიმართება შედეგსა და ზიანს შორის. დელიქტურ სამართლშიც მტკიცების ანალოგიური წესები მოქმედებს.<sup>321</sup>

დაზარალულმა უნდა ამტკიცოს, რომ პროდუქტი არ შეესაბამება პროდუქტის უსაფრთხოების მოსალოდნელ მოთხოვნებს. უნდა დარჩეს იმის შთა-

<sup>316</sup> ob. *Kraft I. R.*, Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004, 141.

<sup>317</sup> „Befundsicherungspflicht“

<sup>318</sup> ob. *Kraft I. R.*, Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004,142.

<sup>319</sup> *Koch Frank A.*, Ratgeber zur Produkthaftung, 2 Auflage, Verlag Wirtschaft, Recht und Steuern, Planegg/München, 1990, 112.

<sup>320</sup> ob. *Rolland W.*, Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.174, 95.

<sup>321</sup> იქვე, Rn.175, 95.

ბეჭდილება, რომ დაზარალებულს ნაკლის შეცნობის მაღალი მოთხოვნილება გააჩნია.<sup>322</sup>

დაზარალებულის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას აფასებს სასამართლო. პროდუქტის ზიანის მომტანი თვისებების ნაკლოვანებად კვალიფიკაციას სასამართლო ახდენს.<sup>323</sup>

სასამართლო პრაქტიკიდან შესძლებელია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი, როდესაც ფაქტების მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის ვალდებულება მხოლოდ დაზარალებულის მხარეზეა (მაგალითად, როგორიცაა „იფქლის საქმე“).<sup>324</sup>

## 10. სანდაზმულობის ვადა

„მწარმოებელი ვალდებულია საქონელზე მიუთითოს პროდუქციის უსაფრთხოების ვადა, რათა, ვადის გასვლის შემთხვევაში, თავიდან აიცილოს მომხმარებლისათვის ზიანის მიყენება. სსკ-ს 1015-ე მუხლი განსაზღვრავს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანდაზმულობის ვადას. იგი შეადგენს სამ წელს და ამ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე პირმა გაიგო, ან უნდა გაუგო, ზიანის, ნაკლის ან/და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან როდესაც მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა. აღნიშნული მუხლის ეს ნაწილი მიმაჩნია სარვეზიანად, რადგან ამით ერთგვარად მომხმარებლის უფლება იზღუდება, მაგალითად – ალკოჰოლურ სასმელებზე, რადგან გარკვეული ტიპის სასმელები მით უფრო ფასობს, რაც მეტი დაძველება აქვს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაშიც მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანისას ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გაქარწყლდებულია. უმჯობესი იქნებოდა, თუ აღნიშნულ მუხლში გაკეთდებოდა ჩანაწერი, რომ ეს ვადა არ ვრცელდება ისეთ პროდუქ-

<sup>322</sup> იქვე, Rn.176, 95.

<sup>323</sup> იქვე, Rn.178, 96.

<sup>324</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-751-1118-06.

ციაზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში სარგებლობს ვარგისიანობის ხან-გრძლივი ვადებით.“<sup>325</sup>

---

<sup>325</sup> გეგიძე ნ., უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის უნივერსიტეტი, 2012, 42-43.

## V. სასამართლო პრაქტიკა

ნაშრომის ამ ნაწილში შესწავლილია თუ როგორ იყენებს ქართული სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის იმ ნორმებს, რომლებიც ეხება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემას. ფრაგმენტულად, ეპროპის ცალკეული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მაგალითები ნაშრომის სხვა ნაწილებშიც არის დამოწმებული. ქართული სასამართლო პრაქტიკა კი ცალკე, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის ბოლო თავშია გადმოცემული. წინასწარ, ცალკეული პრეცედენტების შინაარსის გადმოცემამდე, უნდა ითქვას, რომ ეს პრაქტიკა არც თუ ისე მასშტაბურია და მხოლოდ ახლა ყალიბდება. მიუხედავად ამისა, მათში ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დანახვა შეიძლება, რომლებიც კოდექსის ნორმების სწორი განმარტებისათვის აუცილებელია. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, 2011-2012 წლებში სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით უხარისხო პროდუქტს ეწოდა წუნდებული პროდუქტი და ზოგიერთი საკითხი ახლებურად მოწესრიგდა. წუნდებულის სინონიმად ზოგჯერ ნაშრომში ვიყენებთ უხარისხოს, ვინაიდან სასამართლო პრეცედენტები საკანონმდებლო ცვლილებებამდე ჩამოყალიბებული.

### 1. ელექტროენერგია (ელექტროდენი), როგორც პროდუქტი (ე.შ. „ელექტროენერგიის არმიწოდების საქმე“)

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგია, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არ წარმოადგენს პროდუქტს, უმჯობესია, განვიხილო მასთან დაკავშირებული პრაქტიკა და ამ გზით ვაჩვენო სასამართლო პრეცედენტების განვითარების ტენდენციები.

სსკ-ის 1011-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ცვლილებებამდე პროდუქტის ცნებაში შედიოდა ელექტროენერგიაც. ელექტროენერგიას პროდუქტად მიიჩნევს ევროკავშირის 1985 წლის 25 ივლისის 374-ე დირექტივის მეორე მუხლი.<sup>326</sup> გერმანული სამართლის მიხედვით კი, მართალია, ელექტრობა არ ითვლება ნივთად, მაგრამ იგი მიიჩნევა პროდუქტად.<sup>327</sup> გერმანულ დოქტრინა-

<sup>326</sup> Schulze R., Zimmermann R., Basistexte zum Europäischen Privatrecht, Textsammlung, 2.Auflage, Nolos Verlags Gesellschaft, Baden-Baden, 2002, 211-225.

<sup>327</sup> Palandt O., Kommentar zum BGB; 62. Aufl., Verlag C.H.Beck, München, 2003, Rn.1, 2; 2712

ში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ როდესაც ხდება ნაკლიანი, წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდება, პასუხისმგებლობის სუბიექტებად გამოდიან ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველმყოფი ორგანიზაციები.<sup>328</sup>

უკრადდებას იმსახურებს ელექტროენერგიის არმიწოდების (მიუწოდებლობის), როგორც წუნდებულ პროდუქტად დაკვალიფიცირების, საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საინტერესო გადაწყვეტილება არსებობს, კერძოდ, ე.წ. „ელექტროენერგიის არმიწოდების საქმე“<sup>329</sup>, რომელშიც ელექტროენერგიის მიუწოდებლობით გამოწვეული ზიანი კვალიფიცირდება, როგორც წუნდებული ელექტროენერგიით ჯანმრთელობის-თვის მიყენებული ზიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე ორიგინალური და იშვიათი პრეცედენტია და ქართულ სამართალში არსებულ მნიშვნელოვან სამართლებრივ ხარვეზებს წარმოაჩენს. საქმის შინაარსი შემდეგია: მოსარჩელებ სასარჩელო განცხადებით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნა ემყარებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებულ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, კერძოდ კი, საქართველოს მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი ენერგოკრიზისის და საყოველთაო გაჭირვების პერიოდს. მოსარჩელე, პროფესიით მსახიობი და ჟურნალისტი, აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ წლებში დაკარგა შრომის უნარი; თავისი თავის, როგორც მსახიობის და ჟურნალისტის, თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაკისრა ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ფარგლებში, ანუ, იმაზე ნაკლები, ვიდრე მოსარჩელე მოითხოვდა. გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდგომში კი საკასაციო წესით გასაჩივრდა.

საოლქო სასამართლომ სსკ-ის 1011-ე მუხლის საფუძველზე ელექტროენერგია ჩათვალა რა პროდუქტად, დააყენა მისი უხარისხობის საკითხი, რომელიც არმიწოდებით გამოიხატებოდა.

<sup>328</sup> Landscheidt Ch., Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn.33,56.

<sup>329</sup> იხ. ხაქართველოს უზენაეთი სასამართლოს აღმინისტრაციული და ხევა კატეგორიის ხაქმთა პალატის 2005 წლის 15 ივნისის განხილება, ხაქმ №ბ-173-136-გ-05.

უზენაესმა სასამართლომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუსაბუთებლობის გამო, გააუქმა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა მას. საოლქო სასამართლოს უნდა გაერკვია, არის თუ არა ელექტროენერგია, სსკის 1010-ე მუხლის თანახმად, წუნდებული; ანუ, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დენის არმიწოდება უხარისხოდ? გერმანული სამართლის მიხედვით, ამ შემთხვევაში არათუ უხარისხობა, არამედ არც პროდუქტი არ არსებობს. არ შეიძლება მსჯელობა დენის უხარისხობაზე, როდესაც ის არ არსებობს. მართალია, მასზე როგორც სხეულებრივ ნივთზე, ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ როგორც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, ის პროდუქტის ცნებაში ჯდება და, შესაბამისად, მისი უხარისხობის საკითხიც შესაძლებელია დადგეს – მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მისი არმიწოდების დროს, რადგან ელექტროენერგია, როგორც პროდუქტი, სსკის 1011-ე მუხლის ადრინდელი გაგებით, არ არსებობს. საკანონმდებლო ცვლილებებით 1011-ე მუხლიდან ამოღებულია ელექტროდენი, როგორც პროდუქტი.

ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდების შედეგად დამდგარი ზიანი უნდა შეფასდეს, როგორც წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი. მაგალითად, მოსარჩევები ზიანი განიცადა იმის შედეგად, რომ ბინის რემონტის დროს მას ელექტროენერგია მიეწოდებოდა არასტაბილურად, ხშირად ხდებოდა მისი გამორთვა. მაღალმა ძაბვამ გამოიწვია მოკლე ჩართვა და სახლში გაჩნდა ხანძარი. ამ შემთხვევაში, სასამართლომ ცალსახად, ყოველგვარი განსჯის გარეშე მიიჩნია ელექტროენერგია უხარისხოდ და თანმდევი მატერიალური შედეგებიც – მიზეზობრივად მასთან დაკავშირებულად. სასამართლომ მთელი ყურადღება გადაიტანა სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის უხარისხო ელექტროენერგიისათვის მიზეზობრივი კავშირის გამორიცხვის სამართლებრივ საფუძვლებზე. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის მომწერიგებელ ნორმებზე<sup>330</sup>.

წუნდებული ელექტროენერგიით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას სპეციალური ნორმების გამოყენების უგულებელყოფის შემთხვევები დასტურდება ზემოთ დასახელებულ საქმეზე დიდი ხნით ადრე. მაგალითად, არც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და არც ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

<sup>330</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრუების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება, საქმე №ას-1156-1176-2011.

თლომ, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, არ გაამახვილეს უურადღება იმაზე, თუ როგორია პასუხისმგებლობის საფუძვლები უხარისხო ელექტროენერგიით ზიანის მიყენებისას; რა ხდება მაშინ, როცა ეს ზიანი აღგება ქონებას და არა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მთელი უურადღება გადატანილია ზიანის ანაზღაურებისა და დელიქტური სამართლის ზოგად ნორმებზე.<sup>331</sup>

სხვა საქმეზე სასამართლო სწორად მოიქცა და მოთხოვნის საფუძვლად გამოიყენა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ „სასამართლომ სსკ-ის 992-ე, 1000-ე, 1009-ე და 1010-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია, რადგან სს „ს.ე.-ის“ ბრალი მიუძღვის ხანძრის გამომწვევ მიზეზებში და მოპასუხევა ვალდებულია, თავისი ბრალეული მოქმედებით ზიანი აანაზღაუროს. საკასაციო პალატამ მოიწონა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით სსკ-ის 1011-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილების გამოყენება. საკასაციო სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ სკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა დაზარალებული მწარმოებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.<sup>332</sup>

## 2. სისხლი, როგორც პროდუქტი გადამუშავების შემდეგ (ე.წ. „შიდსის საქმე“)

სისხლი გადამუშავების შემდეგ მიეკუთვნება ისეთ პროდუქტთა რიცხვს, რომელიც უსაფრთხოების მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. შეიძლება ითქვას, რომ სისხლი მიეკუთვნება ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის „საშიშ“ პროდუქტთა რიცხვს. შესაბამისად, „სისხლის ბანკები“, რომლებიც დაკავებული არიან სწორედ ამ პროდუქტის რეალიზაციით, ვალდებული არიან, უზრუნველყონ მისი მაღალი უსაფრთხოება. კერძოდ, ის

<sup>331</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-771-1095-07.

<sup>332</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 7 მარტის განჩინება, საქმე №ას-798-1072-05

არ უნდა შეიცავდეს რაიმე საშიშ გადამდებ დაავადებას. ე.წ. „სისხლის შემნახველი ორგანოები ვალდებული არიან ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც ეს სისხლი და სხეულის ნაწილები გადამდებ, გადამტან დაავადებებს შეიცავს.“<sup>333</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>334</sup> აღნიშნა, რომ „დაზარალებულის ნათესავები სისხლის შეძენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უფლებად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლზე არავის გაუფრთხილებია.“ საკითხავია, მწარმოებლის მიერ ასეთი გაფრთხილების არსებობის შემთხვევაში, იქნებოდა თუ არა სისხლი როგორც ხარისხიანი პროდუქტი? სისხლი არ მიუკუთვნება პროდუქტთა იმ სახეობას, რომლის, თუნდაც, წუნდებულობის (ჯანმრთელობისთვის/სიცოცხლისათვის შესაძლო საშიშროების შესახებ ინფორმაციის) მითითება ამსუბუქებდეს მწარმოებლის პასუხისმგებლობას. ეს ისეთი პროდუქტია, რომლის სრული უსაფრთხოების არარსებობის შემთხვევაში მისი სამოქალაქო ბრუნვაში მოქცევა დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ მწარმოებელი – სისხლის შემნახველი ორგანოები – მათი რეალიზაციით არიან დაკავებულნი. მათი საქმიანობა კომერციულ ხასიათს ატარებს და მათი ვალდებულებაა მიიღონ ყოველგვარი ზომები მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველ კონკრეტულ პროდუქტზე უნდა დადგინდეს ინდივიდუალური უსაფრთხოების კრიტერიუმები. მომხმარებელის ბრალი სისხლის ნაკლის მქონედ მიჩნევისთვის გამორიცხულია.

### 3. ინფორმაციული ნაკლი, როგორც პროდუქტის ნაკლი (ე.წ. „გაქცინის საქმე“)

ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გამოყენების ნაკლი მწარმოებლის ორგანიზატორული შეცდომების მიზეზია; ანუ ნაკლი ამ დროს თვით პროდუქტში არ არსებობს.<sup>335</sup> საფრთხესთან დაკავშირებული პროდუქ-

<sup>333</sup> Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte“; Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 78.

<sup>334</sup> იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-296-624-07.

<sup>335</sup> Walter R., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.11, 126.

ტის არსებობის შემთხვევაში მწარმოებელი ვალდებულია მოხმარების წესების, გაფრთხილების მეშვეობით უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხო მოხმარება. რაიმე სხვა სახის ნაკლის ამ გზით გამოსწორება დაუშვებელია. პროდუქტის ნაკლი ამ შემთხვევაში არასრული ან გაუგებარი მოხმარების წესების, ინსტრუქციის არსებობაა, რომლის გაგება და გათვალისწინება ვერ შესძლო საშუალო დონის მომხმარებელმა. ინფორმაციულ ნაკლში შეიძლება იგულისხმებოდეს, ასევე, არასრული მითითებანი პროდუქტის საშიშ, სახიფათო თვისებებზე. მწარმოებლის მხრიდან კ.წ. გაფრთხილების მოვალეობის მიზანი ისაა, რომ მომხმარებელს მიეცეს შესაძლებლობა თავი დაიცვას საშიშ-როებისგან, რომელსაც ის ვერ გაითვალისწინებდა.<sup>336</sup>

აქვე აღსანიშნავია ის, რომ თვით პროდუქტის საშიშროება, რომელიც სახეობიდან გამომდინარეობს, ვერ გახდის პროდუქტს ნაკლის მქონეს; ანუ მისი საშიში დანიშნულება, ფუნქცია არ არის თვით ამ პროდუქტის ნაკლი. მაგალითად, პისტოლეტით გასროლის შედეგად სხეულის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანება არ უნდა გახდეს გამოყენებული იარაღის უსაფრთხოების ნაკლის მიზეზი, რადგან ზიანი მხოლოდ იმიტომ დადგა, რომ იარაღი გამოყენებულ იქნა, ამოქმედდა.<sup>337</sup>

გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში არ არის ჩამოყალიბებული, როგორც პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნები, ისე ნაკლის სახეები. ერთადერთი სამართლის წყარო, რომელშიც საქონლის ნაკლოვანებათა სახეებზე იყო საუბარი, არის უკვე ძალადაკარგული კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელშიც ზოგადად იყო მიმოხილული საქონლის საერთო და არსებითი ნაკლოვანებები.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, ამ პრობლემის შესახებ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,<sup>338</sup> რომელიც ამკვიდრებს პროდუქტის ინფორმაციული ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პრაქტიკას. საქმის შინაარსის შემდეგია: უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ განიხილა საქმე უხარისხო პროდუქტით

<sup>336</sup> Netellbeck B.I., Produktsicherheit /Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und Ihre Umsetzung, Springer-Verlag, 1995, 32.

<sup>337</sup> იქვე, 32, 39.

<sup>338</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და ხევა კატეგორიის პალატის 2005 წლის 26 ივლისის ვანჩინება, საქმე №ბ-434-25 (33-05).

მიუენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სადაც უხარისხო პროდუქტად განიხილება ე.წ. კორეული წარმოშობის ვაქცინა. დაზარალებულია ამ უხარისხო ვაქცინის შედეგად დაავადებული 12 წლის ბავშვი. კერძოდ კი, მ პეპატიტის პროფილაქტიკური აცრის ჩატარების შემდეგ 12 წლის ბავშვს განუვითარდა დაავადება ტეტრაპარეზი, ანუ ზედა და ქვედა კიდურების პარალიზი. დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი მოითხოვდა უხარისხო წამლით მიუენებული ზიანის ანაზღაურებას, რასაც იგი იმით ასაბუთებდა, რომ ამ პრეპარატს არ ჰქონდა არავითარი გაფრთხილება, მისი გამოყენების შედეგად შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ შენიშვნა, რომლის არსებობის შემთხვევაში ისინი არ გამოიყენებდნენ მას და, ბუნებრივია, არც შედეგი დადგებოდა; ანუ პროდუქტი უხარისხოა და მისი ნაკლი გამოიხატება ანოტაციის, გაფრთილების თუ საქონელზე (ამ შემთხვევაში წამალზე) ინფორმაციის არარსებობაში.

უზენაესმა სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა მწარმოებელს, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, და ამით დააკონკრეტა ინფორმაციული ნაკლი. ეს კანონი ითვალისწინებს ვალდებულებას სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტების მიერ მიწოდებულ იქნეს ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში. სასამართლომ ვერ მიიჩნია დადგენილად ასევე ის ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა ვაქცინის მწარმოებელი კომპანიის მიერ მითითებული ინფორმაციის მიწოდებას.

შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში არასრულად იყო მითითებული პროდუქტის საშიში თვისებების შესახებ ინფორმაცია, რომლის ცოდნის შემთხვევაში, დაზარალებულს ექნებოდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა – გამოყენებინა თუ არა აღნიშნული ვაქცინა. ამ შემთხვევაში კი დაზარალებულს ეს შესაძლებლობა მოესპო.

სასამართლოს გადაწყვეტილება წუნდებული პროდუქტით მიუენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ნორმებითაც უნდა დაესაბუთებინა. კერძოდ, პროდუქტის ცნებაში (მატერიალური ქონებრივი სიკეთე) შედის ე.წ. ვაქცინა, სამედიცინო პრეპარატი, წამალი, რომლის წარმოება მეტ სიფრთხილეს მოითხოვს და, შესაბამისად, მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ვინაი-

დან პროდუქტის ცნებაში ჯდება ეს პრეპარატი, შესაბამისად, შემდეგი ეტაპი მისი უხარისხობის დადგენაა, რომელმაც შესაბამისი ზიანი გამოიწვია სწორედ უხარისხობის შედეგად. სსკ-ის 1010-ე მუხლი წუნდებულად განმარტავს პროდუქტს, რომელიც „არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც მოსალოდნელია“ მისგან. საიმედოობად, მოცემულ შემთხვევაში, სპეციფიკური პროდუქტის არსებობის გამო, მიჩნეულ უნდა იქნეს მისი ვარგისიანობა და შესაბამისი გაფრთხილების, ინსტრუქციის არსებობა, ვინაიდან პროდუქტის გამოყენება მძიმე შედეგებს იწვევს.

მართალია, სასამართლომ, შედეგის თვალსაზრისით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ, აგრეთვე, ზუსტად განესაზღვრა წუნდებული პროდუქტის კრიტერიუმები და ჩამოეყალიბებინა ერთიანი ცნება. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი არ იძლევა წუნდებული პროდუქტის ზუსტ, კონკრეტულ განმარტებას, მისი შინაარსი სასამართლო პრაქტიკამ უნდა შეავსოს.

#### 4. ნივთები, როგორც დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეები

სსკ-ის 1009-1014-ე მუხლებში არაა მითითებული რომ, პროდუქტისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა, თუკი ასევე დაზიანდება ნივთი. ნივთისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება დალიქტური პასუხისმგებლობით. კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ProdHaftG-ის პირველი პარაგრაფი ითვალისწინებს ნივთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. იმავეს განამტკიცებს ეპროკავშირის დასახელებული დირექტივის მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, ზიანად მიიჩნევა არამარტო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, არამედ ნებისმიერი ქონების (გარდა თვით წუნდებული პროდუქტისა) დაზიანება და განადგურება, რომლის ღირებულებაც არანაკლებ 500 ეპროა და, ჩვეულებისამებრ, განკუთვნილია პირადი სარგებლობისა და მოხმარებისათვის ან ძირითადად მას იყენებდა და მოიხმარდა პირადად დაზარალებული.<sup>339</sup> ნივთის დაზიანება ProdHaftG-ის ნორმებით არ გულისხმობს აუცილებლად ფიზიკური თვალსაზრისით მისი სუბსტანციის შეცვლას. საკმარისი-

<sup>339</sup> Schulze R., Zimmermann R., Basistexte zum Europäischen Privatrecht, Textsammlung, 2.Auflage, Nolos Verlags Gesellschaft, Baden-Baden, 2002, 211-225.

ა, რომ ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა იყოს შემცირებული.

სსკ-ის 1009-ე მუხლი ზოგადად საუბრობს ზიანის მიუენებაზე და არ გამოყოფს სიკეთის სახეობას, რომლის დაზიანებაც ხდება. მასში აღნიშნულია, რომ წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. ამ მუხლიდან არ ჩანს, თუ რომელი სახის ზიანზეა საუბარი – მარტოდენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიუენებულ ზიანზე, თუ, იმავდროულად, ნივთებისათვის მიუენებულ ზიანზე? თუ დავეცნდნობით სსკ-ის 1014-ე მუხლს, რომელიც ამტკიცებს რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილის ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქმე არ ეხება ნივთებისათვის მიუენებულ ზიანს. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ქონების დაზიანების შემთხვევაში ქართულ სამართალში გამოიყენება დელიქტური პასუხისმგებლობის საერთო წესები. სსკ-ის 1011-ე მუხლი პროდუქტის ცნებაში ელექტროენერგიასაც მოიაზრებდა. წუნდებული ელექტროდენით შესაძლებელია ისეთი ზიანის გამოწვევა, რომელიც მიადგება ნივთებს. თუმცა, აქ ჩვეულებრივი დელიქტური პასუხისმგებლობა გამოიყენება.

წუნდებული პროდუქტით ნივთებისადმი ზიანის მიუენებაზე მიგვანიშნებდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომელიც სსკ-სგან განსხვავებულ წესს ადგენდა. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლში მითოთებული არის, რომ საქართველოს ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიუენებული ზარალის ანაზღაურება. ქონების ცნებაში უნდა იგულისხმებოდეს ასევე ნივთებიც. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ხარვეზი შეავსო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსმა.

ProdHaftG ცალკე გამოყოფს ნივთისათვის ზიანის მიუენებას და აღგენს, თუ რა შემთხვევაში არ დადგება პასუხისმგებლობა. კერძოდ, აღნიშული კანონის პირველი პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადაღებაში ნათქვამია: „ნივთის დაზიანების შემთხვევაში, ეს წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზიანდება ნივთი, რომელიც თავად არ არის ნაკლოგანი და თავისი ჩვეული თვისებებით გამოიყენება პირადი მოხმარებისათვის და დაზა-

რალებულმა უპირატესად ამ მიზნით გამოიყენა.<sup>340</sup> აქედან ჩანს, რომ თუ წუნდებული პროდუქტით ზიანი აღგება ასევე წუნდებულ პროდუქტს, ზიანის მიმეუნებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.<sup>341</sup>

საქართველოს არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში დასტურდება ნორმათა გამოყენება ამგვარი სამართლებრივი დავების გადაწყვეტისას, ხშირ შემთხვევაში – ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დროს; უფრო დაზუსტებით კი – წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდების შედეგად ნივთისათვის მიენებული ზიანის ანაზღაურებისას. ამგვარი დავები სასამართლო პრაქტიკაში ხშირია. ძირითადად, ხანძრის წარმომშობი მიზეზი წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდებაა, რაც გამოიხატება მომეტებული, დასაშვებზე მეტი, მაღალი ძაბვის მიღებით, ე.წ. „მოკლე ჩართვით“. <sup>342</sup> ფაქტია, რომ სახეზეა წუნდებული დენის მიწოდება, თუმცა, რამდენად შეიძლება დადგეს წუნდებული დენის მიწოდების შედეგად ნივთებისათვის მიენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, ეს მოსამართლის მიერ ნორმათა სწორი შეფასებისა და განმარტების უნარზე იყო დამოკიდებული. მართალია, 2009-ე მუხლი იწყება ზოგადად ზიანის ანაზღაურების დაკისრებით მწარმოებლისათვის, რომელიც შეიძლება სახელშეკრულებო ან დელიქტურ სამართლებრივ ურთიერთობაში იყოს დაზარალებულთან, ამავე მუხლის ბოლო ნაწილში დასახელებულია მისივე პასუხისმგებლობის გამორიცხვის რამდენიმე შემთხვევა: თუკი ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებანი არა გვაქვს, გაჩნდება ლოგიკური კითხვა: როგორ ზიანზე ვრცელდება სსკ-ის 2009-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების ვალდებულება? სსკ-ის 2014-ე მუხლი მასზე პირდაპირ მიუთითებს და აზუსტებს სსკ-ის 2009-ე მუხლის პირველ წინადაღებას. კერძოდ კი: სსკ-ის „2009-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით, ან სხეულის ან/და ჯანმრთელობის დაზიანებით.“<sup>343</sup> ვინაიდან აღნიშნულ დავებში მხოლოდ ქონებაზე, ნივთზე მიენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმო-

<sup>340</sup> Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 35.

<sup>341</sup> იქვე, 35.

<sup>342</sup> ი.ხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 7 მარტის განჩინება, საქმე №ას-798-1072-05.

<sup>343</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, №31.

იშვა, სსკ-ის 1009-ე მუხლის გამოყენება უნდა გამორიცხულიყო, ვინაიდან მისი გამოყენების წინაპირობა სწორედ სსკ-ის 1014-ე მუხლია.

სსკ-ის 1014-ე მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება და მასში აისახოს ქონებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, როგორც ეს ევროკავშირის დორექტივაშია წარმოდგენილი. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსით გათვალისწინებული ნორმა ამ საკითხთან დაკავშირებით დღესაც არ ასახულა სამოქალაქო კოდექსში.

## 5. პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მიუხედავად (ე.წ. „იფქლის საქმე“)

ქართული სამართლის მიხედვით, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დგება სახელშეკრულებო ურთიერთობის მიუხედავად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 1009-ე მუხლის თანახმად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელს პასუხისმგებლობა ეკისრება, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულ მომხმარებელთან. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ზიანის გამომწვევი პროდუქტი მწარმოებელმა მიაწოდა დაზარალებულს თუ სხვა პირმა. მაგალითად, თუ დაზარალებულმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი შეიძინა არა უშუალოდ მწარმოებლისგან, არამედ სხვა პირისაგან, რომელმაც, თავის მხრივ, პროდუქტი მწარმოებლისგან შეიძინა, პასუხს აგებს მაინც მწარმოებელი, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელსა და დაზარალებულს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>344</sup> ზიანის ანაზღაურების მოვალეობა დააკისრა არა სასურსათო მაღაზიას, არამედ პურის მწარმოებელ ქარხანას, რომელსაც დაზარალებულთან სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ჰქონია.

საქმის შინაარსი შემდეგია: მოსარჩელე-დაზარალებულმა ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში შეიძინა შპს „იფქლში“ გამომცხარი პური, რომლის მიღების შედეგად მოიწამლა და დასჭირდა მკურნალობა. მოგვიანებით, შესაბა-

<sup>344</sup> იხ. საქართველოს უზენაესი ხასამართლოს სამოქალაქო, ხაზეწარმეო და გაკოტრების ხაქმთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-751-1118-06.

მისი ექსპერტის დასკვნით, დადგინდა, რომ პური შეიცავდა შავ ნაწილაკებს – ვირთაგვის ექსკრემენტებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე პურის მწარმოებელი ქარხნის მიმართ. ბოლოს, ამ საქმის გასაჩივრების შემდეგ საკასაციო სასამართლომაც სწორად მიიჩნია სსკ-ის 1009-ე მუხლის საფუძველზე მწარმოებლისათვის პასუხისმგებლობის ზიანის ანაზღაურების სახით დაკისრება. მან, ასევე, მიუთითა სსკ-ის 1010-ე მუხლზე, რომელიც პროდუქტის უხარისხობას განმარტავს. რადგანაც დადგენილია პროდუქტის უხარისხობა, მისი მწარმოებელი და ამავე პროდუქტით გამოწვეული ზიანი, ვალდებულ პირს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. მწარმოებელმა დაარღვია ე.წ. პროდუქტზე ზედამხედველობის ვალდებულება და სამოქალაქო ბრუნვაში გაუშვა წუნდებული პროდუქტი.

მოპასუხე ვალდებული იყო ემტკიცებინა, რომ პური გამოცხობისთანავე და სამოქალაქო ბრუნვაში გასვლისას ხარისხიანი იყო, რომ მას არ მიუძღვის ბრალი პროდუქტის უხარისხოდ გარდაქმნაში. მას ასევე უნდა დაემტკიცებინა, თუ როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ვირთაგვას ექსკრემენტები პურში. ყოველივე ამ მტკიცებულების მოყვანის შემდეგ გაირკვეოდა მისი ბრალეულობა აღნიშნულთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მტკიცებულებების მოყვანა მოპასუხის მხრიდან საკმაოდ რთულია.

## 6. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის გავლენა პასუხისმგებლობაზე (ე.წ. „შიდსის საქმე“)

აღსანიშნავია ე.წ. „შიდსის საქმე“,<sup>345</sup> რომელიც ეხება წუნდებული პროდუქტის გამოყენებით ჯანმრთელობის დაზიანებას. საქმის შინაარსი შემდეგია: საკეისრო კვეთის შედეგად ბავშვის გაჩენის შემდგომ მოსარჩელეს დასჭირდა სისხლის გარკვეული რაოდენობის გადასხმა, რაც მისმა ნათესავებმა ქუთაისის სისხლის ბანკში შეიძინეს. მოსარჩელის და ბავშვის დაავადების მიზეზი ექიმების დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდა „აივ“ ვირუსი (ე.წ. შიდსი), რომელსაც ქუთაისის სისხლის ბანკში მისი ნათესავების მიერ შეძენილი სისხლი შეიცავდა. ვინაიდან სახეზე იყო წუნდებული პროდუქტი – ჯანმრთელო-

<sup>345</sup> იხ. საქართველოს უზენაეთი სახამართლოს სამოქალაქო, ხაზეწარმეო და გაკოტრების ხაქმთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-296-624-07.

ბისათვის საშიში „აიგ“ ვირუსის შემცველი სისხლი, მოსარჩელებ სწორედ ამ კუთხით დააყენა მოთხოვნა სასარჩელო განცხადებაში და მოითხოვა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დაპირისპილა სარჩელი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ მიუხედავად მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონისა, ქუთაისის სისხლის ბანკი, ანუ მწარმოებელი, ვალდებული იყო „ეწარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი, იმ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, თუ რა დირექტულების გამოკვლეული ესაჭიროება აღნიშნულს.“ სასამართლომ ამ შემთხვევაში სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტი არ ჩათვალა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად და ასევე მიუთითა, რომ მომხმარებლები არავის გაუფრთხილებია ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლებ, და, რა თქმა უნდა, ისინი მოელოდნენ ვარგისიან, უსაფრთხო პროდუქტებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით თავის განჩინებაში ჩამოაყალიბა სრულიად ახალი განმარტებანი. კერძოდ, მან ცალკე გამოყო პასუხისმგებლობის ისეთი არაგამომრიცხავი გარემოება, როგორიცაა „შესაბამისი ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ მწარმოებელი, რომელიც ყიდის ისეთი სახის პროდუქტს, რომლის შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია და მისი რეალიზაცია გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, ვალდებულია სათანადო მოწყობილობებით აღჭურვოს საწარმო. სასამართლომ, იმავდროულად, მწარმოებლის სასარგებლოდ აღნიშნა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იგი გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან. კერძოდ, როდესაც ხდება ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლისათვის საშიში პროდუქტის რეალიზაცია და, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის გამო, ნაკლის გამოკვლევა ვერ ხერხდება, მწარმოებელს უფლება აქვს, მითითების ან გაფრთხილების გზით, ინფორმირებული გახადოს მომხმარებელი, რათა ამ უკანასკნელმა შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს. ეს გარემოება ურთვარად პასუხისმგებლობის გადაკისრების შემთხვევადაც შეიძლება იქნეს განხილული.

სასამართლომ ასევე სწორად განმარტა, რომ ნივთის ხარისხის შესახებ შეთანხმების არარსებობა არ უნდა გახდეს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან მწარმოებელი, თავისი საქმიანობიდან და

პროდუქტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვალდებული იყო ეწარმოებინა სარისხიანი, უნაკლო ნივთი. მაშინ, როდესაც მომხმარებელი გარკვეული ნდობითაა განწყობილი მწარმოებლის მიმართ, ის ვალდებულია მეტი გულისხმიურებით მოეკიდოს თავის საქმიენობას, მით უმეტეს, რომ მომხმარებელს არასათანადო ცოდნა გააჩნია პროდუქტის შესახებ.

ამდენად, უზენაესმა სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა გარემოებებს. თუმცა, კარგი იქნებოდა, რომ მას ასევე განემარტა, თუ რა იგულისხმება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეში, რათა მოპასუხისათვის ნათელი გამხდარიყო მისი მოთხოვნის უსაფუძვლობა.

ადნიშნული საფუძვლით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება უკავშირდება, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დონის განვითარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მისი გათვალისწინების რეალურ შესაძლებლობას, ისე პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში გასვლის დროს. როგორც ქართული, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ფასდება დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ადნიშნული პროდუქტი გავიდა სარეალიზაციოდ. შესაბამისად, მის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან დადგენისათვის. კონკრეტული სასამართლო დავის ირგვლივ ჩნდება კითხვა: რამდენად შეუძლებელი, ხელმიუწვდომელი იყო მწარმოებლისთვის მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინება დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ეს პროდუქტი – სისხლი, სარეალიზაციოდ გავიდა? სასამართლო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხებ-მწარმოებლის მხრიდან იდგა მეცნიერებისა და ტექნიკის დონის გათვალისწინების სუბიექტური შეუძლებლობა. კერძოდ, უსახსრობის გამო, სისხლის მწარმოებელმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო ისეთი საშიში პროდუქტის უსაფრთხოების გადამოწმება, როგორიცაა სისხლი (რომელიც შეიძლება იყოს სიცოცხლისათვის საშიში ბევრი სხვა დაავადების მატარებელი).

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის მწარმოებელი ორგანიზაციები ორმაგი პასუხისმგებლობის მატარებლები არიან. ისინი პასუხს აგებენ დონორი ადამიანის გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. თუმცა, ვინაიდან მათი კომერციული საქმიანობის მიზანი სწორედ სისხლით მომარაგებაა, ისინი ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი უსაფრთხოებაც.

## 7. მტკიცების ტვირთის გადანაწილება

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებშიც გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მტკიცების ტვირთის გადანაწილების ანალოგიური წესია განმტკიცებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე დასახელებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხე – ვაქცინის მწარმოებელმა კომპანიამ, რომლის ვაქცინის გამოყენების შედეგად მძიმე ავაღმყოფობით დაავადდა მცორეწლოვანი ბავშვი, ვერ შესძლო გაექარწყლებინა დაზარალებულის წარმომადგენელის მიერ მოყვანილი არგუმენტები. შესაბამისად, სასამართლომ პასუხისმგებლობა სრულად დააკისრა ვაქცინის მწარმოებელ კომპანიას. კერძოდ, მან თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხეთა მოსაზრებას ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველს საკასაციო სასამართლოს აძლევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გამოკვლეული და საქმეში წარმოდგენილი დასკვნები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მიეკუთვნება მტკიცებულებათა ერთ-ერთ სახეს. აღნიშნული მტკიცებულებების ანალიზი, საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას, გამორიცხოს მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა, ხოლო რაც შეეხება დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, რომელიც გააქარწყლებდა საქმეზე დართულ დასკვნებს, კასატორთა მიერ წარმოდგენილი არ არის. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია, რომ გ. ქ. ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების გაკეთებამდე იყო ჯანმრთელი და, უდავოა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ემთხვევა ვაქცინაციის შემდგომ პერიოდს.“<sup>346</sup>

აღსანიშნავია ის, რომ თავდაპირველად მტკიცების პროცესს დაზარალებული იწყებს; ანუ წინაპირობა მწარმოებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებისა დაზარალებულის მიერ მოყვანილი არგუმენტებია. ერთი მხრივ, შეიძლება დაზარალებულს მძიმე ტვირთად აწევდეს მათი მტკიცება. კერძოდ, სსკ-ის 1012-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ზიანი,

<sup>346</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და ხევა კატეგორიის ხაქმთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის ვანჩინება, ხაქმ. №ბ-434-25 (33-05).

რომელიც მას მიადგა სწორედ ამ წუნდებული პროდუქტის გამოყენების შედეგად და, მეორე, ეს პროდუქტი მართლაც წუნდებული იყო. ზიანის დადგომის დამტკიცება მომხმარებლისათვის, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, ხოლო პროდუქტის უხარისხობის დამტკიცება, კერძოდ, ის, თუ სად იყო დაშვებული შეცდომა მისი წარმოებისას, რთული შესაფასებელი და დასამტკიცებელია მისი მხრიდან, რადგან როგორც საკვლევი თემის სხვა ნაწილშია ახსნილი, მას არ აქვს საკმარისი ცოდნა, გამოცდილება, რომ, თუნდაც შეუიარაღებელი თვალით, მიხვდეს რა არის ამ პროდუქტის ხარვეზი. მისი მტკიცების ტვირთი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ზიანის მიყენების ფაქტით და, რა თქმა უნდა, მიზეზობრივი კავშირის დადგენით დამდგარ ზიანსა და წუნდებულ პროდუქტს შორის.

ადნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსარჩელე-დაზარალებულმა შეძლო წარმოედგინა მტკიცებულებანი ექსპერტების დასკვენების სახით; რომ მართლაც არსებობდა მიზეზობრივი კავშირი წუნდებულ პროდუქტსა და დამდგარ შედეგს შორის. კერძოდ, მწარმოებლის მიერ არასათანადო თუ არასრულყოფილი ინსტრუქციის შემუშავების გამო, რაც გამოიხატებოდა სრულყოფილი ანოტაციის არარსებობაში შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ, რითაც დაზარალებულს მოესპონ შესაძლებლობა, გაეკეთებინა არჩევანი ვაქცინაციის გაკეთება-არგაკეთების შესახებ.

გერმანული სამართალი, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, გონივრულად უდგება ამ საკითხს. „პროდუქტის პასუხისმგებლობისათვის შესახებ“ კანონის პირველი პარაგრაფის მე-4 ნაწილის მიხედვით, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს პასუხისმგებლობის გამამართლებელი გარემოებანი, სახელდობრ: პროდუქტის უხარისხობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის. იქვე განმარტავს, რომ ნაკლის სფეროს მტკიცება დაზარალებულის ვალდებულება არ არის.<sup>347</sup> მთავარია მან დაამტკიცოს, რომ შეცდომა მწარმოებლის სფეროში, ანუ მისი ზედამხედველობის დროს წარმოიშვა. შესაბამისად, მას ადარ დაკისრება იმ მიზეზების ახსნა, რამაც ნაკლის წარმოშობა გამოიწვია.<sup>348</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს ეკისრება იმისი მტკიცება, თუ კინ არის მწარმოებელი, რომლის წუნდებულმა პროდუქტმაც გამოიწვია ზია-

<sup>347</sup> Kullmann H. J., Produkthaftungsgesetz: “Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;” Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001, 69.

<sup>348</sup> Walter R., Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn.116, 373.

ნი. ამ შემთხვევაში მტკიცების შემობრუნება დაზარალებულის სასარგებლოდ დაუშვებელია<sup>349</sup> და, ფაქტობრივად, შეუძლებელიც.

აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება,<sup>350</sup> რომლითაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩევის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე – კერძოდ, მოკლე ჩართვის შედეგად კუთვნილი კომპიუტერების განადგურებისათვის, ვინაიდან მოსარჩევემ ვერ შეძლო ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება. კერძოდ, დაზარალებულს უნდა წარმოედგინა კომპიუტერების დაზიანების ფაქტისა და მისი გამომწვევი მიზეზის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება ექსპერტიზის დასკვნის სახით. მისი წარუდგენლობის მიზეზი კი ექსპერტიზის დასკვნის გაკეთების ფაქტობრივი შეუძლებლობა გახლდათ, ვინაიდან დაზარალებულმა, როგორც თავად აღნიშნა თავის სასარჩევლო განაცხადში, გ.წ. გადამწვარი კომპიუტერები გადაყარა. შესაბამისად, საკითხავია, არსებობდა თუ არა ზიანი, ან, თუ არსებობდა, დადგა თუ არა აღნიშნული ზიანი მოპასუხის ბრალებული ქმედების შედეგად. მოსარჩელე-დაზარალებულის თქმით, აღნიშნული რვა კომპიუტერი შეიძინა კომპიუტერულ მაღაზია „ალტაში“, რისთვისაც გადაიხადა გარკვეული თანხა. ყოველივე ამას კი ადასტურებდა კომპანიის მიერ გაცემული ცნობით. სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტი მტკიცებულებად არ ცნო და, შესაბისად, არ დაადასტურა მოსარჩელის მიერ აღნიშნული თანხის გადახდის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპიუტერების შეძენის და მათი დირებულების გადახდის ფაქტი დადასტურებულ უნდა იყოს ანგარიშსწორების წარმოების შესახებ პირდაპირი დოკუმენტის წარმოდგენით და არა კომპანიის მიერ გაცემული ცნობით. პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის, ზიანის არარსებობის გამო, მოპასუხებე პასუხისმგებლობის დაკისრება გამოირიცხა.

სასამართლომ დადასტურებულად არ ცნო, ასევე, ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ კომპიუტერების დაზიანება მოპასუხის მიერ არასტანდარტული მაღალი ძაბვის დენის, ანუ წუნდებული პროდუქტის მიწოდების გამო მოხდა. შესაბამისად, სასამართლომ მტკიცების ტვირთი სსკ-ის 1010-1011-ე მუხლებიდან გამომდინარე მხოლოდ დაზარალებულს დაკისრა, ხოლო მოპასუხე კი მისგან გაათავისუფლა.

<sup>349</sup> იქვე, Rn.115, 372.

<sup>350</sup> იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, №28/2040-07.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაზარალებულმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მაგრამ საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მისი საჩივარი.

საკითხავია, აგრეთვე, ის, რომც ყოფილიყო დადასტურებული წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდების ფაქტი, ანაზღაურდებოდა თუ არა ზიანი მოსარჩელე-დაზარალებულისათვის დაზიანებული კომპიუტერების არქონის შემთხვევაშიც? შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ კომპიუტერების განადგურების მიზეზი არა მაღალი ძაბვის მიწოდება, არამედ მათი არასწორი ინსტალაციაა. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა დადასტურდეს მიზეზობრივი კავშირი წუნდებულ პროდუქტსა და დამდგარ ზიანს შორის, რისი დამტკიცება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა დაზიანებული ნივთების არარსებობის გამო. რამდენად შეიძლებოდა წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდების ფაქტის სხვა გზით დადასტურება – ეს საკითხავია. იქნებ სასამართლოს ჯერ უნდა შეემოწმებინა, იდებდა თუ არა საერთოდ დაზარალებული იმ დღეს ელექტროენერგიას? ანუ იყო თუ არა პროდუქტის მიწოდება ხარისხიანი.

არსებობს აგრეთვე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება,<sup>351</sup> როდესაც მსგავს შემთხვევაში მოსარჩელე-დაზარალებულის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე სრულად იქნა დაკმაყოფილებული. კერძოდ კი, ხანძრის გაჩენის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება ექსპერტის დასკვნის საფუძვლებელ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიას. ექსპერტის დასკვნით კი დასტურდება ფაქტობრივი გარემოებანი იმის შესახებ, რომ ხანძრის გაჩენის მიზეზი წუნდებული ელექტროენერგიის მიწოდება იყო, რაც გამოიხატებოდა დენის დასაშვები პარამეტრებით არგაშვებაში, რის შედეგადაც მოხდა მოკლე ჩართვა და ხანძრის წარმოქმნა. სასამართლო ადასტურებს, ასევე, მიზეზობრივ კავშირს მოსარჩელის ბინაში გაჩენილ ხანძარსა და მოპასუხე თრგანიზაციის ქმედებას შორის. შესაბამისად, მოპასუხის ბრალეულობა დადასტურებულ იქნა და ზიანის ანაზღაურებაც სრულად მას დაუკისრა. სასამართლომ დაზარალებულის მიერ მოყვანილი არგუმენტები დადასტურებულად ჩათვალა, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან მისი გაქარწყლება ვერ მოხერხდა. გამოდის, რომ მოპასუხებ „დაუმტკიცებლობის“ შედეგები თვითონ იტვირთა.

<sup>351</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნიერო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, №ას-301-627-07.

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა კარგად წარმოაჩინა, თუ როგორ გამოიყენება სასამართლოების მიერ წუნდებული პროდუქტებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები. ცხადია, სსკ ყველა კითხვაზე არ შეიცავს პასუხს. ეს ბუნებრივიცაა. ამიტომ სასამართლო პრაქტიკამ უნდა შეაგხოს კანონის ხარვეზი, რასაც სასამართლოები აკეთებენ კიდეც. სასამართლოები, შეძლებისდაგვარად, ითვალისწინებენ სხვა ქვეყნების სასამართლო პრეცედენტებსაც, რათა როგორც დაზარალებულის, ისე მწარმოებლის უფლებები სამართლიანად იქნეს დაცული. როგორც სსკ-ის მე-4 მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, „მოსამართლეს არა აქვს უფლება, უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.“ ამდენად, მას არ უნდა ჰქონდეს დავის გადაწყვეტაზე უარის თქმის უფლება სამართლის ნორმის არარსებობის ან არასრულყოფილების მიზეზით. ამ შემთხვევაში მას შეუძლია მიმართოს სამართლის ანალოგიას.

## VI. გასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომის ცალკეულ ნაწილებში გადმოცემულია შეალედური დასკვნები, აქ შემოვიფარგლები მხოლოდ რამდენიმე მთავარი დასკვნითი თეზისით:

1. შედარებითმა კვლევამ აჩვენა, რომ წუნდებული პროდუქტის სამართალი, ძირითადი, შეესაბამება ევროპულ სამართლთან პარმონიზაციის მოთხოვნებს. ეს, ასევე, განპირობებული უნდა იყოს ამ პრობლემისადმი ევროპულ სამართლებრივ სიკრცეში ერთნაირი მიდგომებით. კერძოდ, დასტურდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმების იდენტურობა ევროკავშირის 1985 წლის 374-ე დირექტივასა და გერმანიის ProdHaftG-თან.
  2. სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდგომ სერიოზული ცვლილება შეეხო 1011-ე მუხლის I ნაწილს, რომელიც იძლევა პროდუქტის დეფინიციას. ანალოგიურად მოწესრიგდა ეს საკითხი სპეციალურ კანონში – „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსში. მთავარი პრობლემაა დეფინიციის განსაზღვრება. კერძოდ კი, ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და შედეგისმომტანია განხორციელებული ცვლილება, პრაქტიკაში მისი განმარტება ხომ არ წარმოადგენს სირთულეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ადრე, გერმანული სამართლის მსგავსად, 1011-ე მუხლი ელექტროდენს პროდუქტთა სიაში მოიხსენიებდა.

3. სსკ-ის ძველი რედაქციისგან განსხვავებით, 1011-ე მუხლის მოქმედი რედაქცია პროდუქტის ცნებიდან გამორიცხავს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა „სურსათის პირველადი პროდუქტი და ნადირობის შედეგად მოპოვებული პროდუქტი.“ განმარტების გზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ძველი და ახალი რედაქცია, ფაქტობრივად, ანალოგიური შინაარსისაა. სურსათის პირველად პროდუქტებში შესაძლოა გავაერთიანოთ მიწათმოქმედებიდან, მეცხოველეობიდან, მეფუტკრეობიდან და მეთევზეობიდან მიღებული ე.წ.ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გადამუშავებული. კანონმდებელი ცვლილების შეტანის გზით, ცდილობდა სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფას. თუმცა ამან, რეალურად, მხოლოდ ტერმინოლოგიური ჩანაცვლება გამოიწვია. ეს საკითხი ნორმატიულად კიდევ ერთხელ უნდა დაზუსტდეს, ვინაიდან მსგავსი ტიპის პროდუქტებით ვაჭრობა დღევანდები საბაზრო ეკონომიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია, მისი მიმწოდება

ბელ-მწარმოებელი პირები კი ორმაგი სამართლებრივი დაცვის ქვეშ უნდა ექცეოდნენ. გერმანულ სამართალში გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის დორექტივის მოთხოვნები და არსებული ნორმებით დასახელებული ნივთების პროდუქტის ცნებიდან ამორიცევის შესახებ გაუქმებულია. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინტერესი ამართლებს აღნიშნული შეზღუდვის მოხსნას, რაც საქართველოს კანონმდებლობამაც უნდა გაითვალისწინოს.

4. პროდუქტის წუნდებულობის განმარტებაში ქართული სამართალი მხოლოდ ნაწილობრივ ემსგავსება გერმანული სამართლისა და ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებს. წუნდებულობის განმარტება ნაწილობრივ რეცეზცორებულია. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში გადმოდებულია მხოლოდ „წუნდებულობის“ ზოგადი ცნება და არა ის კონკრეტული გარემოებანი, რომლებიც მას უკავშირდება. კოდექსის 1010-ე მუხლში აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: „პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.“ მიუხედავად იმისა, რომ „ყველა გარემოება“ მოიცავს იმ გარემოებებსაც, რომლებზედაც უშუალოდაა მითითებული გერმანულ კანონსა და ევროკავშირის დირექტივაში, ამით შემოსაზღვრა მაინც საშიშია, იმ თვალსაზრისით, რომ იგი მომეტებულად აფართოვებს წუნდებულობასთან დაკავშირებულ გარემოებათა არეალს. ამიტომაც, ჩემი წინადადება აღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის სრულყოფაა.

აღსანიშნავია, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომქცევის“ კოდექსი უფრო მეტად აკონკრეტებს ამ გარემოებებს. ლოგიკურია, რომ ეროვნული კანონმდებლობა ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველ ნაწილში ზოგადადაა საუბარი იმ სიკეთების დაცვაზე, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს უხარისხო პროდუქტით. ასეთივე ფორმულირება მოცემულია ევროკავშირის დირექტივაშიც. გერმანიის კანონი ასახელებს ყველა სიკეთეს: სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა და ნივთები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1014-ე მუხლიდან გამომდინარე, ნივთი დაცვის ობიექტი არაა. უხარისხო პროდუქტით ნივთის დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება ტრადიციული დალიქტური პასუხისმგებლობის ნორმები.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის თანახად, ნივთისადმი ზიანი გაიგივებულია ქონებისადმი მიყენებულ ზიანთან.

მაშასადამე, ნივთის დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ტრადიციული დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები, ისე სპეციალური კანონი – კოდექსი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქვევის.“ თუმცა, კარგი იქნებოდა, ორივე რედაქცია ერთიან რეგულირებაზე შეთანხმებულიყო, მით უფრო, რომ გერმანული სამართალი ანალოგიურ წესს შეიცავს.

6. როგორც ქართული, ისე გერმანული სამართალი საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს, როცა მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის. აქ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს ევროკავშირის დირექტივაც. დისკუსიის საგანია მეცნიერებისა და ტექნიკის დონის მოტივაციით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. სამოქალაქო კოდექსში გატარებულია ის აზრი, რომ მწარმოებელი არ შეიძლება იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების რისკების მატარებელი. თუმცა, რომ დავუშვათ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცოდნის პრეზუმაცია, ძნელი იქნება მისი გამოყენების ვალდებულების არსებობა.

7. წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე მკაცრი პასუხისმგებლობაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები საგანგებოდ არ მიუთითებს ამის შესახებ, თუმცა, 1009-ე მუხლის შინაარსიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იკვეთება. მკაცრი პასუხისმგებლობა მკვიდრდება გერმანულ სამართალშიც. იგივე ხაზია გამოკვეთილი აშშ-ის სამართალში. ურთიერთობის სპეციფიკა და დაცული სიკეთეების თავისებურება განაპირობებს იმას, რომ პასუხისმგებლობა დადგება სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშეც. ეს ხაზია გამოკვეთილი როგორც ევროპულ, ისე საერთო სამართალში.

8. პასუხისმგებლობის ბუნებას განაპირობებს ის ფაქტიც, თუ ვინ ითვლება მწარმოებლად. ქართული სამართალი, ამ მხრივ, ეხმიანება გერმანულ სამართალსა და ევროკავშირის დირექტივას. მას, კლასიკური მწარმოებლის გვერდით, შემოჰყავს „ვითომ მწარმოებელი“ და ამით გაცილებით მეტ გარანტიას იძლევა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამის საშუალებას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლი.

9. მტკიცების ტვირთის თანაბრად, სამართლიანად გადანაწილება, გარკვეულწილად, განაპირობებს პასუხისმგებლობის ერთი პირისთვის დაკისრებას ან, პირიქით, შემსუბუქებას. სსკ-ის 1012-ე მუხლი მხოლოდ დაზარალებუ-

ლისთვის ითვალისწინებს მტკიცების ვალდებულებას. თუმცა, 1009-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარემოებებს სიღრმისეულად თუ განვმარტავთ, არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც ჯერ მწარმოებელს ეკისრება სამართალდარღვევის ამა თუ იმ შემადგენლობის მტკიცება. გერმანული სამართალი გონივრულად უდგება ამ საკითხს. ის იცნობს მტკიცების შემობრუნების ინსტიტუტს თუ ზოგადად მტკიცების თანაბრად გადანაწილებას მწარმოებლისათვის, ვინაიდან არ შეიძლება დაზარალებულს დავაკისროთ იმაზე მეტის ცოდნა, რაც ზოგჯერ მწარმოებლისთვისაც უცნობი ან რთულად დასამტკიცებელია. ამ მხრივ, აუცილებელია, მინიმუმ, ახალი სასამართლო პრეცედენტის დამკვიდრების გზით თანაბრად გადანაწილდეს მხარეებს შორის მტკიცების სფეროები.

10. სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ იგი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიმდიდრით. ჩვენ მიერ გაანალიზებული პრეცედენტებიდან ის დასკვნა კეთდება, რომ სასამართლოები, ძირითადად, სწორად იყნებენ სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, მაგრამ ნაკლებად ცდილობენ მათ იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც იქნება ე.წ. ახალი სამართლებრივი პოზიციების შემცველი. საჭიროა, როცა ელექტროენერგიის არმიწოდებით (მიუწოდებლობით) გამოწვეულ ზიანს სასამართლო აკვალიფიცირებს, როგორც წუნდებული პროდუქტით გამოწვეულ ზიანს. როცა არ არსებობს პროდუქტი, ულოგიკობაა მის წუნზე მსჯელობა. ამას ადასტურებს გერმანული დოქტრინაც.

11. დაბოლოს, მიმაჩნია, რომ წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების ევროპულ სამართლთან პარმონიზაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს. მაგრამ, ამასთან ერთად, არსებული ნორმების ახსნა-განმარტების საქმეში თავისი როლი უნდა შეასრულოს დოქტრინამ და სასამართლო პრაქტიკამ. კანონმდებელმა დეტალურად უნდა შეისწავლოს პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. ზოგადად, მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, გამოკვეთოს ის პრიორიტეტები, რომლებიც ეფექტურს გახდის მათი უფლებების დაცვას.

## ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1999.

ძებლელიანი თ., ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გამომცემლობა GIZ, 2014.

გეგიძე ნ., უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის უნივერსიტეტი, 2012.

დუბაძე მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2009.

გაშავიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010.

ზაალიშვილი გ., სამომხმარებლო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, №1-2, 2010.

ზოიძე პ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 2003.

ზოიძე პ., ჭანტურია ლ., ზოიძე პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001.

კერესელიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომცემლობა ეშსი, თბილისი, 2009.

კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, იურისტების სამყარო, თბილისი, 2014.

ლუთრინგაუხი პ., დელიქტური სამართალი, GIZ, გამომცემლობა სიესტა, თბილისი, 2011.

ძესხიშვილი გ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულ და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004.

*ნიუკარაძე ნ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამოქალაქო სამართალში, „ცხოვრება და სამართალი“, 1998, №3.*

*ნიუკარაძე ნ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციური საფუძვლები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №1.*

*ხუხია შვილი თ., სუხიტაშვილი დ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩევების კონკურენცია, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), 2011.*

*ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის უურნალი, №1, 2009.*

*გაკია შვილი პ., პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, უურნალი სამართალი, №5, 1999.*

*გოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, №2; 2007.*

*ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, გამომცემლობა ეშიი, 2011, თბილისი.*

*ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის უურნალი, №1, თსუ იურიდიული ფაქულტეტი, თბილისი, 2009.*

*ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, უურნალი მართლმსაჯულება, №1, 2008.*

*ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამომცემლობა ჯი სი აი, თბილისი, 2001.*

*ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2006.*

*ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.*

*ძლიერი შვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი უურნალი, 2012.*

*Adams M., Kraas-Littger M. , „Produkthaftung für Colagetränke“, Festschrift für Wolfgang Wiegand, „Norm und Wirkung“, Herausgeber: Buchen, Eugen, München, 2005.*

*Behrens H.J.*, Produkthaftung in Ausfüllung der EG-Richtlinie nach den englischen und deutschen nationalen Regeln, München: VVK, 1991.

*Birgit F.*, Qualitätssicherungsvereinbarungen und Produkthaftung, 1 Aufl. Baden-Baden, B.179, 1995.

*Bodenschatz W.*, *Fichna G.*, *Voth D.*, PRodukthaftung, Verlag moderne Industrie, 3 Aufl. Frankfuhrt/M. 1988.

*Chanturia L.*, Recht und Transformation, Rechtliche Zusammenarbeit aus der Sicht eines rezipierenden Landes, Rabels Zeitschrift (Rechtstransformation und Rechtsrezeption), Band 72 (2008), Heft 1 (Januar).

*Fitz H.*, *Purtscheller M.*, *Reindl P.*, Produkthaftung, Das Produkthaftungsgesetz - prägnant kommentiert, Wien, 1988.

*Feil M. E.*, „Produkthaftung, Produktsicherheit, Verbraucherschutz beim Fernabsatz“, kurzkommentar für die Praxis, Linde Verlag, Wien, 2001.

*Harald B.*, Produkthaftung nach neuem EG-Recht, Kommentar zum deutschen Produkthaftungsgesetz, Verlag moderne Industrie, Landsberg/Lech, 1989.

*Heck H.J.*, Produkthaftungsgesetz: Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, Kommentar, 3 Aufl. Verlag Erich Schimdt, Berlin, 2001.

*Hettich R.*, Produkthaftung, Haftungsumfang und Risikobegrenzung, 2 Aufl. München, Verlag für Verwaltungspraxis Rehm, 1990.

*Kampmann B.*, Der Produktbegriff nach der deliktischen Produkthaftung und dem Produkthaftungsgesetz, Kün, 1991.

*Katzenmeier C.*, Entwicklungen des Produkthaftungsrechts, Jus, 943, Köln, 2003,4.

*Kötz H.*, *Wagner G.*, Deliktrecht, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010.

*Kötz H.*, Deliktsrecht, 7.Aufl., Luchterhand Verlag, Neuwied, Kriftel, Berlin, 1996.

*Kraft I. R.*, Der Angleichungstand der EG-Produkthaftung, Verlag Tenea, Berlin, 2004.

*Kullmann H.J.*, Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 3.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2001.

*Kullmann H.J.*, Produkthaftungsgesetz: „Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte;“ Kommentar, 6.Aufl., Verlag Erich Schmidt, Berlin, 2010.

*Kullmann H.J.*, Das baby-bottle-syndrom“ in der Haftpflichtrechtsprechung der Bundesrepublik Deutschland, Festschrift für Hyung-Bae Kim, „Arbeitsrecht und Zivilrecht in Entwicklung“, Verlag Dunckler und Humboldt, Berlin, 1995.

*Landscheidt C.*, Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin,1990.

*Nettelbeck B.I.*, Produktsicherheit – Produkthaftung: Anforderungen an die Produktsicherheit und ihre Umsetzung, Verlag Springer, Berlin, Heidelberg., 1995.

*Prey/Klaus P.*, Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung, Regensburg, Jur. Diss. 1990.

*Pott/Frieling*, Produkthaftungskommentar, Verlag Wingen, 1992.

*Prütting – Wegen – Weinreich*, BGB Kommentar, Luchterhand Verlag, 2013.

*Rolland W.*, Produkthaftungsrecht, Teil II, Kommentar, Köln, 1990.

*Schlutz J.H., Ingolstadt G.*, Haftungstatbestände des Produkthaftungsrechts, DSTR, 1994, 791.

*Schlechtriem P.*, Angleichung der Produkthaftung in der EG, Versicherungsrecht, Heft 41 (A), Verlag Versicherungswirtschaft e.V., 1986.

*Taschner H.Cl., Frietsch E.*, Produkthaftungsgesetz und EG-Produkthaftungsrichtlinie, 2.Aufl. München, Beck, 1990.

*Dr.Friedrich Graf v.Westphalen*, Das neue Produkthaftungsgesetz, NJW, Köln, 1990.

*Zweigert K., Kütz H.*, Einführung in die Rechtsvergleichung, 3.neubearb.Aufl.Tübingen: Mohr, 1996.

*Zimmermann R.*, Die Europäisierung des Privatrechts und die Rechtsvergleichung, Verlag De Gruyter Recht, Berlin, 2006.

*Fairgrieve D. and Howells G.*, Rethinking product liability: a missing element in the European Commission's Third Review if the European Product Liability Directive, 2007.

*Комаров А.С.* Ответственность в комерческом обороте, Издательство Юридическая литература, Москва, 1991.

Охрана прав потребителей в Капиталистических странах. Научноаналитический Обзор. Москва, 1972.

*Познер Р.А.*, Економический анализ права, т.1, Издательство Экономическая школа, Санкт-Петербург, 2004.

*Шлапп Ян*, Система германского гражданского права, Международные Отношения, Москва, 1999.

ნორმატიული მასალა და განმარტებითი დექსიკონები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №31, 1997.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №47-48, 1997.

საქართველოს კანონი – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 2012, №6157-III.

საქართველოს კანონი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 2012, №6155-III.

წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ევროპავშირის 1985 წლის 25 ივნისის 374-ე დირექტივა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გამომცემელი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1990.

ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გამომცემლისა განათლება, თბილისი, 1978.

ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, რუსული თარგმნითურთ, გამომცემლის „საბჭოთა საქართველო“, 1961.

Pfeiffer, Juris Texte Zivil- und Zivilprozessrecht, Juris/Luchterhand, 2005.

*Германское право, Часть III, Статут, Москва, 1999.*

**საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 ივლისის განჩინება, საქმე №ბს-173-136-კ-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება, საქმე №ბს-296-624-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის განჩინება, საქმე №ბს-434-25 (3კ-05).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 7 მარტის განჩინება, საქმე №ბს-798-1072-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2006 წლის 7 მარტის განჩინება, საქმე №ას-798-1072-05

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-751-1118-06.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-771-1095-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება, საქმე №ას-1156-1176-2011.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, №2ბ/2040-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტ-რების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, №ას-301-627-07.